საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY

ძ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს არქეოლოგიაში

№ 23

D Z I E B A N I

Journal of the Georgian Archaeology

თბილისი 2016 Tbilisi

UDC (უაკ) 902(479.22)
ძ-531

რედაქცია: **გ. კვირკველია** (რედაქტორი)
გ. გამყრელიძე
დ. კაჭარავა
ზ. მახარაძე
მ. წერეთელი
მ. ჩარკვიანი (*მდივანი*)

Editors
of the volume: **G. Kvirkvelia** (editor-in-chief)
M. Charkviani
G. Gamkrelidze
D. Kacharava
Z. Makharadze
M. Tsereteli

ISSN 1512-0589

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2016
Georgian National Museum, 2016

სარჩევი

თენგიზ მეშველიანი, ელისო ყვავაძე, რონ პინჰასი, ანა ბელფერ-კოენი, ზინოვი მაცკევიჩი, შოთა ბეზარაშვილი, რუსუდან ჩაგელიშვილი, ერეკლე ქორიძე, ნინო ჯაყელი

წყალტუბოს ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2014-2015 წლებში ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში 5

გურამ კვირკველია, ბიძინა მურვანიძე

არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2011 წელს.

II. გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები 27

G. Kvirkvelia, B. Murvanidze

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT GRAKLIANIS GORA IN 2011.

II. LATE BRONZE AGE BURIALS 41

დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე

ვანის №№ 1 და 2 სამლოცველოების არის გათხრების ანგარიში

(2002-2005 წლები) 60

D. Kacharava, S. Kharabadze

EXCAVATIONS OF SANCTUARIES №1 AND №2 OF THE VANI SITE (2002 and 2003) 71

გოდერძი ნარიმანიშვილი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გიორგი მანჯგალაძე, გელა გიუნაშვილი, ზურაბ ბრაგვაძე, ნიკოლოზ გობეჯიშვილი, კობა კობერიძე, ლერი ფავლენიშვილი, გიორგი ტატიშვილი, ინგა ესვანჯია

არმაზციხეზე 2015 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში 98

G. Narimanishvili, V. Nikolaishvili, G. Manjgaladze, G. Giunashvili, Z. Bragvadze, N. Gobejishvili, K. Koberidze, L. Pavlenishvili, G. Tatishvili, I. Esvanjia

REPORT OF THE ARCHAEOLOGICAL RESEARCH OF ARMAZISTSIKHE IN 2015 102

გოდერძი ნარიმანიშვილი

არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსის 2014-2015 წლების გათხრების ანგარიში 120

G. Narimanishvili

EXCAVATIONS OF ARMAZISKHEVI ARCHAEOLOGICAL COMPLEX: REPORT 130

დავით მინდორაშვილი

საკირის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები 147

D. Mindorashhjvili

ARCHAEOLOGICALEXCAVATIONS AT SAKIRE VILLAGE-SITE 150

ალექსანდრე ორჯონიკიძე

საგარეო ურთიერთობათა ძირითადი მიმართულებები ადრეული ყორღანების გავრცელების ხანაში 155

Alexander Orjonikidze

MAIN DIRECTIONS OF FOREIGN RELATIONS IN THE PERIOD OF THE SPREAD OF EARLY KURGANS ON THE TERRITORY OF GEORGIA 161

ლერი ჯიბლაძე

კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების სინქრონიზაციის საკითხები 164

L. Jibladze

ON THE SYNCHRONIZATION OF COLCHIAN SITES OF EARLY AND LATE BRONZE AGE 175

ლერი ჯიბლაძე

ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული არტეფაქტები კოლხეთიდან 179

L. Jibladze

ARTIFACTS FROM COLCHIS RELATED TO BRONZE MANUFACTURING ACTIVITIES 186

ნინო ახვლედიანი, ირინე სულთანიშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგიის საკითხისთვის (სასირეთის „განძი“) 191

N. Akhvlediani, I. Sultanishvili

ON THE QUESTION OF THE CHRONOLOGY OF The LATE BRONZE AND EARLY IRON AGE MONUMENTS EXCAVATED IN EAST GEORGIA (THE "TREASURY" OF SASIRETI) 200

გოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი

კნოლეს ნამოსახლარი და სამაროვანი 224

G. Narimanishvili, N. Shanshashvili

KNOLE SETTLEMENT AND CEMETERY 231

ნინო სულავა, ინგა ესვანჯია

ცხეთის სამაროვნის სამარხთა განლაგების რეკონსტრუქცია 263

N. Sulava, I. Esvanjia

TOWARDS RECONSTRUCTION OF DISTRIBUTION OF THE TSKHETA BURIALS 266

ქეთევან რამიშვილი

განძი ჟინვალის ნაქალაქარიდან 283

K. Ramishvili

HOARD FROM ZHINVALI CITY-SITE 293

ქეთევან ჯავახიშვილი

დავით ბატონიშვილის საბეჭდავი 301

Ketevan Djavakhishvili

THE SIGNET OF DAVID BATONISHVILI 306

თენგიზ მეშველიანი, ელისო ყვავაძე, რონ პინჰასი, ანა ბელფერ-კოენი, ზინოვი მაცკევიჩი, შოთა ბეზარაშვილი, რუსუდან ჩაგელიშვილი, ერეკლე ქორიძე, ნინო ჯაყელი

წყალტუბოს ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2014-2015 წლებში ჩატარებული საველე სამუშაოების ანგარიში

2014-2015 წლებში გაგრძელდა არქეოლოგიური ექსპედიცია საწურბლიას მღვიმეში (GPS კოორდინატები X371444 Y469736). სამუშაოები მიმდინარეობდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „იმერეთის ქვის ხანის ზოგიერთი ძეგლის გვიანპლეისტოცენისა და ჰოლოცენის პერიოდის კულტურათა გენეზისის საკითხისათვის“ (პროექტის შიფრი FR/349/2-105/13) ფარგლებში. 2014 წელს საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 21/06-31/07 (არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობა №09/12/95), ხოლო 2015 წელს 15/06-31/07 (სანებართვო მოწმობა №09/12/116). წყალტუბოს ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიცია საერთაშორისო-ინტერდისციპლინარულია და ტარდება საერთაშორისო პროექტის „სამხრეთ კავკასიის შუა და ზედაპალეოლითური ძეგლების დათარიღებისათვის“ ფარგლებში. ხელშეკრულება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და დუბლინის ტრინიტი კოლეჯს შორის გაფორმდა 2012 წელს, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივ საველე და სამეცნიერო სამუშაოების, კერძოდ, გენეტიკური კვლევების ჩატარებას საქართველოს შუა პალეოლითურ და ზედაპალეოლითურ ძეგლებზე. საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებში საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ: თ. მეშველიანი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ნ. ჯაყელი (არქეოლოგი), ი. ქორიძე (არქეოლოგი), ე. ყვავაძე (პალინოლოგი), რ. ჩაგელიშვლი (გეოლოგი), შ. ბეზარაშვილი (არქეოლოგი), რ. ბერიძე (მხატვარი), ა. თეთრუაშვილი (დოქტორანტი). ირლანდიის მხრიდან რ. პინჰასი (გენეტიკოსი, პროექტის თანახელმძღვანელი), დიდი ბრიტანეთის მხრიდან კ. ვილკინსონი (გეოლოგი), ტ. ჰიგმანი (რადიოკარბონული დათარიღება), ისრაელის მხრიდან ა. ბელფერ-კოენი (არქეოლოგი), ზ. მაცკევიჩი (არქეოლოგი), ნ. მორისონ-გორინგი (არქეოლოგი), გ. ბარ-ოზი (ზოოარქეოლოგი), ლ. ვეისბოროდი (მიკრო-ზოო- არქეოლოგი), მ. სტაჰლშმიდტი (გეოარქეოლოგი), დ. შახამი (არქეოლოგი), ი. აბადი (არქეოლოგი).

არქეოლოგია: საწურბლიას მღვიმეში სამუშაოები გაგრძელდა მღვიმის A და B უბანზე კერძოდ, A უბანზე, მღვიმის წინა ფართობზე, გაითხარა R18-24 და T22-14 კვადრატები (ტაბ. I). B უბანზე, მღვიმის სიღრმეში კი X 4-6, Y 4-8, Z 5-8 კვადრატები. ასევე დავიწყეთ გათხრები „მეორე დარბაზის“ შესასვლელში და შესაბამისად გავხსენით ახალი AA7 და AA 8კვადრატები (ტაბ. II).

A უბნის აღმოსავლეთ ჭრილში (ტაბ. III) გამოვლინდა A/I ადრეული ფენა (გვხვდება ნეოლითური, ენეოლითური, შუასაუკუნეების და უფრო გვიანი მასალა), A/II, A/IIa და A/IIb ზედაპალეოლითური ფენების სადაც გაგრძელდა იატაკების გამოვლენა, კერძოდ D, E, F, G, H საცხოვრებელი დონე დაფიქსირდა. საცხოვრებელი დონე-იატაკი, რომელიც საწურბლიას მღვიმეში აღმოჩნდა, ანთროპოგენური პროცესების შედეგადაა წარმოქმნილი. იატაკი, კერები და *in situ* მასალა მდიდარ ინფორმაციას იძლევა ადამიანის საქმიანობის შესახებ, როგორიცაა ქვის და ძვლის იარაღების გამოყენება და დამუშავება, ნანადირევის დანაწევრება და გატყავება. ორგანული ნივთიერებების პალინოლოგიური კვლევა საშუალებას იძლევა გავარკვიოთ კვების რაციონი, თუ როგორ იყენებდა ადამიანი ხორცსა და ველურ მარცვლეულს, ველურ სელს და ხეს. პალინოლოგიური და მიკრომორფოლოგიური კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გარემო პირობების აღდგენა უკანასკნელ გამყინვარებამდე და მის შემდეგ, თუ როგორ შეიცვალა ვეგეტაცია და ფაუნა კლიმატის ცვლილებასთან ერთად.

R18-19 კვადრატში, ნულოვანი წერტილიდან – 5,35 სმ-ზე დიდ ლოდს დავადექით. A/II ფენაში მასალა საკმაოდ მწირი იყო, ისინი უშუალოდ კლდოვან სიბრტყეზე აღმოჩნდა, ამ მონაკვეთში არცერთი იატაკი-საცხოვრებელი დონე არ გამოჩნდა, ალბათ მათი გავრცელება წყდება სამხრეთის ჭრილის R19-20 საზღვარზე. მთლიანად გაითხარა $T24_{b,d}$, $S24_{a,b,c,d}$, $R24_{a,c}$, $T23_{b}$, $S23_{a,b}$ კვადრატების სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის ჭრილში არსებული

ენეოლითის ხანის ოვალური ფორმის ჩაჭრილი ორმო. მისი ძირი, ჩრდილო-აღმოსავლეთის ჭრილში -5,70-5,80 სმ სიღრმეზე გამოჩნდა, ხოლო კედლები იწყება დაახლოებით -4,90 სმ სიმაღლიდან. ორმო დაფარული იყო ჰორიზონტალურად ჩამოქცეული ლოდებით, რომელიც A/I ფენას მიეკუთვნება. ორმოს მიერ ჩაჭრილი ზედაპალეოლითური ფენა გაითხარა $T24_{a,c}$, $R23_{a,c}$, $R24_{c}$ კვადრატებში, გამოჩნდა იატაკის E-G დონეები. T24-ში აღმოჩნდა კერა (დანახშირებული ლინზა) და ასევე რიყის ქვებით შემორტყმული წრიული ფორმის კერა, რომელშიც შეიმჩნევა ნახშირის დიდი კონცენტრაცია (ტაბ. IV).

B უბანზე X4-6 კვადრატების სამხრეთი ჭრილი შეიცავს ნეოლით-ენეოლითური ხანის B/I კულტურულ ფენას, რომელიც წარმოადგენს ე.წ. ჩაჭრილ "ორმოს". ეს ფენა გრძელდება Z5-Z6 კვადრატებში, მისი საერთო სიმძლავრე დაახლოებით 1 მეტრია და დასახლების რამდენიმე ეპიზოდს მოიცავს. X4 კვადრატის დასავლეთის ჭრილის მიხედვით ზედაპალეოლითური B/II ფენა დაიყო ლითოლოგიურ a, b, c, d შრეებად (ტაბ. V). ზედაპალეოლითური B/III-B/IV ფენები -5,55 სმ-დან იწყება. Y6-7-Z7-8 კვადრატებში გავაგრძელეთ დაღრმავება და საერთო ჯამში დაახლოებით 60 სმ ავიღეთ.Y კვადრატში გამოვლენილია სხვადასხვა ზომის, დიამეტრის და სიღრმის ორმო, რომელიც ამოვსებულია ნაცროვანი მიწით, დამწვარი ძვლოვანი და ქვის მასალით. გეოლოგიური დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ ესაა მღვიმის ჭერიდან ჩამოდენილი და მღვიმეში მოქმედი წყლის ნელი დინების შედეგი. გათხრების ამ მონაკვეთს პირობითად „მთვარის ზედაპირი" ვუწოდეთ. უნდა აღინიშნოს ორი, რიყის ქვებით გარშემორტყმული კერა, ერთ-ერთი მათგანი ჯერ კიდევ 2013 წ. X-Y6 კვადრატში აღმოჩნდა, შესაძლოა, კერიის განახლებასთან გვქონდეს საქმე. Z6 კვადრატში გამოვლინდა ნახშირის მძლავრი ლინზა, რომელიც გარშემორტყმულია პატარა ზომის მრგვალი ქვებით, მის დასავლეთით დიდი, დაახლოებით 30 სმ დიამეტრის დაბრექჩირებული ძვლების და ნახშირის კონცენტრაცია დაფიქსირდა. Y6-ში, დაახლოებით -5,45 სმ-ზე, გამოჩნდა კედევ ერთი ნახშირის დიდი ლინზა. ე.წ. მეორე „დარბაზის" შესასვლელი წინა წელს გათავისუფლდა ნაყარი მიწისაგან, რომელიც, შესაძლებელია, ქვის ხელოვნური ზღუდე ყოფილიყო. საანგარიშო წლების სამუშაოების მიმდინარეობისას გაიხსნა ორი ახალი კვადრატი AA7 და AA8 (ტაბ. VI). გათხრები დაიწყო -5,20 სმ-ზე. პირველი 10-15 სმ ნაყარი მიწაა, ხოლო შემდგომ გამოვლინდა *in situ* B/II, B/III, B/IV ფენები. AA7 კვადრატის ჩრდილოეთ მხარეს, B/II ფენის ფრაგმენტი და B/III ფენა გამოვლინდა, რომლის ქვედა ნაწილში გამოჩნდა ორმო, რომელიც სავსეა ნახშირით, ამ ფენის შემდეგ გამოიკვეთა B/IV კულტურული ფენა, რომლის სიმძლავრე ჯერჯერობით დაუდგენელია.

საწურბლიას მღვიმის ქვის მასალის, საწარმოო გადანაყარის და ნუკლეუსების შესწავლის, მათი რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლების შედეგად შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ადამიანი იარაღს მღვიმეში ამზადებდა. ძირითადად ერთფუძიანი და ორფუძიანი ნუკლეუსები გვხვდება (ტაბ. $VII_{1-5,7}$)[1]. ნუკლეუსებს შორის ბევრია მაღალი ხარისხის კაჟის ამორფული და ბოლომდე გამოყენებული ნიმუში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კარგი ხარისხის ნედლ მასალას ბოლომდე იყენებდნენ. როგორც საქართველოს სხვა ზედაპალეოლითურ ძეგლზე, აქაც წამყვანი იარაღია ანატკეცზე და ლამელაზე დამზადებული საფხეკები (ტაბ. VIII), უფრო ცოტაა საჭრისი (ტაბ. IX), სხვადასხვა ტიპის სათლელისებური იარაღი (ტაბ. $VII_{6,8}$), სახვრეტები (ტაბ. X_3), ბურღები, დაკბილული და ამოღარული იარაღები.

საწურბლიას მღვიმეში 17,900-16,200 cal. BP დროის მონაკვეთში, გამოიკვეთა კულტურული (ტექნოლოგიური) ვარიანტი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ეპიგრავეტის მსგავსია [Pinhasi at all. 2014]. ამ ინდუსტრიაში გამოირჩევა მიკროგრავეტის მსგავსი წვეტანები (ტაბ. X_{1-2}) და თავრეტუშირებული ლამელები. გვერდაბლაგვებულ და თავრეტუშირებულ მასალაში იკვეთება იარაღის ისეთი ტიპი, რომელიც აქამდე საქართველოს არც ერთ ძეგლზე არ ფიქსირდებოდა. ესაა წაგრძელებული მართკუთხედი, რომელსაც მუცლის მხრიდან პროქსიმალური, ზოგჯერ დისტალური მხარეც, გათხელებული აქვს და რომელიც განსხვავდება მეზოლითური პერიოდის გეომეტრიული ტრეპეცია-მართკუთხედისაგან ზომით, მოყვანილობით და რეტუშის ხასიათით (ტაბ. X_{4-15}). ეს გრავეტი-მიკროგრავეტი-მართკუთხედის ინდუსტრია (ან ლოკალური ეპიგრავეტი), რომელიც საწურბლიას მღვიმის A/II-B/II ფენებში აღმოჩნდა, ასახავს იმ „გამოტოვებულ" ტექნო-ტიპოლოგიურ ნაირსახეობას, რომელიც აღნიშნული იყო საქართველოს ზედაპალეოლითურ ინდუსტრიაში [Bar-Yosef et all. 2011].

აღსანიშნავია ძვლის იარაღების, ასევე ორ-

1 ტაბულები შეასრულა რ. ბერიძემ

ნამენტირებული ძვლის იარაღების თუ ფრაგმენტების, ცხოველის კბილზე და ნიჟარაზე დამზადებული საკიდების მრავალფეროვნება (ტაბ. X_{16-22}; სურ. 1-2).

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სედიმენტოლოგია: უბანი B, დასავლეთი ჭრილი. თხრილის სიგრძე 3,5 მეტრი. ჭრილის დასაწყისში, ჩრდილოეთ კედლის საზღვართან, გავრცელებულია მოწითალო ჟანგისფერი პელიტოლითი, რომელიც ლატერალურად გრძელდება 90 სმ-ზე, ფენის სიმძლავრე 45-50 სმ-ია (სურ. 3). ფენაში გვხვდება ნახშირის ნატეხები, რომელიც ფენის დაახლოებით 3-5%-ია, უფრო მცირე რაოდენობით ძვლის ფრაგმენტები და კირქვის ღორღი ზომებით: 3 x 2, 5 x 4, 2.5 x 2 სმ. ფენის ძირში, ჩრდილოეთ ჭრილის საზღვართან გვხვდება 17x10 სმ-ის ნახევრად კუთხოვანი კირქვის ნატეხი. ზედა საზღვარი ზემოთ მდებარე კლასტოლითებიან ფენასთან გარდამავალია. ფენაში არ დაიკვირვება ლამინაცია. თხრილის ცენტრში გვხვდება დიდი ზომის არხის ფორმის ორმო, ე.წ. „ჯიბე“, რომლის ზედაპირის სიგრძე დაახლოებით 1.8 მ-ია, ხილული სიმძლავრე კი 1.20 მ ორმო ამოვსებულია დაუხარისხებელი და დაკუთხული პელიტომორფული კირქვის ფსეფიტოლითებით, რომელთა ზომები 12x8, 10x7, 9x8, 8x7, 6x5 სმ, 5x4, 2.5x2 სმ-ია. დიდი ზომის მასალის კონცენტრაცია იწყება სამხრეთ კიდიდან 60 სმ-ში, სადაც ყველაზე დიდი ნატეხის ზომებია 70x60 სმ. აქვე ამ უხეში მასალის ქვეშ გვხვდება მოჟანგისფრო-მოწითალო არამკვრივი თიხა, სიმძლავრე – 40-25 სმ, რომლის ფუძეში მატულობს ნახშირის ნატეხების რაოდენობა (სურ. 4). სამხრეთ ჭრილის საზღვართან ახლოს უხეში მასალის ზომები მცირდება. უხეში „ჯიბე“ შეიცავს ნეოლითურ მასალას. ჭრილის სამხრეთ საზღვართან კარგად ჩანს ფენების შემდეგი მორიგეობა: მუქი ჟანგისფერი არამკვრივი თიხიანი ქვიშა, რომელიც შეიცავს ნახშირის და ძვლის ფრაგმენტებს, კირქვის ხვინჭას. ამ ფენის სახურავის სიგრძეა 40 სმ, ხოლო საგების – 30 სმ. მასალაში გვხვდება სილიციტის ფრაგმენტები და წითელი თიხის ჩანართები. სიმძლავრე 20-23 სმ. მას მოსდევს მოწითალო-ჟანგისფერი თიხა, ნახშირების, ძვლების და კირქვის ხვინჭის შემცველი არათანაბარი ფენა. სიმძლავრე – 10-40 სმ. კირქვის ხვინჭის რაოდენობა ზედა ფენასთან შედარებით მეტია და დაახლოებით ფენის 40%-ია. შემდეგ მონაცრისფრო-მოყავისფრო ქვიშიანი თიხის ფენა – სიმძლავრე 30-40 სმ. ფენის სამხრეთ მიმართულებით გვხვდება კირქვის ლოდი – 35x17 სმ. შემდეგ ისევ მოწითალო-ჟანგისფერი არამკვრივი თიხა, მსგავსი ზედა ფენისა, არათანაბარი, სიმძლავრე – 30-45 სმ. მუქი ფერის ძლიერ პელიტური მოშავო ფენა, სიმძლავრე – 18-25 სმ, სიგრძეში კი 40-45 სმ. ეს ფენა ვრცელდება ლატერალურად სამხრეთ კედელზე, ხოლო ჩრდილოეთით კი ისოლება. დახრილია სამხრეთით დაახლოებით 5-7°-ით. ბოლოს კი ისევ მოწითალო პელიტოლითი, რომელიც შეიცავს ნახშირის ნატეხებსა და ძვლებს. სიმძლავრე 5-8 სმ. თხრილის სამხრეთ ჭრილში მღვიმის კედელთან ახლოს იატაკზე გვხვდება ცეცხლის კერა (სურ. 5). კუთხოვანი ჟანგისფერი კირქვის ნატეხები – 10x15 სმ, 12x13 სმ, 8x9 სმ, 5x7 სმ ზომებით. დიდი რაოდენობის ძვლები შევსებულია ნაცარიანი და ნახშირიანი თიხით, რომელსაც ემჩნევა გაცხელების კვალი.

სამხრეთ ჭრილში რამდენიმე ნაცრიან-ნახშირიანი, ძვლიანი ჰორიზონტია, როგორც ჩანს, მღვიმის ეს მყუდრო ადგილი ადამიანს ხანგრძლივი დროის მანძილზე ქონდა ცეცხლის დასანთებად გამოყენებული.

სურ. 4

სურ. 5

უბანი A, დასავლეთი ჭრილი, თხრილის სიგრძე 5,3 მეტრი. ნიადაგის ზედა ფენის ქვეშ თხრილის სამხრეთი კედლიდან უწყვეტად, თხრილის შუამდე მიუყვება მკვრივი, მოყვითალო-მოყავისფრო ქვიშანი ალევროლითის ერთგვაროვანი ფენა – ძვლის, ნახშირის და კირქვის ძალიან მცირე ზომის (1x0,5, 0.2x0.5, 0,3x0.1 სმ) ფრაგმენტებით. ფენის სიმძლავრე 5-10 სმ. მას მოსდევს უხეშნატეხოვანი მასალისაგან აგებული არამკვრივი ენეოლითური ფენა, სიმძლავრე დაახლოებით 60 სმ. აქ შემავსებელი არამკვრივი ყავისფერი თიხიანი ქვიშაა. შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული ზედაჰოლოცენური ფენა არ არის სტრატიფიცირებული. ჭრილში იკვეთება ხუთი ცალი დამწვარი იატაკის, ნახშირიანი და ნაცრიანი ფენების „სერია“. ეს ფენები თითქმის ჰორიზონტალურად გაუყვება დასავლეთ კედელს, თუმცა გვხვდება რამოდენიმე დიდი ზომის კირქვის ლოდი (42x22x25 სმ, 65x30 სმ), რომელთა ჩამოვარდნის გამო, სავარაუდოდ, მის ქვეშ მოყოლილი ნახშირიანი და ნაცრიანი ფენები სუსტად დანაოჭებულია (სურ. 6). ზემოთ აღნიშნული იატაკების "სერიის" თანმიმდევრობა: ჰორიზონტული მუქი ნაცრისფერ-მოშავო-მოყავისფრო თიხიანი დამწვარი ფენა, დამრგვალებული მსხვილი ქვიშის მარცვლებით. ფენაში გვხვდება ნახშირის, ძვლების და ქანის კუთხოვანი ფრაგმენტები. მისი საზღვარი ზედა ფენასთან გარდამავალია, ხოლო ქვედა ფენასთან კი მკვეთრი, რადგანაც იგი შედარებით ღია ფერისაა და აგებულია ნაცრითა და წითელი თიხით. სიმძლავრე 3-5 სმ. მომდევნო ნახშირიანი ფენა შეიცავს კირქვის მცირე ზომის კუთხოვან ფრაგმენტებს. სიმძლავრე 6-10 სმ. ეს ფენა ჩრდილოეთი კედლიდან მხოლოდ 1.10 მ-ზე გაიდევნება. მის ქვემოთაა მოწითალო ჟანგისფერი თიხიან-ქვიშიანი და ისევ ნაცრიანი ფენა, რომელიც ძალიან კარგად ჩანს თხრილის ჩრდილოეთ კუთხეში. სიმძლავრე 2 სმ. მოყვითალო სუბჰორიზონტული ფენა, რომელიც სამხრეთისაკენ კედელს გასდევს 1.30 მ-ზე, სიმძლავრე – 19 სმ. ფენა შედგება ნახშირის, ძვლების, მცირე ზომის ქანის ნატეხებსაგან. მას მკვეთრი საზღვარი აქვს მის ზედა ნაცრისფერ ფენასთან და მის ქვემოთ მდებარე ნახშირიან ფენასთან. ფერფლიან-ნახშირიანი ფენის ძირში თხრილის ფუძემდე სიმძლავრე 30 სმ-ია. 10-სმ-ში ისევ ერთი ნაცრიანი ფენაა, სიმძლავრით 2 სმ. თხრილის ფუძეში გვხვდება მეხუთე ნაცრიანი ფენა. ნაცრიან ფენებს შორის სივრცეები უკავია მოყავისფრო თიხიანი ქვიშას, ძვლის, ნახშირის და კირქვის ღორღის ფრაგმენტებით. ჩრდილოეთი ჭრილი, თხრილის სიგრძე 2 მეტრი. ნიადაგის ზედა ფენას, რომლის სიმძლავრე 30 სმ-ია, მოსდევს არამკვრივი ყავისფერი თიხიანი ქვიშა, გარდამავალი საზღვრებით. სიმძლავრე – 10 სმ; შემდეგ პელიტომორფული კირქვის დაუხარისხებელი, კუთხოვანი ნატეხებით აგებული შრე, სიმძლავრე – 20 სმ; გამომწვარი იატაკი ნახშირიანი, ნაცრიანი, რომელიც დასავლეთ კედლიდან 70 სმ-ზე იწყება და ჩრდილოეთ კედელზე ვრცელდება ≈50 სმ სიგრძეზე. დამწვარი ენეოლითური იატაკის საზღვარი ქვედა და ზედა ფენასთან მკვეთრია. ერთ ადგილას კარგად ჩანს მკვრივი წითელი 1 სმ-იანი თიხა, ქვეშ ნაცრით. ფენის ჰორიზონტულობა მცირედ დარღვეულია მის თავზე არსებული ნაყარი მასალის სიმძიმის ძალის გამო. პირველი არეული ფენის იატაკის ქვეშ გვხვდება დაუხარისხებელი და დაკუთხული პელიტომორფული კირქვის პს-

ეფიტოლითებიანი არათანაბარი ფენა, რომლის სიმძლავრე ჩრდილოეთ კედლის საზღვართან 20 სმ-ია, ცენტრში 30 სმ, ჭრილის აღმოსავლეთ კედლის საზღვრისკენ კიდევ უფრო იზრდება და ვრცელდება მასზე. ფენის შემავსებელი ფხვიერი, მოყვითალო თიხიანი ქვიშაა. ფენის ქვედა საზღვარი მკვეთრია, რადგანაც მომდევნო ფენა მოწითალოა, მეტად მკვრივი და შეიცავს უხეშ კუთხოვან მასალას, რომელთა შორის ერთი, ვულკანური ქანის ქვარგვალია. სიმძლავრე არათანაბარია – 20-40 სმ. მას მოყვება უფრო მცირე ზომის დაუხარისხებელი კუთხოვანი კირქვებისაგან აგებული არათანაბარი 40 სმ-იანი ფენა, რომლის ცენტრში მოთეთრო კირქვის კუთხოვანი აგლომერატია მოთავსებული. ფენის შემავსებელია წვრილმარცვლოვანი, მონაცრისფრო-მოყავისფრო მკვრივი თიხა. იგი თანდათანობით გადადის 10 სმ სიმძლავრის დამწვარ და ფერფლიან ფენაში; შემდეგ მკვრივ, არათანაბარ მარცვლოვან, ძვლისა და ნახშირის ფრაგმენტებიან მოწითალო ფენაში; მონაცრისფრო-კრემისფერი 1,5-2,5 სმ სიმძლავრის არამკვრივი თიხიან-ნაცრიანი ფენა, მკვეთრი ქვედა საზღვრით; დამწვარი იატაკი, აგებული მოწითალო მკვრივი თიხითა და ნახშირის ფრაგმენეტებით, სიმძლავრე – 30 სმ.

სურ. 6

კერამიკა: როგორც უკვე ავღნიშნეთ A/I – B/I ფენები არაეულ მასალას შეიცავს. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ნეოლითური იერსახის კერამიკას, რომელიც მოპოვებული მასალის 80%-ზე მეტია. სამწუხაროდ, კერამიკული მასალა ძალზე ფრაგმენტულია და წარმოდგენილია მცირე ზომის ნატეხებით. აქედან გამომდინარე, ჭურჭლის ზომების და ფორმების დადგენა ჭირს. კერამიკული მასალა ორ ჯგუფად დავყავით: 1. კერამიკა, რომელიც სუსტადაა გამომწვარი და ადვილად ფშვნადია. ზედაპირი მქისეა, ან ცუდად მოგლუვებული, კეცი ორ ან სამფერიანი, ფერით შავი, ლეგა, ნაცრისფერი, მოყავისფრო, მოჩალისფრო. ასევე მრავალფერიანია ზედაპირიც; 2. შედარებით უკეთესად გამომწვარი. მას ახასიათებს მოყავისფრო-მოყვითალო-მოჩალისფრო გარე და შიდაპირი და სქელი კეცი, ზედაპირი კარგადაა მოგლუვებული და, ზოგჯერ სიპრიალეც ახლავს. კეცი ერთ, ორ ან სამფერიანია. ორივე ჯგუფისათვის დამახასიათებელია ცუდად განლექილი თიხა: მსხვილ და წვრილ მინარევებიანი. ურევია დაფხვნილი ბაზალტი, კვარცი, კირი. კარგად განლექილი, ან ნამჯიანი კერამიკის არც ერთი ფრაგმენტი არ აღმოჩენილა. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი კერამიკა, ჭურჭლის ფორმების ტიპოლოგიური სპექტრის დადგენა ჭირს, რადგან სახიანი კერამიკის მხოლოდ სამი ფრაგმენტი გვაქვს: 1. პატარა ზომის პირმოყრილი დერგის მცირე ზომის ფრაგმენტი ყავისფრად გამომწვარი, კეცის თხელი შუა ფენა შავია, ბაკომომრგვალებული, ზედაპირი მოგლუვებულია და სუსტად ნაპრიალები, თიხა შეიცავს მცირე რაოდენობის წვრილ მინარევებს; 2. საშუალო ზომის დერგის ძირ-გვერდის ნატეხი ყავისფრად გამომწვარი, წვრილი მინარევებით, გლუვი, სუსტად ნაპრიალები ზედაპირით, ქუსლიანი, ბრტყელი ძირით; 3. ჭურჭლის ძირგვერდის ნატეხი, როგორც ჩანს, ქოთნის ან ქვაბის ნაწილი უნდა იყოს. ყავისფრადაა გამომწვარი, კეცის შუაგული შავია, ზედაპირი კარგად არის მოგლუვებული, ძირი ბრტყელია (ტაბ. XI). საწურბლიას მღვიმის კერამიკა ფორმით, თიხის შედგენილობით, გამოწვის ტექნიკით ახლო ანალოგებს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე მოპოვებულ კერამიკასთან. მათი ანალოგები აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებზე იძებნება (ხრამის დიდი გორა, შულავერის და იმირის გორები და სხვ.). [ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, 1975]. მიუხედავად იმისა, რომ კერამიკა ძალზე ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, შევძელით ჭურჭლის ზოგიერთი სახის გამოყოფა. ესაა დერგის ფორმის, საშუალო ზომის ჭურჭლები და მცირე ზომის პირმოყრილი სასმისები.

პალინოლოგია: A უბანზე, A/IIდაA/b ზედაპალეოლითური ფენებიდან შერჩეული იქნა ოთხი სინჯი (№№ 1-4), მცენარეთა მტვრის სპექტრი დიაგრამის ზედა ნაწილშია ნაჩვენები (იხ. დიაგრამა). ხე-მცენარეების მტვერი უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი, ნაპოვნია ფი-

ჭვის (*Pinus*) მტვრის ერთეული მარცვლები, ასევე კედრის (*Cedrus*), ჯორისძუის (*Ephedra*) და ველური ვაზის (*Vitis silvestris*) მტვერი. ბალახეულ მცენარეებს შორის აღმოჩნდა ნაცარქათამასებრნი (*Chenopdiaceae*), ღიღილო (*Centaurea*), ფარსმანდუკი (*Achillea*), უჯანგარი (*Artemisa annua*-ს ტიპის), ნარშავი (*Carduus*), ვარდკაჭკაჭასებრნი (*Cichoriodeae*). თითქმის ყველა სინჯში აღმოჩნდა ტყის გვიმრების სპორები, პირველ სინჯში დაფიქსირდა გვიმრავენერის თმის (*Adiantum capillus-veneris*) სპორები, რომელიც ჩვეულებრივ ტენიან ადგილებში იზრდება (სურ. 7).



სურ. 7

რაც შეეხება არაპალინოლოგიური ხასიათის ორგანული წარმოშობის მიკროსკოპულ ნაშთებს, ისინი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ყველა ნიმუშში ჭარბობს სხვადასხვა ხე-მცენარის მერქნის დანახშირებული პარენქიმული უჯრედები, მათ შორის არის ფიჭვის მერქნის უჯრედები. მეორე ადგილზეა სელის ბოჭკოები. მე-4 სინჯში გვხვდება რუხფერად შეღებილი სელის ბოჭკოები. მე-3 სინჯში ნაპოვნია დართული (დაგრეხილი) შალის ძაფის ბოჭკო (სურ. 8). სპექტრში დიდი რაოდენობითაა სახამებლის მარცვლები, რომელთა უმრავლესობა მარცვლოვან მცენარეებს ეკუთვნის. სახამებლის მარცვლები განსაკუთრებით ჭარბად გვხვდება №1 სინჯში (იხ. ცხრილი). არც ისე მცირე რაოდენობითაა მარცვლოვანთა ფიტოლიტები. მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი ხავსი, მცენარეეული ეპიდერმისი, სოკოების, მათ შორის, სოკო ალტერნარიას (*Alternaria*) სპორები. მე-2 სინჯში აღმოჩენილია ფრინველის ბუმბულის მიკროსკოპიული ნაშთები. სამ სინჯში აღმოჩნდა ვულკანური ფერფლის ან ვულკანური მინის ნაშთები (იხ. ცხრილი).



სურ. 8

მე-5 ნიმუში აღებულა B უბნის B/II ზედაპალეოლითური ფენიდან. აქ ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება ხის მერქნის დანახშირებული უჯრედები, რომელთა შორის ფიჭვის მერქნის უჯრედები არ არის აღმოჩენილი (სურ. 9). ამ სინჯის სპექტრში არ გვხვდება წიწვოვანთა მტვრის მარცვლები. დაფიქსირებულია მხოლოდ მარცვლოვნებისა და ვარდკაჭკაჭისებრთა მტვერი. აქ არც გვიმრების სპორებია. A უბანთან შედარებით ნაკლებია სელის ბოჭკოები, არის ცისფრად და ვარდისფრად შეღებილიც. საერთოდ არ აღმოჩნდა ფიტოლითები, ხავსის ნაშთები და სოკოს სპორები. ასევე აღმოჩნდა ვულკანური ფერფლის ან ვულკანური მინის მიკროსკოპიული ნაშთები.

ნიმუშები № 6 და № 7 აღებულია B უბნის Y კვადრატის ზედაპალეოლითური ფენებიდან.

ამ ნიმუშების სპექტრში ხე-მცენარეების - თხილისა და ცაცხვის მტვერი აღმოჩნდა. არაპალინოლოგიურ განამარხებულ ნაშთებში ჭარბობს სხვადასხვა მერქნიანი მცენარეების უჯრედები, რომელთა შორის წიწვოვანთა მერქნის უჯრედები არ გვხვდება. მნიშვნელოვნად იზრდება მარცვლოვანთა ფიტოლიტებისა და სახამებლის რაოდენობა. ბევრია სელის ბოჭკოც. ცოტაა მწერების ნაშთები, მცენარეთა ეპიდერმისი და ვულკანური ფერფლის ან ვულკანური მინის ნაშთები.



სურ. 9

ნიმუშები № 8 და № 9 აღებულია B უბნის B/III და B/IV ფენებიდან. უმაღლეს მცენარეთა მტვერი და სპორები ამ ნიმუშებში საერთოდ არ გვხვდება, თუმცა დიდი რაოდენობითაა არაპალინოლოგიური ნაშთები. ჭარბობს დანახშირებული ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. B/III ფენაში არ გვხვდება ფიჭვის მერქნის ნაშთები, თუმცა ის გვხვდება B/IV ფენაში. № 9 სინჯში, რომელიც აღებულია B/IV ფენიდან -590 სმ სიღრმეზე, ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება სელის ბოჭკოები, მათ შორის ცისფერად შეღებილი. ასევე მცენარეთა ეპიდერმისი. ბევრია სახამებლის მარცვლები თუმცა, საერთოდ არ აღმოჩენილა ფიტოლიტები. ორივე ზემოთ ხსენებულ ფენაში გვხვდება ვულკანური ფერფლის ან ვულკანური მინის ნაშთები.

B/IV ფენაში -600-605 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა ჯამის ფორმის ქვა, რომლის კედელზე შემორჩენილი იყო ორგანული ნაშთები. ამ ორგანული ნაშთების პალინოლოგიური ანალიზის შედეგად მცენარეთა მტვერის საკმაოდ მდიდარი სპექტრი გამოვლინდა. აღმოჩნდა 16 უმაღლესი მცენარის, მათ შორის 9 ხე-მცენარის მტვერი (სურ. 10). სჭარბობს თხილის (*Corylus*) და მურყნის (*Alnus*) მტვერი. დიდი რაოდენობიათაა მუხის (*Quercus*) მტვერი. გვხვდება ფიჭვის (*Pinus*), კაკლის (*Juglan*), რცხილის (*Carpinus caucasica*), ჯაგ-რცხილის (*Carpinus orientalis*), ნეკერჩხლის (*Acer*), ლაფნის (*Pterocarya*) მტვერიც. ბალახოვანი მცენარეების სპექტრში წარმოდგენილია ნაცარქათამასებრნის (*Chenopodiaceae*), ქოლგოსანთა (*Apiaceae*), ღორის ბირკას (*Xanthinum*), მრავალძარღვას (*Plantago lanceolate*-ის ტიპი) მტვრის მარცვლები, გვიმრა ასპლენიუმის (*Asplenium*) და სხვა გვიმრების (*Polypodiaceae*) სპორები. არაპალინოლოგიური ნაშთები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. დომინირებს მერქნის უჯრედები და სელის ბოჭკოები. გვხვდება სელის დართული და შეღებილი ბოჭკოები. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მცენარეთა ეპიდერმისი, ფიტოლიტები და სახამებლის მარცვლები. მწერების ბუსუსები, ვულკანური ფერფლის ან ვულკანური მინის ნაშთები ცოტაა. აღმოჩენილია ფიჭვის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, თუმცა ისინი ისევე, როგორც სხვა ხე-მცენარეების მერქნის უჯრედები არაა დანახშირებული. დამწვართან შედარებით ასეთი პარენქიმული უჯრედები უფრო ღია ფერისაა.

ქვის სანაყზე დარჩენილი ორგანული ნაშთების შემადგენლობა კი, ჩვენი აზრით, სხვა არაფერია თუ არა სხვადასხვა საკვები და სამკურნალო მცენარეების ფოთლის, ნაყოფის და თესლის ნაშთები, რომლებიც იქ ინაყებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, ესენია ისეთი ცნობილი სამკურნალო საშუალებები, როგორიცაა მურყანი, მრავალძარღვა, მუხა, ღორის ბირკა და სხვ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თხილის და კაკლის ლებანი მაშინაც ინაყებოდა, შესაძლოა არა მარტო საკვებად.

დღეს უკვე ცნობილია, რომ ზედა პალეოლითში, ისევე როგორც შუა პალეოლითში ადამიანი იცნობდა და იყენებდა მრავალ სამკურნალო მცენარეს [Lieteva1992; Martkopishvili et all 2012; Martkopishvili, Kvavadze 2015]. სანაყში აღმოჩე-

ნილ მცენარეთა მტვრის დიდი რაოდენობა იმით აიხსნება, რომ თესლი და ნაყოფი ყოველთვის შეიცავს ცხიმს, რომელიც ხელს უწყობს ჭურჭლის კედლებზე მტვრის შემონახვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა ადამიანი ჯამის ფორმის ქვას იყენებდა, კლიმატური პირობები ძალიან თბილი უნდა ყოფილიყო. გავრცელებული იქნებოდა ფართოფოთლოვანი ტყე, რომელშიც იზრდებოდა მუხა, კაკალი, ნეკერჩხალი, რცხილა, ხოლო ქვეტყეში დიდი რაოდენობით თხილის ბუჩქები. საწურბლიას გამოქვაბულის ახლოს ტბა და მდინარეც იქნებოდა. ამაზე ქვის სანაყში ნაპოვნი ლაფნის (*Pterocarya*) მტვერი მიუთითებს. ეს მცენარე იზრდება მხოლოდ მდინარის ან ტბის პირა ადგილებში. აღსანიშნავია, რომ იგი ხარობს მხოლოდ თბილ კლიმატურ პირობებში.



სურ. 10

ამრიგად, ჩვენს მიერ მიღებული პალინოლოგიური მონაცემები მიუთითებს, რომ გამოკვლეული ფენების ფორმირებისას, ადამიანი მუდმივად ცხოვრობდა მღვიმეში. ამაზე მეტყველებს საკმაოდ დიდი რაოდენობით ქსოვილის სელის ბოჭკოები, სახამებელი, რომელიც იქ მაცხოვრებელი ადამიანების საკვებიდან რჩებოდა. დანახშირებული მერქნის უჯრედების ჭარბი რაოდენობა, რომელიც ცეცხლის დანთების კვალს წარმოადგენს მიუთითებს, რომ მღვიმეში ადამიანი ცეცხლს ანთებდა.

გენეტიკური კვლევა: ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგია საწურბლიას მღვიმესა და კოტიას კლდის მღვიმის ანტროპოლოგიურ მასალაზე ჩატარებული გენეტიკური კვლევა და მისი შედეგები; უძველესი დნმ-ის შესწავლა რთული პროცესია, რადგან გარკვეული პერიოდის შემდეგ ან სრულიად ქრება დნმ-ი ან ძალიან ძნელია მისი გაშიფვრა. მღვიმის მშრალი და ცივი კლიმატი კი კარგ პირობებს ქმნის დნმ-ის შესანარჩუნებლად. გენეტიკოსებმა დუბლინის ტრინიტის და საუნივერსიტეტო კოლეჯების და კემბრიჯის უნივერსიტეტიდან გაშიფრეს საქართველოს ზედაპალეოლითური ხანის ორი ინდივიდის გენომი და საინტერესო შედეგებიც მიიღეს [Jones et all. 2015]. დღემდე მიჩნეული იყო, რომ თანამედროვე დასავლეთ ევროპელები სამი პოპულაციის მემკვიდრეები არიან: 1. ადგილობრივი მონადირე-შემგროვებლების; 2. ლევანტიდან გამოსული ნეოლითელი მწარმოებლური მოსახლეობის; 3. ჩრდილო ევრაზიის, იამნაიას (ორმოიან გორასამარხთა კულტურა) მესაქონლე ტომების, რომლებმაც თავიანთი ზეგავლენა პონტოს სტეპებიდან დასავლეთის მიმართულებით გადაადგილებისას გაავრცელეს. მას შემდეგ, რაც განისაზღვრა საწურბლიას მღვიმის გვიანზედაპელეოლითური ხანის 13,300 წლის და კოტიას კლდის მღვიმის, მეზოლითური ხანის, უკანასკნელი მონადირე-შემგროვებელის 9,700 წლის ადამიანის გენი და შედარდა შვეიცარიის ტერიტორიაზე ნანახი თანადროული, ასევე მონადირე-შემგროვებელის გენს, გაირკვა, რომ სამხრეთ კავკასიური გენი არის გენეტიკური ჯაჭვის ერთ-ერთო მთავარი რგოლი, რომლის მემკვიდრეები არიან უკანასკნელი გამყინვარების შემდგომი პერიოდის ევროპელები, თავის მხრივ, სამხრეთ კავკასიელი მონადირე-შემგროვებელი მიეკუთვნება განსხვავებულ, უძველეს შტოს, რომელიც აფრიკიდან გამოსული თანამედროვე ადამიანის ორი მიგრაციული ტალღის მემკვიდრეა: პირველი 45,000 წლის წინანდელის, რომელიც ევროპაში გადაადგილდებოდა და მეორე 25,000 წლის წინანდელი მიგრაციის, რომელმაც სათავე დაუდო ევროპაში ნეოლითური ხანის მწარმოებლურ მეურნეობას. აღმოსავლეთ ევროპისაკენ მიგრაციის დროს, ამ ორივე ტალღას გამოყოფილი ადამიანთა ჯგუფი საქართველოს ახლანდელ ტერიტორიაზე ცხოვრობდა იზოლირებულად, ვიდრე ადრებრინჯაოს ხანაში არ გაავრცელა თავისი კულტურა

ჩრდილოეთით, კერძოდ, იამნაიას კულტურის მატარებელ ტომებზე. ეს სწორედ ადამიანთა ის ტომებია, რომლებიც ევროპაში, დაახლოებით მესამე ათასწლეულში გავრცელდნენ.

სამხრეთ კავკასიამ, რომელიც კაცობრიობის კულტურათა გზაჯვარედინათაა მიჩნეული, კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი გეოგრაფიული და ისტორიული გავლენა ძველი მსოფლიოს განვითარებაში.



ცხრილი -კულტურული ფენების პალინოლოგიური დიაგრამა. მუქი ფერით აღნიშნულია ანთროპოგენური ინდიკატორები.

T. Meshveliani, E. Kvavadze, R. Pinhasi, A. Belfer-Cohen, Z. Matskevich, Sh. Bezarashvili, R. Chagelishvili, E. Koridze., N. Jakeli

THE RESULTS OF THE TSKALTUBO INTERNATIONAL STONE AGE 2014-2015 EXPEDITION

During the 2014-2015 field seasons two main areas – A and B were excavated at Satsurblia cave (West Georgia). The Upper Paleolithic layers were rich with the archaeological and faunal materials. The living surfaces-floors, which were observed in Satsurblia cave, are formed entirely as a result of an anthropogenic processes and offers the information about human activities such as the production and utilization of lithics and bone tools, butchering, cooking and consumption of meat and wild cereals, the utilization of fibers and use of certain woods. Paleoenvironment reconstruction was based on palynological and miromorphological analyses.

In Satsurblia cave during the post Last Glacial Maximum (17,900-16,200 cal. BP) there existed cultural (lithic) variant of Eastern Epi-Gravettian, dominated by bladelet tools, discrete among which are variant of microgravette points and rectangles which differs from the geometric rectangles of Mesolithic culture in size, shape and retouch. This industry, the local Epi-Gravettian (Gravette-microgravette-rectangle) in Satsurblia (layers A/II, B/II) fills the gap in Georgian Upper Paleolithic techno-typology.

By sequencing the genomes of Late Upper Paleolithic 13,300 year-old (Satsurblia cave) and Nesolithic 9, 700 year-old (Kotias Klde cave) males and a Late Upper Paleolithic 13, 700 year-old male from Switzerland a fourth major stand of modern European's ancestry was discovered.

ლიტერატურა

ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971), 1975. მეცნიერება, თბილისი.

Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Meshveliani T., Jakeli N., Bar-Oz G., Boaretto E., Goldberg P., Kvavadze E., Matskevich Z. 2011: Dzudzuana: an Upper Paleolithic cave site in the Caucasian foothills (Georgia). – Antiquity, 85, 331-339

Jones E.R., Gonzalez-Fortes G., Connell S., Siska V., Eriksson A., Martiniano R., McLaughlin R.L., Liorete M., G., Cassidy L. M., Gamba C., Meshveliani T., Bar-Yosef O., Müllen W., Belfer-Cohen A., Matskevich Z., Jakeli N., Higman T.F.G., Currat M., Lord-

kipanidze D., Hofreiten M., Manica A., Pinhasi R., Bredly D.C. 2015: Upper Palaeolithic genomes reveal deep roots of modern Eurasians. – Nature Communications, 6:89121. D01:10.1038/ncomms 9912.

Lietava J. 1992: Medical plants in a Middle Paleolithic grave Shanidar IV. Jornal of Ethnopharmacology. 35, 263-266

Martkopishvili I., Kvavadze E., Meshveliani T., Jakeli N. 2012: Pollen of some medicinal plants found in the layer of the Cave Dzudzuana. – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია, № 4, 71-84

Martkoplishvili I., Kvavadze E. 2015: Some Popular Medicinal Plants and Diseases of the Upper Palaeolithic in Western Georgia. – Journal of Ethnopharmacology, 16, 42-52

Pinhasi R., Meshveliani T., Matskevich Z., Bar-Oz G., Weinssboad L., Miller C.E., Wilkinson K., Lordkipanidze D., Jakeli N., Kvavadze E., Higman T.F.G., Belfer-Cohen A. 2014: Satsurblia: New Insigns of Human Response and Survaival across the Last Glasial Maximum in the Southern Caucasus. – PLOS/one; Volume 9/Issue 10/e111271

ტაბულებისა და სურათების აღწერილობა

ტაბ I – 2014-2015 წლებში A უბანზე გათხრილი კვადრატები.

ტაბ. II – 2014-2015 წლებში B უბანზე გათხრილი კვადრატები.

ტაბ. III – A უბანის დასავლეთი ჭრილი.

ტაბ. IV – A უბანის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთ ჭრილები.

ტაბ. V – B უბანის სამხრეთი ჭრილი.

ტაბ. VI – B უბანის დასავლეთი ჭრილი.

ტაბ. VII – 1 –1-5, 7 ნუკლეუსები და 6, 8 სათლელისებური იარაღები.

ტაბ. VIII – საფხეკები.

ტაბ. IX – საჭრისები.

ტაბ. X – 1-2. მიკროგრავეტი; 3. სახვრეტი; 4-15. სხვადასხვა ტიპის მიკროლამელა, დაბლაგვებული, თავრეტუშირებული, მუცლის მხრიდან რეტუშირებული; 16-22. ძვლის საკიდები და ორნამენტირებული ძვლის ფრაგმენტები.

ტაბ. XI – კერამიკული მასალა.

სურ. 1 – ძვლის იარაღები და ძვლის ორნამენტირებული ნივთები.

სურ. 2 – საკიდები დამზადებული ცხოველის კბილზე და ნიჟარებზე .

სურ. 3 – B/IVფენაში აღმოჩენილი მცენარეთა მტვერი და სპორები: 1. *Corylus*; 2. *Alnus*; 3. *Chenopodiaceae*; 4. *Cichorioideae*; 5. *Asplenium*; 6. *Xanthium.*

სურ. 4 – B უბანის ზედაპალეოლითურ ფენებში აღმოჩენილი მერქნის პარენქიმული უჯრედები.

სურ. 5 – A/IIb ფენაში აღმოჩენილი არაპალინოლოგიური ნაშთები: 1,2. სელის ბოჭკოები; 3. ფრინველის ბუმბული; 4-5. მერქნის პარენქიმული უჯრედები; 6. ვულკანური ფერფლი; 7-8. ფიტოლითები.

სურ. 6 – A/IIb ფენაში აღმოჩენილი მცენარეების მტვერი და სპორები: 1-3. *Carduus*; 4-6. *Polypodiaceae*.

სურ. 7 – A/IIb ფენაში აღმოჩენილი მცენარეების მტვერი და სპორები: 1-3. *Carduus*; 4-6. *Polypodiaceae*

სურ. 8 – A/IIb ფენაში აღმოჩენილი არაპალინოლოგიური ნაშთები: 1-2. სელის ბოჭკოები; 3. ფრინველის ბუმბული; 4-5. მერქნის პარენქიმული უჯრედები; 6. ვულკანური ფერფლი; 7-8. ფიტოლითები

სურ. 9 – B უბანის ზედაპალეოლითურ ფენებში აღმოჩენილი მერქნის პარენქიმული უჯრედები

სურ. 10 – B/IV ფენაში აღმოჩენილი მცენარეთა მტვერი და სპორები: 1. *Corylus*; 2. *Alnus*; 3. *Chenopodiaceae*; 4. *Cichorioideae*; 5. *Asplenium*; 6. *Xanthium*

LIST OF ILUSTRATION

Pl. I – Area A, 2014-2015 excavation squares.

Pl. II – Area B, 2014-2015 excavation squares.

Pl. III – Area A, West section.

Pl. IV – Area A, North and East sections.

Pl. V – Area B, South section.

Pl. VI – Area B, West section.

Pl. VII – 1-5,7. Cores. 6,8. Piece ecquaille.

Pl. VIII – Endscrapers.

Pl. IX – Burins.

Pl. X – 1-2. Mictogravette; 3. Awl. 4-15. Various bladelets backed, truncated, ventrally retouched; 16-22. Bone pendants and ornamented bone fragments.

Pl. XI – Ceramic objects.

Fig. 1 – Bone tools and bone ornamented objects.

Fig. 2 – Pendants on animal tooth and shells.

Fig. 3 – Pollen and spores from B/IV layer:1. *Corylus*; 2. *Alnus*; 3. *Chenopodiaceae*; 4. *Cichorioideae*; 5. *Asplenium*; 6. *Xanthium*.

Fig. 4 – Parenchymal wood cells from area B UP layers.

Fig. 5 – Non-pollen remains from layer A/IIb: 1,2. Flax fibers; 3. Bird feathering; 4-5. Parenchymal wood cells; 6. Volcanic ashes; 7-8 – phytoliths.

Fig. 6 – Pollen and spores from A/II b: 1-3. *Carduus*; 4-6. *Polypodiaceae*.

Fig. 7 – pollen and spores from A/II b: 1-3. *Carduus*; 4-6. *Polypodiaceae*

Fig. 8 – non-pollen remains fromlayer A/IIb: 1-2. flax fibers; 3. bird feathering; 4-5. parenchymal wood cells; 6. volcanic ashes; 7,8. phytoliths

Fig. 9 – parenchymal wood cells from area B UP layers

Fig. 10 – pollen and spores from B/IV layer: 1. *Corylus*; 2. *Alnus*; 3. *Chenopodiaceae*; 4. *Cichorioideae*; 5. *Asplenium*; 6. *Xanthium*

Scheme – Palynological diagram of the cultural layers, anthropogenic indicator is marked in red.

ტაბ. I


N
Satsurblia
2015
Area A plane
24
23
22
21
20
19
18
AA Z Y X W V U T S R O
Excavation Area
Year 2015
Year 2014-2015
Year 2014
1 0 1 2 3 m


N
Satsurblia 2015
Area B Plan
11
10
9
8
7
6
5
4
3
2
1
T6
T5
T4
AA Z Y X W V U T S R O
Excavation squares
Trench
Year 2014-2015
Year 2014
Year 2015
1 0 1 2 3 m

ტაბ. III

SATSURBLIA 15

Western section

AREA A



ტაბ. IV

SATSURBLIA 2015

AREA A

North section



SATSURBLIA 2015

Eastern section



Satsurblia 2015

AREA B

Southern section



ტაბ. VI


Satsurblia Cave 2015
Area B
S q. AA 7/ AA 8
Western section
1:100
Cave roof
Top soil
Top soil
redish clay
with some stones
and bones
pinkis clay
brown clay
B III
B IV
redish clay
with stones
greyish sutface
moon surface
S
S
S
greyish surface
greyish surface
unexcavated
unexcavated
590
590
clay and ashes
Dozimeter
A A 7
A A 8

ტაბ. VII



ტაბ. VIII



ტაბ. IX



ტაბ. X



ტაბ. XI



გურამ კვირკველია, ბიძინა მურვანიძე

არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2011 წელს. II. გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიცია 2011 წლის 10 ოქტომბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით გათხრებს აწარმოებდა ბაქო-სუფსის მილსადენის ტრასის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადის სოფ. სამთავისის მიდამოებში, „გრაკლიანის გორის“ თხემზე (WREP KP 109+100-450 მ). სამუშაოები განხორციელდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და "*BP Exploration (Caspian Sea) Ltd., Georgia*"-ას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (ხელშეკრულება C-08-BNCS-152703 და 09-152703, Call Off R-09 GPC-181146). ამ გათხრების მსვლელობისას აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ორმოები, გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები, გვიანანტიკური ხანის სამარხები, საცხოვრებლის ნაშთები, სამეურნეო დანიშნულების ორმოები.[1] ამჟამად ვაქვეყნებთ გათხრების ანგარიშის მეორე ნაწილს, რომელიც მოიცავს გვიანბრინჯაოს ხანის მონაპოვარს.

გათხრების შედეგად 2011 წელს 18 სამარხი იყო აღმოჩენილი, კიდევ ოთხი სამარხი გათხრილი იყო 2009 წლის სადაზვერვო ხასიათის სამუშაოებისას [კვირკველია და სხვ. 2011: 47-67]. ერთი, № 20 სამარხი, მტკვარ-არაქსული ხანისაა (იხ. [კვირკველია, ორჯონიკიძე 2014: 35), ხოლო თორმეტი (სამარხები №№ 4-13, 16), 2009 წელს აღმოჩენილ ორ სამარხთან ერთად (№№ 1 და 3) – გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები ვრცელდებოდა WREP KP 109+177-368 მ მონაკვეთის ფარგლებში. ისინი განლაგებული იყო საკმაოდ გაფანტულად, ისე რომ ერთ მთლიან ინტენსიურ სამაროვანს არ წარმოადგენდა, თუმცა ერთ-ორ შემთხვევაში სამარხები ერთმანეთისაგან სულ რამდენიმე მეტრით იყო დაცილებული.[2] უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის სამოსახლოს ნაშთები საკვლევ ტერიტორიაზე არ აღმოჩენილა.

სამარხი № 5.[3] WREP KP 109+205 მ ნიშნულთან, GPS: E8450539; N4651812, ჩაშვებული იყო ყვითელი ფერის კონგლომერატში. 0.30 მ სიღრმეზე გამოიკვეთა სამარხი ორმოს ლაქა. ორმოსამარხი (ზომები: 1.50×1.20 მ) ორიენტირებული იყო NE-SW ღერძზე; ორმო შევსებული იყო მოშავო-მოყავისფრო, კენჭნარევი მიწით. სამარხის იატაკი ქვა-კენჭოვანია. ცუდად დაცული ჩონჩხი განლაგებული იყო სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, NE კიდიდან 0.60 მ დაცილებით. მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით, მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით[4] (ტაბ. I_{1-3}). ძვლებში შერეული იყო ლანგარის ფრაგმენტები. სამხრეთ კუთხეში, ორმოს ზედა კიდესთან, აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ყბის ნაწილი (*Bovidae*, sp. *Bos taurus*). მასთან, დასავლეთით, ორმოს ძირზე იდო ირმის (*Cervidae*, sp. *Cervus elaphus*) რქის მორჩი,[5] რომელსაც ეტყობოდა დამუშავების კვალი. ძვლების ქვეშ, სამარხის ძირზე, იდო თიხის პატარა ჭურჭელი, ფიალა. ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა:

1. ლანგარი (სსნ Gr-11:564), თიხის, ნაკლული, კეცი ქვიშანარევი და მონაცრისფრო. ზედაპირი რუხი ფერის, პირი ფართო, გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, რელიეფური; გვერდი სწორი, მხარი მომრგვალებულწიბოიანი, კალთა მკვეთრად დაქანებული; პირის კიდის ქვეშ გასდევს ამოღარული ტალღოვანი ხაზი. სიმაღლე – 12 სმ, პირის დმ. – 25 სმ (ტაბ. I_4).

2. ფიალა (სსნ Gr-11:565), თიხის, მოშავო-მორუხო ფერის, ხაოიანი ზედაპირით. პირი გადაშლილი, ბაკო მრგვალი, გვერდი და-

1 ამ გათხრებისა და აღმოჩენილი ძეგლების შესახებ იხ. [კვირკველია, ორჯონიკიძე 2014: 34].

2 სამარხების ტერიტორიული განაწილების ეს თავისებურება თანაბრად ახასიათებს გვიანრომაული ხანის სამარხებსაც.

3 სამარხების ნუმერაცია გამჭოლია ორი წლის შედეგების მიხედვით. ამდენად, 2011 წელს აღმოჩენილ პირველი სამარხს მიენიჭა № 5.

4 ანთროპოლოგიური მასალა წარმოდგენილია რამდენიმე ძვლით, რომელიც არაინფორმატიული აღმოჩნდა სქესისა და ასაკის განსასაზღვრად. აქ და ქვემოთ პალეოანტროპოლოგიური მასალის განსაზღვრა ეკუთვნის მარინე ჭკადუას.

5 პალეოზოოლოგიური მასალის განსაზღვრა ეკუთვნის განსვენებულ მკვლევარს ოლეგ ბენდუქიძეს.

ქანებული, ძირი მრგვალი, შეზნექილი, სიმაღლე 2 სმ, პირის დმ. 8,8 სმ, ძირის დმ. 6,5, კეცის სისქე – 0,8 სმ. (ტაბ. I_5). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, საქონლის ძვლების ქვეშ.

3. სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები, 6 ცალი (სსნ Gr-11:566), კეცი ნაცრისფერია, მინარევებიანი. აღმოჩნდა სამარხის ორმოს შევსებაში, იატაკის სიახლოვეს. კეცის სისქე – 0,7 სმ.

4. მძივი (სსნ Gr-11:567), სარდიონის, 1 ცალი მუქი მოვარდისფრო ფერის, მრგვალი, ოდნავ ასიმეტრიული, დმ. 0,5 სმ (ტაბ. I_6). აღმოჩნდა სამარხის შევსებაში.

5. კაჟის ანატკეცი (სსნ Gr-11:568), მოყავისფრო, დაუმუშავებელი, სიგრძე 2,6 სმ, სიგანე 1,1 სმ (ტაბ. I_7).

სამარხი №№ 6. ორმოსამარხი, აღმოჩნდა KP 109+216 მ ნიშნულთან (GPS: E 8450520; N 4651799), ორიენტირებული იყო NNW-SSO მიმართულებით. თითქმის კვადრატული ფორმის კუთხეებმომრგვალებული ორმო (ზომები: 1.60×1.50×0,70 მ) გაჭრილი იყო ქვა-ღორღოვან კონგლომერატში. სამარხი მეტად ცუდად იყო დაცული (ტაბ II_{1-2}). დაფიქსირდა თავის ქალასა და ლულოვანი ძვლების ფრაგმენტები სამარხის იატაკიდან +0.17 მ დონეზე, მის ჩრდილოეთ კუთხეში. მიცვალებულის ასაკისა და სქესის განსაზღვრა აქაც ვერ მოხერხდა. სავარაუდოდ მიცვალებული იწვა ხელ-ფეხმოკეცილი, თავით NNW მიმართულებით. ჭურჭლის ცალკეული გროვები დაფიქსირდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ჩრდილოეთ კუთხეში, თავის ქალასთან. ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა:

1. სადღვებელი (სსნ Gr-11:569), თიხის, მთლიანად დაშლილი, აღდგენა ვერ მოხერხდა. აქვს მოშავო-მონაცრისფრო, ზედაპირი, მოყავისფრო, ადვილად შლადი კეცი, მომრგვალებული ბაკო, ოდნავ გადაშლილი პირი, მრგვალი ძირი. ყელის ნატეხზე შემორჩენილია რამდენიმე კონცენტრული ღარის ფრაგმენტი, გვერდის ნატეხზე სასულე ნახვრეტი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ძირის დმ 0,7 სმ, სასულე ნახვრეტის დმ 0,6 სმ, კეცის სისქე 0,7 სმ (ტაბ. II_3).

2. ქოთანი (სსნ Gr-11:570), თიხის, პირმოყრილი, ნაკლული. ზედაპირი მოშავო-მონაცრისფროა, ხაოიანი, კეცი მინარევებიანი. აქვს მრგვალი პირი, ბრტყელი და დაბალი ბაკო, მომრგვალებული მხარი, ბიკონუსური ტანი, მრგვალი ძირი. მხარს შემოუყვება ორი კონცენტრული ღარი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სიმაღლე – 16 სმ, პირის დმ – 10,5 სმ, მუცლის დმ – 24 სმ, ძირის დმ – 8 სმ, ბაკოს სიგანე – 1,9 სმ (ტაბ. II_{4-5}).

3. თიხის ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი (სსნ Gr-11:571), მონაცრისფრო ზედაპირით და ასეთივე კეცით, აქვს მომრგვალებული რელიეფური ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი. კეცის სისქე 0,8 სმ (ტაბ. II_6).

4. სალტე (სსნ Gr-11:572), ბრინჯაოსი, ორად გატეხილი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან. მართკუთხა ფორმის, ოდნავ შეზნექილი გვერდებით, თავგადაჭდობილი. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში. ზომა: 1,5×1,9 სმ (ტაბ. II_7).

8. მძივები, (სსნ Gr-11:573), სარდიონის, დახეთქილი, 8 ცალი. 4 – მოზრდილი, ოთხი – პატარა ზომის. სამი – დიდი მუქ ყავისფერი, დანარჩენი ღია გამჭვირვალე. დმ. 0,4; 0,6; 1 სმ (ტაბ. II_8).

სამარხი № 7. ორმოსამარხი, აღმოჩნდა KP 109+220 მ ნიშნულთან. თითქმის კვადრატული, კუთხეებმომრგვალებული ორმოს (ზომები 1.80×1.50 მ.) ნაშთი ორიენტირებული იყო NNE-SSW მიმართულებით. კერამიკული ფრაგმენტების გროვები აღმოჩნდა ორმოს ზედა კიდესთან, მის აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ III_{1-2}). სამარხის შუა ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძი. ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა:

1. დერგი (სსნ Gr-11:574), თიხის, ნაკლული. შავი ზედაპირით და ნაცრისფერი კეცით. აქვს ვიწრო და გადაშლილი პირი, მრგვალი რელიეფური ბაკო, დაბალი ოდნავ გამოყვანილი ყელი, მკვეთრად დაქანებული მხარი, სფერული მუცელი, ვიწრო ძირი. ყელი და მხარი შემკულია კონცენტრული, ამოღარული ხაზებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სიმაღლე – 26 სმ, პირის დმ – 13 სმ, მუცლის დმ – 26,5 სმ, ძირის დმ – 7,2 სმ, კეცის სისქე – 0,8 სმ (ტაბ. $III_{3,5}$).

2. ლანგრის პირისა და ძირის ნატეხი (სსნ Gr-11:575), შავი ზედაპირით და ნაცრისფერი, წვრილმინარევიანი კეცით. აქვს მრგვალი, რელიეფური ბაკო, სწორი გვერდი, წიბოიანი მხარი, დაბალქუსლიანი ძირი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. დმ ძირის – 7,5 სმ, კეცის სისქე – 0,9 სმ (ტაბ. III_6).

3. საკინძი ბრინჯაოსი (სსნ Gr-11:576), ოდნავ ამობურცული, კონუსისებური თავით. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიან ღერო-

ზე. თავიდან 2,2 სმ-ით ქვემოთ დატანილია ოვალურგანივკვეთიანი ნახვრეტი, საიდანაც ტანი ვიწროვდება და მთავრდება წვეტიანი ბოლოთი. ნახვრეტსა და თავს შორის მონაკვეთი ცილინდრულია, რომელზეც ერთმანეთის დაშორებით ჩამოცმულია სამი თხელი სალტე. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, ორმოს ძირზე. სიგრძე – 11,5 სმ, თავის დმ – 0,5 სმ, ღეროსი – 0,1-04 სმ (ტაბ. $III_{4,7}$).

სამარხი № 8. WREP KP 109+177 მ ნიშნულთან გაიწმინდა რიყის ქვის კომპაქტური ქვაყრილი (GPS: E 8450562, N4651799), რომლის ალაგების შემდეგ აქ სამარხი აღმოჩნდა (ტაბ. IV_{1-7}). ქვაყრილიანი ორმოსამარხის მართკუთხა მოყვანილობის ორმო (ზომები: 1.90×1.30 მ) გათხრილი იყო ღია მოყვითალო ფერის, კირქვის, წვრილმინარევებიან თიხნარში. ორიენტირებული იყო SE-NW ღერძზე. ორმოს SE ნაწილში შემორჩენილი ჰქონდა რიყის ქვების მჭიდრო ყრილი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით არ ვრცელდებოდა. ამის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით, 0.65 მ სიღრმემდე, ალაგდა ქვაყრილის ექვსი დონე. მიცვალებული, 18-24 წლის მამაკაცი, დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხ მოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხში, მიცვალებულის თავის ქალასთან და ტერფებთან აღმოჩნდა ოთხი დიდი ზომის რიყის ქვა, სარეცლის საყრდენი ქვები.[6] სამარხის ჩრდილოეთ კუთხეში, მიცვალებულის კეფასთან, იდო ქილისებური, ხოლო შუბლთან – ცილინდრულტანიანი ჭურჭელი. ზურგთან, მენჯის არეში, სამარხის კედელთან, მოთავსებული იყო ზოომორფულყურიანი ჭურჭელი; მასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთით, კიდევ ერთი ჩამსხვრეული ზოომორფულყურიანი ჭურჭელი იდო. მიცვალებულის წინ, სამარხის სამხრეთ-დასავლეთი კედლის გასწვრივ, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ეწყო დიდი ზომის დერგი, ორი ლანგარი, ორი ქოთანი. ქოთნებიდან ერთ-ერთი ყურიანია; დერგში სასმისის ფრაგმენტები აღმოჩნდა (IV_5). მიცვალებულის მუხლებთან დიდი ზომის დერგი და ლანგარი იდო. მუხლებს ზემოთ ბიკონუსურტანიანი ჭურჭელი იყო მოთავსებული. მიცვალებულის ნეკნებთან აღმოჩნდა დაფანჯრულთავიანი ბრინჯაოს სატევარი და საკინძი (IV_6). სამარხი ორმოს SE კიდეში აღმოჩნდა ცხვრის ჩონჩხი, ჩრდილოეთ ნაწილში, მიცვალებულის კეფასთან, მსხვილფეხა საქონლის კოჭი და სხვადასხვა ძვლის ფრაგმენტები.[7] იატაკზე აღმოჩნდა ფუძეამოღარული ისრისპირები. ინვენტარი:

1. ქილა (სსნ Gr-11:577), თიხის, მოშავო-მორუხო ზედაპირით და მონაცრისფრო კეცით. ძირისკენ ზედაპირი შედარებით უხეშია და ეტყობა მინარევების კვალი. პირი ფართო აქვს და გადაშლილი, ბაკო – მრგვალი, ყელი – გამოყვანილი, ტანი – მაღალი და ცილინდრული, ძირისკენ შევიწროებილი, ძირი – მრგვალი და ბრტყელი. მხარს ორი, შედარებით ღრმა, ხოლო ძირს ერთი დაბალი კონცენტრული ღარი შემოუყვება. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან. სიმაღლე – 20,5 სმ, პირის დმ – 10,5 სმ, მუცლის დმ – 13 სმ, ძირის დმ – 7 სმ (ტაბ. V_1; VII_1).

2. ქოთანი (სსნ Gr-11:578), თიხის, მოყავისფრო-მოჩალისფრო, ოდნავ ხაოიანი, უხეში ზედაპირით. კეცი შეიცავს წვრილ მინარევებს. აქვს ფართო, გადაშლილი პირი. ბაკო სწორი და ოდნავ ჩაღარულია. ყელი დაბალი და გამოყვანილი, ტანი – კვერცხისებური, ძირისკენ თანაბრად შევიწროებული, ძირი – მრგვალი, ოდნავ გამოყვანილი, ირიბად დაკეჭნილი ქუსლით. განივკვეთში ოვალური, ზოომორფული ყური მხარსა და მუცელზეა დაძერწილი. მხარს ორი კონცენტრული ხაზი და მის ქვეშ დატანილი ირიბი ნაღარი შემოუყვება. მორგვზეა დამზადებული. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან. სიმაღლე – 20,5 სმ, პირის დმ – 13,5 სმ, მუცლის დმ – 20 სმ, ძირის დმ – 7,8 სმ (ტაბ. V_2; VII_2).

3. ქოთანი (სსნ Gr-11:579), თიხის, ნაკლული. მოყავისფრო-მოჩალისფრო ზედაპირით და ღია ყავისფერი კეცით. ჭურჭლის ერთი ნახევრის ზედაპირი ძლიერ აქერცლილი და დაზიანებულია. ძირისკენ კეცი უფრო სქელია და ორმაგსარჩულიანი. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ბაკო – სწორი, ოდნავ ჩაღარული, ყელი – დაბალი, გამოყვანილი, მუცელი – სფერული, ძირი – მრგვალი, ოდნავ ქუსლიანი და ირიბად დაკეჭნილი. აქვს მრგვალგანივკვეთიანი პატარა ყური. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კედელთან. დაახლოებითი სიმაღ-

6 მსგავსი სარეცლის საყრდენი ქვები დაფიქსირდა 2009 წელს გათხრილ სამარხებშიც [კვირკველია და სხვ. 2011: 47-67].

7 ო. ბენდუქიძემ განსაზღვრა შემდეგი სახეობები: ირმის რქისა და ქუსლის ფრაგმენტები *(Cervidae, sp. Cervus elaphus imerensis)*, ძროხის კოჭი და მეტაკარპი *(Bovidae, sp. Bos taurus)*, ციკნის ჩონჩხის ნაწილები და თავის ქალას ფრაგმენტები *(Caprinae, sp. Capra hircus)*.

ლე – 18 სმ, დმ პირის – 10,5 სმ, დმ ძირის – 6,5 სმ (ტაბ. VII_3).

4. სასმისი-რიტონი (სსნ Gr-11:580), თიხის, რუხი ფერის. კეცი მოყავისფრო-მოჩალისფრო, მინარევებიანია. პირი ფართოდ აქვს გადაშლილი, ბაკო – მომრგვალებული, ტანი გრძელი, სიგარისებური ფორმის, ძირისკენ მკვეთრად შევიწროვებული. ძირი დაზიანებული აქვს. ზედაპირი ოდნავ უსწორ-მასწოროა, ნაპრიალები. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან. შემორჩენილი სიმაღლე – 29 სმ, პირის დმ – 10 სმ, დმ ყელის დმ – 7,5სმ, ძირის დმ – 3 სმ, კეცის სისქე ძირთან – 0,7 სმ; პირთან – 0,5 სმ (ტაბ. V_3; VII_4).

5. ღრმა ჯამი (სსნ Gr-11:581), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით. კეცი მინარევებიანია. პირი ფართო აქვს, ოდნავ გადაშლილი, ბაკო – მრგვალი, ტანი ბიკონუსური, მკვეთრწიბოიანი, ძირი – მრგვალი, ოდნავ ქუსლიანი. მხარზე მორგვისეული კონცენტრული ნაღარი ემჩნევა. აღმოჩნდა სამარხის ცენტრში, მიცვალებულის მუხლთან, სატევარის წვერზე. სიმაღლე – 8,5 სმ, პირის დმ – 14,5 სმ, წიბოს დმ – 15 სმ, ძირის დმ – 6,5 სმ (ტაბ. V_4; VII_5).

6. დერგი (სსნ Gr-11:582), თიხის, რუხი-მოყავისფრო, არათანაბრად გამომწვარი ზედაპირით, მსხვილმინარევებიანი მონაცრისფრო კეცით. აქვს ვიწრო გადაშლილი პირი, მრგვალი, რელიეფური ბაკო, მაღალი, გამოყვანილი ყელი, მომრგვალებული მხარი, კვერცხისებური ტანი, ვიწრო, მრგვალი ძირი. ყელი შემკულია ოთხი კონცენტრული ამოღარული ხაზით, ხოლო მხარი – ორ კონცენტრულ ღარს შორის მოქცეული კლაკნილი ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან, ორმოს ძირზე. სიმაღლე – 42,5 სმ, პირის დმ – 15 სმ, მუცლის დმ –33 სმ, ძირის დმ – 0,7 სმ (ტაბ. V_5; VII_6).

7. ჯამი (სსნ Gr-11:583), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო, ოდნავ ხაოიანი ზედაპირით. კეცი შეიცავს წვრილ მინარევებს. აქვს ფართო, გადაშლილი, ოდნავ ასიმეტრიული პირი. ბაკო გადმოკეცილი და პროფილირებულია. გვერდი სწორი აქვს, მხარი წიბოიანი, კალთა ძირისკენ თანაბრად დაქანებული. ძირი მრგვალია და ბრტყელი, ოდნავ ქუსლიანი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან. სიმაღლე – 6 სმ, პირის დმ – 23 სმ, ძირის დმ – 6,5 სმ (ტაბ. V_6; VII_8).

8. ჯამი (სსნ Gr-11:584), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო, ოდნავ ხაოიანი ზედაპირით. ბაკო მრგვალი აქვს, რელიეფური, გვერდი ოდნავ დახრილი, მხარი წიბოიანი, ძირი ოდნავ ქუსლიანი. გვერდი შემკულია ორი ფართო კონცენტრული ღარით. აღმოჩნდა სამარხის ცენტრში, მიცვალებულის ხელებთან. სიმაღლე – 4,5 სმ, პირის დმ – 20 სმ, ძირის დმ – 6 სმ (ტაბ. V_7; VII_9).

9. ჯამი (სსნ Gr-11:585), თიხის, ნაკლული. მოშავო-მოყავისფრო, ალაგ აქერცლილი, ხაოიანი ზედაპირით. კეცი ღია ყავისფერია, შეიცავს წვრილ მინარევებს. ბაკო მრგვალი აქვს, პირი ფართო და გადაშლილი, ტანი ბიკონუსური, წიბოიანი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან. შემორჩენილი სიმაღლე – 8 სმ, პირის დმ – 13,5 სმ (ტაბ. V_8; VII_7).

10. ქოთანი (სსნ Gr-11:586), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით. კეცი შეიცავს თეთრი და შავი ფერის წვრილ მინარევებს. გააჩნია ფართო, ოდნავ გადაშლილი პირი და მრგვალი ბაკო. აქვს მაღალი ცილინდრული ყელი, ელიფსური ტანი და მრგვალი, ოდნავ გამოყვანილი ქუსლი. ყურის ქვედა ოვალურგანივკვეთიანი ნაწილი მიძერწილია მუცელზე, ხოლო ზედა ნაწილობრივ ოთკუთხა ჰორიზონტალურადაა მიმაგრებული ყელისა და მხრის ზღვარზე. ყურზე დაძერწილია მრგვალ-ბრტყელი ფორმის საცერული (ცერა თითის დასადები) ადგილი. ქოთნის ყელი შემკულია ექვსი კონცენტრული, ამოღარული ორნამენტით. ერთი კონცენტრული ღარი მუცელზეც შემოუყვება. აღმოჩნდა №№ 7, 8, 9 ჭურჭლებთან. სიმაღლე – 14,5 სმ, პირის დმ – 10 სმ, მუცლის დმ – 16,5 სმ, ძირის დმ – 5,8 სმ (ტაბ. V_9; VIII_1).

11. დერგი (სსნ Gr-11:587), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით. კეცი გადანატეხში ნაცრისფერია, შეიცავს წვრილ მინარევებს. პირი მრგვალი აქვს და ფართო, ოდნავ გადაშლილი, ბაკო კარგად მომრგვალებული, ყელი დაბალი, ოდნავ გამოყვანილი. ტანი კვერცხისებური, ძირისკენ თანაბრად შევიწროებული. ძირი მრგვალი, დაბალქუსლიანი. ყელზე შემოუყვება სამი, დაბალი კონცენტრული ღარი. მხარი შემკულია ორ კონცენტრულ ღარს შორის მოქცეული ტალღისებური ორნამენტით. მორგვზეა დამზადებული. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან. სიმაღლე – 33 სმ, პირის დმ – 17,5 სმ, მუცლის დმ – 32 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ (ტაბ. V_{10}; VIII_2).

12. ლანგარი (სსნ Gr-11:588), თიხის, მოშავო-მორუხო ზედაპირით. კეცი ღია ნაცრისფე-

რია, შეიცავს წვრილ მინარევებს. პირი ფართო აქვს, ბაკო სქელი, გადმოკეცილი, მხარი გამოყვანილი და წიბოიანი, კალთა მკვეთრად დაქანებული, ძირი მრგვალი და ბრტყელი, ოდნავ ქუსლიანი. ძირთან გარე პირზე მოთეთრო-მონაცრისფრო ლაქები ამჩნევია. აღმოჩნდა მიცვალებულის მუხლთან. სიმაღლე – 4,5 სმ, პირის დმ – 28,5 სმ, მხრის დმ 27სმ, ძირის დმ – 8,5 სმ (ტაბ. VI_1; VIII_3).

13. ქილა (სსნ Gr-11:589), თიხის, მოშავო-მოჩალისფრო ზედაპირით და მოყავისფრო კეცით. ზედაპირს ამჩნევია ნაპრიალები ადგილები. პირი მრგვალი აქვს, გადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, ყელი დაბალი, ტანი ცილინდრული, ძირი ბრტყელი და მრგვალი. ყელს შემოუყვება ოთხი, ზოგან ასიმეტრიული, კონცენტრული ნაღარი. აღმოჩნდა № 6 ჭურჭელში. სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დმ – 6 სმ, ტანის დმ – 7 სმ; ძირის დმ – 4,5 სმ (ტაბ. VI_2; VIII_5).

14. ლანგარი (სსნ Gr-11:590), თიხის, მორუხო-მონაცრისფრო, ხაოიანი ზედაპირით. კეცი შეიცავს მინარევებს. პირი ფართო აქვს, ბაკო მომრგვალებული, მხარი სწორი, წიბოიანი, კალთა დაქანებული, ძირი ბრტყელია, მრგვალი და ოდნავ ქუსლიანი. ძირთან, ცალ მხარეს ემჩნევა ღია ფერის ლაქები. შიდა და გარე პირი ხაოიანია. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში № 6 ჭურჭლის გვერდით. სიმაღლე – 5,5 სმ, პირის დმ – 25 სმ, ძირის დმ – 7 სმ; კეცის სისქე – 0,5 სმ (ტაბ. VI_3; VIII_4).

15. სასმისი (სსნ Gr-11:591), თიხის, მოშავო-მოჩალისფრო ზედაპირით. კეცი ღია ყავისფერია. ზედაპირს ემჩნევა ვერტიკალურად ნაპრიალები წვრილი ზოლები. პირი ფართო აქვს და გადაშლილი, ბაკო მრგვალი. სასმისის ტანი ცილინდრული ფორმისაა, ძირისკენ შევიწროებული. ძირი ოდნავ ასიმეტრიულია, გააჩნია დაბალი ქუსლისმაგვარი შემაღლება. აღმოჩნდა № 11 ჭურჭელში. სიმაღლე – 21,5 სმ, პირის დმ – 12 სმ; მუცლის დმ – 8,5 სმ, ძირის დმ – 5 სმ (ტაბ. VI_4; VIII_6).

16. სატევარი (სსნ Gr-11:592), ბრინჯაოსი, შედგენილტარიანი, თავდაფანჯრული. ორად გატეხილი, პატინირებული. სატევარს ბრტყელი, სამკუთხა მოყვანილობის, წვერმომრგვალებული პირი აქვს.პირს წვერთან ქედისებური შემაღლება ემჩნევა, რომელიც სატევრის ორმხრივი ალესვის დროს ნაპირების დათხელების შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი. სატევრის პირი ორივე მხრიდან შემკულია სამკუთხედის ფორმის, მარაოსებური, ამოღარული ორნამენტით, რომელიც ტარისა და ყელის მიერთების ხაზიდან 3 სმ-ით ქვემოთ იწყება და 6 ღრმა ხაზით, ორ-ორ წყვილად, წვერისკენ არის მიმართული. ყოველი წყვილის ზედა ბოლოები ნახევარწრეებით, კამარისებურად არის ერთმანეთზე გადაბმული. გარეთა წყვილი ღარის სიგრძე 9,5 სმ-ია, მომდევნოსი – 7 სმ, შუა წყვილის – 5 სმ. ქვედა ნაწილში ღარის ბოლოები შეერთებული არ არის. სატევრის ბოლო მომრგვალებული და მახვილია.

სატევრის ტარი ბრინჯაოს ორი ფურცლისაგან მიღებული, თავ-ბოლო გაფართოებული, მრგვალგანივკვეთიანი ღეროა, რომელიც ქვედა ბოლოთი სატევრის პირისა და ტარის ყელზეა მიმაგრებული, ხოლო ზედა ბოლოს დაფანჯრული თავი აქვს ჩამოცმული. სატევრის ტარის დაფანჯრული თავი (ქუდი) წარმოადგენს ნახევარლინზას, რომელიც ჩამოცმულია სატევრის მასიურ, მართკუთხა ყუნწზე და ტარის მრგვალ გარსაკრავზე. დამაგრებულია მირჩილვით ორ საპირისპირო მხარეს. ზემოდან ჩამოსაცმელ რგოლსა და ყუნწს შორის სიცარიელე, სიმაგრისათვის, გაჭედილია ხის სოლებით და ბრინჯაოს თავმომრგვალებული მანჭვლებით. ქუდის ფუძეს შემოუყვება ერთი ღრმა კონცენტრული ღარი. ქუდი ზემოდან დაყოფილია 12 ტოლფერდა სამკუთხედად. ეს სამკუთხედებიც თავის დროზე ხის სოლებით ყოფილა გაჭედილი (შემორჩენილია 5 შევსება). ხის სოლები, სამკუთხედებში და ტარის ყუნწთან, ინკრუსტრირებულია ბრინჯაოს წვრილი მავთულის ღერაკებით. სამკუთხედებში ჩაჭედილი ხის მასა და ბრინჯაოს წვრილი ღერაკები კონსტრუქციულად ვერავითარ სიმტკიცეს ვერ შეძენდა სატევრის ტარს და მხოლოდ შემკულობის ნაწილად უნდა ჩაითვალოს. სატევარი აღმოჩნდა მიცვალებულის ზედა კიდურების ძვლების ქვეშ, ორმოს ძირზე. სატევრის ზომებია: სიგრძე – 32 სმ, პირის სიგრძე – 21,2 სმ, ტარის სიგრძე – 9 სმ, ქუდის სიმაღლე – 1,8 სმ; პირის სიფართე ტართან – 6,5 სმ, ქუდის დმ – 5,1 სმ, ტარის დმ – 1,7 სმ, სატევრის ყუნწის სიგრძე – 11 სმ, ყუნწის სისქე – 0,8 სმ, სიგანე – 1.5 სმ, ქუდის ნახვრეტის დმ – 2,2 (ტაბ. VI_5; VIII_7).

17. საკინძი (სსნ Gr-11:593), ბრინჯაოსი, გატეხილი, აკლია წვერი. გააჩნია მრგვალ-ბრტყელი ლურსმნისებური თავი და მრგვალგანივკვეთიანი ღერო. საკინძის თავიდან 1,5

სმ-ში ოვალურგანივკვეთიანი ნახვრეტია გაკეთებული. თავსა და ნახვრეტს შორის მონაკვეთი შემკულია რელიეფური სარტყელით. აღმოჩნდა მიცვალებულის გულ-მკერდის არეში. შემორჩენილი სიგრძე – 7,5 სმ, თავის დმ – 0,8 სმ, ღეროს დმ – 0,3 სმ (ტაბ. VI_6; VIII_8).

18. ისრისპირი 2 ცალი (სსნ Gr-11:594), დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფურცლისაგან. ქუსლამოღარული, სამკუთხედისებური ფორმისაა. წვერთან დატანილი აქვთ ზროზე დასამაგრებელი ნახვრეტი. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით და ქუსლის ფორმით. უფრო დიდს ღრმა, დაკუთხულად ამოღებული ქუსლი და გრძელი ფრთა აქვს. ეტყობა ზროზე დამაგრების სამკუთხედისებური ნაპრიალები კვალი. მეორეს მომრგვალებულად ამოღარული ქუსლი და მოკლე ფრთები აქვს. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალას სიახლოვეს. სიგრძე – 2,6 და 3,5 სმ, სიგანე – 1,4 და 1.6 სმ (ტაბ. VI_7; VIII_9).

19. ისრისპირი (სსნ Gr-11:595), ძვლის, სამკუთხედისებური ფორმის, ქუსლამოღარული, მახვილწვერიანი. გააჩნია ზროზე დასამაგრებელი ნახვრეტი. ნაპირები დათხელებული აქვს. აღმოჩნდა ბრინჯაოს ისრისპირებთან. სიგრძე – 2,5 სმ, სიგანე – 1,3 სმ (ტაბ. VI_8; VIII_{10}).

20. მძივი (სსნ Gr-11:596), პასტის, ნახევარსფერული ფორმის. ბრტყელ, თავის დროზე ალბათ მოყავისფროდ შეღებილ ნაწილზე, ადამიანის სახის ძლიერ სტილიზებული გამოსახულებაა. თვალები წერტილოვანი ღრმულებითაა გადმოცემული, ცხვირი და პირი – სწორი მკრთალი ხაზით. აღმოჩნდა მიცვალებულის კისრის არეში. დმ – 0,9 სმ, სისქე – 0,5 სმ (ტაბ. VI_9; VIII_{11}).

21. ნამზადი (სსნ Gr-11:597), სარდიონის, ასიმეტრიული, ხორცისფერი, 1 ცალი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (ტაბ. VI_{10}; VIII_{12}).

22. სალესი ქვა (სსნ Gr-11:598), მართკუთხედის ფორმის, ცალ მხარეს დათხელებული. აღმოჩნდა № 16 ლანგარზე. სიგრძე – 5,5 სმ, სიფართე – 2,5 სმ, სისქე – 1 სმ (ტაბ. VI_{11}; VIII_{13}).

სამარხი 9. WREP KP 109+167-170 მ მონაკვეთში, უშუალოდ დედაქანის ზედაპირზე, დაფიქსირდა დაზიანებული ქვაყრილი, რომელშიც გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკის რამდენიმე ნატეხი და ძვლების უსახური ფრაგმენტები ერია. აღმოჩნდა აგრეთვე ირმის რქის ფრაგმენტი (*Cervidae,* sp. *Cervus elaphus*) ქვაყრილის ალაგების შემდეგ, გამოიკვეთა მუქი ფერის ლაქა, რომელიც დაზიანებული სამარხის ფრაგმენტს წარმოადგენდა (სამარხი № 9). ინვენტარი უკიდურესად ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი (ტაბ. IX_{1-3}). ინვენტარი:

1. ლანგარის პირ-გვერდის ნატეხი (სსნ Gr-11:599), თიხის. აქვს შავი, ხაოიანი ზედაპირი, რომელსაც ემჩნევა წვრილი ნახვრეტები. შიდაპირი ჩალისფერია, ნაპრიალები კეცი – ნაცრისფერი. აქვს მომრგვალებული, ოდნავ წიბოიანი, რელიეფური ბაკო, ფართო გადაშლილი პირი, სწორი გვერდი, მომრგვალებული მხარი. გვერდი შემკულია ამოღარული, ტალღისებური ორნამენტით (ტაბ. IX_1).

2. ჯამის პირ-გვერდის ნატეხი (სსნ Gr-11:600), თიხის. აქვს მოშავო-მონაცრისფრო, ხაოიანი შიდა და გარე ზედაპირი. კეცი შეიცავს წვრილ მინარევებს, რომლის ანაბეჭდები ემჩნევა ორივე მხარეს. აქვს მრგვალი, რელიეფური ბაკო, გამოყვანილი გვერდი, წიბოიანი მხარი (ტაბ. IX_2).

3. თიხის ჭურჭლის ყელისა და გვერდის ნატეხები (სსნ Gr-11:601). აქვს მოშავო-მონაცრისფრო, ნაპრიალები ზედაპირი, წვრილ მინარევებიანი ნაცრისფერი კეცი. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით ყელს შემოუყვება სამი კონცენტრული ღარი, რომელსაც ებმის ამოღარული, რომბისებური ნაპრიალები ორნამენტი და წვერით ქვემოთ მიმართული, ასევე, ამოღარული ხაზებით შევსებული სამკუთხედები. მხარის და მუცლის გადასვლის ადგილი მომრგვალებულწიბოიანია, რომლის თავზე მოთავსებულია, ორ კონცენტრულ ღარს შორის მოქცეული, ტალღისებური ორნამენტი. მხარზე, ამოღარული სამკუთხედების დონეზე, შემორჩენილია ქედისებური დანაძერწების ფრაგმენტები. კეცის სისქე – 0,8 სმ (ტაბ. IX_3).

სამარხი № 10. აღმოჩნდა KP 109+290-291 მ ნიშნულზე. მოყვითალო თიხნარში ჩაჭრილი მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ორმო (1.80×1.30 მ, სიღრმე – 0,40 მ) ორიენტირებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულებით (ტაბ. IX_5). სამარხი ორმოს ზედა ნაწილში დაფიქსირდა მეჩხერი ქვაყრილი, რომელშიც შერეული იყო კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი (ტაბ. IX_6). სამარხში გადაადგილებული იყო მიცვალებულის ძვლები, თიხის ჭურჭელი და ნივთები ისე, რომ ორმოს ცენტრალური ნაწილი ცარიელი დაგვხვდა. ქვედა კიდურის ძვლები აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედა კიდურე-

ბისა და თავის ქალას ფრაგმენტები ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში[8] (ტაბ. $IX_{4,7}$;). სამარხის გასუფთავების დროს თიხის ჭურჭლის ნატეხები დაფიქსირდა სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ადგილას, მაგრამ ძირითადად კონცენტრირებული აღმოჩნდა ორმოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და სამარხის სამხრეთი გრძივი კედლის გასწვრივ. სამარხის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ქუსლამოღარული, ისრისპირი. დაღრმავების დროს, ორმოს პირიდან 28-30 სმ სიღრმეზე, *in situ* გაიწმინდა ცხრა ასეთივე ისრისპირი, შემდეგ კიდევ ორი ცალი აღმოჩნდა ორმოს ჩრდილო-დასვლეთ კუთხეში: მიცვალებულის ზედა კიდურების, თავის ქალის ფრაგმენტის და თიხის ჭურჭლის ნატეხების სიახლოვეს. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ჭურჭლის ნატეხების ალაგების შემდეგ გამოჩნდა სხვა ჭურჭელიც – ლანგრები. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ლანგრის დიდ ნატეხებში, გამოჩნდა თავის ქალის, ყბისა და ლულოვანი ძვლების ფრაგმენტები. სამარხის სამხრეთ კედელთან იწმინდება ქოთნისა თუ დერგის ფრაგმენტების გროვა (ტაბ. IX_8). თავის ქალის მიდამოებში აღმოჩნდა კიდევ ერთი, რიგით მე-14 ბრტყელი ისრისპირი. ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკზე აღმოჩნდა ლანგრის ნახევარი, რომლის აღმოსავლეთით გაიწმინდა ქოთნის ნატეხები და ბიკონუსური ფორმის კოჭობის ფრაგმენტი. სამარხი ორმოს ძირზე, თითქმის მის ცენტრალურ ნაწილში, გაიწმინდა ბრინჯაოს თავხვია საკინძი, ორი ცალი, შეტყუპებული, წვერით აღმოსავლეთისკენ. ორმოს სამხრეთი კედლის შუა ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს პატარა ზომის ერთნახევარი ხვია. ქვედა კიდურების და თავის ქალის აღმოჩენის ადგილის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთისკენ, კიდურებმოხრილი. ინვენტარი:

1. ქოთანი (სსნ Gr-11:602), თიხის, მოშავო-მორუხო, ხაოიანი ზედაპირით. კეცი მინარევებიანია. აქვს მრგვალი, შიგნიდან ჩაღარული, რელიეფური ბაკო; ფართო, გადაშლილი პირი; დაბალი, ოდნავ გამოყვანილი ყელი; სფერული, ძირისკენ შევიწროებული ტანი; მრგვალი, კიდე დაკეჭნილი ძირი. მხარი შემკულია ორ რიგად შემოვლებული ფრჩხილისებური ნაჭდევით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან, ორმოს ძირზე. სიმაღლე – 23,5 სმ, პირის დმ – 16, 5, მუცლის დმ – 23 სმ, ძირის დმ 6,5 სმ (ტაბ. X_1; XI_7).

2. ლანგარი (სსნ Gr-11:603), თიხის, მოშავო-მორუხო ზედაპირით და ღია-ჩალისფერი კეცით. პირი ფართო აქვს, ბაკო მრგვალი, გვერდი სწორი, მხარი მოგლუვებული, კალთა თანაბრად დაქანებული, ძირი მრგვალი და ოდნავ ქუსლიანი. ლანგრის ფსკერი ოდნავ ამობურცულია. მხარი შემკულია სიმეტრიული კლაკნილი ორნამენტით. გარეთა პირზე ერთ მხარეს ემჩნევა მხრიდან ძირისკენ მიმართული 5 ნაპრიალები ზოლი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. აღდგენილია. სიმაღლე – 8 სმ, პირის დმ – 7,5 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ (ტაბ. X_2; XI_3).

3. ჯამი (სსნ Gr-11:604), თიხის, მოშავო-მორუხო ზედაპირით. მონაცრისფრო კეცი შეიცავს წვრილ მინარევებს. პირი ფართო აქვს, ბაკო მრგვალი, გადმოკეცილი, გვერდი სწორი, მხარი მომრგვალებული, კალთა თანაბრად დაქანებული, ძირი მრგვალი, ოდნავ ქუსლიანი. ჯამის ფსკერი ოდნავ ჩაღრმავებულია. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. სიმაღლე – 5 სმ, პირის დმ – 17,5 სმ, ძირის დმ – 6,5 სმ, კეცის სისქე – 0,5 სმ. (ტაბ. X_3; XI_2).

4. ქოთანი (სსნ Gr-11:605), თიხის, ყურიანი, შავი ზედაპირით, ნაკლული. კეცი ყავისფერია, შეიცავს წვრილ მინარევებს. ბაკო მრგვალი აქვს, რელიეფური, პირი – ფართო, გადაშლილი, ყელი – დაბალი, გამოყვანილი, მხარი ჩაღარული და წიბოიანი, ტანი – სფერული, ძირისკენ შევიწროებული, ძირი – ბრტყელი და მრგვალი. განივკვეთში მრგვალი, ზოომორფული ყური მხარზე და ტანზეა მიძერწილი. ტანი, მხრიდან ძირამდე, შემკულია დახრილი, ამოღარული და ფართო კანელურებით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სიმაღლე – 12,8 სმ, პირის დმ – 11 სმ, ძირის დმ – 6,3 სმ, დმ ყურის – 1,6 სმ (ტაბ. X_4; XI_6).

5. ჯამი (სსნ Gr-11:606), თიხის, ნაკლული, გარეთა პირი შავი აქვს, შიდა – ყავისფერი. კეცი შეიცავს წვრილ მინარევებს. ბაკო მრგვალი აქვს, რელიეფური, პირი ფართო, გვერდი სწორი, მხარი მკვეთრად წიბოიანი, კალთა დაქანებული, ძირი ბრტყელი და მრგვალი. სიმაღლე – 3,6 სმ, პირის დმ – 14,5 სმ, ძირის დმ – 6,7 სმ (ტაბ. XI_1).

8 ძვლები მეტად ფრაგმენტულია, შეუძლებელი აღმოჩნდა თავის ქალის აღდგენა. ამდენად, 18-22 წლის ინდივიდის სქესის დასადგენად საკმარისი ნიშნები არ არსებობდა.

6. ქოთანი (სსნ Gr-11:607), თიხის შავი, ალაგ ლაქებიანი, ნაპრიალები ზედაპირით და წვრილმინარევებიანი ნაცრისფერი კეცით. აქვს მომრგვალებული, რელიეფური ბაკო, გადაშლილი პირი, გამობერილი, ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცელი, მრგვალი, ქუსლიანი ძირი. მხრისა და მუცლის გაყოფის ადგილი მომრგვალებული და ოდნავ წიბოიანია. ყელს შემუყვება კონცენტრული ღარი და ამოღარული კლაკნილი ორნამენტი. მხარი შემკულია ირიბი ნაპრიალები ხაზებით და ერთი ზოომორფული ყურით, მეორე ყურის მხოლოდ დანაძერეწის ადგილია შემორჩენილი. ნატეხები აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში და ორმოს შევსებაში სხვადასხვა დონეზე. სიმაღლე – 20 სმ, –პირის დმ – 20,5 სმ, მუცლის დმ – 29 სმ, ძირის დმ – 9 სმ (ტაბ. X_5; XI_5).

7. კოჭობის (სსნ Gr-11:608), ყელ-გვერდის ნატეხი, თიხის, ბიკონუსური ფორმის. აქვს ღია ნაცრისფერი, გოფრირებული ზედაპირი და მუქი ნაცრისფერი კეცი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ორმოს ძირზე. კეცის სისქე – 0,7 სმ (ტაბ. XI_4).

8. საკინძი (სსნ Gr-11:609), ბრინჯაოსი, თავხვია. აქვს თავისკენ დაკუთხული და წვერისკენ მრგვალგანივკვეთიანი ღერო. ოთკუთხაგანივკვეთიანი ნაწილი შემკულია თევზიფხური, ნაჭდევი ორნამენტით, რომელიც თავის ჩახვევის ძირიდან იწყება და მომრგვალებული ღერომდე გრძელდება. ონამენტი მეტ-ნაკლები სიმკვეთრით არის შემორჩენილი. საკინძი აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, ორმოს ძირზე. სიგრძე – 10,5 სმ, ოთხკუთხა ღეროს დმ 0,4 სმ, მრგვალი ღეროსი – 0,1 სმ (ტაბ. X_6; XI_9).

9. საკინძი (სსნ Gr-11:610), ბრინჯაოსი, თავხვია. წინა აღწერილის მსგავსი. სიგრძე – 10,3 სმ, ოთხკუთხა ღეროს დმ 0,4 სმ, მრგვალი ღეროსი – 0,1 სმ (ტაბ. X_7; XI_{10}).

10. ისრისპირი (სსნ Gr-11:611), 14 ცალი, ქუსლამოღარული, სამკუთხედისებური ფორმისა, „ნესტრისებურსაც“ ეძახიან. დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფურცლისაგან. ყველა ისრისპირს წვერთან 1 სმ-ში დატანილი აქვს ზროზე დასამაგრებელი პატარა ნახვრეტი. ნახვრეტებს ცალი მხრიდან ეტყობა, გაკეთების დროს დარტყმის სედეგად წარმოქმნილი ჩაღუნვის კვალი. პირზე ეტყობა ალესვის კვალი. ზომის მიხედვით გამოიყო სამი ჯგუფი: I ჯგუფი. სიგრძე – 1,3-1,6 სმ, სიგანე – 0,9-1,3 სმ; II ჯგუფი. სიგრძე – 2,1-2,3 სმ, სიგანე – 1,2-1,3 სმ; III ჯგუფი. სიგრძე – 2,6-2,7 სმ, სიგანე – 1,4-1,5 სმ (ტაბ. X_8; XI_8).

11. ხვია (სსნ Gr-11:612), ბრინჯაოსი, ერთნახევარი სპირალი. დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი (დმ – 0,26 სმ.) მავთულისაგან. ნაპირებდაბრტყელებულია. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან, იატაკის დონეზე. დმ. – 0,9 სმ (ტაბ. X_9; XI_{11}).

12. მძივი (სსნ Gr-11:613), პასტის, მოთეთრო-მოყვითალო ფერის, ნაკლული, უხეში, დახეთქილი ზედაპირით, 1 ცალი. აღმოჩნდა სამარხის შევსებაში. დმ – 1,8 სმ, დმ ნახვრეტის – 0, 5 სმ (ტაბ. X_{10}; XI_{12}).

სამარხის შევსებაში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსული ხანის კერამიკის ნატეხები.

სამარხი № 11. ორმოსამარხი წარმოადგენდა მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს (1.80×1.30 მ; სიღრმე 0,20 მ), რომელიც დამხრობილი იყო NE-SW ღერძზე. სამარხის პირის კიდეზე აღმოჩნდა ძროხისა და ხბოს ცალკეული ძვლები (*Bovidae,* sp. *Bos taurus*) და კერამიკული ფრაგმენტები. კერამიკის ფრაგმენტები მიმობნეული იყო სამარხის იატაკზე. დიდი ჭურჭლის ნატეხები გამოვლინდა სამარხის სამხრეთ კუთხეშიც. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ ჩალაგებული იყო ცხვრის (*Caprinae,* sp. *Ovis*) ძვლები, ძირითადად ნეკნები (ტაბ. XII_{1-4}). ინვენტარი:

1. დერგი (სსნ Gr-11:614), თიხის, ნაკლული, ნაცრისფრად გამომწვარი, კალთის ზედაპირზე შავი ლაქით. თიხა შეიცავს წვრილ მინარევებს. აქვს შესქელებული ბაკო და გადაშლილი ვიწრო პირი; საშუალო სიმაღლის და ოდნავ წელში გამოყვანილი ყელი; დაბალი და ფართო, კვერცხისებური მუცელი. მხარი შემკულია: ყელთან ორი ნაკაწრი და ორი ამოღარული კონცენტრული სარტყელით; მუცელთან ორ ნაკაწრ სარტყელს შორის დატანილი კონცენტრული ტალღური სარტყელით. დერგის ფრაგმენტები გაფანტული იყო სამარხის მთელ ფართობზე. შემორჩენილი სიმაღლე – 31 სმ; მუცლის დმ – 33 სმ; კეცის სისქე – 0,9 სმ (ტაბ. XII_{5-6}).

2. ჯამის გვერდის ნატეხი (სსნ Gr-11:615), ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმინარევებიანი თიხის. აქვს მრგვლი ბაკო და სწორი გვერდი. გვერდზე მკრთალი, ტალღოვანი, კონცენტრული სარტყელის ნაშთი. კეცის სისქე – 0,7 სმ (ტაბ. XII_7).

სამარხი № 12. აღმოჩნდა WREP KP 109+312 მ ნიშნულზე. ორმოსამარხი, ძლიერ დაზიანებული და არეული. მართკუთხედის ფორმის კუთხეებმომრგვალებული სამარხი ორმო (1.65×1.10 მ.) ორიენტირებული იყო NE-SW ღერძზე. ზედა დონეზე აღმოჩნდა უწესრიგოდ ჩაყრილი მიცვალებულის, 17-22 წლის მამაკაცის ძვლები და კერამიკის ფრაგმენტები; 0.20 მ-ით დაბლა გაიწმინდა ძვლებისა და კერამიკის ფრაგმენტების კიდევ ერთი წყება და რამდენიმე რიყის ქვა. იატაკზე, აღმოსავლეთ კუთხეში, ფოთლისებური სატევარი აღმოჩნდა (ტაბ. XIII_1). ინვენტარი:

1. ქოთანი (სსნ Gr-11:616), თიხის, ნაკლული, ლეგა ფერის. აქვს ოდნავ დაბრტყელებული, ჩაღარული ბაკო, გადაშლილი პირი, დაბალი, გამოყვანილი ყელი, კვერცხისებური ტანი, მრგვალი, კიდეებდაკეჭნილი ძირი. მხარი შემკულია ამოღარული კონცენტრული ხაზითა და ერთ რიგად შემოვლებული ნაჭდევი ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. სიმაღლე – 21, 5 სმ, პირის დმ – 13 სმ, მუცლის დმ – 19, 5, ძირის დმ – 6,5 სმ, კეცის სისქე – 0,4 სმ (ტაბ. XIII_2).

2. ქოთანი (სსნ Gr-11:617), თიხის, ძირ-გვერდის ნატეხი. აქვს ლეგა-მონაცრისფრო ზედაპირი. კეცი შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. მხარზე მუცელთან შემორჩენილია ორ ნაკაწრ სარტყელს შორის მოქცეული წყვილი ამოღარული კონცენტრული სარტყელის ნაშთი. კეცის სისქე – 0,7 სმ (ტაბ. XIII_6).

3. ქოთანი (სსნ Gr-11:618), თიხის, ნაკლული, ნაწილობრივ აღდგენილი. კეცი შეიცავს შავი ფერის წვრილმარცვლოვან მინარევებს. აქვს მონაცრისფრო ზედაპირ-შიდაპირი და მოყავისფრო კეცი. გადაშლილი ბრტყელი პირი, მომრგვალებული ბაკო და გამოყვანილი ყელი; ზომიერად გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი; მხარსა და მუცელზე დაძერწილია განივკვეთში მომრგვალებულ-ოთხკუთხა ყური. მხარზე, ყურს ზემოთ, შემორჩენილია ორ ნაკაწრ სარტყელს შორის მოქცეული წყვილი ნაკაწრი კონცენტრული სარტყელის ნაშთი. კეცის სისქე – 0,7 სმ (ტაბ. XIII_3).

4. თიხის ჭურჭლის ძირი (სსნ Gr-11:619), კეცი შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აქვს შავი ზედაპირი, ლეგა-მონაცრისფრო შიდაპირი და მოყავისფრო კეცი; მცირექუსლიანი, ბრტყელი ძირი. კეცის სისქე – 0,6 სმ (ტაბ. XIII_5).

5. სატევრისპირი (სსნ Gr-11:620), ბრინჯაოსი, ტარშეურჩენელი, ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის, ფოთლისებური. თავი და ბოლო მომრგვალებული აქვს. გააჩნია ვიწრო ქედი, რომელიც წვერამდე გრძელდება. პირი გამოკვერილია და ოთხივე მხრიდან ალესილი. წვერი მომრგვალებულია და მახვილი. სატარე ნაწილზე შემორჩენილია ტარის ანაბეჭდი და ორი მანჭვალი. ტარის ეს ნაწილი მორკალური ყოფილა ისე, რომ ოდნავ ეხება სატევრის ქედს. ანაბეჭდიდან ჩანს, რომ ტარი პირზე 3 სმ-ით არის გადმოსული. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ორმოს ძირზე. სიგრძე – 13,5 სმ, სიგანე მხრებთან – 4,3 სმ, მანძილი მანჭვლებს შორის – 2,3, მანჭვლის სიგრძე – 1,1 სმ, წონა – 200 გრ. (ტაბ. XIII_4).

სამარხი № 13. აღმოჩნდა WREP KP 109+331 მ ნიშნულზე (GPS – E 8450438; N 4651887), ორმოსამარხი. მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ორმო (1.3×1.0 მ, სიღრმე 0,5 მ) დამხრობილი იყო N-S ღერძზე. სამარხის შევსებაში შერეული იყო სხვადასხვა ზომის რიყის ქვა. სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, იატაკთან, განლაგებული იყო მიცვალებულის თავის ქალის და სხვა ძვლების ფრაგმენტები. ამ ნაშთებით მიცვალებულის სქესისა და ასაკის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა (ტაბ. XIV_{1-2}).

სამარხი № 16. აღმოჩნდა WREP KP 109+368 მ ნიშნულთან (GPS: E 8450413; N 4651916). ორმოსამარხი (1.70×1.30 მ, შემორჩენილი სიღრმე 0,30-0,40 მ), გამართული ყვითელი ფერის თიხნარში, ორიენტირებული იყო N-S ღერძზე. სამარხის ზედა ნაწილი დაზიანებულია პლანტაჟური ხვნის დროს. მიცვალებული დაუკრძალავთ დასავლეთი კედლის გასწვრივ, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთისკენ (ტაბ. XIV_{3-4}). მიცვალებულის თავის ქალა და სხეულის ზედა ნაწილი, მენჯის ძვლამდე, ოთხ ლანგარზე, ანატომიური წყობის დაურღვევლად, იყო დასვენებული. სამარხის ძირზე მხოლოდ ქვედა კიდურები ესვენა.[9] სავარაუდოდ, ნეშტი ხის სარეცელზე დაასვენეს და ლანგრები ქვეშ შედგეს. მიცვალებულის წელის არეში, მენჯის ძვალთან გაიწმინდა: ფოთლისებური სატევარი; თავის ქალის მახლობლად, სამარხის SW კუთხეში, მცირე ზომის ხელადა; შუბლთან – ფიალა; მიცვალებულის წინ, მთელ სიგრძეზე, მწკრივში – ხუთი სხვადასხვა ჭურჭელი; ჭურ-

9 სქესის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, ასაკი – 12-17 წ.

ჭელს შორის ბრინჯაოს მასრაგახსნილი ხელშუბისპირი; სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხვრის ჩონჩხის ფრაგმენტები. ინვენტარი:

1. ქოთანი (სსნ Gr-11:621), თიხის, მოშავ-მონაცრისფრო ზედაპირით. კეცი შეიცავს წვრილ მინარავებს. ბაკო მრგვალი აქვს, რელიეფური; პირი ფართო და გადაშლილი; ყელი დაბალი, გამოყვანილი; მხარი მკვეთრად დაქანებული, მუცელი გამობერილი, ძირისკენ შევიწროვებული, ძირი მრგვალი. მხარზე საპირისპირო მხარეს დაძერწილი აქვს მრგვალნახვრეტიანი, განივკვეთში ოთკუთხა ყური. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაწილში, მიცვალებულის თავის გასწვრივ აღმოსავლეთით, ერთ რიგად დალაგებული ჭურჭლების რიგში. სიმაღლე – 23 სმ, პირის დმ – 7 სმ, მუცლის დმ – 25 სმ, ძირის დმ – 10 სმ, კეცის სისქე – 0,7 სმ, ყურის სიფართე – 2,2 სმ (ტაბ. XV_1; XVI_5).

2. დოქი (სსნ Gr-11:622), თიხის, შავი, ალაგ ნაპრიალები ზედაპირით, მოყავისფრო კეცით. პირი ფართო აქვს, გადაშლილი, ბაკო თხელი, წიბოიანი, ყელი მაღალი, ცილინდრული, „გოფრირებული“, მუცელი გამობერილი, ძირი მრგვალი. მხარი შემკულია ორ პარალელურ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეული დაშტრიხული სამკუთხედების რიგით. განივკვეთში მართკუთხა, ზოომორფული ყური მხარზე და ყელზეა მიძერწილი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სიმაღლე – 31,5 სმ, პირის დმ – 14 სმ, მუცლის დმ – 25 სმ, ძირის დმ – 7,5 სმ, ყელის დმ – 10 სმ, ყელის სიმაღლე – 12,2 სმ (ტაბ. XV_2; XVI_3).

3. ქოთანი (სსნ Gr-11:623), თიხის, ნაკლული და ნაწილობრივ აღდგენილი. კეცი შეიცავს წვრილმარცვლვან მინარევებს. აქვს ლეგა ზედაპირ-შიდაპირი და მოყავისფრო კეცი; დაბალი მხარი, ფართო მუცელი, მკვეთრად დაქანებული მაღალი კალთა, ვიწრო და ბრტყელი მცირექუსლიანი ძირი. მხარზე, მუცელთან, შემორჩენილია ორ ნაკაწრ სარტყელს შორის მოქცეული ამოღარული კონცენტრული სარტყლების ნაშთი. შემორჩენილი სიმაღლე – 17,0; მუცლის დმ – 25,0; ძირის დმ – 7,0; კეცის სისქე – 0,6 სმ (ტაბ. XV_3; XVI_6).

4. სადღვებელი (სსნ Gr-11:624), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირიანი. კეცი წვრილმინარევებიანი. ბაკო მრგვალი აქვს, რელიეფური, პირი ვიწრო, გადაშლილი; ყელი მაღალი, გამოყვანილი; ტანი კვერცხისებური, ძირი – მრგვალი. ყელი და მხარი შემკულია ორ კონცენტრულ ხაზს შორი მოქცეული კლაკნილი და ტეხილი ორნამენტით. მხარზე დატანილია რელიეფური სასულე ნახვრეტი. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში. სიმაღლე – 36 სმ, პირის დმ – 11,3 სმ, მუცლის დმ – 30 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ, ნახვრეტის დმ – 0,5 სმ, კეცის სისქე – 0,8 სმ (ტაბ. XV_4; XVI_4).

5. ქოთანი (სსნ Gr-11:625), თიხის, ნაკლული. მოჩალისფრო ზედაპირით და ნაცრისფერი კეცით. პირი ფართო აქვს და გადაშლილი, ბაკო – ირიბად დაბრტყელებული და რელიეფური, მხარი – მკვეთრად დაქანებული, მუცელი – გამობერილი, ძირი – მრგვალი, დაბალქუსლიანი. მხარი შემკულია ერთი კონცენტრული ღარით და ქედისებური შვერილით, რომელიც მრგვალი დანაძერწით, საცერულით მთავრდება. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. სიმაღლე – 21,5 სმ, პირის დმ – 16 სმ, მუცლის დმ – 29 სმ, ძირის დმ – 7,5 სმ, ქედის სიმაღლე – 3,5 სმ, დანაძერწის დმ – 2,3 სმ, კეცის სისქე – 0,6 სმ (ტაბ. XV_5; XVI_2).

6. ქოთანი (სსნ Gr-11:626), თიხის, ნაკლული. შავი, ალაგ მოყავისფრო, ხაოიანი ზედაპირით, მინარევებიანი კეცით. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო – ზემოდან ჩაღარული, რელიეფური, ყელი დაბალი, გამოყვანილი; ტანი კვერცხისებური, ძირი მრგვალი, კიდედაკეჭნილი. მხარი შემკულია, ორ ნაჭდევს შორის მოქცეული, რამდენიმე კონცენტრული ხაზით. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. სიმაღლე – 28 სმ, მუცლის დმ – 23 სმ, ძირის დმ – 8 სმ, კეცის სისქე – 0,7 სმ (ტაბ. XVI_1).

7. ხელადა (სსნ Gr-11:627), თიხის, ნაკლული, მოშავო-მონაცრისფრო, უხეში, აქერცლილი ზედაპირით. ბაკო მრგვალი აქვს, მომრგვალებული, პირი ფართო, გადაშლილი; ყელი მაღალი, გამოყვანილი; ტანი ბიკონუსური, ძირი მცირე ქუსლიანი. განივკვეთში მრგვალი ყური ყელზე და მხარზეა დაძერწილი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. სიმაღლე – 12 სმ, პირის დმ – 7,3 სმ, ყელის დმ – 5,2 სმ, მუცლის დმ – 11 სმ, ძირის დმ – 5 სმ (ტაბ. XV_6; XVII_1).

8. ფიალა (სსნ Gr-11:628), თიხის, მოშავო-მოჩალისფრო ზედაპირით. კეცი შეიცავს წვრილ მინარევებს. ბაკო მომრგვალებული აქვს, გვერდი სწორი, მხარი წიბოიანი, კალთა თანაბრად დაქანებული, ძირი მრგვალი და ოდნავ ქუსლიანი. გვერდი შემკულია ტალღისებური ორნამენტით. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიცვალებულის

სახის წინ. სიმაღლე – 3,5 სმ; პირის დმ – 14,5 სმ; ძირის დმ – 5 სმ; კეცის სისქე – 0,4 სმ (ტაბ. XV_7; XVII_2).

9. ჯამი (სსნ Gr-11:629), თიხის, მოშავო-მოჩალისფრო, ალაგ მოყავისფრო, ზედაპირით. კეცი მოყავისფროა. ჭურჭლის გარეთა პირი ლაქებიანია, ეტყობა ცეცხლის კვალი, შიგა პირი კი ძლიერ აქერცლილი და უხეში. ბაკო მრგვალი აქვს და გადმოკეცილი, გვერდი ოდნავ შეზნექილი, მხარი მომრგვალებულწიბოიანი; კალთა თანაბრად დაქანებული; ძირი მრგვალი. გვერდი შემკულია ტალღისებური ორნამენტით. აღმოჩნდა მიცვალებულის სახის წინ. სიმაღლე – 7 სმ, პირის დმ – 25 სმ, ძირის დმ – 8 სმ, კეცის სისქე – 0,4 სმ (ტაბ. XV_8; XVII_8)

10. ლანგარი (სსნ Gr-11:630), თიხის, მოშავო-მორუხო ზედაპირით. ბაკო მრგვალი აქვს და რელიეფური; გვერდი სწორი, მხარი წიბოიანი, კალთა თანაბრად დაქანებული, ძირი მრგვალი და დაბალქუსლიანი. ლანგრის შიდა პირი აქერცლილია და უხეში. გვერდს უხეშად დატანილი კლაკნილი ორნამენტი შემოუყვება. კალთა შემკულია წიბოდან ძირისკენ მიმართული ნაპრიალები ზოლებით. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედელთან. სიმაღლე – 11 სმ, პირის დმ – 31 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ, კეცის სისქე – 0,4 სმ (ტაბ. XV_9; XVII_9).

11. ლანგარი (სსნ Gr-11:631), თიხის, მოშავო-მორუხო ზედაპირით. ბაკო მრგვალი აქვს და გადმოკეცილი, გვერდი სწორი, მხარი მომრგვალებული, კალთა ძირისკენ შევიწროებული, ძირი მრგვალი, ოდნავ ქუსლიანი. ჭურჭლის შიდა და გარე პირი აქერცლილია და ხაოიანი. გვერდი შემკულია ამოღარული კლაკნილი ორნამენტით. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალას ქვეშ, იდო № 12 ჯამში. სიმაღლე – 7 სმ, პირის დმ – 23 სმ, ძირის დმ – 7 სმ, კეცის სისქე – 0,5 სმ (ტაბ. XV_{10}; XVII_5).

12. ჯამი (სსნ Gr-11:632), თიხის, მოშავო-მორუხო ზედაპირით. კეცი ღია ჩალისფერია და შეიცავს წვრილ მინარევებს. ბაკო მრგვალი და რელიეფური აქვს, გვერდი სწორი, მხარი მომრგვალებული, ოდნავ წიბოიანი, კალთა თანაბრად დაქანებული, ძირი მრგვალი და ოდნავ ქუსლგამოყვანილი. გვერდი შემკულია ამოღარული კლაკნილი ორნამენტით. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალას ქვეშ. სიმაღლე – 8 სმ, პირის დმ – 23,5 სმ, ძირის დმ – 7,5 სმ, კეცის სისქე – 0,6 სმ (ტაბ. XV_{11}; XVII_6).

13. სასმისი (სსნ Gr-11:633), თიხის, რუხი ფერის. კეცი ყავისფერია და შეიცავს წვრილ მინარევებს. ზედაპირი უხეშია, ემჩნევა წერტილოვანი ღრმულები. ბაკო მრგვალი აქვს და თხელი, პირი გადაშლილი, ტანი ნაწილობრივ ცილინდრული, ძირისკენ შევიწროებული და გამოყვანილი, ძირი მრგვალი, ასიმეტრიული, ოდნავ ამობურცული. სასმისის ზედა ნაწილი შემკულია კონცენტრული და კლაკნილი ამოღარული ორნამენტით. აღმოჩნდა №4 ქოთანში. სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დმ – 7 სმ, ძირის დმ – 4,8 სმ, კეცის სისქე – 0,6 სმ (ტაბ. XV_{12}; XVII_4).

14. სატევრის პირი (სსნ Gr-11:634), ბრინჯაოსი, ტარშეურჩენელი, ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის, ფოთლისებური, ოდნავ ასიმეტრიული. პირს მთელ სიგრძეზე გასდევს დაბალი, ვიწრო ქედი, რომელიც მას ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს. სატევრის ფხა გამოკვერილია, ალესილია ორი საპირისპირო მხრიდან. წვერი ოდნავ მომრგვალებულია და მახვილი. სატარე ნაწილი უყუნწოა. პირისა და მხრის გადასვლის ადგილი დაკუთხულია. ამავე ადგილას კარგად შეიმჩნევა ტარის დაგების ადგილი და ორი მანჭვალი. მანჭვლებით დამაგრებული ტარი სატევრის ქედის ადგილას ისეა მორკალული, რომ ქედს არ ფარავს. პირის ერთი მხარე წვერისკენ ოდნავ შეზნექილია. სატევრის პირი ბრინჯაოს ერთი მთლიანი ფურცლიდან არის დამზადებული. აღმოჩნდა მიცვალებულის წელის არეში, ტარით მარჯვენა ხელისკენ სიგრძე – 14 სმ, სიგანე მხრებთან – 5,4 სმ, მანძილი მანჭვლებს შორის – 3,3 სმ (ტაბ. XV_{13}; XVII_7).

15. ხელშუბისპირი (სსნ Gr-11:635), ბრინჯაოსი, მასრაგახსნილი, ფოთლისებური პირით. ჭედვით დამზადებული, მაღალქედიანი, ოდნავ ასიმეტრიული პირით. გახსნილი მასრის მხრიდან ქედი უფრო სქელია და მომრგვალებული, საპირისპირო მხარეს ვიწრო და დაბალი. ამავე მხარეს ქედის ძირში ეტყობა ჭედვის შედეგად მიღებული ჩაღრმავება მთელ სიგრძეზე. შუბის პირის ფხა გამოკვერილი და ალესილია. ხელშუბის მასრა გახსნილია სამკუთხედისებურად, რომელიც წვერისკენ გრძელდება და ნაწილობრივ ქედზეც გადადის. მასრას ურთიერთსაპირისპირო ორი სამანჭვლე ნახვრეტი აქვს. აღმოჩნდა № №№2 და № №3 ჭურჭლებს შორის, წვერით აღმოსავლეთით. მთლიანი სიგრძე – 16 სმ, პირის სიგრძე – 6,5 სმ, მასრის სიგრძე – 9,5 სმ, ქედის სისქე ფრთების ძირში – 1,4 სმ, მასრის დმ 1,5-2,1 სმ, მანძილი მასრის ძირიდან სამანჭვლემ-

დე 3,5 სმ (ტაბ. XV_{14}; XVII_{3}).

***

ამდენად, 2011 წელს გრაკლიანის გორის თხემზე გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული ცხრა სამარხი აღმოჩნდა. თითქმის ყველა სამარხი დაზიანებულია. შედარებით უკეთ იყო დაცული მე-8 სამარხი, რომლის მხოლოდ ქვაყრილია ხვნის დროს დაზიანებული. ხვნის დროს ჩანდა დაზიანებული № 16 სამარხში ჩალაგებული თიხის ჭურჭელიც. დანარჩენი სამარხები, დაზიანებამდე გაუძარცვავთ კიდეც.

სამარხების ერთადერთი ტიპი ორმოსამარხია. მე-8 სამარხის თავზე შემორჩენილი ქვაყრილი და მე-10 სამარხის შევსებაში აღმოჩენილი რამდენიმე რიყის ქვა გვაფიქრებინებს, რომ სამარხების ერთ ნაწილს მცირე ზომის ქვაყრილები ჰქონდა.

სამარხებში დაკრძალვის წესი ინჰუმაციურია. მხოლოდ სამ სამარხში (№№ 5, 8, 16) გაირკვა მიცვალებულების დაკრძალვის პოზა და დამხრობა. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ კიდურებმოხრილნი, მარჯვენა გვერდზე. დანარჩენ ექვს სამარხში დაკრძალული მიცვალებულების პოზა და დამხრობა, სამარხების დაზიანების გამო, ვერ გაირკვა. კანონზომიერება არ შეიმჩნევა სამარხების დამხრობაშიც. მაგალითად, № 8 სამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ; № 16-ში კი – თავით სამხრეთ-დასავლეთისკენ.

ორ სამარხში (№№ 8, 16) მიცვალებული სარეცელზე უნდა ყოფილიყო დასვენებული. № 8 სამარხში ორმოს კუთხეებში დაფიქსირებული იყო სარეცლის საყრდენი რიყის ოთხი ქვა, ხოლო, მე-16 სამარხში დაკრძალული მიცვალებულის ზედა ნაწილი ლანგრებზე ისე იყო დასვენებული, რომ ჩონჩხს დარღვეული არ ჰქონდა ანატომიური წყობა, რაც იმის მოწმობაა, რომ მიცვალებული, რომლის ქვეშაც მხოლოდ დაბალი ჭურჭელი — ლანგრები ელაგა, ხის დაბალ სარეცელზე იყო დასვენებული. შესაძლოა, სარეცლის საყრდენად იყო გამოყენებული №№ 12 და 13 სამარხებში იატაკის დონეზე დაფიქსირებული მოზრდილი რიყის ქვებიც.

თითქმის ყველა სამარხში აღმოჩნდა აღაპის ნაშთი – წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

ორი სამარხი (№№ 8, 16) გამოირჩევა ჩაყოლებული ნივთების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. ამ სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს თითო სატევარი და ერთი შუბისპირი (№ 16). ერთი სატევარი აღმოჩნდა № 12 სამარხშიც.

№ 8 სამარხში აღმოჩენილი ნივთებიდან ყურადღებას იპყრობს მძივი. ცალ მხარეს თითქოს ემჩნევა ადამიანის სახის სქემატური გამოსახულების კვალი. ასევე საინტერესოა თიხის სასმისი-რიტონი, რომელიც სამარხში მიცვალებულის სახის წინ განცალკავებულით იდო.

გრაკლიან გორაზე გამოვლენილი გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილი ლითონის ნივთები ძირითადად წარმოდგენილია შიდაქართლური (სამთავრული) კულტურისათვის დამახასიათებელი არტეფაქტებით: ფოთლისებური სატევრისპირი, მასრაგახსნილი შუბისპირი, თხელფირფიტოვანი, ქუსლამოღარიული ისრისპირი, კახური ტიპის სატევარი, თავხვია საკინძი. თიხის ჭურჭელსაც ამავე კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმები და შემკულობა აქვს.

მე-8 სამარხში აღმოჩენილი კახური სატევრის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სატევრის ეს ტიპი განვითარებულია ე.წ. წინააზიური იარაღის საფუძველზე [ჯაფარიძე 2003: 218-247]. სატევრების ტიპოლოგიურ შესწავლას სპეციალური შრომა მიუძღვნა კ. ფიცხელაურმა [ფიცხელაური 1959: 109-130]. გრაკლიანის მერვე სამარხში აღმოჩენილი სატევარი, კ. ფიცხელაურის მიერ შემუშავებული ტიპოლოგიით, მიეკუთვნება I ქვეტიპს.ამ ქვეტიპში შემავალ იარაღებს განიხილავენ, როგორც შედგენილტარიანებს. მათთვის დამახასიათებელია ბრტყელი, უქედო, წვერისკენ ოდნავ შესქელებული, სამკუთხედის მოყვანილობის, წვერმომრგვალებული პირი და ტარის ბოლოზე ჩამოცმული თავდაფანჯრული ქუდი.

აღნიშნული ტიპის სატევრების დათარიღებას მრავალი მკვლევარი შეეხო. ა. იესენმა ისინი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და I ათასწლეულის დასაწყისით დაათარიღა [Иессен 1935: 111—183]. ა. აფაქიძე კახური ტიპის სატევრებში ერთმანეთისაგან განსხვავებულ ორ ტიპს გამოყოფს: შედგენილტარიანს და მთლიანადსხმულს, და მათ ძვ.წ. I-II ათასწლეულების მიჯნით ათარიღებს [აფაქიძე 1941: 187]. გ. ლომთათიძე შედგენილტარიან სატევრებს მთლიანადსხმულებზე ადრეულად

მიაჩნევს. იმის გამო, რომ ამ სატევრებიან კომპლექსებში სკვითური ტიპის ისრისპირები არ გვხვდება, მათ ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად ძვ. წ. VII საუკუნეს მიიჩნევს. ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად კი ძვ. წ. XIII საუკუნეს [ლომთათიძე 1974: 344-346]. დ. ქორიძე აღნიშნულ სატევრებს ძვ. წ. XII-XI საუკუნეების კუთვნილად თვლის [ქორიძე 1955: 205-209]. ასევე ათარიღებს სატევრებს დ. მუსხელიშვილიც [მუსხელიშვილი 1956: 9].

სამთავროს კომპლექსების მიხედვით რ. აბრამიშვილმა შედგენილტარიანი სატევრები მთლიანადსხმულებზე ადრეულად მიიჩნია და ორივე ტიპის სატევრი ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით დაათარიღა [აბრამიშვილი 1957: 132], შემდეგში ეს თარიღი კიდევ უფრო დააზუსტა და აღნიშნული სატევრები ზოგადად ძვ.წ. XII ს. პირველი ნახევრით დათარიღდა [აბრამიშვილი 1961: 325-326].

განხილვის შედეგებზე დაყრდნობით გრაკლიანი გორის მერვე სამარხში აღმოჩენილი კახური ტიპის შედგენილტარიანი სატევარი, თანმხლებ მასალასთან ერთად, შესაძლოა ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით დათარიღდეს.

მეთორმეტე და მეთექვსმეტე სამარხებში აღმოჩენილი მოკლე, ტარშეურჩენელი, ფოთლისებური სატევრისპირები დამახასიათებელია შიდა ქართლში გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანის სამარხეული კომპლექსებისათვის. სატევრისპირებს მანჭვლლებით დამაგრებული ხის ან ძვლის ტარი უნდა ჰქონოდა.

გ. ლომთათიძემ [ლომთათიძე 1974] ფოთლისებური სატევრისპირები ცალკე — II ქვეტიპად გამოყო, სამთავრული ვარიანტი უწოდა და მათი შემცველი კომპლექები ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით დაათარიღა.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე 160-ზე მეტი ასეთი იარაღია აღმოჩენილი [ახვლედიანი, სულთანიშვილი 2010: 126-139).

საქართველოს გარდა ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირი აღმოჩენილია ჩრდილოეთ კავკასიაში [**Уварова** 1990; **Иессен** 1951: 75-124; **Марковин** 1969], სამხრეთ კავკასიაში [**Есаян** 1966; **Торосян**, **Хнкикян**, **Петросян** 2002; **Ахундов** 2001], წინა აზიაში [Schaeffer 1948], ევროპაში [Child 1929]. გარკვეული სხვაობის მიუხედავად, აღნიშნული სატევრისპირები ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანით არის დათარიღებული. გრაკლიანი გორას მეთორმეტე და მეთექვსმეტე სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები, თანმხლებ ინვენტართან ერთად, აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდება და სადღეისოდ არსებული მონაცემებით, ძვ.წ. XIII-XII სს-ით უნდა დათარიღდეს.

მეთექვსმეტე სამარხში აღმოჩენილი ჭედვით დამზადებული მასრაგახსნილი ხელშუბისპირი შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის დამახასიათებელი იარაღია. მასრაგახსნილი შუბისპირები ცენტრალური ამიერკავკასიის სხვა თანადროულ ძეგლებზეც გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით ფართო გავრცელებას შიდა ქართლსა და დასავლეთ საქართველოში აღწევს. აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლისათვის დამახასიათებელია შედარებით პატარა ზომის, მასრაგახსნილი ხელშუბისპირები. [ჩუბინიშვილი 1957: 58] ტ. ჩუბინიშვილმა ხელშუბისპირები და შუბისპირები, დამზადების თვალსაზრისით სამ ტიპად დაჰყო: 1) ჭედვით დამზადებული მასრაგახსნილი ხელშუბისპირები; 2) ჩამოსხმით დამზადებული მასრაგახსნილი ხელშუბისპირები და 3) ჩამოსხმით დამზადებული მთლიანმასრიანი ხელშუბისპირები. ის ორმოსამარხები, რომლებიც მასრაგახსნილ ჭედვით დამზადებულ ხელშუბისპირებს შეიცავდნენ, უფრო ადრეულებად მიიჩნია და ძვ.წ. XV-XIV სს. დაათარიღა.

გრაკლიანის გორის მეთექვსმეტე სამარხში აღმოჩენილი მოკლე ხელშუბისპირი ჭედვით დამზადებული იარაღია და ფოთლისებური სატევრისპირის თანმხლები მასალის გათვალისწინებით, შესაძლებელია ძვ. წ. XIII-XII სს-ით დავათარიღოთ.

მერვე და მეათე სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნესტარისებური ისრისპირები, რომლებსაც წვერთან ახლოს ზროზე დასამაგრებელი ნახვრეტიც აქვთ. მსგავს ისრისპირებს არსებობის დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი აქვთ. შიდა ქართლში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ჩნდება და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარშიც განაგრძობს არსებობას. სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში ეს ისრისპირები საკმაოდ დიდი დროის მანძილზე გვხვდება. შემდეგში, მათი ძვლისგან ნაკეთები მინაბაძებიც გვხვდება, მსგავსი გრაკლიანი გორას მერვე სამარხში ნაპოვნი ისრისპირისა.

შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის ძე-

გლებისათვის დამახასიათებელია თავხვია საკინძიც. ორი თავხვია საკინძი აღმოჩნდა გრაკლიანი გორას №10 სამარხში. საკინძების ეს სახეობა გვხვდება კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზე, მაგრამ ყველაზე მეტად შიდა ქართლისათვის არის დამახასიათებელი. კარდგადაა წარმოდგენილი სამთავროს სამაროვნის უძველეს ორმოსამარხებში.

ევრაზიულ სივრცეში თავხვია საკინძების სხვადასხვა ტიპია გავრცელებული. ისინი მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოშიც და მათი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური განსაზღვრა და გენეტიკური ფესვების დადგენა მჭიდროდ უკავშირდება კავკასიის ბრინჯაორკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების კვლევის საკითხებს [სახაროვა, სულავა 2010: 140-153]. თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, თავხვია საკინძების კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე მასობრივ გამოჩენას გვიანბრინჯაოს ხანას უკავშირებს [ოქროპირიძე 1951: 141-152).

აღსანიშნავია ირმის რქის ძირისაგან დამზადებული (ძლიერ დაშლილი) ლახტისთავი.

გრაკლიანის გორის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხების ინვენტარის ძირითადი ნაწილი თიხის ნაწარმია. იგი მორგვზეა დამზადებული, კარგად განლექილი თიხისაგან. კეცში შეინიშნება ქარსის წვრილი მინარევები. თიხის ჭურჭელი გამოირჩევა დახვეწილი, დასრულებული და სიმეტრიული ფორმებით. ჭურჭლის ზედაპირი გამომწვარია შავად, ლეგად ან მონაცრისფროდ. სამარხებში მოპოვებული თიხის ნაწარმი, მოხმარება-დანიშნულების მიხედვით, შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: 1. სამეურნეო ჭურჭელი – დერგი, ქილა, სადღვებელი; 2. სამზარეულო – ქოთანი, კოჭობი; 2. სუფრის ჭურჭელი – დოქი, ხელადა, სასმისი, ლანგარი, ჯამი, ფიალა.

ორ სამარხში (№№ 6 და 16) აღმოჩნდა თიხის ორი უყურო სადღვებელი.[10] სადღვებლები ზოგადად ორი ტიპისაა – ყურიანი და უყურო. მათთვის, ძირითადად, დამახასიათებელია ვიწრო ცილინდრული ყელი, ოდნავ გადაშლილი პირი, კვერცხისებური ან სფერული მოყვანილობის ტანი და ვიწრო ძირი. სადღვებლები ფართოდ არის გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში, ძირითადად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე. სამთავროს სამაროვნის მაგალითზე ჩანს, რომ მოგვიანო ხანაში უფრო განვითარებული, ყურიანი სადღვებელი აგრძელებს არსებობას. შიდა ქართლის კომპლექსების შესწავლის საფუძველზე ავტორები მიიჩნევენ, რომ უყურო სადღვებელი ფართოდ გამოიყენებოდა ძირითადად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე [ჩუბინიშვილი 1957: 55; ბარამიძე 1965: 31-66]. სამთავროს, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით დათარიღებულ, კენოტაფში აღმოჩენილი [კალანდაძე 1980: 36] უყურო სადღვებელი მის ადრეულობაზე მიანიშნებს [ოქროპირიძე 1985: 25].

როგორც ჩანს, უყურო სადღვებელი შუაბრინჯაოს მიწურულიდან თუ არა [აბრამიშვილი 1978:71], გარდამავალი ხანის საფეხურიდან მაინც ჩნდება და ფართოდ ვრცელდება ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე [ფიცხელაური 1973: ტაბ. XIX].

გრაკლიანი გორის მეექვსე და მეთექვსმეტე სამარხებში აღმოჩენილი სადღვებელი დიდ მსგავსებას ავლენს ზემო ნახსენებ სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე აღმოჩენილ უყურო სადღვებლებთან, რომლებიც გვიანიბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით არის დათარიღებული.

გრაკლიანის გორაზე 2011 წელს გამოვლენილი სამარხები შესაძლოა შეიძლება ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებით დათარიღდეს.

10 ასეთივე უყურო სადღვებლები აღმოჩნდა 2009 წელს გათხრილ ორ სამარხში (№№ 1 და 3).

G. Kvirkvelia, B. Murvanidze

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS AT GRAKLIANIS GORA IN 2011. II. LATE BRONZE AGE BURIALS

Summary

As a result of archaeological research at Graklianis Gora (Kaspi region of the Eastern Georgia) was excavated eleven burials (№№ 4-13, 16). Most of these burials was destroyed at various times by agricultural works, but the grave goods of some of them were survived. The most fully preserved was burial 8. All burials were a regular pits. It is assumed that in some graves deceased persons were placed on wooden couches. Enough plentifully are represented clay vessels. Metal items are less, albeit there were found daggers, spearheads, arrowheads, pins. The range of finds allows to date cemetery 13th-12th centuries BC.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIX-A და XXI-B, 132.

აბრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, ტ. XXII-B, 325-326.

აბრამიშვილი რ. 1978: თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი. თბილისი.

აფაქიძე ა. 1941: ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ახვლედიანი ნ. სულთანიშვილი ი. 2010: ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრისპირები. – ძიებანი, 19, 126-139.

ბარამიძე მ. 1965: კასპის სამაროვანი. – მსკა, IV, 31-66.

კალანდაძე კ. 1980: მცხეთა, ტ. IV. თბილისი.

კვირკველია გ., მურვანიძე ბ., ნიკოლაიშვილი ვ., ორჯონიკიძე ა. 2011: არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2009 წელს. – ძიებანი, № 20, 47-67.

კვირკველია გ., ორჯონიკიძე ა. 2014: არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2011 წელს: I. ადრებრინჯაოს ხანა. – ძიებანი, № 22, 34-49.

ლომთათიძე გ. 1974: ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბილისი.

მუსხელიშვილი დ. 1956: ციხე-ქალაქი უჯარმა. თბილისი.

ოქროპირიძე ნ. 1951: ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან. – მსკი, 29, 141-152.

ოქროპირიძე ნ. 1985: გვიანბრინჯაოს ხანის სამთავრული კულტურის კერამიკა, ხელნაწერი.

სახაროვა ლ., სულავა ნ. 2010: სართველოში გავრცელებული თავხვია საკინძების შესახებ. – ძიებანი, 19, 140-153.

ფიცხელაური კ. 1959: ბრინჯაოს კახური ტიპის სატევარი. – მსკა, II, 109-138.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს). თბილისი.

ქორიძე დ. 1955: თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწილი პირველი. თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ. 1957: მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.

Ахундов Т. 2001: Северо-зарадный Азербайджан в эроху энеолита и бронзы. Баку

Есаян С. 1966: Оружие и военное дело древней Армении. Ереван.

Иессен А. А. 1935: К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, выпуск 120, 111—183.

Иессен А. 1951: Прикубанский очаг металлургии и металообработки в конце медно-бронзового векаю – МИА, № 23, 75-124.

Марковин В. 1969: Дагестан и горная Чечня в древности. Москва.

Торосян Р., Хнкикян О., Петросян А. 2002: Древний Ширакаван (Результаты раскопок 1977-1981 гг. Ереван.

Уварова П. 1990: Могильники Северного Кавказа. – МАК, VIII. Москва.

Child G. 1929: The Danube in prehistory. Oxford.

Schaeffer G. 1948: Stratigraphic Comparée et Chronologie de l´Asie Occidentale. Oxford.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – სამარხი № 5: 1. გეგმა და ჭრილები; 2-3. სამარხის ფოტოები; 4. ლანგარი; 5. ფიალა; 6. სარდიონის მძივი; 7. კაჟის ანატკეცი.

ტაბ. II – სამარხი № 6: 1. გეგმა და ჭრილები; 2. სამარხის ფოტო; 3. სადღვებელი; 4-5. ქოთანი; 6. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი; 7. ბრინჯაოს სალტე; 8. სარდიონის მძივები.

ტაბ. III – სამარხი № 7: 1. გეგმა და ჭრილები; 2. სამარხის ფოტო; 3, 5. დერგი; 6. ლანგრის პირისა და ძირის ნატეხი; 4, 7. ბრინჯაოს საკინძი.

ტაბ. IV – სამარხი № 8: 1. ქვაყრილის ზედა დონე; 2. ქვაყრილის მესამე დონე; 3. სამარხი სრული გაწმენდის შემდეგ; 4. სამარხი ძვლებისა და ჭურჭლის ნაწილობრივი ალაგების შემდეგ ალაგების შემდეგ. ჩანს ბრინჯაოს სატევარი; 5. სასმისი, დამტვრეული დერგის შიგნით; 6. ბრინჯაოს სატევარი და საკინძი მიცვალებულის მკერდის არეში; 7. სამარხის გეგმა და ჭრილები.

ტაბ. V-VIII – სამარხი № 8, ინვენტარი.

ტაბ. IX – 1-3. კერამიკული ფრაგმენტები № 9 სამარხიდან; 4. სამარხი № 10, გეგმა და ჭრილები; 5-8. № 10 სამარხი გასუფთავების ეტაპები.

ტაბ. X-XI – სამარხი № 10. ინვენტარი.

ტაბ. XII – სამარხი № 11: 1. გეგმა და ჭრილები; 2. სამარხის კონტური გასუფთავებამდე; 3-4. სამარხი გასუფთავების შემდეგ; 5-7. ინვენტარი.

ტაბ. XIII – სამარხი № 12: 1. გეგმა და ჭრილები; 2-6. ინვენტარი.

ტაბ. XIV – 1-2. სამარხი № 13, გეგმა, ჭრილები და ფოტო; 3-4. სამარხი № 16, გეგმა, ჭრილები და ფოტო.

ტაბ. XV-XVII – სამარხი № 16, ინვენტარი.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Grave 5: 1. Plan and sections; 2-3. Photos of the grave; 4. Dish; 5. Bowl; 6. Cornelian bead; 7. Flint flake.

Pl. II – Grave 6: 1. Plan and sections; 2. Photo of the grave; 3. Clay churn; 4-5. Clay pot; 6. Fragment of the clay vessel; 7. Bronze hoop; 8. Carnelian beads.

Pl. III – Grave 7: 1. Plan and sections; 2. Photo of the grave; 3, 5. Clay pot; 6. Fragments of the dish; 4, 7. Bronze pin.

Pl. IV – Grave 8: 1. The upper level of the stone embankment; 2. Third level of the stone embankment; 3. Grave after cleaning; 4. Grave after partial removing of bones and some vessels; 5. Goblet inside of the clay pot; 6. Bronze dagger and pin at the breast of the deceased; 7. Plan and sections of the grave.

Pl. V-VIII – Grave goods from the grave 8.

Pl. IX – 1-3. Grave goods from the grave 9; 4. Grave 10. Plan and sections; 5-8. Grave 10, excavation process.

Pl. X-XI – Grave goods from the grave 10.

Pl. XII – Grave 11: 1. Plan and sections; 2. Contour of the burial before excavations; 3-4. Grave 12 after cleaning; 5-7. Grave goods.

Pl. XIII – Grave 12: 1. Plan and sections; 2-6. Grave goods.

Pl. XIV – 1-2. Grave 13, plan, sections and photo; 3-4. Grave 16, plan, sections and photo.

Pl. XV-XVII – Grave 16, grave goods.

ტაბ. I



1

2

3



4



5

6

7


სამარხი №6
გეგმა
II
I
N
1.45
1.50
ჭრილი I-I
0.30
731.24
0.40
ჭრილი II-II
0.30
1
2
6
4
570
5
6
7
572
0 1 2
0 2 10
569
3
8


სამარხი №7
II
ვეფვა
1.60
I
N
I
1.80
II
731.24
0.45
ჭრილი I-I
ჭრილი II-II
0.27
0 10 50 100სმ
1

7
2

3


4


5
6
0 2 10
7

1

178

2

8

3

4

5

6


ბეჭმა
II
N
I
1.35
I
1.90
II
730.14
ჭრილი I-I
0.10
0.68
0.86
0.93
1.03
0.90
730.14
ჭრილი II-II
0.17
0.68
0.74
0.90
1.03
0 10 50 100სმ

7

ტაბ. V




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11

ტაბ. VII



ტაბ. VIII




1
2


3
0 2 10


სამარხი №10
ბეჭმა
II
N
I
I
1.20
II
1.75
ჭრილი I-I
0.45
732.13
ჭრილი II-II
0.47
0.50
0 10 50 100სმ

4


10

5

10

6

10

7


10

8

ტაბ. X



ტაბ. XI




სამარხი №11
II
ბეჭმა
N
I
I
1.20
II
1.70
731.68
ჭრილი I-I
0.60
0.30
ჭრილი II-II
0.27
0 10 50 100სმ

1


11

2

11

3


11

4



5


0 5

6

7

ტაბ. XIII


ბეჭმა
II
I
I
II
1.10
1.80
ჭრილი I-I
0.45
0.30
ჭრილი II-II
732.68
0.45
0.30
0 10 50 100სმ
1
2
0 5
3
4
0 5
5
0 5
6


გეგმა
I
II
N
1.20
0.95
ჭრილი I-I
0.45
732.85
0.35
ჭრილი II-II
0.45
0 10 50 100სმ

1


II
გეგმა
N
1.60
1.25
ჭრილი I-I
0.25
0.17
733.50
0.45
ჭრილი II-II
0.17
0.35
0 10 50 100სმ

3

2

16

4

ტაბ. XV



ტაბ. XVI



ტაბ. XVII



დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე

ვანის №№ 1 და 2 სამლოცველოების არის გათხრების ანგარიში (2002-2005 წლები)

2002-2005 წლებში, როდესაც ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოები ფინანსდებოდა გერდა ჰენკელის ფონდის (გერმანია) მიერ, გათხრები ნაქალაქარის რვა უბანზე ჩატარდა. ერთი მათგანი ზედა ტერასაზე, ე.წ. I უბნის აღმოსავლეთი მხრიდან მომიჯნავე ფართობს მოიცავდა. I უბანი გახლავთ ნაქალაქარის ზედა ტერასის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი, რომლიდანაც დაიწყო ვანის არქეოლოგიური შესწავლა. აღნიშნული მონაკვეთი მთლიანად გათხრილია[1] და მისი გათხრის შედეგები გამოქვეყნებულია [კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979].

ახალი თხრილი გაიჭრა 175-ე ნაკვეთის i_{7-10}-k_{2-10}, 176-ე ნაკვეთის a_{1-10}-e_{1-10}, 193-ე ნაკვეთის h_{1-10}-k_{1-10}, 194-ე ნაკვეთის a_{1-10}-e_{1-10}, f_{1-5}-k_{1-5}, 195-ე ნაკვეთის a_{1-5}, 211-ე ნაკვეთის h_1-k_1 და 212-ე ნაკვეთის a_1-e_1 კვადრატებში (ტაბ. I-II).

I.1. თხრილის ჩრდილოეთ კიდეში (ნაკვ. 176, კვ. a_{1-4}-b_{1-4}-c_{1-4}-d_{1-4}) დასრულდა 1999-2001 წლებში გამოვლენილი ნაგებობის გათხრა, რომელიც მისი არქიტექტურული თავისებურებებისა (აღმოსავლეთისკენ ღია, გადაუხურავი) და მის შიდა სივრცეში საკურთხევლის არსებობის გამო სამლოცველოდ (სამლოცველო N 1) იქნა მიჩნეული [იხ. ლორთქიფანიძე და სხვ. 2001]. შესასწავლი იყო მხოლოდ დასავლეთი კედლის თავზე დატოვებული მცირე მონაკვეთი (ტაბ. III, V). აქ ფენათა ასეთი თანამიმდევრობა დადასტურდა: კორდოვანი, ჰუმუსნარევი, ბათქაშებ-ალიზნარევი, ნახშირნარევი და კრამიტნარევი ფენები (ტაბ. III-IV, ჭრილები).

კორდოვან ფენაში (სისქე 0,5-0,7 სმ) ელინისტური ხანის კერამიკული ფრაგმენტები გამოვლინდა მცირე რაოდენობით (ტაბ. VII_{1-2}): ადგილობრივი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტების, ქვევრების, სამზარეულო კერამიკის (ქოთნის, დერგის, ე.ნ. ცრუყურიანი ქვაბის), სინოპური კრამიტის და დაუდგენელი ცენტრის ჭურჭლის კედლების.

მომდევნო ჰუმუსურნარევი ფენა (სისქე 0.10 მ) შეიცავდა ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტებს, რომელთაგან ერთზე ცხოველის თათის ანაბეჭდია, მეორეზე კი – x-ისებური ნიშანია, აგრეთვე ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს: შავ-, დაღარულზედაპირიანი ქვევრების კედლებისა და მხარ-ყელის ნატეხს, შემკულს თევზიფხურად განლაგებული ნაჭდევებით, შავპრიალა ზედაპირიანი ჭურჭლის პირ-კედლის, ე.ნ. ცრუყურიანი ქვაბის და სხვადასხვა ჭურჭლის კედლების და იმპორტული კერამიკის (სინოპური ბრტყელი კრამიტის, ჩალისფერკეციანი ამფორების კედლების, შავლაკიანი და წითელლაკიანი ჭურჭლის) ფრაგმენტებს (ტაბ. VII_{3-5}). ამ ფენაში რკინის ორი ლურსმანი დადასტურდა (ტაბ. VII_{6-7}). ორივეს ოთხკუთხა ღერო აქვს.

მომდევნო, ალიზნარევი ფენის თავზე აღმოჩნდა ოქროს ღილაკი, ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისა. მას უკანა მხარეს სამი ყუნწი აქვს მირჩილული ქსოვილზე დასაკერებლად (ტაბ. IX_6). სადა სამკუთხა ღილაკები, რომელთაც უკანა მხარეზე მირჩილული აქვთ მავთულის ერთი, ორი ან სამი ყუნწი, კიდეები კი ჩაკეცილი აქვთ, შემთხვევითი აღმოჩენებითაა ცნობილი ვანში [ჭყონია 1981: 86, კატ. №№ 200-205, სურ. 62]. განხილულ ფენაში გამოვლენილი მასალა ზოგადად გვიანელინისტურ ხანას მიეკუთვნება.

საკუთრივ ალიზნარევი ფენა (სისქე 0,20 მ) საკმაოდ მრავალრიცხოვან მასალას შეიცავდა, რომელიც ელინისტური ხანით თარიღდება (ტაბ. VII_{8-14}). მრავლად იჩინა თავი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტების ფრაგმენტებმა; ერთი ადგილობრივი ღარისებრი კრამიტი მთლიანად აღდგა (ტაბ. VII_{13}). აღმოჩნდა აგრეთვე ყავისფერკეციანი ამფორების ფრაგმენტები, შავზედაპირიანი, ვარდისფერსარჩულიანი ქვევრის კედლის, ქოთნების პირ-ყელის, ე.ნ. ცრუყურიანი ქვაბის ფრაგმენტები. იმპორტული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მცირერიცხოვანია. მათ შორისაა თეფშის პირკალთის ფრაგმენტი (ტაბ. VII_{14}).

ალიზნარევი ფენის ქვეშ მდებარე დამწვარი შრე (სისქე 0,25 მ) ასევე საკმაოდ დახუნძლული იყო ელინისტური ხანის მასალით (ტაბ. VII_{15-}

1 I უბანი უახლესი ბადით მოიცავს 172-175-ე, 190-193-ე, 208-211-ე ნაკვეთებს.

$_{16}$). მასში აღმოჩნდა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტების, ყავისფერკეციანი, შავ-, დაღარულზედაპირიანი ქვევრების, ე.წ. ცრუყურიანი ქვაბის, ყავისფერკეციანი და სინოპური ამფორების, აგრეთვე ნიშნიანი კრამიტების ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ აქვე დადასტურდა იონიური თასის (?) ფრაგმენტი.

კიდევ უფრო მრავალრიცხოვან მასალას, გვიანელინისტური ხანისა, შეიცავდა შემდეგი, კრამიტნარევი ფენა (ტაბ. VII_{17-30}). როგორც ფენის სახელიდან ჩანს, მასალის უდიდეს ნაწილს კრამიტების – როგორც ბრტყელის, ასევე ღარისებრის – ფრაგმენტები შეადგენდა. ერთ ბრტყელ კრამიტზე ცხოველის თათის ანაბეჭდი დადასტურდა. ამ ფენაშიც იჩინა თავი კოლხური ამფორების, ქვევრების, ე.წ. ცრუყურიანი ქვაბების, ხუფების, დერგების, ქოთნების, თეფშების ფრაგმენტებმა. იმპორტული ნაწარმი ამ ფენაშიც მცირედ არის წარმოდგენილი: თეთრანგობიანი ამფორების კედლების ფრაგმენტები, შავლაკიანი ჭურჭლის კედლისგან გამოჭრილი მცირე ზომის დისკო. ფენაში ერთადერთი ლითონის ნივთი აღმოჩნდა: ბრინჯაოს ქინძისთავი. აღსანიშნავია ამ ფენაში აღმოჩენილი 60-მდე მრგვალი რიყის ქვა (ტაბ. VI_4). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ქვისსატყორცნი მანქანის ბირთვებია.

როგორც საბოლოო გაწმენდამ დაადასტურა, № 1 სამლოცველო (ტაბ. III-V) გამართულია კლდეში საგანგებოდ ჩაჭრილ ბაქანზე, რომელიც სამი მხრიდან კლდოვან დედაქანში შვეულად ჩამოჭრილი კედლებით არის შემოსაზღვრული. აღმოსავლეთი მხრიდან ბაქანი ღიაა; ბაქნის კიდიდან დედაქანი დაფერდებულია აღმოსავლეთისაკენ. ქვაბულის კედლებიდან ყველაზე მაღალი დასავლეთი კედელია (მაქსიმალური სიმაღლე 1,8 მ). სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები უფრო დაბალია, აღმოსავლეთისაკენ კიდევ უფრო დაბლდება და აღმოსავლეთ კიდეში თითქმის ბაქნის დონეს უახლოვდება. კლდეში ნაკვეთი კედლები მომრგვალებული კუთხეებით უერთდება ერთმანეთს. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ძლიერაა დაზიანებული და შევსებულია თირის ფლეთილი ქვების წყობით (5 რიგია ქვების). ამ კუთხის თავზე ჩანს თირის ქვების ფენილი (?), რომელშიც გარეულია რიყის ქვები. ჩრდილოეთი კედლის კიდიდან 1,6 მ-ის დაცილებით კლდოვანი დედაქანი მოჭრილია თანამედროვე სამანქანო გზის გაყვანის დროს. სამხრეთი კედლის კიდიდან 1-1,3 მ-ის დაცილებით გამოიკვეთა ვიწრო ღარი, კედლის კიდის პარალელურად მიმართული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მისი სიგრძე 7 მ-მდე აღწევს, სიღრმე 0,1-0,15 მ-ა, ხოლო სიგანე – 0,10-0,12 მ. ღარის დანიშნულება წვიმის წყლის შეკრება-გადაღვრა შეიძლება ყოფილიყო. ჩრდილოეთ მხარეს ასეთი ღარი არა ჩანს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვაბულის ჩრდილოეთი კედლის ზედაპირი ძლიერაა დაზიანებული (ტაბ. III, ჭრილი I-I) და გადაჭრით ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ასეთი ღარი აქაც გაჭრილი თავის დროზე.

ბაქნის ზედაპირი ნიველირებულია, თითქმის ჰორიზონტალურია. სამლოცველოს დასავლეთი კედელი ოდნავ (0,1 მ-ით) შემაღლებულ პლატფორმაზე დგას. ასე რომ ამ პლატფორმასა და კლდის დასავლეთ კედელს შორის საკმაოდ ფართო (0,8 მ სიგანის) ღარი იქმნება. შესაძლოა, ამ ღარის დანიშნულებაც ნაგებობის წვიმის წყლისაგან დაცვა იყო. პლატფორმა არათანაბარი სიმაღლისაა, უფრო მაღალია სამხრეთ ნაწილში.

სამლოცველო რუსული П-ს ფორმისაა, არ არის გადახურული, აღმოსავლეთისაკენ ღიაა – აქ არამცთუ ქვის ბლოკები, არამედ კლდეში ნაკვეთი ბუდეებიც კი არ დაფიქსირებულა. ის ნაცრისფერი ქვიშაქვის გათლილი ბლოკებით არის ნაგები. მთლიანადაა შემორჩენილი ნაგებობის დასავლეთი კედელი (სიგრძე 4,20 მ, სიგანე 1 მ). კედლის გარეთა ფასადი წყობის ორი რიგისაგან შედგება. პლატფორმის არათანაბარი სიმაღლის გამო კედლის სამხრეთ ნაწილში წყობის ქვედა რიგი დაბალია, ჩრდილოეთში კი – მაღალი. აქ თირის ქვების მესამე რიგიცაა დაწყობილი იატაკზე. წყობის სისტემა განივასა და წოლანას მონაცვლეობის პრინციპზეა აგებული. კედლის შიდა ფასადზე ქვიშაქვის ქვათლილების წყობის ერთი რიგია შემორჩენილი. ქვათლილები რუსტებითაა დამუშავებული. დასავლეთი კედელი თირში ამოკვეთილ ღარშია ჩასმული. ქვები ანატკეცებიან ფენაზე დევს.

სამლოცველოს სამხრეთი კედლის სიგრძე 3,10 მ-ა, სიგანე – 1 მ. წყობის ერთი რიგია მხოლოდ შემორჩენილი. წყობა პერანგულია. კედელი ანატკეცების ფენაზე დევს; ქვათლილები თირში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩასმული. კედლის გარეთა ფასადი შედგება წოლანასა და განივას მონაცვლეობისაგან. შიდა ფასადზე ამგვარი მონაცვლეობა არ დასტურდება. რამდენადაც ქვათლილების ჩასაწყობი თირში ნაკვეთი ბუდეები გრძელდება შემორჩენილი წყობის შემდეგაც, კედლის საერთო სიგრძე 6,50 მ უნდა ყოფილიყო.

ჩრდილოეთი კედელი ძლიერაა დაზიანებული. მისი აღმოსავლეთი კიდე მონგრეულია, მაგრამ კლდოვან დედაქანში შემორჩა ქვები-

სთვის განკუთვნილი ბუდეები. ამ ბუდეების გათვალისწინებით კედლის სიგრძე 3 მ-ა, ხოლო სიგანე — 1 მ, ისევე როგორც დანარჩენი ორი კედლისა. შემორჩენილია წყობის ორი რიგი. წყობა პერანგულია. ქვედა რიგი თირის ფლეთილი ქვებისგან შედგება, ზედა – გათლილი ქვიშაქვისაგან. ქვები რუსტებითაა დამუშავებული. გარეთა ფასადზე მონაცვლეობს წოლანა და განივა. შიდა ფასადი დაზიანებულია.

როგორც აღინიშნა, სამივე კედელი პერანგული წყობითაა ნაგები. პერანგებს შორის სივრცე შევსებულია თირის ქვებით, ნაცრისფერი ქვიშაქვის ანატკეცებით, თიხით. ისიც ითქვა, რომ ნაცრისფერი ქვიშაქვის ბლოკები რუსტებითაა დამუშავებული. აღსანიშნავია, რომ წყობის ქვედა რიგში ქვების ქვედა კიდე არ არის გათლილი. სამივე კედელზე თიხის შრე დადასტურდა ალაგ-ალაგ. როგორც ჩანს, ქვის ცოკოლზე თიხის კედელი იყო აღმართული, ან ის თიხით იყო გადალესილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზედა ტერასაზე გათხრილი სხვა სამლოცველოებიდან № 3-ზე ასევე დადასტურდა თიხის ფენა, ხოლო № 4 სამლოცველოში, რომელიც ყველაზე კარგადაა შემორჩენილი, ქვის ცოკოლზე გამოუმწვარი ალიზის კედელია ამოყვანილი [Лордкипанидзе, Путуридзе, Матиашвили, Чкония, Пирцхалава, Качарава 1984: 53, LXX; ლორთქიფანიძე და სხვ. 1998].

ნაგებობის შუაში საკურთხეველია, რომელიც ძლიერაა დაზიანებული და მისი აღდგენა ვერ ხერხდება. ის შედგება ქვიშაქვის გათლილი ბლოკებისაგან. როგორც ჩანს, ქვები გადაბმული იყო სამაგრებით, რომელთა ბუდეები არის შემორჩენილი. თუ ამ მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ საკურთხეველი მაგიდისებური უნდა ყოფილიყო. საკურთხეველიც კირქვის ანატკეცებიან ფენაზე დევს. მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან სვეტის ბაზისი აღმოჩნდა (ტაბ. III; V_2). მისი ფუნქცია გაურკვეველია.

სამლოცველოს ქვაბულის იატაკზე, ჩრდილოეთი კედლის გაყოლებაზე ღარი გამოიკვეთა (წვიმის წყლის ასარიდებელი).

ნაგებობის გარეთ, მის დასავლეთ კედელსა და ქვაბულის დასავლეთ კედელს შორის აღმოჩნდა კლდოვან დედაქანში (თირში) ჩაჭრილი მცირე ზომის ოთხკუთხა (0,6 x 0,3 მ) ორმო (ტაბ. III; VI_{1-3}), ორიენტირებული დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე. ორმო დაფშვნილი თირით იყო ამოვსებული. კიდიდან 0,65-0,85 მ-ის სიღრმეზე (ბაქანი აღმოსავლეთისაკენ დახრილია) ორმოში აღმოჩნდა ბრინჯაოს მცირე ზომის ანთროპომორფული ქანდაკება. ის იდო ღარისებრ კრამიტზე, ზურგზე, თავით დასავლეთისაკენ და ღარისებრი კრამიტითვე იყო გადახურული (ტაბ. VI_{2-3}). ორივე კრამიტს ვიწრო კიდე ჩამოჭრილი აქვს (ალბათ, ორმოს ზომებისათვის მისასადაგებლად). მათი სიგრძე 49 სმ-ა. ღარისებრი კრამიტების ფართო კიდეებს შორის ბრტყელი კრამიტის ნატეხი იდგა ვერტიკალურად (ტაბ. VIII).

ბრინჯაოს ფიგურიან ორმოს ჩრდილოეთის მხრიდან ეკვროდა მეორე, უფრო მცირე ზომის, კვადრატული (0,4 x 0,4 მ) ორმო. ორმოები ერთმანეთისგან თირის ვიწრო (0,12 მ სიგანის) ტიხრით იყო გამიჯნული. მცირე ორმოს პირის კიდიდან 0,25 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ბრტყელი კრამიტის ორი ნატეხი და ძლიერ დაზიანებული ძვლები, რომელთა განსაზღვრა ფრაგმენტულობის გამო ვერ მოხერხდა.

ბრინჯაოს ქანდაკების სიმაღლე 25 სმ-ა. ის შემკული იყო ოქროს სამკაულებით: თავსაბურავით, საკისრე რგოლით და სამაჯურებით; მკერდზე იდო საკიდები, ოდნავ ქვემოთ კი – მინის ორი მძივი (ტაბ. IX_{1-5}) [Chkonia, Katscharava, Lordkipanidze, Kvirkvelia 2007: 141; Kacharava 2004: 225-227; Kacharava, Kvirkvelia 2008: 100-104].

თავსაბურავს ხუთი ვარდულა შეადგენდა (ტაბ. $IX_{1,3}$). ყველა ვარდულა (დმ 1,6 სმ) რვაფოთლიანია; ყოველ მეორე ფოთოლს კიდეები დაკეჭნილი აქვს. ვარდულების ცენტრში ბურცობია, რომლის გარშემო დაკეჭნილი წრეა, ხოლო უკანა მხარის ცენტრში ყუნწია მირჩილული. ის მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული. ვარდულები გამოტვიფრულია. აღსანიშნავია, რომ ვარდულებისგან შედგენილი თავსამკაული აქვს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ რკინის ერთ-ერთ ფიგურას [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ.]. კიდევ მეტი, ვარდულებით შედგენილი თავსამკაული ჰქონდა ვანის № 4 სამარხში დაკრძალულ ბავშვს [ხოშტარია 1959: 234; ჭყონია 1981: 57-58, კატ. № 73, სურ. 88]. ეს სამარხი ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება ინვენტარის საფუძველზე [მათიაშვილი 1977: 108-109; ჭყონია 1981: 57, შენ. 14]. ამჯერად ჩვენთვის ის მომენტია მნიშვნელოვანი, რომ ფიგურას ისეთივე თავსამკაული აქვს, როგორიც ადამიანს. ბრინჯაოს ფიგურის ვარდულები ანალოგიურია ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ციხიაგორას მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ცალებისა [ცქიტიშვილი 2001: 41, სურ. 2]. საქართველოში ვარდულებით შემკული თავსაბურავი უფრო გვიანდელ ხანაშიც არის ცნობილი. კერძოდ, ამგვარი თავსაბურა-

ვი აღმოჩენილია არმაზისხევის № 7 სამარხში (ახ. წ. II საუკუნის მეორე ნახევარი, უფრო მისი დასასრული – იხ. აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე 1955: 92, ტაბ. LXXX_8; სურ. 52_{13-17}); ვარდულები დადასტურებულია კლდეეთის ახ.წ. II საუკუნის სამარხშიც [ლომთათიძე 1957: 41, 180, ტაბ. II_2; XVI_2].

საყურეები შედგება რგოლისა და საკიდისაგან. რგოლი დამზადებულია სადა მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან, ბოლოებგახსნილია. მასზე მოძრავად შებმულია საკიდი, რომელიც სიმინდის ტაროსებური მოყვანილობისაა, წაწვეტებული; წვერზე თითქოს ბურთულა აქვს. საკიდის ყუნწი (დმ – 0,2 სმ) მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცვის შედეგად, თვით საკიდი კი – ორი ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვით (ტაბ. IX_2). რგოლზე თავისუფლად მოძრავსაკიდიანი საყურეები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს-I საუკუნეშია გავრცელებული [ჭყონია 1981: 67-68, კატ. №№ 79-81]. აქამდე ცნობილ ნიმუშებზე სფეროსებური საკიდები არის დადასტურებული.

ქანდაკების საკისრე რგოლი მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან (დმ 0,15 სმ) არის დამზადებული. ის გახსნილია, სამჯერაა დახვეული. რკალის ბოლოები შემსხვილებულია და შემსხვილებამდე მავთული ირგვლივი ღარებით არის შემკული (ტაბ. IX_2). მსგავსი საკისრე რგოლი უკეთია ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მცირე ქანდაკების სხვა ნიმუშებს – კერძოდ, 1947 წელს გამოვლენილ რკინის [Хоштария 1979: 115] და 1981 წელს აღმოჩენილ ბრინჯაოს ქანდაკებებს [კაჭარავა 1983: 33-34]. სამაჯურები საკისრე რგოლის ანალოგიური მოყვანილობისაა და ასევე შემკულია შემსხვილებითა და ღარებით.

როგორც უკვე აღინიშნა, ქანდაკების ყელისა და მკერდის არეში აღმოჩნდა ათი საკიდი (ტაბ. IX_4). ისინი შედგება ღილაკისა და დისკოსაგან. ეს უკანასკნელი ღილაკზე დაგრეხილი მავთულით არის ჩამოკიდებული. დისკო, რომლის დიამეტრი 0,6 სმ-ა, ბრტყელია, სადა; ზედაპირი გაპრიალებული აქვს, კიდე – ზუსტად ჩამოჭრილი. ღილაკი მრგვალია (დმ – 0,5 სმ), კიდეზე ქედი აქვს შემოვლებული, ხოლო შუაგული ამობურცულია. დისკო ღილაკზე შემდეგნაირად არის ჩამოკიდებული — ღილაკის კიდესთან მირჩილულია მავთულის რგოლი, რომელშიც გაყრილია დაგრეხილი მავთული, ორივე ბოლოთი დისკოზე დარჩილული. ღილაკის შიდა ზედაპირზე ცენტრში მირჩილულია მავთულის ყუნწი (ქსოვილზე დასაკერებლად). საკიდის საერთო სიგრძე 1,4 სმ-ა. საკიდების აღმოჩენა იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ქანდაკება ან ქსოვილში იყო გახვეული, ან მას ტანსაცმელი ეცვა.

ამგვარი საკიდებისგან შედგენილი ყელსაბამები ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია №№ 22 და 24 სამარხებში [Kacharava, Kvirkvelia 2008: pl. 39, Checklist 17]. ვანს გარდა, ასეთ საკიდებს პირდაპირი ანალოგია დაბლაგომის მონაპოვარშიც ეძებნება – კერძოდ, დაბლაგომის კრამიტით გადახურულ სამარხში, რომელიც ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით თარიღდება [თოლორდავა 1976: 69, სურ. 96]. ვანში ცნობილია ცალკე ღილაკებისა და ცალკე დისკოსებური საკიდების აღმოჩენის შემთხვევებიც: ასეთი ღილაკები დაფიქსირდა რკინის ფიგურაზე; ზედა ტერასაზე თირში ჩაჭრილ ორმოში; ცნობილია ღილაკების შემთხვევითი აღმოჩენებიც [ჭყონია 1981: 86, 128, კატ. №№ 220-241]. დისკოსებური საკიდები, ოღონდ შებმული მილაკზე, დადასტურებულია გაძარცული № 27 სამარხიდან შემორჩენილ სამკაულსა [Квирквелия 2009: 107] და შემთხვევით აღმოჩენებს შორის [ჭყონია 1981: 118, კატ. №№ 110-113].

ქანდაკების მუხლების არეში აღმოჩნდა მინის ორი სფერული მძივი (ტაბ. IX_5), რომლებზეც ოქროს ფოლგა ყოფილა გადაკრული. ფოლგის მტვერიღა შემორჩა.

ოქროს სამკაულების ანალოგიების საფუძველზე ბრინჯაოს ახლადაღმოჩენილი ქანდაკების დაფლვა ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

I.2. თხრილის სამხრეთ კიდეში დასრულდა № 2 სამლოცველოს გათხრა (ტაბ. II, X-XIII). ეს უკანასკნელი ქვევრსამარხთან ერთად 1986 წელს იქნა გამოვლენილი 193-ე ნაკვეთის i_{3-6}-k_{2-6} და 194-ე ნაკვეთის a_{1-6}-c_{1-6} კვადრატებში [Лордкипанидзе, Путуридзе, Матиашвили, Толордава, Пирцхалава, Чкониа, Квирквелия, Инаури 1991: 73, табл. 177]. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მაშინ მისი ბოლომდე შესწავლა ვერ მოხერხდა. გათხრამ გვიჩვენა, რომ ეს სამლოცველო იმავე ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, როგორიც სამლოცველო № 1 იყო. ისიც გამართულია კლდოვან დედაქანში ჩაჭრილ ბაქანზე, რომელიც კლდოვან დედაქანშივე შვეულად ჩამოჭრილი კედლებით არის შემოსაზღვრული ჩრდილოეთი და დასავლეთი მხრიდან; სამხრეთის კედელი არც იგულისხმება კლდის ბუნებრივი რელიეფის გამო (ტაბ. XIII_1). კლდოვანი კედლები შედარებით დაბალია, მათი სიმაღლე 1 მ-მდე აღწევს მხოლოდ. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებს გასდევს ღარები, რომელთა სიგანე 0,15 მ, სიღრმე კი

0,25 მ-ა. ეს ღარები, ალბათ, ასევე წვიმის წყლის შემკრებ-გადასაღვრელია. 1980-იან წლებში გათხრილი ოთხკუთხა ორმოს გაწმენდამ გამოავლინა, რომ მას უერთდება სამლოცველოს ჩრდილოეთი ღარი (ტაბ. XII-XIII). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორმო საგანგებოდ იყო ამოკვეთილი წვიმის წყლის შესაკრებად. სამლოცველოს ბაქნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან გაიწმინდა არხი, რომელიც სამლოცველოს შემომსაზღვრელ არხს უერთდება (ტაბ. XIII_2). მისი ზედაპირი გაწითლებულია და შევსებულია მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად დახეთქილი რიყის ქვებით. აღსანიშნავია, რომ ბაქანზე, ქვაბულის დასავლეთი კედლის ძირში ამოკვეთილია ღარი, რომლის სიგანე ჩრდილოეთ კიდეში 0,60 მ-დან 1 მ-მდე აღწევს (ტაბ. XIII).

რაც შეეხება საკუთრივ ნაგებობას, ის ძალიან დანგრეულია, კედლების პერანგი შემოძარცულია, მხოლოდ შევსებაა შემორჩენილი. აღმოსავლეთის მხრიდან ნაგებობა ღიაა, ამ მხარეს არ ჩანს კედლის არავითარი კვალი. ბაქნის სამხრეთი და აღმოსავლეთი კიდე მკვეთრად არის დაფერდებული და არხისებურად ჩაჭრილი. ამიტომ საჭირო შეიქნა საგანგებო მომზადება სამლოცველოს სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი კიდის შესამაგრებლად. ეს კიდე დევს სუბსტრუქციაზე (ტაბ. XII, ჭრილი I-I), რის შესახებაც უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

საანგარიშო წლებში, საკურთხევლის სამხრეთი და დასავლეთი კედლების წმენდისას, ნაყარი ქვების აყრის დროს თავი იჩინა კერამიკულმა ნატეხებმა. მასალა ელინისტურ ხანას მიეკუთვნება. ადგილობრივი სამშენებლო კერამიკა ბრტყელი და ღარისებური კრამიტების ნატეხებითაა წარმოდგენილი. მათგან ერთ სოლენზე სწორკუთხა დამღაა შერჩენილი, რომელზეც მხოლოდ სამი ასო იკითხება: HP[A]..., ე.ი. ჰერაკლიდესი. ჰერაკლიდეს დამღიან კრამიტს ერთხანს არაიდენტიფიცირებულთა რიცხვს აკუთვნებდნენ, თუმცა კეცის საფუძველზე მათ კოლხურ წარმომავლობას ვარაუდობდნენ [ახვლედიანი 1999: 28]. ახალმა აღმოჩენებმა დაადასტურა კიდეც ამგვარი ვარაუდის სისწორე [ახვლედიანი 2004: 14-15]. სამეფო დამღების მსგავსად, ჰერაკლიდეს დამღიანი კრამიტები ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრით ან შუახანებით თარიღდება. ადგილობრივ კერამიკულ ჭურჭელში გამოირჩა როგორც შავ-, დაღარულზედაპირიანი და წითელსარჩულიანი, ასევე წითელკეციანი ქვევრების ნატეხები, კოლხური ამფორები. სამზარეულო კერამიკას შეადგენს ბადიის, ცრუყურიანი ქვაბის, კოპისებურთავიანი ხუფის ფრაგმენტები. სუფრის ჭურჭლიდან წითელ- და შავკეციანი თასები და დოქის პირ-ყელი შეგვხვდა. იმპორტი მეტად სუსტად წარმოჩნდა: სინოპური ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის, თეთრანგობიანი და როდოსული ამფორების, შავლაკიანი თასის ფრაგმენტები. აღმოჩნდა აგრეთვე მცირე ზომის უსახო ნატეხები ყავისფერკეციანი და შავლაკიანი ჭურჭლისა. ქვების ნაყარში კერამიკის გარდა ლითონის ნივთებმაც იჩინა თავი. კერძოდ, აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯურების ფრაგმენტები, რომელთაგან ერთი გრეხილრკალიანია, მეორე კი სადა, ოთხკუთხაგანივკვეთიანი ღეროსგანაა დამზადებული. აქვე დაფიქსირდა რკინის შუბისპირი. აღსანიშნავია ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ძირი, მაღალფეხიანი, რომელიც ჰორიზონტალური ქედებითაა შემკული, და ქვის მცირე ზომის ჭურჭლის ნატეხი. ეს ორი ნივთი რიტუალური დანიშნულებისა ჩანს (ტაბ. XIV_{1-11}).

№ 2 სამლოცველოს ჩრდილოეთ კედელთან რიყის ქვების ნაყარში აღმოჩენილი ქოთნის კედლების ფრაგმენტები მიესადაგა სამლოცველოს პლატფორმის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (ნაკვ. 194, კვ. b_2) დაფიქსირებულ კერამიკის გროვაში აღმოჩენილ ნაცრისფერკეციან, კოპების რიგით შემკულ ქოთანს (ტაბ. XIV_{12}). კერამიკის გროვა კოპებიან ქოთანთან ერთად შეიცავდა მოწითალო-ყავისფერკეციანი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტების ნატეხებს. ერთ-ერთი სოლენის კიდეზე თითის ანაბეჭდია შერჩენილი.

II. № 2 სამლოცველოს პლატფორმის სამხრეთით და აღმოსავლეთით მომიჯნავე ტერიტორიაზე (ნაკვ. 193, კვ. h_{7-9}-k_{7-9} და ნაკვ. 194 კვ. a_{7-9}-c_{7-9}-d_{3-9}-e_{3-9}, f_{2-5}-k_{2-5} – ტაბ. XV) მთელს ფართობზე აღებული იყო კორდოვანი და მის ქვეშ მდებარე ნაცრისფერი ჰუმუსნარევი ფენები. კორდოვან ფენაში აღმოჩნდა ელინისტური ხანის მასალა, რომელიც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტების, სინოპური ბრტყელი კრამიტის, შავ-, დაღარულზედაპირიანი ქვევრების კედლების, სხვადასხვა ყავისფერკეციანი ჭურჭლის უსახო ფრაგმენტებით, აგრეთვე თეთრანგობიანი ჩალისფერკეციანი იმპორტული ამფორების კედლების ფრაგმენტებით, ქიოსური ამფორის ერთი და კოლხური ყავისფერკეციანი ამფორის ორი ძირით (ტაბ. XIV_{13-15}).

ნაცრისფერ ფენაში არ აღმოჩენილა დიდი რაოდენობის მასალა. ესაა: კრამიტების, ჭურჭლის კედლების უსახო ფრაგმენტები, მორ-

ტარიუმის ფრაგმენტი, თიხის გაურკვეველი ნივთი. მორტარიუმი, შედარებით იშვიათი რამ ვანის მონაპოვარში, ადგილობრივი წარმოებისაა [კაჭარავა, მჟავანაძე 1986: 11, სურ. 4_1].

აღნიშნული ფენების აღების შედეგად გამოირკვა, რომ №2 სამლოცველოს სამხრეთით და აღმოსავლეთით კლდოვანი დედაქანი ღრმად არის არხისებურად ჩაჭრილი. არხის სიგანე 2 მ-მდე აღწევს, სიღრმე – 2,15 მ-მდე. არხის ძირზე ღარია (სიგანე 0,15 მ). მიკვლეულ იქნა არხის დასასრული: 194-ე ნაკვეთის i_{2-5}-k_{2-5} კვადრატებში ის თანდათან უერთდება კლდოვანი დედაქანის ზედაპირს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამლოცველოს სამხრეთი კედლის გასამაგრებლად და საერთოდ სამლოცველოსთან მისასვლელად საგანგებო სუბსტრუქციის გაკეთება გამხდარა საჭირო. სუბსტრუქცია შედგებოდა რამდენიმე ფენისაგან: 1. ნაცრისფერი (სისქე 0,10 მ), 2. ბათქაშებნარევი (სისქე 0,40 მ), 3. ყვითელი თიხნარი (სისქე 0,20 მ), 4. ბათქაშებნარევი (სისქე 0,10-0,12 მ), 5. ნაშალი თირის (სისქე 0,10 მ) ფენები. არხის ძირზე დაფიქსირდა ვიწრო ღარი, რომელზეც იდო ალიზისა და ნახშირის ნამცეცებიანი ფენა (ტაბ. XI, ჭრილი I-I). აღნიშნული ვითარება ასახულია იმ სტრატიგრაფიულ ჭრილზე, რომელიც გაკეთდა 194-ე ნაკვეთის d_{4-6} ხაზზე: 1. კორდოვანი ფენა (სისქე 0,05 მ); 2. ნაცრისფერი ფენა (სისქე 0,20-0,40 მ), რომელიც მაქსიმალურ სისქეს სამხრეთ კიდეში აღწევს; h_4 კვადრატში ნაცრისფერი ფენის ნაცვლად ნაშალი თირის ფენაა დადასტურებული, რომლის სისქე 0,08 მ-ა; 3. ყვითელი თიხნარი, რომელშიც რიყის ქვებია შერეული (სისქე 0,20-0,25 მ); 4. ბათქაშებნარევი ფენა, რომელშიც ასევე რიყის ქვებია შერეული (სისქე 0,40-0,50 მ); ეს ფენა უკიდურეს სამხრეთ კიდეში არ ვრცელდება; 5. ნაშალი თირის ფენა (სისქე 0,20-0,30 მ); 6. ბათქაშებიანი და ნახშირნარევი ფენა (სისქე 0,10 მ), რომელიც მხოლოდ d_5 კვადრატში იყო გავრცელებული, ღარის ზედაპირზე (ტაბ. XI, ჭრილი II-II). ნაგებობის სამხრეთით არხის შევსება რამდენადმე განსხვავებულია. სტრატიგრაფიული ჭრილი თხრილის სამხრეთ კიდეში ფენათა შემდეგ მონაცვლეობას ადასტურებს: 1. კორდოვანი ფენა (სისქე 0,05 მ); 2. მომდევნო ფენა სხვადასხვაგვარია ჭრილის სხვადასხვა მონაკვეთზე: 193-ე ნაკვეთის i_6 კვადრატში რიყის ქვების გროვაა, რომლითაც ავსებულია ღარი (სისქე 0,30 მ); 193-ე ნაკვეთის k_6 და 194-ე ნაკვეთის a_6 კვადრატებში ნაშალი თირის ფენაა, რომლის მაქსიმალური სისქე 0,25 მ-ა ცენტრალურ ნაწილში, კიდეებისკენ კი თხელდება; 194-ე ნაკვეთის b_6-c_6 კვადრატებში ნაცრისფერი ფენაა (სისქე 0,50-0,20 მ); 3. ალიზნარევი ფენა, რომელშიც შერეულია მცირე ზომის რიყის ქვები; ყრილი განსაკუთრებით ინტენსიურია 194-ე ნაკვეთის a_6-b_6 კვადრატების მიჯნაზე (სისქე 0,40-0,50 მ); 4. ყვითელი თიხნარი, რომელშიც შერეულია ქვაყრილი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ინტენსიურია 193-ე ნაკვეთის k_6 კვადრატში; 5. ნაშალი თირის ფენა, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ 194-ე ნაკვეთის b_6-c_6 კვადრატებში (სისქე 0,20 მ); 6. ნახშირნარევი შრე (სისქე 0,10 მ), რომელიც დევს კლდოვან დედაქანზე. ამ უკანასკნელის ზედაპირი ღარში გაწითლებულია (ტაბ. XI, ჭრილი III-III).

არხი სხვადასხვა მონაკვეთზე სხვადასხვაგვარად იყო შევსებული და ფენათა სისქე არხის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაგვარი იყო (ტაბ. XII, ჭრილები; XVI). ასე მაგალითად, სამლოცველოს სამხრეთით არხი შევსებული იყო ქვაყრილით, რომელსაც ზემოდან ნაცრისფერი ჰუმუსნარევი ფენა ფარავდა. ქვაყრილი რიყის წვრილი ქვებისაგან შედგებოდა, რომლებიც მოწითალო, ბათქაშებნარევ ფენაში იყო არეული (ტაბ. XII, ჭრილი V-V); ოდნავ აღმოსავლეთით, მოწითალო ბათქაშნარევი ქვაყრილი იდო ყვითელ თიხნარზე, რომელშიც უფრო მსხვილი რიყის ქვების ყრილი აღმოჩნდა. მასში ალაგ-ალაგ ხის ნაშთები ჩანდა (ტაბ. XII, ჭრილი IV-IV). ქვაყრილის თავზე მცირეოდენი მასალა აღმოჩნდა: ქვევრების და დერგების, სხვადასხვა ჭურჭლის ყურების და კედლების ფრაგმენტები. თვით ქვაყრილში ადრეანტიკური ხანის კერამიკული მასალა აღმოჩნდა, როგორიცაა ოთხკუთხაგანივკვეთიანი, ბადისებური ორნამენტით შემკული ქვევრის პირის გვირგვინის, ჭდეებიანი ქედებით შემკული ქვევრის მხრის, უნაგირისებურდანაძერწიანი ყურის ფრაგმენტები, ყურმილიანი დოქის ყური, შემკული წიწვოვანი ორნამენტით, ჭურჭლის ყური, შემკული ნაჭდევებით.

194-ე ნაკვეთის d_{3-6}-e_{3-6} კვადრატებში ასევე დადასტურდა ქვაყრილი, რომელიც არ იყო ინტენსიური. მასში ადრეანტიკური ხანის კერამიკული მასალა იყო შერეული – ქვევრების, დერგის, ჯამის, ხუფის და სხვადასხვა ჭურჭლის ყურების ფრაგმენტები (ტაბ. XIV_{16-28}). ქვაყრილი ყვითელ თიხნარზე იდო, რომელიც, თავის მხრივ, ნაშალი თირის ფენაზე იყო დაფენილი.

193-ე ნაკვეთის h_{10}-i_{10} კვადრატებში რიყის ქვების, ბათქაშების, გაწითლებული თირის ქვების ფენაში აღმოჩნდა ადრეანტიკური

ხანის კერამიკული ფრაგმენტები (ქვევრის, დერგების, ქოთნების, ქვაბის, ხუფის, ჯამების, დოქის, ჭიქისებური სასმისის, სხვადასხვა ჭურჭლის ყურების და სხვ.). ფენამ ერთადერთი ქვის ნივთი მოგვცა – სალესი (ტაბ. XIV_{29-40}).

არხი გრძელდებოდა 194-ე ნაკვეთის d_{3-4}-e_{3-6},f_2-g_2 და 176-ე ნაკვეთის f_{10} კვადრატებში. აღსანიშნავია, რომ ნაქალაქარის ზედა ტერასის ამ მონაკვეთის ჩრდილოეთ კიდეში ბათქაშებნარევი თიხნარი გამოიკვეთა. ბათქაშებნარევ თიხნარშიც თავი იჩინა უპირატესად ადრეანტიკური ხანის კერამიკამ, რომელიც წარმოდგენილი იყო ქვევრების პირ-ყელის, მხრებისა და კედლების, ბადიის პირ-კალთის, ხუფის ფრაგმენტებითა და სხვადასხვა ჭურჭლის ყურებით (ტაბ. XIV_{41-46}).

194-ე ნაკვეთის f_2-g_2 და 176-ე ნაკვეთის f_{10}-g_{10} კვადრატებში არხი შევსებული იყო ნაშალი თირისა და ყვითელი თიხნარი ფენებით. ნაშალი თირის ფენა უშუალოდ კლდოვან დედაქანზე იდო (ტაბ. XII, ჭრილები II-II და III-III). ის შეიცავდა ადრეანტიკური ხანის მასალას: ქვევრების სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინებს, რომლებიც სხვადასხვაგვარად არის შემკული (წერტილების რიგებით, ტალღისებური და ჯვრისებური სახეებით, მხოლოდ ჯვრისებური სახეებით); ქვევრების კედლების ფრაგმენტებს, ასევე სხვადასხვაგვარად შემკულს (ქედებითა და ღარებით, ქედებით და თარაზული ღარებით, ქედებით, კოპითა და დაშტრიხული სამკუთხედით), ქოთნების, ირიბკალთიანი და ბრტყელძირა ჯამის ფრაგმენტებს, სხვადასხვა ჭურჭლის ყურებს (ტაბ. XVII, 1-13). ერთი ქვევრის პირის გვირგვინი თავისებურია – შესქელებული პირის კიდე ჩამოშვებულია და გამობერილი პროფილი აქვს. მას ანალოგია არ ეძებნება ვანის ადრეანტიკური ხანის ნიმუშებს შორის. ნაშალი თირის ფენაზე მდებარე ყვითელი თიხნარი მეტად მცირე რაოდენობის უსახო მასალას შეიცავდა.

ზემოთ განხილული არხი გაგრძელებაა 1970-იან წლებში ნაქალაქარის I უბანზე გამოვლენილი არხისა, რომელიც ხის ტაძარ-სამლოცველოს სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთიდან უვლიდა. არხი მთლიანად იყო ამოვსებული თიხაში შერეული რიყის ქვებით. ქვაყრილი ხის ძელებით იყო გამაგრებული და თიხით გადალესილი. შეიმჩნეოდა ძლიერი ცეცხლის კვალი: რიყის ქვები დახეთქილი იყო, ხოლო თირის ზედაპირი – გაწითლებული. თირის ზედაპირის სიწითლე მიჩნეულ იქნა იმის მოწმობად, რომ არხის რიყის ქვებითა და თიხით ამოვსებამდე თირის ზედაპირი გაშიშვლებული იყო და ზედ ხის ნაწილები იწვოდა. ქვაყრილში ადრეანტიკური ხანის კერამიკის თითო-ოროლა ფრაგმენტი აღმოჩნდა: ქვევრის ისრისპირისებურგანივკვეთიანი პირის გვირგვინის, ქედებით შემკული ქვევრის კედლებისა და სასმისის [კაჭარავა, ლორთქიფანიძე, ფუთურიძე, ყიფიანი 1979: 32-33, 98, კატ. №№ 726-729, სურ. 152-153].

ყვითელი თიხნარი ფენა და მის ქვეშ მდებარე ნაშალი თირის ფენა სცილდება არხის ფარგლებს. ამ ორი ფენის მეშვეობით ნიველირებულია სამლოცველოს მიმდებარე ტერიტორია აღმოსავლეთითა და სამხრეთით (ტაბ. XVI). ყვითელი თიხნარი ფენა მცირე რაოდენობით შეიცავდა მასალას: ადრეანტიკური ხანის ქვევრების სამკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინების, ბრტყელძირა და ირიბკალთიანი ჯამის, ბადიის პირ-კალთის ფრაგმენტებს. ფენაში უჩვეულოდ ფართოპირიანი (დმ 12 სმ) ყავისფერკეციანი ამფორის პირ-ყელი აღმოჩნდა. აღსანიშნავია მცირე ზომის ბირთვიც ამ ფენიდან (ტაბ XVII_{14-16}).

თირზე მდებარე ნაშალი თირის ფენაც ძირითადად ადრეანტიკური ხანის მასალას შეიცავდა (ქვევრის პირ-ყელისა და ორნამენტირებული კედლების, დერგების და ქოთნების პირ-ყელის, ცილინდრულტანიანი სასმისის, სხვადასხვა ჭურჭლის ორნამენტირებული კედლების ფრაგმენტები). აღსანიშნავია ქვევრის კედლის ფრაგმენტისგან გამოთლილი დისკო. ნაშალი თირის ფენაში წარმოდგენილი იყო უნაგირისებურდანაძერწიანი და ქედისებურდანაძერწიანი ყურებიც. ამავე დროს ფენაში დადასტურდა ელინისტური ხანის მასალა: გარეთ ფართოდ გადაშლილპირიანი ქვაბის და სათევზე ლანგრის ფრაგმენტები. აქვე მცირე რაოდენობის იმპორტია აღმოჩენილი – ამფორების პირ-ყელის და ოვებითა და პალმეტებით შემკული შავლაკიანი ჯამის ფრაგმენტი. ამ უკანასკნელზე გრაფიტოების ნაწილებია შერჩენილი. აქვე აღმოჩნდა მცირე ზომის რიყის ქვები. შესაძლოა, ისინი შურდულის ქვებად იყო გამოყენებული. აღსანიშნავია თიხის ქანდაკების ფრაგმენტი (ტაბ. XVII_{17-33}).

თირზე მდებარე ნაშალი თირის ფენამ ოქროს ორი ნივთი მოგვცა. ერთი მათგანი სამკუთხა მოყვანილობის ფირფიტას წარმოადგენს, რომელსაც უკანა მხარეზე სამი ყუნწი აქვს ქსოვილზე დასაკერებლად (ტაბ. IX_7). მეორე ნივთი (ტაბ. IX_8) საკიდია: დისკოსებური ფირფიტა, რომელზეც შერჩენილია ყუნწი. ასეთი ნივთების თაობაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი.

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში

(ნაკვეთი 212, კვ. h_{7-9}-k_{7-9}) ყვითელი თიხნარის ქვეშ იდო მოშავო-ნაცრისფერი ფენა, რომელიც მრავლად შეიცავდა ადრეანტიკური ხანის კერამიკას: ქვევრების, დერგების, ქოთნების, სასმისების, ჯამების, სხვადასხვა ჭურჭლის ორნამენტირებული და სადა ყურების ფრაგმენტებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წინარეანტიკური ხანის ე.წ. უთოსებური მოყვანილობის ყური, რომელიც შემკულია სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი ხაზებით. ფენაში ერთი სალესი ქვა აღმოჩნდა (ტაბ XVII_{34-41}; XVIII_{1-21}).

176-ე ნაკვეთის d_9-e_9 კვადრატებში გაითხარა თირზე მდებარე მკვრივი (ნახანძრალი?) ფენა, რომელმაც მოგვცა ელინისტური ხანის მასალა: კოლხური და როდოსული ამფორების ძირები, იმპორტული სანელსაცხებლის, ტყვიის გაურკვეველი ნივთისა და ბრინჯაოს მრგვალღეროიანი, კონუსურთავიანი ქინძისთავის ფრაგმენტები (ტაბ. XXVIII_{22}).

194-ე ნაკვეთის a_{10}-b_{10} კვადრატებში გაითხარა თირის ქვებნარევი და ბათქაშებნარევი ფენა, რომელიც შეიცავდა სამზარეულო და სუფრის კერამიკას: სხვადასხვა ჭურჭლის კედლებისა და ყურების ფრაგმენტებს, რომლებიც სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი სახეებით, წნეხვით შესრულებული პრიალა ზოლებით და დაძერწილი ქედებით არის შემკული, რაც ესოდენ დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკისათვის [ლორთქიფანიძე, გიგოლაშვილი, კაჭარავა, ლიჩელი, ფირცხალავა, ჭყონია 1981: 53-54]. ფენაში აღმოჩნდა აგრეთვე ადრეანტიკური ხანის ირიბკალთიანი ბრტყელძირა ჯამის, დაბალყელიანი ქოთნის და სხვა კერამიკული ფრაგმენტები. აქვე დადასტურდა რიყის ქვისგან დამზადებული სალესი.

ნაქალაქარის ზედა ტერასის ამ მონაკვეთზე კიდევ რამდენიმე ოქროს ნივთი აღმოჩნდა. კერძოდ, ერთ-ერთი უღლის მონგრევისას გამოვლინდა ბიკონუსური მოყვანილობის მძივი (ტაბ. IX_9) და ღილაკი (ტაბ. IX_{10}). მრგვალი, ამობურცული შუაგულის ირგვლივ ქედით შემოვლებული ღილაკები განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე; ცნობილია ისინი ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრის კომპლექსებიდან [ჭყონია 1981: 86, კატ. №№ 220-241, სურ. 64].

№ 2 სამლოცველოს ჩრდილოეთით მდებარე მონაკვეთზე კორდოვანი ფენა უშუალოდ დედაქანზე იდო, რომელიც დახრილია აღმოსავლეთისაკენ. თირის ზედაპირის გაწმენდამ გამოავლინა მცირე ზომის ორმოები და ჩაღრმავებები (ტაბ. XIX-XX). მათი ფუნქცია და ურთიერთდამოკიდებულება გაურკვეველია.

IV. თხრილის იმ ფართობზე, რომელიც №№ 1 და 2 სამლოცველოებს შორის მდებარეობს (ნაკვ. 175, კვ. i_{7-10}-k_{4-10} და ნაკვ. 176, კვ. a_{5-10}-e_{5-10} – ტაბ. II), მიწის საფარი შედარებით თხელი აღმოჩნდა. აქ ფენათა შემდეგი მონაცვლეობა დადასტურდა: 1. ჰუმუსური ფენა (სისქე 0,05-0,10 მ), 2. ნაცრისფერი ფენა, რომელიც შეიცავდა კრამიტების წვრილ ნატეხებს (სისქე 0,15 მ), 3. შავი ფენა (სისქე 0,40 მ), 4. კლდოვანი დედაქანი. თხრილის ამ მონაკვეთის დასავლეთ ნაწილში კრამიტების შემცველ ნაცრისფერ და თირზე მდებარე შავ ფენებს შორის ნაშალი თირის 0,30 მ სისქის ფენა იდო (სტრატიგრაფიული ჭრილები იხ. ტაბ. XXI).

თხრილის ამ მონაკვეთზე თირზე მდებარე შავმა ფენამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა მოგვცა, რომელშიც, ისევე როგორც ნაქალაქარზე გამოვლენილ ყველა სხვა ფენაში, ადგილობრივი ნაწარმი სჭარბობს: ბრტყელი და ღარისებრი კრამიტების, შავ-, დაღარულზედაპირიანი, წითელსარჩულიანი, გადანატეხში ნაცრისფერკეციანი ქვევრების, წითელკეციანი, დაღარულზედაპირიანი ქვევრების, ყავისფერკეციანი ამფორების, ცრუყურიანი ქვაბის, ლანგრების, დერგის, ქვაბის, კეცისებური ჭურჭლის, სხვადასხვა ჭურჭლის კედლების უსახო ფრაგმენტები. ბრტყელი კრამიტის ერთ ნატეხზე ნიშანია, ორზე კი – თითების ანაბეჭდია შემორჩენილი. იმპორტული კრამიტები მხოლოდ სინოპური წარმოების კალიპტერებით და სოლენებით არის წარმოდგენილი. ამფორებიდან უპირატესად ჩალისფერკეციანი, თეთრანგობიანი ამფორების ფრაგმენტები შეგვხვდა. არის მოვარდისფროკეციანი ამფორის პირისა და კედლების ფრაგმენტები. შემოტანილი სუფრის ჭურჭელი მცირე რაოდენობით აღმოჩნდა: წითელლაკიანი ლანგრის ძირი, შავლაკიანი ჭურჭლის, სანელსაცხებლეების ფრაგმენტები. წითელლაკიან ძირზე გრაფიტოა. ეს მასალა ზოგადად გვიანელინისტურ ხანას განეკუთვნება (ტაბ. XVIII_{23-33}).

შავი ფენის აღების შემდეგ დედაქანი პრეპარირებულ იქნა (ტაბ. XXI). კლდოვანი დედაქანი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დახრილი. 176-ე ნაკვეთის a_{9-10}-b_{9-10} კვადრატებში გაიწმინდა თირში ამოკვეთილი დიდი ზომის, ოვალური მოყვანილობის (2,20 x 1,60 მ) ორმო. მასში შუა საუკუნეების ქვევრი აღმოჩნდა, რომელიც კირხსნარის ფენითაა შემოლესილი. ქვევრი თიხის ჭურჭლის ძირში იყო ჩადგმული; სივრცე ორმოს კედლებსა

და დუღაბს შორის ქვევრების და კრამიტის (?) ფრაგმენტებით იყო შევსებული. როგორც ჩანს, ადრეული ორმო ქვევრის ჩასადგმელად გამოუყენებიათ შუა საუკუნეებში. ქვევრიანი ორმოს ჩრდილო-დასავლეთით დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული, კლდეში ამოკვეთილი ორმო აღმოჩნდა (სიგრძე 0,40 მ, სიგანე – 0,90 მ). ამ ორმოდან ორი ღარი გამოდის. დასავლეთი ღარი 0,13-0,15 მ სიღრმისაა. მისი დასავლეთი კიდე თხრილის დასავლეთ კედელში შედის. მეორე ღარი აღმოსავლეთისაკენ მიემართება (სიგრძე 1,20 მ) და ქვევრიან ორმოს უერთდება. ქვევრიანი ორმოს ჩრდილოეთით თირში ამოჭრილი ღარი გაიწმინდა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართება. ის არ არის ღრმა (სიღრმე საშუალოდ 0,10 მ), მაგრამ ფართოა (სიგანე დასავლეთ კიდეში 2 მ-მდეა, აღმოსავლეთში – 1,40 მ). მოგვიანებით ღარში (175-ე ნაკვეთის კვ. k_8 და 176-ე ნაკვეთის კვ. a_8-c_8) ბუდეები ამოუკვეთიათ (კედლისათვის?). სულ ათი ბუდეა. მათი საშუალო სიგანე 0,30 მ-ა, მაქსიმალური სიგრძე 0,40 მ. გარდა ამისა, კლდოვანი დედაქანის გაწმენდამ ამ მონაკვეთზე გამოავლინა ფოსოები და ღარები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება ძნელი დასადგენია. 175-ე ნაკვეთის კვ. i_7-ში გამოიკვეთა კვადრატული ორმო (1,20 x 1,20 მ), რომლის სიღრმე 0,20 მ-ა, ხოლო 176-ე ნაკვეთის კვ. c_7-ში – მომრგვალებული (დმ 0,50 მ) ორმო. ამ უკანასკნელის სიღრმე აღმოსავლეთისაკენ კლებულობს (0,50-დან 0,05 მ-მდე). 175-ე ნაკვეთის k_{5-6} და 176-ე ნაკვეთის a_{5-6} კვადრატებში გაიწმინდა აგრეთვე ნაგებობის ნაშთი, ბუდეების სახით. ბუდეების საერთო სიგრძე 6,20 მ-ა.

ამრიგად, 2002-2005 წლებში ნაქალაქარის ზედა ტერასაზე გაითხარა ორი ერთგვაროვანი ნაგებობა: კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ, აღმოსავლეთისაკენ ღია ქვაბულში ჩადგმული, ქვის ცოკოლიანი, აღმოსავლეთისაკენ ღია, გადაუხურავი, აღჭურვილი წვიმის წყლის საწრეტი სისტემით. მათ საკულტო ხასიათზე მეტყველებს არა მარტო ის ფაქტი, რომ ეს მცირე ზომის, გადაუხურავი და ერთ მხარეს ღია ნაგებობები სრულიად გამოუსადეგარია საცხოვრებლად თუ რაიმეს შესანახად, არამედ ერთ შემთხვევაში (N 1) სამსხვერპლო მაგიდის არსებობა ნაგებობაში, მეორეში (№2) კი – სამარხის გამართვა ნაგებობის ბაქანზე. ეს სამლოცველოები ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს N№3 და 4 სამლოცველოებთან, რომლებიც ახლად შესწავლილებისაგან აღმოსავლეთით 20-30 მეტრის დაცილებით გაითხარა ზედა ტერასაზე (ტაბ. XXII_1).

№ 3 სამლოცველო 1981-1982 წლებში გაითხარა (195-ე ნაკვეთი, კვ. g_{10}-h_{7-10}-i_{6-8}-k_6). ის ასევე ღიაა აღმოსავლეთისაკენ, გადაუხურავი, ვიწრო და წაგრძელებული სამხრეთ-ჩრდილო ღერძზე. შემორჩენილია ქვის ცოკოლი (სიმაღლე 0.70 მ), შედგენილი ქვიშაქვის გათლილი ბლოკების სამი რიგისაგან. წყობა მშრალია, პერანგული; პერანგებს შორის სივრცე შევსებულია ფლეთილი ქვებით (ქვიშაქვა, კირქვა). როგორც ჩანს, ქვის ცოკოლზე გამოუმწვარი თიხის კედელი იყო ამოყვანილი, რაზეც მიუთითებს ცოკოლზე შემორჩენილია თიხის ფენა. ნაგებობის დასავლეთი კედლის სიგრძე 11 მ-ა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის – 3.60 მ; კედლების სიგანე 1.80 მ-ა. სამხრეთი და დასავლეთი კედლების გაყოლებაზე დაფიქსირდა ქვიშაქვის ფლეთილი ქვების ყრილი (სიგანე – 1 მმ, სისქე – 0.30 მ), რომელიც მჭიდროდ ეკვროდა კედლებს და მასთან იყო უდავოდ დაკავშირებული – ე.წ. ზეძირკველი. როგორც ჩანს, ასეთი ყრილი ჩრდილოეთ კედელს მიუყვებოდა. მისგან მხოლოდ ცალკეული ქვებია შემორჩენილი (ტაბ. XXII, 1; XXIII) [Лордкипанидзе, Путуридзе, Личели, Ахведиани, Матиашвили, Чкония, Пирцхалава, Качарава, Толордава 1985: 48-49, ტაბ. LXXIV]. თავის დროზე სამლოცველოს კედლების გაყოლებაზე არსებული ქვაყრილის ფუნქცია გაურკვეველი იყო. სანიაღვრე სისტემით აღჭურვილი ნაგებობების ახალმა აღმოჩენებმა ყრილის ახსნის საფუძველი მოგვცა. საქმე ისაა, რომ სამლოცველო ჩადგმულია ქვაბულში, ნახევაროვალის ფორმის კლდეში ამოკვეთილ მოედანზე, რომელიც სამი მხრიდან კლდის კედლებითაა შემოზღუდული; ქვაბულის იატაკი მოსწორებულია, მაგრამ დაქანებულია კედლებისაკენ. ეს ხელს უწყობდა წვიმის წყლის დაწრეტას ქვაბულის კედლებისაკენ, მაგრამ ქმნიდა ნაგებობის კედლის დაშლის საშიშროებას. სწორედ ამის თავიდან აცილებას ემსახურებოდა ზეძირკველი.

N 4 სამლოცველო ყველაზე კარგადაა შემორჩენილი (ტაბ. XX, 2): მისი კედლების ცოკოლი (სიმაღლე 0.20-0.25 სმ) რუსტირებული ქვიშაქვის ბლოკების ერთი რიგისგანაა შედგენილი, რომელზეც 0.60-0.70 სმ სიმაღლის გამოუმწვარი თიხის კედელია ამოყვანილი. კედელი დაუზიანებლად ჩანს შემორჩენილი. სამლოცველო წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე და შედარებით დიდი ზომისაა (3.95x6.20 მ). ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მონგრეულია, თუმ-

ცა უეჭველია, რომ შესასვლელი სწორედ ამ მხრიდან იყო (ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მისი არსებობა გამორიცხულია, რადგან აქ ნაგებობა მჭიდროდ ეკვრის ქვაბულის კედელს). შესაძლოა, იატაკი თიხით იყო მოლესილი. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა თიხის შელესილობის ფრაგმენტი, დაფიქსირებული ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში. ნაგებობას სამი მხრიდან ღარი უვლის (სიგანე – 0.30 სმ, სიღრმე – 0.15 სმ), რომლის ერთი კიდე ორმოს უერთდება. ნაგებობა არ იყო გადახურული. მის სამლოცველოდ განსაზღვრას ხელს უწყობს მასში ვერცხლის ფიალის[2], ბრინჯაოს თიმიატერიონის[3] და ბრინჯაოსა და რკინის ფიგურების[4] აღმოჩენის ფაქტები [Лордкипанидзе, Путуридзе, Матиашвили, Чкония, Пирцхалава, Качарава 1984: 53, ტაბ. LXX-LXXI].

გარდა არქიტექტურულ-კონსტრუქციული მსგავსებისა, ამ სამლოცველოებს ისიც აახლოვებს, რომ ოთხივე უკავშირდება სამარხების ჯგუფს. კერძოდ, № 4 სამლოცველოს უნდა უკავშირდებოდეს №№ 20-24, 26 და 28 სამარხები, ხოლო № 3-ს – სამარხები № 16 და 17. მართალია, სამარხების ასეთი გადანაწილება პირობითია, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე სამლოცველო სამარხებთანაა გამართული. რაც შეეხება № 2 სამლოცველოს, მას უკავშირდება ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ქვევრსამარხი, გამართული ზედ ბაქანზე კლდოვანი ქვაბულის და ნაგებობის ჩრდილოეთ კედლებს შორის [Лордкипанидзе, Путуридзе, Матиашвили, Толордава, Пирцхалава, Чкониа, Квирквелия, Инаури 1991: 73-74, ტაბ. 177-178]. მასთან უნდა იყოს დაკავშირებული აგრეთვე სამარხები №№ 12-14. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ცენტრალური ტერასის ჩრდილოაღმოსავლეთ მონაკვეთზე 2002-2005 წლებში გამოვლენილი ნაგებობა, რომლის საკულტო ხასიათზე მიუთითებს მასში საკურთხევლისა და სამსხვერპლო ორმოს არსებობა. ამ შემთხვევაშიც დასტურდება სამლოცველოს კავშირი სამარხებთან – ერთი სამარხი (№ 25) მისგან თითქმის 1 მ დაცილებით გამოვლინდა, მეორე (№ 27) კი – შიგ სამლოცველოშია გამართული. თავად სამლოცველო ტიპოლოგიურად განსხვავებულია ზემოთ განხილულთაგან: არ არის ღია აღმოსავლეთისკენ [Квирквелия 2009: 107-108, სურ. 1-2]. სამლოცველოსა და სამარხებისგან შედგენილი საკულტო კომპლექსი ცენტრალურ ტერასაზე სხვაგანაც აღინიშნება. კერძოდ, ასეთად წარმოგვიდგება აღმოსავლეთისკენ ღია ნაგებობა, რომელიც წინ უსწრებდა მრგვალი ტაძრის აგებას. მას შეიძლება დავუკავშიროთ სამარხები №№ 9-10, 15 და 19).

№ 1 და 4 სამლოცველოებს კიდევ ერთი საერთო ნიშანი აქვს, კერძოდ, მცირე ზომის ანთროპომორფული ფიგურების რიტუალური დაკრძალვა [Kacharava, Kvirkvelia 2008: 97-111]. № 1 სამლოცველოს მის ბაქანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიგურის გარდა უნდა უკავშირდებოდეს მისგან ორიოდე მეტრის დაცილებით ორმოში (0,50x0,30x0,25 მ) ორ ღარისებურ კრამიტს შორის დაკრძალული რკინის ითიფალური ფიგურა, 30 სმ სიმაღლისა. ორმო ორ სამარხს (№№ 2 და 3-ს) შორის, № 4 სამარხის სიახლოვეს იყო კლდეში ამოკვეთილი. ეს ფიგურა რკინისაა, შემკულია ოქროს საკისრე რგოლით, საყურეებით და ღილაკებით [Хоштариа 1979: 115-116; Kacharava, Kvirkvelia 2008: 97, fig. 3]. გამთხრელმა ნ. ხოშტარიამ გამოვლენილი ორმო ფიგურიანად სამარხად მიიჩნია (სამარხი № 1) [ხოშტარია 1972: 88; Хоштария 1979: 115-116]. შემდეგ გამოითქვა სხვა მოსაზრებებიც: გ. ლორთქიფანიძემ ის გარდაცვლილი ღვთაების დატირების მისტერიებს დაუკავშირა [Лордкипанидзе Г. 1970: 123]. გ. ჯავახიშვილი ვანის ამ ქანდაკებას მიიჩნევს ნაყოფიერების ღვთაების საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ ტიპურ სახედ, რომელსაც ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბრინჯაოს ფალიკურ ფიგურებთან აკავშირებს მთელი ტანით გამოსახვა, პოზა (გამართული, ოდნავ განზე გადგმული და მუხლებში მცირედ მოხრილი ფეხებით და ფართო მხრებზე გამობმული მკლავებით, რომლებიც იდაყვებში მოხრილია და წინ გამოწვდილი), აგრეთვე ფრონტალურობა (ტორსის, თავის, კიდურების) [ჯავახიშვილი 1984: 80]. ამას შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი მომენტი – პროპორციების დარღვევა. ყველა ჩამოთვლილი ფიგურა საგანგებო რიტუალისთვის არის დამზადებული – ფეხზე ვერცერთი ვერ ჩერდება.

№ 4 სამლოცველოს ოთხი ფიგურა უკავშირდება, რომელთაგან ორი რკინისაა, ორიც – ბრინჯაოსი. რკინის ფიგურები ზემოთ აღწერილი რიტუალის დაცვით იყო დაკრძალული: მათთვის სამარხი ორმო (0,45 x 0,30 მ) იყო ამოკვეთილი კლდოვან დედაქანში სამლოცველოს კუთხესთან და ისინი ორ ღარისებურ კრამიტს შორის იყო ერთად დასვენებუ-

2 ინახება ს. ჯანაშიას მუზეუმში (ინვ. № 49-81/42).

3 ინახება ოთარ ლორთქიფანიძის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში (ინვ. № 07-1:81:195).

4 ინახება ს. ჯანაშიას მუზეუმში (ინვ. № 1-2007:1, 2, 3).

ლი. ორივე შემკული იყო ოქროს სამკაულებით. ერთ მათგანს მხოლოდ ყელსაბამი ჰქონდა, მეორეს კი ამკობდა ვარდულებისგან შედგენილი თავსამკაული, საყურეები, საკისრე რგოლი და სამაჯურები [Kacharava, Kvirkvelia 2008: 104, figs. 5-7]. რაც შეეხება ბრინჯაოს ფიგურებს, ისინი ერთად არ იყვნენ მოთავსებულები. ერთი მათგანი აღმოჩნდა ნაგებობის შიგნით მისთვის კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოთლილ არაღრმა ფოსოში, მეორე კი – ნაგებობის გარეთ, უფრო ადრეულ არხში. ორივე ფიგურა პირქვე იყო დამხობილი; ორივე შემკული იყო საყურეებით, საკისრე რგოლითა და სამაჯურებით. ერთ მათგანში ქალი იოლად ამოიცნობა; მეორეს ჩამოთვლილ სამკაულებს გარდა ოქრომკედით გამოყვანილი თავსამკაული ჰქონდა – სუროს რტოს გვირგვინი [კაჭარავა 1983: 33-34; Kacharava, Kvirkvelia 2008: 104, figs. 8-10, 12]. ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ვარაუდით, ბრინჯაოს ეს ფიგურები, შესაძლოა, ქურუმთა გამოსახულებები იყო [ლორთქიფანიძე 2002: 212]. ნ. მათიაშვილიც ვანის ლითონის მცირე ფიგურებს ქურუმთა გამოსახულებებად განსაზღვრავს, ხოლო რიტუალში ქურუმთა მსხვერპლშეწირვას ხედავს [მათიაშვილი 2005: 37-38].

დაბოლოს, ბრინჯაოს მცირე ქანდაკება აღმოჩნდა ცენტრალური ტერასის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილში გათხრილ საკულტო ნაგებობაში. ფიგურა მოთავსებული იყო საკურთხეველთან კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ არაღრმა ფოსოში (0,30x0,26 მ). ის ასევე შემკული იყო ოქროს საკისრე რგოლითა და სამაჯურებით, იდო პირაღმა, თავით აღმოსავლეთით [კვირკველია 2005: 187-188; Kacharava, Kvirkvelia 2008: 105-107, figs. 1 და 11]. აქამდე განხილული ფიგურებისაგან განსხვავებით, რომლებიც ადგილობრივი ნახელავია, ამჯერად საქმე გვაქვს ბერძნული ქანდაკების ნიმუშთან. ზურგზე შემორჩენილი კუდის კვალი და წაწვეტებული ყურები მისი სატირად განსაზღვრის საფუძველს იძლევა [კვირკველია 2005: 187-188]. სატირის ფიგურაც შემკულია ოქროს საკისრე რგოლითა და სამაჯურებით. იქვე აღმოჩენილი აპლიკაციები მოწმობს, რომ ის შემოსილი ან გახვეული იყო რაღაც ქსოვილში, სხვა ფიგურების მსგავსად. გამონაშვერები სატირის ტერფებზე კი იმის მანიშნებლადაა მიჩნეული, რომ ის თავის დროზე სადგარზე იდგა. ამრიგად ამ ფიგურას თავდაპირველად დეკორატიული ფუნქცია ჰქონდა. ეს ბერძნული ქანდაკება ხელმეორედ იყო გამოყენებული მას შემდეგ, რაც მას მოაცილეს მისი ატრიბუტები (?), მოატეხეს კუდი და ატრიბუტები, მორთეს ადგილობრივი ოქროს სამკაულებით [ლორთქიფანიძე ნ. 2011: 53-68] და გამოიყენეს იმავე რიტუალში, რომელთანაც არის დაკავშირებული დანარჩენი ფიგურები. ეს უკანასკნელები, სატირის ფიგურისაგან განსხვავებით, საგანგებოდ ამ რიტუალისთვის არის დამზადებული – ფეხზე ვერც ერთი ვერ ჩერდება. რიტუალი კი, როგორც ჩანს, მიცვალებულის კულტს უნდა უკავშირდებოდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ფიგურების აღმოჩენის პირობები: ყველა აღმოჩენილია ან საკუთრივ სამლოცველოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე; ხოლო თვით სამლოცველოები ნაწილია ერთიანი კომპლექსისა, რომელშიც სამარხებიც შედის; ერთ შემთხვევაში სამარხი შიგ სამლოცველოშია გამართული, ერთშიც – სამლოცველოს ბაქანზე; რკინის პირველი ფიგურა სამარხების გარემოცვაშია აღმოჩენილი სამლოცველოს სიახლოვეს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამგვარი რიტუალი – ლითონის ფიგურების საგანგებოდ დაკრძალვა – არაა დადასტურებული ანტიკური ხანის ძეგლებზე არმცთუ ჩვენში, არამედ მთელს შავიზღვისპირეთში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში რამდენიმე საუკუნით ადრე – ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების სამაროვნებზე ხდებოდა მიცვალებულთათვის მცირე ზომის ქანდაკებების ჩატანება, მათ შორის ანთროპომორფულის [Микеладзе 1990: 63-66].

D. Kacharava, S. Kharabadze

EXCAVATIONS OF SANCTUARIES №1 AND №2 OF THE VANI SITE (2002 AND 2003)

Summary

In 2002-2005 excavations at the Vani site were grant-supported by the Gerda Henkel Foundation (Germany). One of the studied areas was located on the upper terrace. Here the researches of two constructions were finished. Both constructions were erected on rock-cut platforms, surrounded on three sides by walls cut into the same rocky ground, while the fourth side, the east, was left open. On the grounds of architectural peculiarities (U-shaped, open to the east, unroofed) these constructions were defined as sanctuaries; in addition, an altar or sacrificial table was evidenced inside of one of the constructions (sanctuary #1), while a grave was revealed on the platform of sanctuary #2. Both constructions were furnished with the drainage system in the shape of narrow canals.

Sanctuary #1 was better preserved. It was built of rusticated sandstone ashlars. Above the two courses of masonry occasional layers of clay were revealed, suggesting that either clay walls were erected on top of the stone foundations or the upper surface of the uppermost masonry course was coated with clay plaster.

On the platform, outside the sanctuary proper, a small pit was uncovered, in which a bronze figurine was placed on a cover-tile, covered by yet another one. The figurine was 25 cm high. It was adorned with a headdress comprised of five rosettes, a torque, ten pendants, pairs of bracelets and earrings, and two glass beads, covered with a gold foil. On the grounds of jewellery parallels the figurine should be dated to the first half of the 3rd century BC.

The area between the sanctuaries contained habitation layers of pre-Hellenistic and Hellenistic periods, densely packed with various materials, mostly local pottery shards.

ლიტერატურა

აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით. – მცხეთა, I, თბილისი.

ახვლედიანი დ. 1999: კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან, თბილისი.

ახვლედიანი დ. 2004: კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ.წ. V-II სს-ში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

თოლორდავა ვ. 1976: მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. – ვანი, II. თბილისი, 68-78.

კაჭარავა დ. 1983: ბრინჯაოს ქანდაკებები ვანიდან. – ძეგლის მეგობარი, 63, 33-34.

კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ო., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ. 1979: არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე. – ვანი, IV. თბილისი, 7-37.

კაჭარავა დ., მჟავანაძე ზ. 1986: ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – ვანი, VIII. თბილისი, 9-33.

კვირკველია გ. 2005: ბრინჯაოს ახალი ქანდაკება ვანიდან. – იბერია-კოლხეთი, 2, 187-188.

ლომთათიძე გ. 1957: კლდეეთის სამაროვანი. თბილისი.

ლორთქიფანიძე ნ. 2011: სატირის დაკრძალული ქანდაკება ვანიდან. – სსმმ, II (47-B), 53-68.

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1999: ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1999 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაბეჭდი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში).

ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, დათარიღება, კატალოგი) = ვანი V, თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1981: ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1981 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაბეჭდი

ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში).

ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1998: ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1998 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაბეჭდი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში).

ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 2001: ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 2001 წლის მუშაობის ანგარიში.

მათიაშვილი ნ. 1977: ლითონის ჭურჭელი. – ვანი, III, 101-114.

მათიაშვილი ნ. 2005: ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბილისი.

ცქიტიშვილი გ. 2001: მდიდრული სამარხი ციხიაგორის სამაროვნიდან. – ძიებანი, 7, 41-46.

ჭყონია ა. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. – ვანი, VI, თბილისი.

ხოშტარია ნ. 1959: ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, 223-251.

ხოშტარია ნ. 1972: ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. – ვანი, I. თბილისი, 81-95.

ჯავახიშვილი გ. 1984: ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში. თბილისი.

Квирквелия Г. 2009: Новый эллинистический храм из Вани. – Международные отношения в бассейне Черного моря в скифо-античное и хазарское время. Ростов-на-Дону, 107-114.

Лордкипанидзе Г. А. 1970**:** К истории древней Колхиды. Тбилиси.

Лордкипанидзе О.Д., Путуридзе Р.В., Матиашвили Н.Н., Чкония А.М., Пирцхалава М.С., Качарава Д.Д. 1984: Ванская археологическая экспедиция. – ПАИ, 1981. Тбилиси, 50-53, табл. LXV- LXXI.

Лордкиранидзе О.Д., Путуридзе Р.В., Личели В.Т., Ахвледиани Д.В., Матиашвили Н.Н., Чкония А.М., Пирцхалава М.С., Качарава Д.Д., Толордава В.А. 1985: Работы Ванской археологической экспедиции. – ПАИ, 1982. Тбилиси, 46-49, табл. 70-74.

Лордкипанидзе О.Д., Путуридзе **Р.В.,** Матиашвили **Н.Н.,** Толордава **В.А., Пирцхалава М.С.,** Чкониа **А.М.,** Квирквелия **Г.Т., Инаури Г.А. 1991:** Ванская археологическая экспедиция. – ПАИ, 1986, Тбилиси, 70-74, табл. 169-178.

Микеладзе Т.К. 1990: К археологии Колхиды (эпоха поздней бронзы и раннего железа). Тбилиси.

Хоштария Н. В. 1979: О раскопках на вершине холма. – ვანი, IV. თბილისი, 115-134.

Chkonia A., Katscharava D., Lordkipanidze N., Kvirkvelia G., Redaktion Lordkipanidze N., Platz G. 2007: Neue Funde aus Georgien, Katalog zur Ausstellung des Georgischen National Museums und der Antikensammlung, Staatliche Museen zu Berlin, Tbilisi.

Kacharava D. 2004: A bronze figurine from Vani. – Journal of Georgian Archaeology, vol. 1, Tbilisi, 225-227.

Kacharava, Kvirkvelia 2008 – D. Kacharava, G. Kvirkvelia, Religious ritual: bronze and iron figurines from Vani. – Wine, Worship and Sacrifice: the Golden Graves of Ancient Vani, New York, 2008, pp. 97-111.

.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ზედა ტერასა, გენგეგმა: 1. ცერემონიალური საკურთხეველი, ძვ.წ. III-I საუკუნეები; 2. საკულტო ნაგებობა, ძვ.წ. II-I საუკუნეები; 3. თავდაცვითი კედელი, ძვ.წ. ძვ.წ. II-I საუკუნეები; 4. სამარხები №№12-13, ძვ.წ. IV-III საუკუნეები; 5. ხის ტაძარ-სამლოცველო, ძვ.წ. V საუკუნე; 6. თავდაცვითი კედელი, ძვ.წ. ძვ.წ. II-I საუკუნეები; 7. სამარხები №№ 1-4, ძვ.წ. III საუკუნე; 8. სამლოცველო № 1, ძვ.წ. III საუკუნე; 9. სამლოცველო № 2, ძვ.წ. III საუკუნე; 10. სამარხი № 17, ძვ.წ. IV-III საუკუნეები; 11. სამარხი № 16, ძვ.წ. IV-III საუკუნეები; 12. სამლოცველო № 3, ძვ.წ. III საუკუნე; 13. სამლოცველო № 4, ძვ.წ. III საუკუნე; 14. სამარხები №№ 20-24, ძვ.წ. IV-III საუკუნეები; 15. სამჭედლო, ძვ.წ. II-I საუკუნეები.

ტაბ. II – ზედა ტერასა, ე.წ. I უბნის მომიჯნავე ფართობის (სამლოცველოები №№ 1 და 2) გეგმა.

ტაბ. III – ზედა ტერასა, სამლოცველო № 1, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. IV – სამლოცველო № 1, გეგმა და ჭრილები..

V. 1) სამლოცველო № 1, ხედი აღმოსავლეთიდან, 2) სამლოცველო № 1, ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. VI – 1. კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ორმოები; 2) კლდეში ამოკვეთილი ორმო, ერთში ჩანს ღარისებური კრამიტი, მეორეში – ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები; 3) ორმოს ძირზე ჩანს ბრინჯაოს ფიგურა; 4) რიყის ქვის ბირთვები.

ტაბ. VII – სამლოცველო № 1-ის არეზე აღმოჩენილი მასალა: კორდოვანი ფენა – №№ 1-2 (სავ. №№ 07:1-02:34-35); ჰუმუსნარევი ფენა – № 3-7 (სავ. №№ 07:1-02:31, 26, 32, 25, 24); ალიზნარევი ფენა – №№ 8-14 (სავ. №№ 07:1-02:51-55, 89, 57); ალიზნარევი ფენის ქვეშ მდებარე დამწვარ შრეში აღმოჩენილი მასალა – №№ 15-16 (სავ. №№ 07:1-02:20, 23); კრამიტნარევი ფენა – №№ 17-30 (სავ. №№ 07:1-02:37, 68, 38-39, 44-46, 48, 40, 43, 41-42, 49, 59).

ტაბ. VIII – ღარისებური კრამიტები (სავ. №№ 07:1-02:76-77) – ბრინჯაოს ფიგურის ,,კუბოდ" გამოყენებული; ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტი (სავ. № 07:1-02:78).

ტაბ. IX – 1. ბრინჯაოს ფიგურა (სავ. № 07:1-02:79) გაწმენდამდე, 2. გაწმენდის შემდეგ, 3-5. ფიგურის სამკაული: ოქროს ვარდულები (სავ. № 07:1-02:79$_{8}$), ოქროს საკიდები (სავ. № 07:1-02:79$_{8}$), ოქროგადაკრული მინის მძივები (სავ. № 07:1-02:79$_{9}$), 6. ოქროს ღილაკი, აღმოჩენილი ალიზნარევი ფენის თავზე (სავ. № 07:1-02:19), 7. ოქროს ღილაკი ნაშალი თირის ფენიდან (სავ. № 07:1-03:1246) 8. დისკოსებური ფირფიტა ნაშალი თირის ფენიდან, (სავ. № 07:1-02:189). 9. ოქროს მძივი, აღმოჩენილი უღლის მონგრევისას (სავ. № 07:1-02:187). 10. ოქროს ღილაკი, აღმოჩენილი უღლის მონგრევისას (სავ. № 07:1-02:188).

ტაბ. X-XII – № 2 სამლოცველოს გეგმა და ჭრილები.

ტაბ. XIII – № 2 სამლოცველო, საერთო ხედი გაწმენდის შემდეგ.

ტაბ. XIV – 1-12. № 2 სამლოცველოს სამხრეთი და დასავლეთი კედლების წმენდისას, ნაყარი ქვების აყრის დროს აღმოჩენილი მასალა (სავ. №№ 07:1-03:63, 71-72, 61, 60, 69, 64-67, 62, 74); 13-15. № 2 სამლოცველოს პლატფორმის სამხრეთით და აღმოსავლეთით მომიჯნავე ტერიტორიაზე კორდოვან ფენაში აღმოჩენილი მასალა (სავ. №№ 07:1-03:114-116); 16-28. მასალა 194-ე ნაკვეთის d_{3-6}-e_{3-6} კვადრატებში დადასტურებული ქვაყრილიდან (სავ. №№ 07:1-03:125-127, 133-136, 131, 128-130, 137, 132); 29-40. რიყის ქვების, ბათქაშების, გაწითლებული თირის ქვების ფენაში (ნაკვ. 193, კვ. h_{10}-i_{10}) აღმოჩენილი მასალა (სავ. №№ 07:1-03:279, 291, 290, 289, 288, 286, 279-281, 287, 293); 41-46 – მასალა ბათქაშებნარევი თიხნარიდან (ნაკვ. 194, კვ. d_{3-4}-e_{3-6},f_{2}-$g_{2'}$ ნაკვ. 176, კვ. f_{10} (სავ. №№ 07:1-03:95-97, 105-106, 109).

ტაბ. XV – № 2 სამლოცველოს პლატფორმის სამხრეთით და აღმოსავლეთით მომიჯნავე ტერიტორია, გეგმები და ჭრილები.

ტაბ. XVI – არხი და მისი მიმდებარე არე.

ტაბ. XVII – 1-13. მასალა არხში მდებარე ნაშალი თირის ფენიდან (სავ. №№ 07:1-03:144-148, 150-152, 166, 153-154, 156, 167); 14-16. მასალა ყვითელი თიხნარი ფენიდან სამლოცველოს მიმდებარე ტერიტორიაზე (სავ. №№ 07:1-03:53, 52, 51); 17-33. მასალა თირზე მდებარე ნაშალი თირის ფენიდან სამლოცველოს მიმდებარე ტერიტორიაზე (სავ. №№ 07:1-03:425-426, 210, 208-209, 433, 424, 212, 211, 428, 205-207, 429, 213, 427, 432; 34-41. მასალა მოშავო-ნაცრისფერი ფენიდან (ნაკვეთი 212, კვ. h_{7-9}-k_{7-9}), – სავ. №№ 07:1-03:4, 31, 8-10, 12, 14-15).

ტაბ. XVIII – 1-22.მასალა მოშავო-ნაცრისფერი ფენიდან (ნაკვეთი 212, კვ. h_{7-9}-k_{7-9}), სავ. №№ 07:1-03:18, 40-41 და 48, 42-47, 19-22, 39, 32-37, 121; 23-33. მასალა №№ 1 და 2 სამლოცველოებს შორის ფართობზე დაფიქსირებული შავი ფენიდან, სავ. №№ 07:1-03:106, 105, 84, 83, 108, 85, 107, 88, 86, 81.

ტაბ. XIX – № 2 სამლოცველოს ჩრდილოეთით მდებარე მონაკვეთი, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. XX – № 2 სამლოცველოს ჩრდილოეთით მდებარე მონაკვეთი, საერთო ხედები.

ტაბ. XXI – ფართობი №№ 1 და 2 სამლოცველოებს შორის, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. XXII – 1. №№ 3 და 4 სამლოცველოები, გეგმა; 2. № 4 სამლოცველო, ა. გეგმა, ბ. დასავლეთი კედელი, გ. ხედი აღმოსავლეთიდან, დ. ჩრდილოეთი კედელი, ე. სამხრეთი კედელი.

ტაბ. XXIII – № 4 სამლოცველო, გათხრის პროცესი.

DESCRIPTION OF PLATES

Pl. I – Upper terrace, general plan: 1. Ceremonial altar, 3rd-1st centuries BC; 2. Cult building, 2nd-1st centuries BC; 3. Defensive walls, 2nd-1st centuries BC; 4. Graves №№12-13, 4th-3rd centuries BC; 5. Wooden temple, 5th century BC; 6. Defensive walls, 2nd-1st centuries BC; 7. Graves №№1-4, 3rd century BC; 8. Sanctuary №1, 3rd century BC; 9. Sanctuary №2, 3rd century BC; 10. Grave №17, 4th-3rd centuries BC; 11. Grave №16, 4th-3rd centuries BC; 12. Sanctuary №3, 3rd century BC; 13. Sanctuary №4, 3rd century BC; 14. Graves №№ 20-24, 4th-3rd centuries BC; 15. Smithery, 2nd-1st centuries BC.

Pl. II – Upper terrace, plan of the area adjacent to the plot I (sanctuaries №№1 and 2).

Pl. III – Upper terrace, sanctuary №1, plan and sections.

Pl. IV – Sanctuary №1, plan and sections, view from the east.

Pl. V – 1. Sanctuary №1, view from the east; 2. Sanctuary №1, view from the west.

Pl. VI – 1. Pits cut in the bedrock; 2. Rock-cut pits – a cover-tile is seen in one of them, and a pan-tile is seen in the other; 3. Bronze figurine on the bottom of the pit; 4. Pebble stones.

Pl. VII – Materials revealed in the area of Plot I: 1-2 – turf layer; №№3-7 – humus-containing layer , 8-14 – adobe-containing layer; 15-16 – burnt horizon; 17-30 – tile-containing layer.

Pl. VIII – Cover-tiles, pan-tile fragment.

Pl. IX – 1. Bronze figurine before cleaning; 2. figurine after cleaning; 3-5. golden jewellery: rosettes, pendants, glass beads covered with gold foil; 6. Gold button, found above the adobe-containing layer; 7. Gold button from the sandstone-containing layer; 8. Disc-shaped plaque from the sandstone-containing layer; 9. Gold bead found in the baulk; 10. Gold button from the baulk.

Pl. X-XII – Sanctuary № 2, plan and sections.

Pl. XIII – Sanctuary № 2, general view after cleaning.

Pl. XIV – 1-12. Materials revealed during cleaning the pile of stones; 13-15. Materials from the turf layer in the area adjacent to the platform of sanctuary № 2; 16-28. Materials from a pile of stones in sq. d_{3-6}-e_{3-6} of plot 194; 29-40. Materials from the layer containing pebbles, fragments of plastering, and sandstone (pl. 193, sq. h_{10}-i_{10}; 41-46. Materials from loamy layer containing fragments of plastering (pl. 194, sq. d_{3-4}-e_{3-6}, f2-g_2; pl. 176, sq. f_{10}).

Pl. XV – The area adjacent to platform 2 from south and east. Plans and sections.

Pl. XVI – The canal and the adjacent area.

Pl. XVII – 1-13. Materials from the crashed sandstone layer; 14-16. Materials from the yellow loamy layer in the area adjacent to the sanctuary; 17-33. Materials from the layer of crashed sandstone in the area adjacent to the sanctuary; 34-41. Materials from the blackish-gray layer (pl. 212, sq. h_{7-9}-k_{7-9}).

Pl. XVIII – 1-22. Materials from the blackish-gray layer (pl. 212, sq. h_{7-9}-k_{7-9}); 23-33. Materials from the black layer on the area between sanctuaries №1 and №2.

Pl. XIX – The area to the north of sanctuary №2. Plan and sections.

Pl. XX – The area to the north of sanctuary №2. General views.

Pl. XXI – The area between sanctuaries №1 and №2. Plan and sections.

Pl. XXII – 1. Sanctuaries №3 and №4, plan; 2. Sanctuary №4, a. plan, b. western wall, c. view from the east, d. northern wall, e. southern wall.

Pl. XXIII – Sanctuary №4, in the process of excavations.

ტაბ. I

ტაბ. II



ტაბ. III



ტაბ. IV



ტაბ. V

1

2



1



2



3

4

ტაბ. VII


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30

ტაბ. VIII







0 4 8

1



2



3

4



5

6



7

8

9

10


ფენა 2002
ჭრილი I-I
ჭრილი II-II
ჭრილი III-III
N
0
1
2
m


ბეჭმა
ვანი - 2002
ნაგვ. 212
C D E F G H
1 2 3 4 5 6
N
I
II
III
C5 D5 E5 F5 G5 H5
ჭრილი I-I
H4 H5 H6 H7
ჭრილი II-II
0 1 2
H6 G6 F6 E6 D6
ჭრილი III-III

ტაბ. XII


ჭრილი II - II
ჭრილი I - I
ჭრილი IV - IV
ჭრილი III - III
ჭრილი V - V
ჭრილი VI - VI

ტაბ. XIII



1

2

ტაბ. XIV

1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46

ტაბ. XV


I - I
II - II
III - III
IV - IV
V - V
VI - VI
VII - VII
VIII - VIII
IX - IX
193
194
211
212

1

2

ტაბ. XVII


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41

ტაბ. XVIII

1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
0 1 2


ჭრილი V - V
ჭრილი IV - IV
ჭრილი III - III
ჭრილი II - II
ჭრილი I - I

1

2


5
6
7
8
9
10
C
D
E
F
G
H
I
K
II
III
N
0 1 2 m


I-I
II-II
III-III
D10
D9
D8
K7
I7
H7
G7
F7
E7
D7
H10
G10
F10
E10
D10



1



2

1

2

გოდერძი ნარიმანიშვილი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გიორგი მანჯგალაძე, გელა გიუნაშვილი, ზურაბ ბრაგვაძე, ნიკოლოზ გობეჯიშვილი, კობა კობერიძე, ლერი ფავლენიშვილი, გიორგი ტატიშვილი, ინგა ესვანჯია

არმაზციხეზე 2015 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში

არმაზციხე მდებარეობს ქ. მცხეთასთან, მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესართავთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. არმაზციხის არქეოლოგიური გათხრები XIX საუკუნეში დაიწყო და დღემდე გრძელდება. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერების საფუძველზე საქართველოს ეროვნული მუზეუმი არმაზციხის (ბაგინეთი) კომპლექსის ტერიტორიაზე ატარებს არქეოლოგიურ სამუშაოებს[1] (ტაბ. I, II).

2015 წელს არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ხუთ უბანზე:

I უბანი. ძირითადი სამუშაოები ჩატარდა სვეტებიანი დარბაზის სამხრეთით, II ტერასაზე გამოვლენილი ნამოსახლარის ერთ ნაწილში, სადაც სრულად გაითხარა №№ 4, 8 და 13 სახლები (ტაბ. II). № 11 სახლის იატაკში კი გაკეთდა სტრატიგრაფიული ჭრილი (ტაბ. III-IV).

№ 4 სახლი გამოვლინდა 2012-2013 წლებში. მაშინ შესწავლილი იყო მისი მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი. 2015 წელს სახლი მთლიანად გაითხარა (ტაბ. III). მდებარეობს № 3 სახლის სამხრეთით და №№ 7-8 სახლების აღმოსავლეთით. აღმოსავლეთი კედელი შემორჩენილი არ არის, ის დაზიანებულია 1947-1949 წლებში გათხრილი კომპლექსის მიერ, რომელსაც მთლიანად აქვს მოჭრილი № 4 სახლის აღმოსავლეთი ნაწილი.

№4 სახლის სამხრეთ კედელს წარმოადგენს №15 სახლის კედელი (№15 სახლი 2015 წელს არ გათხრილა, გამოვლინდა მხოლოდ მისი ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების მცირე ნაწილი). მისი ჩრდილოეთი კედელი საზღვრავს № 4 სახლს. № 4 სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში და ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილია (2012 წლის გათხრები) კრამიტყრილის ფრაგმენტები და თიხატკეპნილი იატაკის ნაშთები, რომლებსაც ხანძრის კვალი ეტყობა. აქვე გამოიკვეთა, რომ № 7 და № 8 სახლების (2012-2013 წლების გათხრები) კედლები ჩამოჭრილია № 4 სახლის დასავლეთი კედლის გამართვის დროს. ნახანძრალი იატაკის ნაშთი № 4 სახლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშიც დაფიქსირდა.

ამდენად, № 4 სახლის გათხრისას დაფიქსირებულია შემდეგი სტრატიგრაფია: **1.** ყველაზე ქვედა დონეს მიეკუთვნება 524-ე ნაკვეთის 3e კვადრატში გამოვლენილი კედელი, რომლის შემადგენლობაშია ერთი მოზრდილი ქვიშაქვის კვადრი; **2.** ამ კედელს უშუალოდ ადევს ბრტყელი და ღარიანი კრამიტების ინტენსიური ყრილი, რომელიც № 4 სახლის დასავლეთი კედლის ქვეშ შედის; **3.** უფრო ზედა დონეს მიეკუთვნება №№ 1-11 სახლები, რომელთა კედლები ჩამოკვეთილია № 3 და № 4 სახლების საერთო, დასავლეთი კედლის გამართვის დროს; **4.** №№ 3-4 სახლების დასავლეთი კედელი მიშენებულია № 15 სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზე; №№ 3, 4 და 15 სახლების აღმოსავლეთი კედელი და გამყოფი კედლები ჩამოკვეთილია 1947-1949 წწ-ში გამოვლენილი კომპლექსის დასავლეთი კედლის მიერ. ეს უკანასკნელი ნაგებია რიყის ქვით, შემაკავშირებლად გამოყენებულია დუღაბი. № 4 სახლის იატაკში ჩადგმულია ორი ქვევრი და ერთი ქოცო.

№8 სახლი წარმოადგენს II ტერასაზე გამოვლენილი მრავალსენაკიანი ნაგებობის შემადგენელ ნაწილს (ტაბ. IV). მდებარეობს 524 ნაკვეთის მე-3a,d,g კვადრატებში, 2012 წელს გათხრილი № 7 სახლის სამხრეთით, რომლისგანაც ალიზის კედლით ყოფილა გამოყოფილი (ტაბ. III). კარის ღიობი ამ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო, რომელიც მოგვიანებით №3 და №4 სახლების გამართვის დროს ჩანს დაზიანებული. სახლის დასავლეთი სრულადაა შემორჩენილი და მისი სიგრძე 7.0 მეტრია. შემორჩენილია ქვიშაქვის

1 2015 წელს საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: გ. ნარიმანიშვილი (ხელმძღვანელი), ვ. ნიკოლაიშვილი (სამეცნიერო კონსულტანტი), არქეოლოგები გ. მანჯგალაძე, ზ. ბრაგვაძე, ნ. გობეჯიშვილი, გ. გიუნაშვილი, კ. კობერიძე, ნ. ჯანაშვილი, ნ. ჩადუნელი, ქ. დიღმელაშვილი; მხატვარი-არქიტექტორები გ. ტატიშვილი, ი. ესვანჯია, ლ. ფავლენიშვილი, გ. კოპალიანი და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები: ქ. ახალაძე, ს. გაბრიელიძე, ნ. ჯაფარიძე, ლ. ვარდოსანიძე, ე. ბლუაშვილი, გ. ბარბაქაზე.

ფილებით შედგენილი ერთი რიგი, რომელზეც ამოყვანილია ალიზის კედელი. შემორჩენილია სამი რიგი. ალიზის აგურის სიგრძე დაახლოებით 42-43 სმ. და 54-55 სმ-ია, სისქე 14-15 სმ-ს უდრის. გვხდება ნახევარალიზებიც. კედლის საფუძვლის სიგანე 0.9 მ-ია. ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების ქვით გაწყობილი საფუძველი ერთ რიგს შეიცავს, სამხრეთი კედლის ალიზს საფუძვლად უდევს ქვიშაქვის ფილების ორი რიგისგან შემდგარი წყობა. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში შეინიშნება წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის სივრცე, რომელიც გამოიყოფა ცეცხლის მოქმედებით შექმნილი ზოლებით. ზოლებს შორის არსებული სივრცე (1.4 x 0.85 მ) შევსებულია ღარიანი კრამიტების ინტენსიური ყრილით, ყრილში რამდენიმე ქვაც ხვდება.

№ 8 სახლის იატაკი თიხატკეპნილია, რომელშიც ჩართულია ქვიშაქვის ანამტვრევები. იატაკზე შეინიშნება ხის ძელების კვალი. ზოგიერთი მათგანის შემორჩენილი სიგრძე 0.6-1.1 მ-ია, სისქე 0.10-0.12 მ-ს უდრის. გვხვდება უფრო წვრილი ძელებიც, რომელთა სიგრძე 1.3-1.5 მეტრია, სისქე კი – 0.05-0.07 მ.

№ 13 სახლი გამოვლინდა II ტერასაზე. ის განთავსებულია 524-ე ნაკვეთის მე-5 კვადრატში (ტაბ. III). ის გამართულია № 11 და № 14 სახლების თავზე (ტაბ. IV). მისი იატაკი ნულოვანი დონიდან +0.5 მ-ზე მდებარეობს. იატაკი თიხატკეპნილია, ალაგ-ალაგ რიყის ქვებია ჩართული. იატაკზე კარგად ჩანს ნაცრის კვალი. შემორჩენილია სახლის ჩრდილოეთი კედლის მხოლოდ მცირე ნაწილი, სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები. დასავლეთი კედელი გასათხრელ ფართობში შედის. ალიზის კედლებს ქვის საფუძველი არ გააჩნია. ალიზის ზომებია 44x44x12 სმ, გამოყენებულია მისი ნახევრებიც.

№ 13 სახლი ამ ტერასაზე ერთადერთია, რომელიც ამ ფენას მიეკუთვნება. მას ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით აკრავს ღია ეზო, რომელიც ქვიშაქვის წვრილი ნამტვრევებით არის მოსწორებულ-მოშანდაკებული, აქვე გვხვდება მდინარეული ხრეშის და წვრილი ქვების მცირე ყრილები. ეზოში, სახლის წინ, ოდნავ ჩრდილოეთით, კედლიდან 0.5 მ-ის დაცილებით თონეა გამართული. მისი დმ 55 სმ-ია, შემორჩენილი სიმაღლე 40 სმ-ს უდრის. კეცის სისქე 2.0 სმ. სახლს სამხრეთით და აღმოსავლეთით ღია აივნები ჰქონია, რაზეც შემორჩენილი კრამიტყრილები მიუთითებს. სამხრეთით არსებული კრამიტყრილის სიგანე 1.8-2.0 მ-ია. ასეთივე სიგანის უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთის აივანიც, რომლის კრამიტყრილი შედარებით ცუდადაა შემორჩენილი. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ თონე გადახურვის ქვეშ ექცევა. სახლს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ეზო აკრავს (სახლს ჩრდილოეთი ნაწილი ჩამოჭრილი აქვს), რომელიც თეთრი ფერის ქვიშაქვის ნამტვრევებითაა მოგებული. ამ ფენაზეა უშუალოდ დადებული ნაცარ-ნახშიროვანი ფენა, რომელიც არტეფაქტებსაც შეიცავს. № 13 სახლის ეზოც №№ 3-4 სახლების გამართვის დროსაა ჩამოკვეთილი. როგორც ჩანს № 13 სახლის ეზო თავდაპირველად № 15 სახლის გამართვისას ჩამოჭრეს. № 13 სახლი უშუალოდ ადევს № 14 სახლს, რომელიც 2015 წელს არ გაითხარა.

სახლი № 15 მდებარეობს 525 ნაკვეთის 4j კვადრატში. ჩრდილოეთიდან ებჯინება № 4 სახლს, დასავლეთიდან № 8 სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს. გამოვლინდა მისი ჩრდილოეთი კედელი (ტაბ. III), რომელიც № 4 სახლის სამხრეთ კედლად გამოუყენებიათ მოგვიანებით. № 4 და № 15 სახლების აღმოსავლეთი ნაწილი ჩამოჭრილია ქვითკირის კედლის მშენებლობის დროს, რომელიც სვეტებიანი დარბაზის სამხრეთით არსებული გვიანდელი კომპლექსის მშენებლობისას არის დაზიანებული. № 15 სახლის მშენებლობისას კი დაუზიანებიათ № 8 სახლი. № 15 სახლის კედლები ნაგებია ქვიშაქვის ფილებით, მცირე რაოდენობით ურევია რიყის ქვაც. კედელი მშრალადაა ნაგები. მისი შემორჩენილი სიმაღლე 0.9 მ-ია, სიგანე 0.65 მ-ს უდრის. 2015 წელს სახლის არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა.

მეორე უბანი. არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ექვსაფსიდიანი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით და მარნის ჩრდილოეთით (ტაბ. II). 2011 წლის მონაცემების მიხედვით, აბანოსა და დიდი მარნის მიმდებარე ტერიტორია საინტერესო არქეოლოგიურ უბანს წარმოადგენდა. ამიტომ, გადაწყდა 2015 წელს გათხრილიყო მარნის უშუალო გაგრძელებაზე ჩრდილოეთით 50 კვ.მ. ფართობი, რაც დაახლოებით 353-ე ნაკვეთის მე-7 კვადრატს და მიმდებარე ფართობს მოიცავდა (ტაბ. V). გათხრები დაიწყო მარნის ჩრდილოეთ კედელთან. მარნის კედლის პარალელურად, ასევე ქვათლილებით ნაგები კედელია გამართული, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი. მისი სიგრძე 3.6 მ-ია, სიგანე 1.2 მ-ს უდრის (ტაბ. V-VII). კედლის საფასადე ქვებზე კარის ჩასამაგრებელი ღრმულებია ამოკვეთილი. ამ კედლის და მარნის ჩრდილოეთი კედლის ქვეშ არხი ყოფილა გამართული. არხი მარნის ქვათლილებით ნაგები კედლის

ქვეშ გამოდის, კვეთს ვიწრო კორიდორს (სიგანე 1.8 მ) და ასევე ქვათლილებით ნაგები კედლის ქვეშ გადის. ორივე კედლის ქვეშ წყლის სადინარი, ასევე კარგად დამუშავებული ქვათლილებითაა გამართული (ტაბ. VII_2). სადინარის კვეთი 0.4x0.35 მ-ია. არხი მარნის იატაკის ქვეშ შედის და ორსენაკიანი ნაგებობისაკენ მიემართება. აშკარაა, რომ ეს არხი მარნის საჭიროებისათვის არ არის გამართული. მარანში არსად იკვეთება არხისკენ მიმართული ღარი ან მილი, არც თიხატკეპნილი იატაკია ჩაკვეთილი სადმე. დღეს იმის თქმა, თუ რომელ ნაგებობასთან არის დაკავშირებული 2015 წელს გამოვლენილი არხი, ძნელია. როგორც არხის მიმართულება გვიჩვენებს, ის მარნის აღმოსავლეთ კედელს მიუყვება, ამის დამადასტურებელი უნდა იყოს 2011 წელს მარნის გადახურვის კონსტრუქციისათვის ამოღებულ თხრილში გამოვლენილი ქვიშაქვის კვადრები.

კვადრებით გამართული კედლის გარეთ მძლავრი კულტურული ფენა დადასტურდა, რომელიც უშუალოდ კორდოვანი ფენის ქვეშ იწყება და დაახლ. 1.0 მ სიღრმეზე გვიანანტიკური ხანის კრამიტებს შეიცავს. მის ქვეშ იწყება და თხრილის ძირამდე გრძელდება დამწვარ-დანახშირებული ფენა, რომელშიც განსხვავებული კრამიტები და წითელი საღებავით მოხატული კერამიკა დადასტურდა (ტაბ. V-VI). ამ ფენის კრამიტები კარგად განლექილი თიხისაა, თხელკეციანია, მუქი წითელი საღებავითაა შეღებილი და რაც მთავარია, მომრგვალებული მუხლი აქვთ. ამ ნიშნით ბაგინეთის კრამიტები სამადლოს, ნასტაკისის, გრძელი მინდვრის და ციხიაგორას ელინისტური ხანის კრამიტების მსგავსია. თუ სამადლო-ნასტაკისის სტრატიგრაფიას და თხრილში აღმოჩენილი მოხატულ კერამიკას გავითვალისწინებთ, ბაგინეთის ეს ფენა ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებს და მის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს, რამდენადაც ასეთი კრამიტები ახ.წ. I საუკუნეში ქართლის (იბერიის) არცერთ არქეოლოგიურ ძეგლზე აღარ გვხვდება.

მესამე უბანი II ტერასაზე გათხრილი № 1 და № 2 სახლების დასავლეთით მდებარეობს (ტაბ. II). 2015 წელს სამუშაოები ჩატარდა 2012-2014 წლებში გამოვლენილი გრძელი კედლის გასწვრივ (ტაბ. VIII-IX), 6.0 x 3.0 მ. ფართობზე (18 კვ.მ.), სადაც დაფიქსირდა, რომ წინა წლებში გამოვლენილი კრამიტყრილი გრძელება როგორც ჩრდილოეთით, ისე დასავლეთით.

მეოთხე უბანი მდებარეობს „ორსენაკიანი ნაგებობის" ჩრდილოეთ კედელთან, სადაც 2015 წელს აღმოსავლეთი ფასადის წინ გავლებულ იქნა 14 მ-ის სიგრძის თხრილი (ტაბ. II). თხრილი მოიცვს 396 ნაკვეთის მე-9 და მე-12 კვადრატებს, 439 ნაკვეთის მე-3, 6 და 440 ნაკვეთის პირველ და მე-4 კვადრატებს. სამუშაოების მიზანს წარმოადგენდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გავლებული თხრილის (თხრილის სიგრძე 10.5 მ., სიგანე 1.75 მ., სიღრმე კი 0.6 მ.) ჭრილში დაფიქსირებული თიხატკეპნილი იატაკისა და კრამიტყრილის შემცველი ნაგებობის ერთი ნაწილის გამოვლენა. ასევე, ორსენაკიანი ნაგებობის და ამ სათავსოს ურთიერთმიმართების დადგენა (ტაბ. X-XI).

2015 წელს გავლებულ თხრილში გამოვლინდა ინტენსიური კრამიტყრილი, რომელიც ორსენაკიანი ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ გამართული კედლით ორადაა გაყოფილი (ტაბ. XI_1). 90-იან წლებში გავლებული თხრილი უშუალოდ ეკვრის ორსენაკიან ნაგებობას. მას ჩაჭრილი აქვს ორი დონის კრამიტყრილი და თიხატკეპნილი იატაკები. 2015 წელს გამოვლენილი კედელი რიყის ქვის ერთი რიგის წყობას წარმოადგენს. ის ზედა კრამიტყრილის დონეზეა. ეს კრამიტყრილი კედელს ორივე მხრიდან ებჯინება. მაშინ როდესაც კედელი უშუალოდ ადევს ქვედა დონის კრამიტყრილს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კედელი ორსანაკიანი ნაგებობის კედლების კუთხესთან ახლოს დაზიანებულია და ამ ადგილის პრეპარაციის დროს კარგად გამოჩნდა ქვედა დონის კრამიტყრილი. ზედა დონის კრამიტყრილი, განათხარი ფართობის მთელ ტერიტორიაზე იქნა აღებული. 0.15-0.2 მ სიღრმეზე გამოვლინდა მეორე კრამიტყრილი, რომელიც მხოლოდ კრამიტების ნატეხებს შეიცავდა. ზედა დონის კრამიტყრილს დიდი რაოდენობით ერია კირხსნარის შელესილობის თუ ბათქაშის ფრაგმენტები. ზედა დონის კრამიტყრილის ქვეშ კარგად გამოკვეთილი იატაკი არ დაფიქსირდა, თუმცა შეინიშნებოდა ძველი ნიადაგის დონე.

ქვედა კრამიტყრილი უფრო ინტენსიურია, შეიცავს ორივე სახის კრამიტებს. იატაკის დაფიქსირების მიზნით გადავწყვიტეთ კრამიტყრილის ჩრდილოეთი ნაწილი მოგვეხსნა მხოლოდ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ „ორსენაკიანი ნაგებობის" წინ, კედლის გასწვრივ ორივე კრამიტყრილი და იატაკიც ჩაჭრილია 90-იან წლებში ჩატარებული გათხრების დროს. კრამიტყრილი მოვხსენით მხოლოდ 396 ნაკვეთის მე-9 და 12 კვადრატში. 0.1-0.15 მ სიმძლავრის ყრილის ქვეშ დაფიქსირდა მკვრივი და კარგად მოსწორებული თიხატკეპნილი იატაკი. იატაკის შელესილობაში ჩართუ-

ლია თიხის ფილების და კრამიტების ნატეხები (ტაბ. X).

ვფიქრობთ, საქმე ორსართულიან ნაგებობასთან გვაქვს, რომელიც ქვიშაქვის კვადრებით და ქვა-აგურის შერეული წყობით აგებულ „ორსენაკიან ნაგებობაზე“ იყო უშუალოდ მიდგმული. 396 ნაკვეთის მე-9 კვადრატში, სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით, თიხატკეპნილი იატაკიც ჩავჭერით. თხრილის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ სანიაღვრე არხის ნაშთები დაფიქსირდა. როგორც ჩანს, სანიაღვრე ქვიშაქვის ფილებით ყოფილა გაწყობილი. სანიაღვრე ძლიერაა დაზიანებული. ის ადრევე გაუუქმებიათ და სამშენებლო მასალები წაუღიათ. ადგილზე მხოლოდ დაზიანებული ქვიშაქვები და არხის ჭრილია შემორჩენილი. აშკარაა, რომ ეს სანიაღვრე კრამიტყრილიანი სახლების ფუნქციონირების დროს გაუქმებულია. ასეთივე ტიპის სანიაღვრეა გამართული ექვსაფსიდიანი ტაძრის სამხრეთი კედლის გასწვრივ, რომელიც „ორსენაკიანი ნაგებობის“ წინ გამავალი სანიაღვრის გაუქმების შემდეგაა გამართული.

მეხუთე უბანი ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის გალავანთან მდებარეობს (ტაბ. XII), სადაც უნდა გაწმენდილიყო 40-იან წლებში გაჭრილი თხრილი და იქ გამოვლენილი თავდაცვითი კედელი. ქვათლილებით ნაგები გალავნის ნაწილი 10 მეტრის სიგრძეზე უნდა გამოვლენილიყო და ვიზიტორებისათვის სანახავად მომზადებულიყო.

2015 წელს V უბანზე გაიჭრა ორი თხრილი, რომლებიც შემდეგში გაერთიანდა. პირველი თხრილის სიგრძე 32 მეტრია, სიგანე კი 6 მეტრს უდრის, მეორე თხრილის სიგრძე 9.0 მეტრია, სიგანე 8.0 მ (ტაბ. XIII, XIV, XVI). თხრილში გამოვლენილი იქნა საფორტიფიკაციო კედლის ის ნაწილი, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში გაითხარა. ამასთან, ერთად გაითხარა ალიზის კედლის წყობა, დუღაბზე ნაგები კედელი და ძლიერი ცეცხლით განადგურებული ნაგებობის ნაშთი. აქვე გამოვლინდა ქვიშაქვის კვადრებით ნაგები კიდევ ერთი კედელი.

V უბნის სტრატიგრაფია დღეისათვის ასეთია:

1. სულ ქვედა ფენას მიეკუთვნება ახლად მიკვლეული კედელი, რომელიც 40-იან წლებში გამოვლენილი კედლის აღმოსავლეთით 12 მ-ის დაცილებით მდებარეობს და ქედის ყველაზე დამრეც ფერდზეა გამართული. ეს კედელი დაფიქსირდა ადრე ცნობილი თავდაცვითი კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ის ნაგები ყოფილა ქვიშაქვის კვადრებით, მშრალად. კვადრებს „უწყვეტთა“ კვალი არ ემჩნევა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ახლად მიკვლეული კედელის მიმართულება არ ემთხვევა ადრე გათხრილი კედლის მიმართულებას. თუმცა, ის რელიეფს კარგად მიუყვება. ამ კედლის კვალი, ჩრდილოეთით, კიდევ ორ მონაკვეთში შეინიშნება.

2. მეორე ფენას ეკუთვნის 40-იან წლებში გამოვლენილი კედელი, რომელიც კარგად გათლილი კვადრებითაა ნაგები. კვადრები ერთმანეთზე კარგადაა მორგებული და უმეტეს შემთხვევაში ე.წ. უწყვეტი გადაბმის ფოსოები აქვს (ტაბ. XV). ეს კედელი 22 მეტრის სიგრძეზეა გამოვლენილი. მისი შემორჩენილი სიმაღლე 0.4-1.5 მ-ს შორის მერყეობს. ქვათლილების თავზე ალიზის კედელი ყოფილა ამოყვანილი. სამხრეთ ნაწილში კარგადაა შემორჩენილი ალიზის აგურით ნაგები კედლის ნაშთი. გამოვლენილი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ალიზის აგურების ხუთი რიგია შემორჩენილი. ალიზები ქვიშაქვის კვადრებზეა ამოყვანილი. 696 ნაკვეთის მე-5 კვადრატში დაფიქსირდა, რომ ფასადი ქვიშაქვის კვადრებითაა ამოყვანილი, შიდა სივრცე კი ალიზის აგურითაა შევსებული.

მეორე ფენის კედლის სიგანე ვერ დაფიქსირდა, რადგან ამ კედელზეა დაშენებული მოგვიანო, მესამე ფენის კედელი. მეორე ფენის კედელი 696-ე ნაკვეთის მე-3 კვადრატში კონფიგურაციას იცვლის, მცირე ტეხილს აკეთებს და ოდნავ სამხრეთით ბრუნდება. თავდაცვითი კედლის ქვათლილებს სამხრეთ-დასვლეთ მონაკვეთში ტეხილამდე „უწყვეტები“ აქვს (ტაბ. XII), შემდეგ კი ისინი ქრება (ტაბ. XV). ისიცაა აღსანიშნავი, რომ ტეხილი 6.0 მ-ის შემდეგ სრულდება და აქედან კედლის კვალი აღარ ჩანს, თუმცა კარგად გათლილი საპირე ქვები ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საზღვრავს და ეს კედელი ზედა ფენის კედლის ქვეშ შედის. მეორე ფენის სიგანე 4,5 მ-ს უდრის. ტეხილიდან ბოლო ქვათლილამდე კი 6.5 მ-ია.

ვფიქრობთ, რომ აქ კოშკი ან მძლავრი კონტრფორსი უნდა ყოფილიყო აგებული, რომელიც ნაწილობრივ მესამე ფენის კედლითაა დაფარული. კოშკის ფასადის სიგრძე 6.5 მ. ყოფილა. უნდა აღინიშნოს, რომ კოშკთან შეკეთების თუ რეკონსტრუქციის კვალი შეინიშნება. კერძოდ, ძველ ფასადზე მიშენებულია ქვიშაქვის კვადრებით ნაგები კედელი, რომელიც ტეხილთან ერთ რიგს, მეორე ბოლოში კი ორ რიგს შეიცავს. მისი სიგანე შესაბამისად 0.5 და 0.8 მ-ია.

მეორე ფენის კედელი უშუალოდ კლდოვან დედაქანზეა აგებული. მშენებლებს კლდე

კარგად მოუსწორებიათ. მასზე დაუმუშავებელი ფილებით მოედანი შეუქმნიათ, რომელზეც ქვათლილებიანი ბაქანი ამოუყვანიათ. V უბანზე კიდევ ერთი სიახლეა. მეორე ფენის კედელის გასწვრივ, 696 ნაკვეთის მე-5,6 კვადრატებში მოხრეშილი გზის ერთი მონაკვეთი დაფიქსირდა. მისი გამოვლენილი სიგრძე 5.0 მ-ია, სიგანე 2.0 მ.

3. მესამე ფენას მიეკუთვნება საფორტიფიკაციო კედელი, რომელიც ქვიშაქვის „უწყვეტებიანი" კვადრებითა და ალიზის აგურით ნაგებ თავდაცვით კედელზეა უშუალოდ დაშენებული. მესამე ფენის კედლის საფასადო მხარე ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით, ალაგ-ალაგ გამოყენებულია მეორე ფენის კედლის კვადრები, რომლებსაც „უწყვეტები" აქვთ, მაგრამ ისინი უფუნქციოდაა (მეზობელ ქვებს ასეთი ჭრილები არ აქვთ). კვადრების ზედაპირი არათანაბარია, რის გამოც მათი ნიველირებისათვის საკმაოდ ბევრ ადგილზე გამოყენებულია კრამიტის ნამტვრევები. ასევე, შეინიშნება არცთუ ისე მაღალი ხარისხის კირხსნარი.

თავდაცვითი კედლის შიდა, ქალაქისაკენ მიქცეული მხარე ქვიშაქვის ფლეთილი ფილებითაა ნაგები. კედელის მშენებლობისას ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია მეორადი ქვები. კედლის სიგანე 3.2 მ-ია.

ზედა ფენის კედელი 29.0 მ სიგრძეზეა გამოვლენილი. საფასადო ქვები ბევრგან შემოცლილია და ჩანს ის მასა, რომელიც შევსებაში გამოუყენებიათ. ეს მასა არაერთგვაროვანია. როგორც ჩანს, გამოყენებულია ნანგრევები, რადგან მასში დიდი რაოდენობით გვხვდება ახ.წ. II-III საუკუნის კრამიტის და თიხის ფილების ნამტვრევები, ძლიერ ცეცხლში მოხვედრილი და დადუღებული ალიზის აგურები, ცეცხლში მოხვედრილი რიყის ქვები. აშკარაა, რომ კედელი ნაუცბათევადაა აგებული, ქალაქში მომხდარი დიდი კატასტროფის შემდეგ.

ნიშანდობლივია, რომ მესამე ფენის თავდაცვითი კედელის მშენებლობისას ჩაუჭრიათ ძლიერი ხანძრისაგან განადგურებული ფენები, თან ისე, რომ თავდაცვითი კედლის შიდა ფასადი უშუალოდ ებჯინება ამ ნახანძრალ ფენას. ახლა ძნელია იმაზე საუბარი, თუ რა სახის კატასტროფასთან გვაქვს საქმე, მტრის შემოსევის გამო დაინგრა ქალაქი (ნახანძრალი ფენები ქალაქის თითქმის ყველა უბანზე გვხდება), თუ სტიქიური უბედურების შედეგად. თუმცა საფორტიფიკაციო კედლის შევსებაში ნაპოვნი შურდულის ქვები ალბათ პირველ ვარაუდს ამაგრებს.

საფირტიფიკაციო კედლის შევსებაში გვიანანტიკური ხანის კრამიტის ნამტვრევები გვხვდება. ამავე პერიოდისა ჩანს მასზე მიბჯენილი ნახანძრალი ფენა. ვფიქრობთ, თავდაცვითი კედელი გვიაანტიკური ხანის მიწურულს (შეიძლება III-IV სს-ში) დაინგრა და ის სასწრაფოდ აღადგინეს. თუმცა, დღეისათვის რაიმეს გადაჭრით თქმა ჭირს. ვფიქრობთ მომავალში აუცილებელია ამ მონაკვეთის ინტენსიური შესწავლა, რათა ქალაქის ცხოვრების ამ პერიოდს ნათელი მოეფინოს.

G. Narimanishvili, V. Nikolaishvili, G. Manjgaladze, G. Giunashvili, Z. Bragvadze, N. Gobejishvili, K. Koberidze, L. Pavlenishvili, G. Tatishvili, I. Esvanjia

REPORT OF THE ARCHAEOLOGICAL RESEARCH OF ARMAZISTSIKHE IN 2015

Summary

Armazisthikhe is situated near town Mtskheta at the confluence of Mtkvari and Aragvi rivers on the right bank of Mtkvari river. In 2015 Archaeological excavations were conducted on five sectors (Tab. I, II):

Sector I. The main work was conducted south from the hall with columns, on one part of discovered settlement on terrace II. There were completely excavated houses # 4, 8 and 13. In the flour of house # 11was made a stratigraphic section. Sector II. Archaeological excavations were conducted north-west from six apse temple and north from wine cellar (tab. 5 – 7). There was discovered a canal built with trimed stones. The canal is coming from under the wall, entering under the cellar and is directed to the double cell building. Sector III. Is situated west from houses # 1 and # 2 discovered on terrace II (tab. 8, 9). Work was conducted along a long wall discovered in 2014. Sector IV. Is situated at the ‚double cell building'. In front of the façade was made 14 meters long ditch (tab. 10, 11). In the ditch was discovered big amount of tiles. East from the ditch was discovered remnant of a drain. Sector V. Is situated at a wall of fortification system of a town (tab. 12-16). A part of a fortification wall was discovered in a ditch.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – არმაზციხე. გენგეგმა.

ტაბ. II – 2015 წელს გათხრილი უბნების გეგმა.

ტაბ. III-I უბანი. გეგმა და ჭრილი.

ტაბ. IV-I უბანი. გათხრების ხედი.

ტაბ. V-II უბანი, გეგმა.

ტაბ. VI- II უბანი, ჭრილები.

ტაბ. VII-II უბანი. გათხრების ხედი.

ტაბ. VIII-III უბანი. გეგმა.

ტაბ. IX-III უბანი. გათხრების ხედი.

ტაბ. X-IV უბანი. გეგმები და ჭრილები.

ტაბ. XI-IV უბანი. გათხრების ხედი.

ტაბ. XII-V უბნის მდებარეობა.

ტაბ. XIII-V უბანი. გეგმა

ტაბ. XIV-V უბანი. ჭრილები.

ტაბ. XV-V უბანი. თავდაცვითი კედლის ერთი მონაკვეთი.

ტაბ. XVI – გათხრების ხედი.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Armazistsikhe. Master plan.

Pl. II – Plan of sites excavated in 2015.

Pl. III – Site I. Plan and sections.

Pl. IV – Site I. General view of the excavations.

Pl. VI – Site II, sections.

Pl. VII – Site II. General view of the excavations.

Pl. VIII – Site III. Plan.

Pl. IX – Site III. General view of the excavations.

Pl. X – Site IV. Plan and sections.

Pl. XI – Site IV. General view of the excavations.

Pl. XII – Location of the site V.

Pl. XIII – Site V. Plan.

Pl. XIV – Site V. Sections.

Pl. XVI – Site V. The segment the the defensive wall.

Pl. XVI. – General view of the excavations.

ტაბ. I


არმაზციხე
ტოპოგეგმა მ 1:2000
0 20 40 60 80 100 200 m
N
მდ. მტკვარი

ტაბ. II


II უბანი
არმაზციხე-ბაბინეთი
2015
1:200
N
გასათხრელი
ფართობი
IV უბანი
III უბანი
482-1
483-1
I უბანი

ტაბ. III


სახლი № 12
სახლი № 13
სახლი № 8
სახლი № 4
სახლი № 15
524-5
524-6
524-8
524-9
525-4
525-7
0 50 100 150
+ 1,5 მ
+ 1,5 მ
0 50 100 150

ტაბ. IV

1

2


352-6
353-4
353-5
352-9
353-7
353-8
352-12
353-10
353-11
0 50 100 150

1


+ 0
1 : 1
+ 0
0 50 100 150.
+ 0
2 : 2
+ 0
0 50 100 150.

2

ტაბ. VI

3 : 3



4 : 4



5 : 5



6 : 6



1

2

ტაბ. VIII



1



2


A
B
396
12
397-10
439-3
440-1
439-5
440-4
439-6
0 50 100 150


A
1 : 1
-220
0 50 100 150
B
1 : 1
2 : 2
-220
0 50 100 150

1

2

ტაბ. XII



ტაბ. XIII


653-8
653-9
654-7
654-8
0 50 100 150
653-11
653-12
654-10
654-11
696-2
696-3
697-2
696-5
697-4
697-5
696-8
696-9
697-7
697-8

ტაბ. XIV



ტაბ. XV



2

1

2

გოდერძი ნარიმანიშვილი

არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსის 2014-2015 წლების გათხრების ანგარიში

არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსი მდებარეობს ქ. მცხეთის რკინიგზის სადგურის დასავლეთით 2 კმ დაშორებით, მდ. არმაზისხევისა და მდ. მტკვრის შესართავთან (ტაბ. I). არმაზისხევის მარჯენა ნაპირზე, მტკვრის ერთ-ერთ ტერასაზე, 1937-1946 წლებში გაითხარა II-IX სს-ის სამაროვანი, აბანო, ზღურბლიანი ნაგებობა, ერთსენაკიანი და ორსენაკიანი ნაგებობები და მარანი. ასევე გაითხარა 144 სამარხი, რომელთა შორის უმეტესებას ორმოსამარხები წარმოადგენენ, გვხვდება სარკოფაგები, ქვის ფილებით ან ფლეთილი ქვით ნაგები სამარხები, ასევე რამდენიმე კრამიტსამარხი.

2014 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი. ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში, გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2014 წელს არმაზისხევის არქეოლოგიური ნაკრძალის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები განაახლა[1].

2014 წელს პროექტი ითვალისწინებდა პიტიახშების სამაროვნის დასავლეთით არსებული მონაკვეთის არქეოლოგიური გათხრებით კიდევ ერთხელ შემოწმებას და წინა წლებში გათხრილი და დაკონსერვებული ობიექტების გამოვლენას. 2014 წელს არმაზისხევის კომპლექსის ტერიტორიაზე სამუშაოები ჩატარდა 350 კვ. მეტრ ფართობზე (ტაბ. I-III).

2014 წელს არმაზისხევში გამოვლინდა: 1. ქვატეხილით ნაგები სახლები, რომლებიც შეესაბამება VI ფენის A დონეს (3 სახლის ნაშთი, ტაბ. II-III); 2. სამეურნეო ორმოები, რომლებიც V C ფენის დონეს მიეკუთვნება (10 ერთეული, ტაბ. II); 3. სამარხი-ქვაყუთი; 4. ქვევრი/ქოცო (4 ერთული); 5. ქვის სტელის ნაწილი. სიმაღლე – 58-60 სმ, სიგანე ძირთან – 52 სმ, თავთან – 35 სმ, სისქე – 15 სმ.

სახლი №1. მდებარეობს XIII ნაკვეთის მე-3,6 და XVIII ნაკვეთის 1,4 კვადრატებში. კედლები ძირითადად ნაგებია ქვიშაქვებით. სახლის კედლები ცუდადაა შემორჩენილი (შემორჩენილი ფართობი 4,40×2,6 მ.). გამოვლინდა დიდი ზომის ქვიშაქვებით (ქვების ზომები: 57x55x3, 60x50x4 სმ, 50x58x4 სმ) მოგებული იატაკის ნაწილი. შემორჩენილია სათავსის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლის ნაწილები. №1 სათავსის სამხრეთის კედელზე მიდგმულია სხვა ნაგებობის კედელი. კედელი გამართულია NS ხაზზე და ქვატეხილებით არის ნაგები (საშუალო ზომები: 30x20 სმ). საპირე ქვები საგულდაგულოდაა შერჩეული, შუა ნაწილი შევსებულია წვრილი ქვებით-ხვინჭით (კედლის სიგანე – 0,85-0,9 მ). მისი სიგრძე 5,5 მ-ს აღწევს. 3,5 მ-ის შემდეგ დაზიანებულია. კედელი უშუალოდ კულტურულ ფენაზეა გამართული. კედლის გარშემო აღმოჩნდა მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი ყელწიბოიანი ხელადის ნატეხები, აგრეთვე ლუთერიის ფრეგმენტები, ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ნაწილები.

№1 სახლში აღმოჩნდა (ტაბ. IX): ლუთერიის თუ ჯამის (ინვ. № 13[2]; 16; 17), ჩაფის (სავ. № 14; 18; 20), ხელადის (სავ. № 15), ქოთნის (სავ. № 19) ფრაგმენტები. ისინი ძირითადად VI-VII სს-ით დათარიღებულ მასალებს შორის პოულობენ ანალოგებს.

№2 სახლი (ტაბ. III). ნაგებობა ძლიერ ფრაგმენტულდაა შემორჩენილი. დამწვარ-დანახშირებული ფენები, თიხატკეპნილი იატაკის და ფლეთილი ქვით ნაგები კედლების ნაშთები მხოლოდ XX საუკუნის 40-იან წლებში გავლებულ თხრილებს შორის დატოვებულ უღლებზე

1 საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებში 2014-2015 წლებში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა: ზ. ბრაგვაძემ, გ. გიუნაშვილმა, გ. მანჯგალაძემ, ნ. გობეჯიშვილმა, ნ. ჯანაშვილმა, გ. ტატიშვილმა, ი. ესვანჯიამ, ლ. ფავლენიშვილმა, გ. კოპალიანმა და ეროვნული მუზეუმის კონსულტანტმა ვ. ნიკოლაიშვილმა; ასევე მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა ქ. დიღმელაშვილმა, კ. კობერიძემ, ნ. ჩადუნელმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებმა: სოფიო გაბრიელაძემ, ქეთევან ახალაძემ, ნინო ჯაფარიძემ, ლევან ვარდოსანიძემ, ელენე ბლუაშვილმა, ალექსანდრე ოქროპირიძემ და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტმა მანანა მამუჩაშვილმა.

2 ინვენტარის ნომერი შეესაბამება ტაბულაზე აღნიშნულ ნომერს.

დაფიქსირდა. №2 სახლი მდებარეობს XVIII ნაკვეთის 1 კვადრატში. სახლში აღმოჩნდა (ტაბ. IX): ჩაფის (სავ. № 21; 23), ღარისებრი კრამიტის (სავ. № 22), ქოცოს (სავ. № 24), ჯამისა თუ ლუთერიის (სავ. № 25), დერგის (სავ. № 26); ქილის (სავ. № 27) ფრაგმენტები.

№ 3 სახლი გამოვლინდა XVIII ნაკვეთის მე-10 კვადრატში. ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. გაითხარა დამწვარ-დანახშირებული იატაკის ნაშთი, რომელიც N-S ხაზზე ვრცელდება 1,20 მ-ის სიგრძეზე, სიგანე კი 0,8 მ-ს აღწევს. იატაკის ჩრდილოეთ ნაწილში ბათქაშით შელესილი კედლის ნაშთი დაფიქსირდა. იატაკზე ნაცრის და ნახშირის სქელი (0,2-0,3 მ) ფენა იდო, რომელშიც კერამიკის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა. სახლის გათხრისას აღმოჩნდა ჩაფის (სავ. № 77; 78) ნატეხები.

2014 წელს რამდენიმე სამეურნეო ორმო გაითხარა, რომლებშიც აღმოჩნდა (ტაბ. X, XIV): **№ 1** ორმოში – შადრევნის ნაწილი (სავ. № 85, ტაბ. XIV), კერამიკული. შედგება ორი ნაწილისაგან: დიდი ავზისგან, რომელშიც წყალი ჩაედინებოდა და ხვრელის მეშვეობით გადადიოდა ზოომორფული მოყვანილობის მცირე ზომის ავზში. იგი შვერილებიანი ყოფილა (ოთხიდან სამი მოტეხილი აქვს). შვერილებთან მცირე ხვრელებია გაჭრილი, საიდანაც წყლის მცირე ნაკადები მოედინებოდა. ზედაპირი მთლიანად წითელი საღებავით (წერნაქით) ყოფილა დაფარული, ამჟამად ნაწილობრივ შემორჩა. ორმოში ასევე აღმოჩნდა: ჯამი თუ ლუთერია (სავ. № 86), ხელადა (სავ. № 87; 88; 89; 90) ჩაფის (სავ. № 91); ქოთანი (სავ. № 92). **№ 2** ორმოში – ქოთნის (სავ. № 65) და თიხის ჭურჭლის (სავ. № 63, 64, 66) ნატეხები. **№ 3** ორმოში – ქოთნის (სავ. № 47), ხელადის (სავ. № 48); ჩაფის (სავ. № 49; 93); ღარისებური კრამიტის ნაწილები (სავ. № 94; 95); **№ 4** ორმოში – დოქის (სავ. № 1)**;** ჯამის (სავ. № 2; 3), ხელადის (სავ. № 4), ქოთნის (სავ. № 5) ნატეხები; **№ 5** ორმოში – ჩაფის (სავ. № 60); ქოთნის (სავ. № 61; 62) ნაწილები. **№ 6** ორმო შევსებული იყო მიწით და ცხოველის ძვლებით. **№ 7** ორმო გასათხრელი დარჩა. **№ 8** ორმოში – ხელადის ან კოჭობის ნაწილი (სავ. № 69), თიხის ჭურჭლის ნატეხი (სავ. № 70), ხელადის (სავ. № 71), ქოთნის (სავ. № 72) ფრაგმენტები, ხუფის სახელური ან თიხის ჭურჭლის ფეხი (სავ. № 73), ლულოვანი ძვლის (?) გადანაჭერი (სავ. № 74). **№ 9** ორმოში – ქვის შავი-მოლურჯო ფერის სალესი (სავ. № 79), ჯამი თუ ბადია (სავ. № 80). **№ 10** ორმოში – თიხის ჭურჭლის გვერდის (სავ. № 75) და ყურ-გვერდის ნატეხი (სავ. № 76). ორმოებში აღმოჩენილი კერამიკა ზოგადად გვიანანტიკურიდან ადრეულ შუასაუკუნეებზე გარდამავალ პერიოდს ეკუთვნის.

2014 წელს გაითხარა **სამარხი № 145.** მდებარეობს XIII ნაკვეთის მე-3 კვადრატში. სამარხი დამხრობილია SW-დან NO-სკენ. ქვაყუთია, შედგენილია მცირე ზომის რუხი ფერის ფილაქვებისაგან – 0,53x0,53x0,04 მ; სამარხის დასავლეთ ნაწილში გამოჩნდა სამი მიცვალებულის თავის ქალა და მეოთხე მიცვალებულის ჩონჩხის ძვლების ფრაგმენტები. ძვლები არეულია და დარღვეულია ანატომიური წყობა. ყველა მათგანი ოთხიდან ექვს წლამდე ბავშვს ეკუთვნის (განსაზღრა ლ. ბითაძემ). ერთი მიცვალებულის ქვედა კიდურების ძვლები შემორჩა *in situ* მდგომარეობაში. სამარხში აღმოჩნდა: გიშრისა და მინის მძივები (სავ. № 82), ზარაკის ნაწილი, ბრინჯაოსი (სავ. № 83), თიხის ჭურჭლის ყური (სავ. № 84).

შესასწავლ ფართობზე ოთხი ქვევრი აღმოჩნდა (ქვევრი № 1 – XVIII ნაკვეთის მე-10 კვადრატში; № 2 – XIII ნაკვეთის მე-2 კვადრატში; ქვევრი № 3 – XVIII ნაკვეთის მე-5 კვადრატში; ქვევრი № 4 – XVIII ნაკვეთის მე-10 კვადრატში. XVIII ნაკვეთის მე-5 კვადრატში აღმოჩნდა ქვის სტელის ნაწილი**.** სტელა დაზიანებულია, შემორჩენილია სტელის ქვედა ნაწილი. ძირთან შესქელებულია. 5 სმ-ის სიმაღლეზე ამოღარული ზოლი დაუყვება – მოჩარჩოებული უნდა ყოფილიყო. სიმაღლე – 58-60 სმ, სიგანე ძირთან – 52 სმ, თავთან – 35 სმ, სისქე – 15 სმ.

2015 წელს არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა აბანოს სამხრეთით და ერისთავთა სამარხების აღმოსავლეთით (ტაბ. I, IV). პროექტით გათვალისწინებული იყო დაახლ 550 კვ.მ. გათხრა. არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართა შემდეგ უბნებზე: 1. ასპარუგის სამარხის აღმოსავლეთით (160 კვ.მ.); 2. ორსენაკიანი ნაგებობის ტერიტორიაზე (140 კვ.მ.); 3. ორსენაკიანი ნაგებობის აღმოსავლეთით გაუთხრელ ფართობზე (288 კვ.მ.); 4. ზღუბლიან ნაგებობასთან და მიმდებარე ტერიტორიაზე (432 კვ.მ.); 5. მრავალსენაკიანი ნაგებობის ტერიტორიაზე (648 კვ.მ). ამდენად, არქეოლოგიურმა სამუშაოებმა 2015 წელს მოიცვა 1668 კვ.მ.

I უბანი. ასპარუგის სამარხის აღმოსავლეთით (ტაბ. II-IV). 2014 წელს ჩატარებული სამუშაოები ნაწილობრივ შეეხო პიტიახშთა სამარხებს. მაშინ გასუფდავდა ერისთავთა ყველა სამარხი და ნაწილობრივ მოიხსნა ნაყარი ფენა. 2015 წელს სამუშაოები გაგრძელდა ასპარუგის სამარხის აღმოსავლეთით (ტაბ. VII-1). ეს ტერიტორიაც მე-20 საუკუნის 30-იან

წლებში ტოტალურად იყო შესწავლილი. მაშინდელი თხრილების სიღრმე ხშირ შემთხვევაში 3.0 მ-ს აღემატებოდა. თუმცა, ამ მონაკვეთში დადასტურებული არქეოლოგიური ობიექტების შესახებ მონაცემები არ გაგვაჩნია.

I უბანზე 2015 წელს სამუშაოები 23-ე ნაკვეთში წარიმართა. ჩატარებული გათხრების შედეგად ორი სამეურნეო ორმო (№№ 11,12) და მცირე ზომის ქვაყუთი (სამარხი № 147) გამოვლინდა.

სამარხი № 147. მდებარეობს XXIII ნაკვეთის მე-3 კვადრატში. ქვაყუთი (0.55x0.6 მ) შედგენილია კარგად დამუშავებული ოთხი ფილით (ტაბ. VIII). ზევიდანაც ქვიშაქვის ფილა ედო. კედლის ფილები კარგად იყო მორგებული ერთმანეთზე. ფილებს შორის დარჩენილი მცირე ნაპრალები კირხსნარით იყო შევსებულ-შელესილი. იატაკადაც ერთი ფილაა დადებული. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი და ინვენტარი არ დაფიქსირდა. იატაკის დონიდან 0.1 მ. სიმაღლეზე მცირეწლოვანი (ჩვილი) მიცვალებულის ბარძაყის ძლიერ დაშლილი მცირე ფრაგმენტი დაფიქსირდა. სახურავის ფილაზე მაღალრელიეფური ორნამენტით შემკული ტერაკოტის ფრაგმენტი (ტაბ. XIII, სავ. № 175) იდო. სამარხის გარე პერიმეტრზე თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი (ინვ. №№ 187-189) აღმოჩნდა. სამარხი პიტიახშთა რანგის უნდა ყოფილიყო.

ორმო № 11 (ტაბ. $VIII_{1,2}$). გამოვლინდა № 147 სამარხის სამხრეთ-დასავლეთით. მდებარეობს XXIII ნაკვეთის მე-2 კვადრატში. პირის დიამეტრი 1.5 მ-ია, ძირისა 1.65 მ. შემორჩენილი სიღრმე 0.8-0.9 მ-ს უდრის. ორმოში აღმოჩნდა (ტაბ. XIII): მრგვალი თიხის ფილის ფრაგმენტი, რელიეფური ორნამენტით (სავ. № 160); ცხოველის სკულპტურული ფიგურა, თიხის (სავ. № 161), კერამიკული წუნი (სავ. № 381), რკინის ნივთის ფრაგმენტი (სავ. № 162), დოქის (სავ. № 372, 373, 374, 382, 383), ჩაფის (სავ. № 375, 376, 393, 39), ქოთნის (სავ. № 378, 379; 380, 396), ჯამის (სავ. № 385; 386), ჩაფის (სავ. № 388; 389), დერგის (სავ. № 390; 391) და სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები (სავ. № 370, 371, 377, 384, 387, 392).

ორმო № 12. გამოვლინდა № 147 სამარხის დასავლეთით 2.0 მ დაცილებით, XXIII ნაკვეთის მე-2 კვადრატში (ტაბ. $VIII_{1,2}$). ძლიერაა დაზიანებული. ორმოში აღმოჩნდა (ტაბ. XI): ობსიდიანის ლამელა (სავ. № 179), მინის თასის (სავ. № 438), თიხის ჯამის (სავ. № 429), კოჭობის (სავ. № 431), ქოთნის (სავ. № 432, 435), ქვაბ-ქოთანის (სავ. № 433, 434), დოქის (სავ. № 436) და სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები (სავ. № 428, 430, 437).

პირველ უბანზე, XXIII ნაკვეთის 1-3 კვადრატებში **№ 147 სამარხის გარშემო,** სხვა კერამიკის ფრაგმენტებიც (სავ. №№ 190-215, 263-271) აღმოჩნდა. ისინი უკონტექსტოა, რამდენადაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გავლებული თხრილის შევსებაში დაფიქსირდა.

II უბანი. ორსენაკიანი ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია (ტაბ. II-IV). ორსენაკიანი ნაგებობა მდებარეობს XXVIII ნაკვეთის 6,7,8,10,11 კვადრატებში. ნაგებობა (ტაბ. VI_1) მე-20 საუკუნის 40-იან წლებში გაითხარა. 2015 წელს გაიწმინდა შიდა სივრცე და გარე პერიმეტრი. ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართა XXVIII ნაკვეთის 6,7 კვადრატებში, ორსენაკიან ნაგებობასა და მრავალსენაკიანი ნაგებობის №7 სენაკს შორის. ეს სივრცე ნაგებობათა ნაშთებს არ შეიცავს. თუმცა, გამოვლინდა ორსენაკიან ნაგებობაზე დასავლეთიდან მიდგმული კედლის ნაშთი და მრავალსენაკიანი ნაგებობის № 7 სენაკის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. ამ სივრცის სრული შესწავლა მომავალ წელს არის დაგეგმილი.

III უბანი. ორსენაკიანი ნაგებობის აღმოსავლეთით და ზღურბლიანი ნაგებობის სამხრეთით მდებარეობს (ტაბ. VI_2), რომელიც XXVII ნაკვეთის 10-12 კვადრატებს და XXXIII ნაკვეთს მთლიანად მოიცავს (ტაბ. II, IV). ჩვენ, ეს მონაკვეთი პირობითად „გაუთხრელ“ ფართობად მივიჩნიეთ. რამდენადაც ცნობილია, არმაზისხევის ექსპედიცია 40-იანი წლების მიწურულს კიდევ აპირებდა საველე სამუშაოების გაგრძელებას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. ჩვენთვის მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ სრული ინფორმაცია დღეისთვის ხელმიუწვდომელია, არმაზისხევის არქეოლოგიურ კომპლექსზე ჩატარებული სამუშაოების სრული სურათის წარმოდგენა ვერ ხერხდება.

ჩვენს ხელთ არსებული პუბლიკაციების, ანგარიშებსა და დღიურების მიხედვით ძნელი აღმოჩნდა „გაუთხრელი“ მონაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა. ერთი ვარაუდით, ეს ის ადგილია, სადაც 2015 წელს ჩვენ ჩავატარეთ სამუშაოები, მეორე მოსაზრებით „გაუთხრელი“ ფართობი აქედან აღმოსავლეთით, თანამედროვე გზის პირას მდებარეობს.

2015 წელს III უბანზე, არმაზისხევის არქეოლოგიური კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში არსებულ „გაუთხრელ“ ფართობზე

(დაახლ. 200 კვ.მ), მიწა უნდა მოიხსნილიყო მინიმუმ 1.0 მ. და მაქსიმუმ 2.5 მ სიღრმეზე. სამუშაოები წარიმართა 288 კვ.მ. (24x12 მ.). მიწა 2.0-2.5 მ სიღრმეზე მოიხსნა. გაირკვა, რომ ამ მონაკვეთში მე-20 საუკუნის 40-იან წლებში რამდენიმე სადაზვერვო თხრილი გაუჭრიათ, თუმცა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტები ვერც მაშინ დაფიქსირებულა. ამაზე მიუთითებს ის, რომ გამოქვეყნებულ (აფაქიძე და სხვ. 1955) და არქივში დაცულ გეგმებზე ამ მონაკვეთში არაფერი არ არის დატანილი.

2015 წელს „გაუთხრელი“ ფართობის მხოლოდ ერთ ნაწილზე წარიმართა სამუშაოები. დაფიქსირდა, რომ ეს მონაკვეთიც გათხრილია მე-20 საუკუნეში. III უბნის მხოლოდ მცირე მონაკვეთში გამოვლინდა (XXVIII ნაკვეთის მე-5 კვადრატი) ხელუხლებელი კულტურული ფენა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს გვიანანტიკური ხანის კერამიკის ფრაგმენტებს და რიყის წვრილ ქვებს. III უბნის სრული შესწავლა 2016 წელს არის განსაზღვრული.

IV უბანი. ზღურბლიანი ნაგებობა (ტაბ. II, IV). მდებარეობს არქეოლოგიური კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, აბანოს სამხრეთით და მოიცავს XXVII ნაკვეთის 6,9,12 და XXXII ნაკვეთის 4-12 კვადრატებს. წარმოადგენს ქვითკირით ნაგებ კომპლექსს, რომლიც ორი დარბაზისაგან შედგება (ტაბ. IV, V, VI_2). გაითხარა მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში (აფაქიძე და სხვ. 1955). 2015 წელს მიწის სამუშაოები წარიმართა როგორც გარე პერიმეტრზე, ისე შიდა სივრცეში. გარე პერიმეტრზე ჩატარებული სამუშაოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მის დასავლეთით ჩატარებული გათხრები, სადაც ქვითკირით ნაგები კედელი და წყალსადენის ნაშთი გამოვლინდა. ამ მონაკვეთის გათხრები დაწვრილებით მრავალსენაკიანი კომპლექსის გათხრების აღწერისას იქნება განხილული, რადგან ის სწორედ ამ ნაგებობის ქვეშ გამოვლინდა. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ქვითკირით ნაგები კედელი ზღურბლიანი ნაგებობის სამხრეთ კედელზეა მიდგმული და მის გაგრძელებას წარმოადგენს. ამ კედლის მშენებლობის ტექნიკა ზღურბლიანი ნაგებობის მშენებლობის ტექნიკის ანალოგიურია.

ქვითკირით ნაგები კედლის მცირე ნაშთი ზღურბლიანი ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთანაც დაფიქსირდა. ამ ადგილზე კედელი მცხეთა I-ში გამოქვეყნებულ გენგეგმაზეც არის დატანილი, თუმცა ის უდუღაბო კედლების მსგავსადაა ნაჩვენები. ამჟამად ამ ადგილზე უსისტემოდ ჩაყრილი ქვების გროვა ფიქსირდება, რომლებიც ერთ დროს ქვითკირით ნაგებ კედლში ყოფილა ჩართული. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ნაშთები ზღურბლიანი ნაგებობის დასავლეთით კიდევ რამდენიმე ადგილზე დაფიქსირდა.

ზღურბლიანი ნაგებობის დასავლეთით არსებული ქვითკირით ნაგები კედლები გამოქვეყნებულ, ადრე შედგენილ გეგმებზე, დატანილი არ არის, ისინი არც ნაგებობათა აღწერის დროსაა მოხსენიებული [აფაქიძე და სხვა 1955]. ეს კედელი შესაძლებელია არქიტექტორ კ. მელითაურს აქვს ნანახი, რომელმაც ეს კომპლექსი ხელახლა აზომა მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში და მცირე გათხრებიც ჩაატარა. ეს სამუშაოები მხოლოდ ადრე გათხრილი კედლების გასუფთავების მიზნით ჩატარდა. ამ სამუშოების დროს მან ნამდვილად ნახა წყალსადენის ნაშთი და, თხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მხოლოდ თიხის ორი მილი გამოავლინა. ჩვენ მაინც ვვარაუდობთ, რომ კ. მელითაურმა ქვითკირის კედელი ამ მონაკვეთში ვერ ნახა, რამდენადაც წყალსადენის მილებთან ახლოს მდებარე და კედელზე მიბჯენილ ქვაყუთს მან ვერ მიაკვლია (გაითხარა 2015 წელს. იხ. ქვემოთ).

2015 წელს გამოვლენილი, ქვითკირით ნაგები დარბაზი უშუალოდაა მიდგმული „ზღურბლიან ნაგებობაზე“ და მის გაგრძელებას წარმოადგენს. ახლადგამოვლენილ, ქვითკირით ნაგებ დარბაზს, გვიანდელი ნაგებობების კედლები ფარავდა. ამიტომ, მისი გამოვლენა მე-20 სუკუნის 30-40-იან წლებში ვერ მოხერხდა. ქვითკირით ნაგები დარბაზის ჩრდილოეთი კედელი 7.0 მ სიგრძეზე კარგად დაფიქსირდა, ნაშთების სახით კი № 35 სამარხამდე აღწევს, რომლის გამართვის დროსაც დაუზიანებიათ კედელი. „ზღურბლიანი ნაგებობიდან“ № 35 სამარხის დასავლეთის ფილამდე კედლის სიგრძე 12.5 მ-ია.

ამდენად, 2015 წელს გამოვლენილი კედელი, ამ ტიპის კედლების სხვა ნაშთებთან ერთად მიუთითებს, რომ ახლად გამოვლენილი დარბაზის თუ რამდენიმე სათავსოს ფართობი დაახლ. 120 კვ.მ-ს უდრიდა. შეიძლება ითქვას, რომ ახლად გამოვლენილი კედელი და შესაბამისად ის ნაგებობა, რომელსაც ეკუთვნოდა, ზღურბლიან ნაგებობასთან ერთ კომპლექსს ქმნიდა. თუმცა, აშკარაა, რომ ამ კომპლექსის დასავლეთი ნაწილი ზღურბლიანი ნაგებობის ძირითად ნაწილზე მოგვიანებითაა მიშენებული.

ზღუბლიანი ნაგებობის ჩრდილოეთით განთავსებულია მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში გათხრილი ადრე შუა საუკუნეების ქვა-

ყუთები, აქვეა სხვადასხვა კედლების ნაშთები. ტერიტორია ადრე გავლებული სადაზვერვო თხრილების და იქიდან ამოყრილი მიწის ზვინულების გამო იმდენად უსწორმასწორო იყო, რომ გადაადგილება ჭირდა. ამიტომ, მოხდა ამ ადგილის ნიველირება, რამაც ძეგლის ვიზუალური სახე კარგად წარმოაჩინა. ასეთივე სამუშაო ჩატარდა ზღურბლიანი ნაგებობის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედელებთან.

V უბანი (ტაბ. II, IV, V_1, VI_1). მდებარეობს ერისთავთა სამაროვნის აღმოსავლეთით, ორსენაკიანი ნაგებობის ჩრდილოეთით, აბანოს სამხრეთითა და ზღურბლიანი ნაგებობის დასავლეთით. ამ მონაკვეთში არსებული კომპლექსი მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში გაითხარა. გასულ საუკუნეში შედგენილი გეგმის მიხედვით, თითქოს ის უფრო დიდი ჩანს, თუმცა დღეს, ვიზუალურად, აღარ ფიქსირდება. კომპლექსის სიგრძე ჩრდილოეთ – სამხრეთის ხაზზე 32 მეტრია, აღმოსავლეთ – დასავლეთის ხაზზზე კი დღეისათვის 20 მ-ის სიგრძეზეა გამოვლენილი.

გამთხრელებმა კომპლექსს სახელი არ მიანიჭეს, არც სათავსები და სენაკებია დანომრილი. ამიტომ კომპლექსის აღწერის და ფიქსაციის გაადვილების მიზნით, ასევე, არმაზისხევის ექსპედიციის ტრადიციის გათვალისწინებით, ამ ნაგებობას ჩვენ, პირობითად, „მრავალსენაკიანი ნაგებობა“ ვუწოდეთ. კომპლექსის კედლები, ადრე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების სპეციფიკის და დროის ფაქტორის გამო, ძლიერაა დაზიანებული. ადგილ-ადგილ კი აღარ არსებობს. ამიტომ, სენაკების დანომვრის დროს დავეყრდენით როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულ გათხრებს, ისე გამოქვეყნებულ გეგმას [აფაქიძე და სხვ.: 1955]. დაინომრა სულ 12 სენაკი, თუმცა ჩანს, რომ მათი რაოდენობა მეტია და მომავალში ეს გათვალისწინებული უნდა იყოს. **№№ 1-3 სენაკები** განთავსებულია ზღურბლიანი ნაგებობის დასავლეთით, ისე რომ ამ სენაკების ყველა კედელი და შესაბამისად მრავალსენაკიანი ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის ეს მონაკვეთი ზღურბლიანი ნაგებობის დასავლეთ კედელზეა მიდგმული (ტაბ. IV, VII_2).

მრავალსენაკიანი ნაგებობის ყველა კედელი ფლეთილი ქვითაა ნაგები. შემაკავშირებლად ტალახია გამოყენებული, რითაც მრავალსენაკიანი ნაგებობის კედლები მკვეთრად განსხვავდება ზღურბლიანი ნაგებობის კირხსნარით ამოყვანილი კედლებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ 30-40-იან წლებში გამოვლენილი კედლების მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი, № 1-3 სენაკების გეგმარების დადგენა შესაძლებელია. ასევე შესაძლებელია ინტერიერზე საუბარი. ამ მონაკვეთში განთავსებული ქვევრები მიუთითებს, რომ აქ მარანი ყოფილა გამართული. დღეს მხოლოდ 6 ქვევრის ნაშთია შემორჩენილი. №№ 1-3 სენაკების საერთო სიგრძე ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 11.0 მეტრია, სიგანე კი 5.5 მ-ს უდრის.

№3 სენაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დაუზიანებელი კულტურული ფენა დაფიქსირდა (1.0x1.5 მ). ეს ფენა ნაწილობრივ დევს ზღურბლიან ნაგებობაზე მიდგმული დარბაზის სამხრეთ კედელზე და გადადის თიხის მილებით გამართულ წყალსადენზე (წყალსადენის მილების თავზე აღმოჩნდა სავ. №№ 362-369, ტაბ. XIII). წყალსადენი (მილები 2.5 მ სიგრძეზე გამოვლინდა), რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოემართება, კვეთს ზღურბლიან ნაგებობაზე მიდგმული დარბაზის სამხრეთ კედელს და აბანოს მიმართულებით მიდის. ეს კულტურული ფენა № 1-3 სენაკების აღმოსავლეთი კედლის ქვეშ მდებარეობს. ეს კედელი უშუალოდაა დაშენებული ამ ფენაზე და მასში აღმოჩენილ ინვენტარზე.

№ 4 სენაკი წარმოადგენს №№ 1-3 სენაკების გაგრძელებას, რომლებსაც სამხრეთიდან ებჯინება. მდებარეობს XXII ნაკვეთის მე-12 და XXVII ნაკვეთის მე-10 კვადრატებში, ნაწილობრივ მოიცავს XXIII ნაკვეთის მე-3 და XXVIII ნაკვეთის 1 კვადრატებს. № 4 სენაკს საერთო კედლები აქვს № 3 და № 5 სენაკებთან. ეს უკანასკნელი კედელი კარგადაა შემორჩენილი, მე-3 სათავსთან კი ძლიერაა დაზიანებული. ძველი ნახაზის მიხედვით № 3 და № 4 სენაკების გამყოფი კედელი ფარავდა 2015 წელს გამოვლენილ, ზღუბლიან ნაგებობაზე მიდგმული დარბაზის სამხრეთ კედელს. სენაკის სიგრძე ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 6.5 მ-ია, სიგანე 6.0 მეტრს უდრის.

№ 4 სენაკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ზღურბლიან ნაგებობაზე მიშენებული კედლიდან 0,4 მ. დაცილებით ქვაყუთი (სამარხი № 146) დაფიქსირდა. სამარხი № 146 მდებარეობს XXII ნაკვეთის მე-12 კვადრატში. სამარხის კედლები გამართულია ქვიშაქვის ფილებით. გადახურულია ქვიშაქვისავე ფილით. სამარხი გამართულია დიდი ზომის სქელკეციან ქვევრზე, რომელსაც პირი და ყელი მომტვრეული აქვს. ეს ქვევრი თავისთავად აზიანებს თოკისებური ორნამენტით შემკულ თხელკეციან ქვევრს. ისე, რომ ამ მონაკვეთში სტრატიგრაფიულად ხუთი ფენაა წარმოდგენილი. სამარხის გადახურვის ფილასთან აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები (სავ. № 180, 180ა), რომლე-

ბიც სამარხს არ ეკუთვნის. სამარხის იატაკზე აღმოჩნდა ქოთანი (სავ. № 181), რომელსაც ქვის სარქველი (სავ. № 229) ჰქონდა და სალესი (სავ. № 228):

№№ 5-7 სენაკები. 2015 წლის არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე ამ სენაკების კედლების მხოლოდ მცირე ნაშთები შეინიშნებოდა. ჩვენს მიერ ხელახლა გასაუფთავდა № 5-7 სენაკების კედლების ნაშთები. პრეპარაციის დროს XI-XII საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები (ინვ. № 153, 477) აღმოჩნდა. აქვე იყო ამავე ეპოქის თიხის ჭურჭლების სხვა ნატეხებიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არმაზისხევის კომპლექსის ამ მონაკვეთში განვითარებულ შუა საუკუნეებში მოზრდილი კომპლექსი ყოფილა გამართული. ეს თარიღი მართებული ჩანს იმის გამოც, რომ კედლების ამ ფრაგმენტების ქვეშ საკმაოდ დიდი დარბაზი გამოვლინდა, რომელიც № 10, 11 სახლებთან ერთად ახალი დიდი კომპლექსის მთავარ ნაწილებს წარმოადგენენ.

მრვალსენაკიანი ნაგებობის (ტაბ. IV, V, VII_2) №№ 5-7 სენაკების კედლები ქვიშაქვის ნატეხებითაა ნაგები. ქვები საშუალო ზომისაა, შემაკავშირებლად ტალახია გამოყენებული. მათი სიგანე, როგორც ჩანს, 0.4 – 0.5 მ-ის უდრიდა. ამ ნაშთების ქვეშ გამოვლინდა კედლები, რომლებიც სამშენებლო მასალითაც განსხვავდებიან ზედა დონის ნაგებობის კედლებისაგან. ქვედა დონის კედლები ქვიშაქვის ფილებითაა ნაგები. კედლის სიგანე 0.7 – 0.75 მ-ია.

№№ 5-7 სენაკების ქვეშ ერთი დიდი დარბაზი გამოვლინდა, რომლის სიგრძე ჩრდილოეთ – სამხრეთის ხაზზე 11.75 მ-ია, სიგანე 7.0 მ-ს უდრის. დარბაზის იატაკი ქვიშაქვისავე ფილებით ყოფილა მოგებული.

დარბაზის ტერიტორიაზე მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში ორი სადაზვერვო თხრილი გაუჭრიათ. როგორც ჩანს, თხრილებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ამის შესახებ წერილობით ჩვენთვის არაფერია ცნობილი. ერთ მონაკვეთში ჩვენც გავჭერით თხრილი, თუმცა 0.05 – 0.1 მ-ის ქვეშ უძრავი ფენა გამოვლინდა. ჩანს, რომ ახლად გამოვლენილი დარბაზი დედაქანზე იქნა აგებული.

№ 8 სენაკის კუთხე № 7 სენაკის დასავლეთით გამოვლინდა. კედლები ფლეთილი ქვითაა ნაგები, უდუღაბოდ. ამ სენაკის, ისევე როგორც № 9 სენაკის გათხრა 2016 წლისათვის დაიგეგმა.

2015 წელს ასევე გაიწმინდა მრავალსენაკიანი ნაგებობის № 10 და № 11 სენაკები (ტაბ III, IV, VII-1). ეს სენაკები № 3-4 სენაკების დასავლეთით მდებარეობს. დაზიანებულია გვიანდელი სამარხების გამართვისას. შედარებით კარგადაა შემორჩენილი სენაკების გამყოფი სამხრეთი კედლები. № 4 სენაკსა და № 10 სენაკს შორის 1.8 მ. სიგანის კორიდორი (?) დაფიქსირდა. ის დაახლოებით 6.0 მ სიგრძეზე გამოვლინდა. ჩანს, რომ მას გაგრძელება ექნება როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით. 2015 წელს ვერც ამ სენაკების გათხრა დასრულდა. ამდენად, უნდა ითქვას, რომ მრავალსენაკიანი ნაგებობის №№ 1-7 სენაკების გათხრა დასრულებულია, №№ 8-12 სენაკების გათხრები კი 2016 წელს უნდა ჩატარდეს.

„მრავალსენაკიან ნაგებობაში“ აღმოჩნდა (ტაბ. XI-XIII): **№ 1 სენაკში** (ნაკვ. XXVII კვ. 4 და ნაკვ. XXII კვ. 6) თიხის ჭურჭლის ნეტეხები (სავ. №№ 123-127, 144-145, 163-170) და ბრინჯაოს სამაჯური (სავ. № 170). № 1 სენაკის აღმოსავლეთი კედლის აღმოსავლეთით 2015 წელს გამოვლენილი კედლის (ზღურბლიანი ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის გარეთ) აღმოსავლეთით (XXVII ნაკვ. კვ. 5) აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სავ. №№ 146-151). **№№ 2-3 სენაკებში (**სავ. №№ 116-121, 128-143 – ნაკვ. XXVII კვ. 7, ნაკვ. XXII კვ. 9) წყალსადენის მილების თავზე ჯამის, ჩაფის, დერგის, ქოთნის (სავ. №№ 362-369) და აღმოსავლეთი კედლის ქვეშ, ჭინჭილას (სავ. № 427) ფრაგმენტები აღმოჩნდა. **№ 4 სენაკში** (ნაკვ. XXVII კვ. 10;) აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი (სავ. №№ 115, 122, 152, 156-158, 186, 452). **№ 5-7 სენაკებში** (ნაკვ. XXVIII კვ. 1 და 4, ნაკვ. XXIII კვ. 3) აღმოჩნდა: ინტერიერის შევსებაში ჭურჭლის ფრაგმენტები (სავ. № 154, 171-174, 230-236, 272-309, 312-314, 319, 344-353, 439-440; იატაკზე (სავ. № 182-185, 249-254, 310-311, 355, 404-415, 441-451, 481, 537-545). გამოირჩევა მაღალყელიანი სურები, რომლებიც ტალღისებური ორნამენტითაა შემკული. **№ 5-7 სენაკების** დასავლეთი კედლის (ნაკვ. XXIII კვ. 3,6) პრეპარაციის დროს აღმოჩნდა ქოცოს პირ-ყელის (სავ. № 453), ქოთნის (სავ. № 454-458, 461, 466, 491, 492, 494), ჩაფის (სავ. № 455, 462, 463, 465, 488), დერგის (სავ. № 459, 490), დოქის (სავ. № 460, 493), ქილის (სავ. № 464) ფრაგმენტები. **№ 5-7 სენაკების** აღმოსავლეთი კედლის გარე პერიმეტრზე (ნაკვ. XXVIII კვ. 1,4), უშუალოდ კედლის ძირში აღმოჩნდა წრიული ფორმის თიხის ფილა ზედ გამოსახული ბოლნური ჯვარით (სავ. №159), ჯამის (სავ. № 153, 321), დოქის (სავ. № 315, 316, 324, 325, 343, 477), დერგის (სავ. № 318, 320), ქოთნის (სავ. № 322, 360), ქილის (სავ. № 359), კოჭობის (სავ. № 328), ჩაფის (სავ. № 326, 341, 357), ფიალის (სავ. № 327, 361),

ქვევრის (სავ. № 330), და სხვა ფრაგმენტები (სავ. № 238-248, 317, 323, 329, 356, 358), ასევე მომწვანო მინის ჭურჭლის პირი (სავ. № 354). **№ 7 სენაკში** (სამხრ. კედლის დასავლეთით, ნაკვ. XXIII, კვ. 9; ინვ. №№ 397-403) აღმოჩნდა დოქის (სავ. № 397, 398), ჩაფის (სავ. № 399, 401) და სხვა ჭურჭლის ფრაგმენტები (სავ. № 402, 403). **№ 8 სენაკში** (ნაკვ. XXIII კვ. 6 და კვ.9; ინვ. №№ 495-498, 514) აღმოჩნდა ხელადის (სავ. № 495) დოქის (სავ. № 496,497) ნატეხები, ლეგად გამომწვარი, პირგადაშლილი ქოთნის პირის ფრაგმენტი, (სავ. № 498), სხვა ჭურჭლის (სავ. № 514) ნატეხები. **№ 10 სენაკში** (ნაკვ. XXII კვ. 9 და 11; ინვ. №№ 499-507): ჯამის (სავ. № 499) დოქის (სავ. № 500, 502, 503) ქილის (სავ. № 501), ჩაფის (სავ. № 504), ჩაფის (სავ. № 505), ჯამის (სავ. № 506) ბადიის (სავ. № 507) ნატეხები აღმოჩნდა. **№ 11 სენაკში** (ნაკვ. XXII კვ. 8,11. ინვ. №№ 508-513, 515-516, 534-536) აღმოჩნდა: დოქის (სავ. № 508, 512). ჯამის (სავ. № 509, 513), კოჭობის ან ხელადის (სავ. № 510), ჩაფის (სავ. № 515, 516). ქვევრის (სავ. № 534) აგურის (სავ. № 535) ნატეხები და ხელსაფქვავი (სავ. № 536).

მრავალსენაკიანი ნაგებობის ქვეშ გამოვლენილი დიდი კომპლექსის იატაკზე აღმოჩნდა: ხელადა (სავ. № 182), რელიეფური ორნამენტით შემკული თიხის ფირფიტა (სავ. № 183), სამფეხა ფიგურა (სავ. № 184). ნიჟარა – კაური (სავ. № 185), ჩანჩხურა (სავ. № 311), კარნიზი ქვიშაქვის (სავ. № 355), სალესი ქვა (სავ. № 441), ბადია (სავ. № 310, 537, 543), დოქის (სავ. №404, 443, 448, 449, 541, 544), ჯამის (სავ. № 405, 442, 445, 538), ქოთნის (სავ. № 406, 407, 409, 410, 413, 446), კოჭბის (სავ. № 450, 451), ჭინჭილის (სავ. № 444), დერგის (სავ. № 447), ბრტყელი კრამიტის (სავ. № 481) და ჩაფის (სავ. № 539, 542, 545) ნატეხები.

დასკვნა:

1. 2014 წელს არმაზისხევში ჩატარებული სამუშაოებით გაირკვა, რომ შერჩეული მონაკვეთი ძირითადად სრულადაა გათხრილი XX ს-ის 30-40-იან წლებში. გაუთხრელი დარჩა თხრილებს შორის მოქცეული მონაკვეთები, კედლებისა და იატაკების ქვეშ დარჩენილი მცირე ფართობები;

2. XX ს-ის 30-40-იან წლებში გამოვლენილი ნაგებობების ნაწილი დღეს აღარ არის შემორჩენილი (შეადარე: აფაქიძე და სხვ. 1955: გენგეგმა);

3. 2014 წლის გათხრების დროს გამოვლინდა – ქვატეხილით ნაგები სახლი, რომელსაც ქვაფენილიანი იატაკი აქვს; სამეურნეო ორმოები; სამარხი № 145; 4 ც ქვევრი/ქოცო; ქვის სტელის ნაწილი.

4. 2014 წელს აღმოჩენილი არტეფაქტები ახ.წ. IV-VII სს. თარიღდება. დათარიღებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ყელწიბოიან და კოპებით შემკულ ხელადებს, აგრეთვე, ე.წ. „წყლის ორნამენტით“ შემკულ თიხის ჭურჭელს. საანგარიშო წელს არმაზისხევში აღმოჩენილი ამ ტიპის ჭურჭლები გამოვლენილია აქვე, XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებული გათხრებისას [აფაქიძე, და სხვ. 1955: ტაბ. $CIX_{11,12,15}$], სამთავროზე [Иващенко 1980: სურ. 87-100, 115-144]; დიღმის ხეობაში [ნიკოლაიშვილი 1978: 91-104, ტაბ. $55_{61,66;}$ ტაბ. 57_{69-70}]; მცხეთაში [ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995: სურ. 97-134; ტაბ. 938-940, 1181]; კარსნისხევში [ნიკოლაიშვილი 1993].

2015 წლის არქეოლოგიური სამუშაოების დროს რამდენიმე ახალი ობიექტი გამოვლინდა: 1. პირველ რიგში აღსანიშნავია ზღურბლიანი ნაგებობის თანადროული, ქვითკირით ნაგები კედელი, დარბაზის ნაშთები; 2. მრავალსენაკიანი ნაგებობის ქვეშ გაითხარა ადრეული შუა საუკუნეების დროინდელი დიდი დარბაზი, რომელიც მანამდე ცნობილი არ იყო.

2014-2015 წლებში და მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებული სამუშაოების მიხედვით შესაძლებელია არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსის ახალ სტრატიგრაფიაზე საუბარი. დღეისათვის არმაზისხევში დაფიქსირებული კულტურული ფენები და შესაბამისი სამშენებლო დონეები ასეთ სურათს იძლევა:

I ფენა (ქვის ხანა) წარმოდგენილია შუა პალეოლითური (მუსტიე?) ლამელით (№2 ორმოში სავ. № 100); ზედაპალეოლითური გრავეტის ტიპის ლამელით (XVIII ნაკვეთის მე-5 კვადრატში, სავ. № 101) და ობსიდიანის მიკროლამელით (№ 145 სამარხის პრეპარაციისას, სავ. № 102). ქვის ხანის იარაღები განსაზღვრა თენგიზ მეშველიანმა. მსგავსი არტეფაქტები XX საუკუნის 30-40-იან წლებში წარმოებული გათხრების დროსაც დაფიქსირდა. ამავე ფენას მიეკუთვნება ობსიდიანის დასამუშავებელი სახელესნო [აფაქიძე და სხვ. 1955: 10].

II ფენას (ბრინჯაოს ხანა) მიეკუთვნება გვიანი ბრინჯაოს ხანის შვიდი სამარხი.

III ფენა (ადრეანტიკური ხანა) ძვ.წ. V-IV სს-ის ნამოსახლარის და სამარხების ნაშთები დაფიქსირებულია ე.წ. ტყის უბანზე.

IV ფენის (ელინისტური ხანა) ძვ.წ. III-I სს. ნამოსახლარი და სამაროვანი მიკვლეულია კაცითავანას ბორცვზე და ე.წ. ტყის უბანზე, კოლხური თეთრი კი აღმოჩენილია ერისთავთა სამაროვანზე.

V ფენას (გვიანანტიკური ხანა) მიეკუთვ-

ნება ახ.წ. I-V სს. ერისთავთა რეზიდენცია და სამარხები.

VI ფენა შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

მიუხედავად იმისა, რომ არმაზისხევის ერისთავთა კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა გრძელდება, შეიძლება V-VI ფენების დანაწევრებული სტრატიგრაფიის წარმოდგენა:

V ფენა რამდენიმე სამშენებლო დონითაა წარმოდგენილი:

1. სულ ქვედა, A დონეს (Va ფენა) მიეკუთვნება ზღურბლიანი ნაგებობა, რომელიც ჩვენი აზრით აგებულია ახ.წ. I საუკუნეში და ფუნქციონირებს IV ს-ის ჩათვლით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორსენაკიანი ნაგებობის კედლებში გამოყენებული ქვათლილები ადრეულია და ელინისტური ხანის ნაგებობას ეკუთვნის. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ საერისთავო რეზიდენცია აქ უფრო ადრე, ელინისტურ ხანაში გაჩნდა. კაცითავანას და ტყის უბნის ელინისტური ფენების პარალელურად. ისიც უნდა ითქვას, რომ მძლავრი კულტურული ფენები აბანოს აღმოსავლეთით, მტკვრისპირა ფლატეში კარგად ჩანს. დასახლების კვალი ფლატეში 250 მ-ის სიგრძეზე დაფიქსირდა. ვფიქრობთ, რომ ერისთავთა სასახლე და ძირითადი ნაგებობები სწორედ ამ ტერიტორიაზე უნდა იყოს განთავსებული. ისე, რომ ამ მონაკვეთის გათხრამ შეიძლება რეზიდენციის ძველი ფენები გამოავლინოს.

2. B დონეს (Vb ფენა) ეკუთვნის დარბაზი, რომელიც ზღურბლიან ნაგებობაზეა მიშენებული და მასთან ერთად დროის გარკვეულ მონაკვეთში თანაარსებობენ (ახ.წ. II-III სს.).

3. C დონე (Vc ფენა). ჩანს, რომ პიტიახშები ძალაუფლებას IV ს-ში კარგავენ (ალბათ ქრისტიანობის შემოსვლასთან დაკავშირებით), თუმცა მაღალ სოციალურ სტატუსს ინარჩუნებენ. ამაზე მიუთითებს IV-V საუკუნეების მდიდრული სამარხები. რეზიდენცია IV-V სს-ში დაკნინებულია, ქვითკირით ნაგები კომპლექსი შემცირებულია. აღმოსავლეთით მდებარე ქვითკირით ნაგები დარბაზი დანგრეულია, ძველი წყალსადენები გაუქმებულია და გაყვანილია ახალი, რომელიც დარბაზის ნანგრევებზეა გაფუძნებული. ეს წყალსადენი აბანოს ფუნქციონირების ბოლო ეტაპს მიეკუთვნება. XX საუკუნის 30-40-იან წლებში გაითხარა ორი წყალსადენი, რომელთაგან ერთი, 2015 წელს ხელახლა გამოვლენილი წყალსადენიდან დასავლეთით დაახლ 6-7 მეტრის დაცილებით გადიოდა [იხ. აფაქიძე და სხვ. 1955: გენგეგმა]. ახლადგამოვლენილი წყალსადენი ალბათ IV-V სს. მიეკუთვნება, ამ ფენას უნდა ეკუთვნოდეს № 146 სამარხის ქვეშ გამოვლენილი ქვევრის (№ 1) მიერ დაზიანებული ქვევრი (№ 2). ამ დროისათვის კვლავ ფუნქციონირებს აბანო, ზღურბლიანი ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში, პიტიახშთა სამარხების (№№ 1-3, 5-9) ახლოს გამართულია ნაკლებად მდიდრული სამარხები.

არმაზისხევის კომპლექსის სტრატიგრაფიის, დათარიღების და ნაგებობათა ურთიერთმიმართებისა და ტიპის თაობაზე აზრთა გარკვეული სხვადასხაობაა. ძეგლის გამთხრელები ფიქრობდნენ, რომ ზღურბლიანი ნაგებობა, ერთსენაკიანი და ორსენაკიანი ნაგებობები სინქრინული ნაგებობებია, რომელიც „ერისთავთა სასახლის კომპლექსს“ წარმოადგენდა [აფაქიძე და სხვ. 1955]. კ. ხიმშიაშვილი ფიქრობს, რომ ორსენაკიანი ნაგებობის და სამარხების გამართვის ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება არ უნდა იყოს მართებული. მისი აზრით „სამარხები ჩაიდგა უკვე დანგრეულ, განადგურებულ ნაგებობაში“, სამარხები კი ნაგებობის არსებობის მხოლოდ ზედა ზღვარზე მიუთითებს [ხიმშიაშვილი 1992: 106]. კ. ხიმშიაშვილის აზრით, ასპარუგ და ბერსუმა პიტიახშების სამარხები გამართულია აბანოსა და დანარჩენი ნაგებობების ხანძრით განადგურების შემდეგ. ასე, რომ № 2 სამარხი გაუმართავთ იმ დროს, როდესაც „კომპლექსი უკვე განადგურებული იყო და იგი ნანგრევებში ჩადგეს [ხიმშიაშვილი 1992: 107].

კ. ხიმშიაშვილის აზრით, „არმაზისხევის პიტიახთა სასახლის კომპლესი ახ.წ. II საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე განადგურებული იყო. ამიტომ, კომპლექსის არსებობის თარიღად ახ.წ. I საუკუნე და II საუკუნის დასაწყისი მიაჩნია [ხიმშიაშვილი 1992: 107-108].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მდ. მტკვრისა და მდ. არმაზისხევის შესართავში გათხრილი კომპლექსი ერისთავთა (პიტიახშების) რეზიდენციას წარმოადგენს. რეზიდენცია და ერისთავთა სამარხები ერთდროულად ფუნქციონირებს და მათ შორის წყვეტილი არ არის. რეზიდენცია და სამაროვანი (ერისთავთა 8 სამარხი და IV-V სს მდიდრული სამარხები) ახ.წ. I-V სს-ში ფუნქციონირებს. თუმცა, ძეგლის სტრატიგრაფია, კომპლექსის გეგმარება, ნაგებობათა ატრიბუცია და თარიღები განსხვავებულად წარმოგვიდგენია.

ჩვენი აზრით, 2014-2015 წლებში ჩატარებული გათხრები, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში წარმოებულ სამუშაოებთან ერთად გვიჩვენებს, რომ ზღურბლიანი ნაგებობა დღეს გამოვლენილ ნაგებობებს შორის ყველაზე ძველია, რომელზეც, მოგვიანებით, დასავლეთის მხრიდან მიდგმულია დიდი დარბაზი. ეს

დარბაზი IV საუკუნისათვის დანგრეული ჩანს. თუმცა ზღურბლიანი ნაგებობა და აბანო ფუნქციონირებას განაგრძობს. ამაზე მიუთითებს აბანოსაკენ მიმავალი, თიხის მილებით გაწყობილი წყალსადენი, რომელიც ზღურბლიანი ნაგებობის დასავლეთის მინაშენის ნანგრევებზე გადადის. საყურადღებოა ისიც, რომ ზღურბლიანი ნაგებობის და აბანოს ტერიტორიაზე სამარხები ყველაზე გვიან არის გამართული (იხ. ტაბ I). ჩანს, რომ ეს ტერიტორია VIII საუკუნემდე სამარხებისაგან თავისუფალია.

კ. ხიმშიაშვილი არმაზისხევის პიტიახშთა კომპლექსს ოთხაივნიანი სასახლის არქიტექტურულ ტიპს მიაკუთვნებს [ხიმშიაშვილი 1992: 108-109]. თუმცა, შესაძლებელია სხვაგვარი ახსნაც.

არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრები მიუთითებს, რომ კომპლექსი აღმოსავლეთით გრძელდება. გამოქვეყნებული გეგმა [აფაქიძე და სხვ. 1955] და დღეს არსებული რეალობა, აშკარად აჩვენებს, რომ აბანოს კომპლექსი და ზღურბლიანი ნაგებობა აღმოსავლეთით გრძელდება. ამ ვარაუდს ამყარებს ჩვენს მიერ 2014-2015 წლებში მტკვრისპირა ფლატეების არქეოლოგიური დაზვერვები, სადაც 200 მეტრის სიგრძეზე მძლავრი კულტურული ფენები დადასტურდა. ჭრილში და ჩამონაშალში შეინიშნება დუღაბით დაფარული რიყის ქვები და კრამიტის ნატეხები.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ არმაზისხევის ერისთავთა კომპლექსის ძირითადი ნაწილი ზღურბლიანი ნაგებობისა და აბანოს აღმოსავლეთით მდებარეობს. ერისთავთა რეზიდენციის (დღეისათვის გათხრილი ნაწილიდან) ახ.წ. I-V სს. კომპლექსში შედიოდა ზღურბლიანი ნაგებობა თავისი მინაშენებით, აბანო და ამ ეპოქის მდიდრული სამარხები (ტაბ. XV). სხვა ნაგებობები მხოლოდ რეზიდენციის გაუქმების შემდეგ გაჩნდა და მათი ნაწილი VI – VII საუკუნეებს მიეკუთვნება.

ვფიქრობთ, რომ ზღურბლიანი ნაგებობის სამხრეთი კედელი ყრუ იყო. ასეთვე კედელი აგებული იყო დასავლეთითაც. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მე-20 საუკუნის 40-იან წლებში [აფაქიძე და სხვ. 1955: იხ. გეგმა] და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოები (ტაბ. I, II, XV, XVI). ახ.წ. I-V საუკუნეებში ერისთავთა რეზიდენციას და სამაროვანს ნაგებობათა კედლები ყოფდა (ტაბ. XVI). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არმაზისხევის IV-V სს. ყველა მდიდრული სამარხი ზღურბლიანი ნაგებობის სამხრეთით, მისგან მოცილებითაა გამართული, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სასახლის კომპლექსი და სამაროვნი ამ დროისათვისაც კედლით იყო გაყოფილი.

როგორც ჩანს, სამარხები რეზიდენციის გარეთ, სავარუდოდ, გზის პირას მდებარეობდა. არ არის გამორიცხული, რომ გზასთან იდგა შარაგასის სტელაც. რაც შეეხება მიმავალ გზას, ერისთავთა კომპლექსი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გამავალ, ძირითად სავაჭრო-სატრანზიტო გზასთან იყო ახლოს.

პიტიახშთა რეზიდენცია მდ. არაზისხევის მარჯვენა ნაპირზე, მდ. მტკვრის, არმაზისხევისა და თრიალეთის ქედის განშტოებას შორის მოქცეულ კონცხზე ყოფილა გაშენებული. ამ ადგილას დასავლეთიდან მომავალი ცენტრალური გზა მდ. არმაზისხევთან ხევში შედიოდა და „კაცითავანას“ ნაქალაქარის გავლით, დაახლოებით 3-4 კმ-ის შემდეგ ისევ მდ. მტკვრის ნაპირზე ჩამოდიოდა. როგორც ჩანს, იმ ადგილიდან, სადაც ცენტრალური გზა არმაზისხევში შედიოდა, იწყებოდა ის მოკლე გზა, რომელიც პიტიახშების არმაზისხევის რეზიდენციასთან მიდიოდა. ამ გზის სიგრძე 200 – 250 მ იქნებოდა.

V საუკუნის მიწურულს ან, შეიძლება, შუა ხანებში, არმაზისხევის პირიახშთა რეზიდენცია საბოლოოდ წყვეტს არსებობას.

VI ფენა აღარ შეიცავს არმაზისხევის ერისთავთა მოღვაწეობის ნაშთებს. ამ პერიოდში არცერთი ძველი ნაგებობა აღარ ფუნქციონირებს. ეს ფენა რამდენიმე დონით არის წარმოდგენილი:

1A **დონე** (VIa ფენა) ადრეულ შუა საუკუნეებს (VI- VII სს.) განეკუთვნება. ახლა ძნელია ამ ფენის რომელიმე შენობასთან დაკავშირება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის მრავალსენაკიანი ნაგებობის №№ 1-3 სენაკების აღმოსავლეთი კედლის ქვეშ შედის და ამდენად მასზე ძველია, ამასთან ერთად ფარავს Vc ფენის წყალსადენს. ამ ფენის მიკუთვნება მრავალსენაკიანი ნაგებობის ქვეშ გამოვლენილ დიდი კომპლექსთანაც ჭირს, რამდენადაც ამ უკანასკნელის კუთვნილი კედლები ამ მონაკვეთში არ დაფიქსირებულა. ისინი შეიძლება №№ 1-3 სენაკების აღმოსავლეთი კედლის აღების შემდეგ გამოვლინდეს.

1B **დონე** (VIb ფენა) ეკუთვნის მრავალსენაკიანი ნაგებობის (№№ 1-7 სენაკები) ქვეშ გამოვლენილი კულტურული ფენა და №№ 4-7 სენაკების ქვეშ 2015 წელს გამოვლენილი „დიდი დარბაზი“. ასევე № 146 სამარხის მიერ დაზიანებული № 1 ქვევრი; № 10 და № 11 სახლები (VII-VIII სს.). არ არის გამორიცხული, რომ ჩვენს მიერ გამოყოფილი VIa – VIb ფენები ერთ დონეს წარმოადგენდეს და ის VI-VIII სს. უნდა მიეკუთვნოს. ასეთი ვარაუდისათვის ამ-

ჯერად მყარი მონაცემები არ გაგვაჩნია. თუმცა, ასეთი მოსაზრების გამოთქმა შესაძლებლად მიგვაჩნია.

1. C დონე (VIc ფენა). VIII საუკუნეში იწყება ახალი სამაროვნის (VIc ფენა) ფორმირება. №№ 145 და 146 სამარხი და ადრე შუასაუკუნეების სხვა სამარხები VIII-X სს. უნდა მიეკუთვნოს. ეს სამარხები მრავალსენაკიანი ნაგებობის ქედა ფენის დარბაზების დანგრევის შემდეგ ჩანს გამართული.

2. D დონეს (VId ფენა) მრავალსენაკიანი ნაგებობა (№№ 1-7 სენაკები) და მარანი ეკუთვნის, რომელიც განვითარებულ შუა საუკუნეებს (XI-XIII სს.) მიეკუთვნება.

G. Narimanishvili

EXCAVATIONS OF ARMAZISKHEVI ARCHAEOLOGICAL COMPLEX: REPORT

Summary

Armaziskhevi archaeological complex is situated 2 km far, west from Mtskheta railway station, at confluence of Armaziskhevi and Mtkvari rivers. At Armaziskhevi, in 1937-1946 were excavated cemetery dated from the 2nd-9th cc. bath, building with threshold, one cell and double cell buildings, wine cellar and 144 graves.

In 2014-2015 National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia started a project of rehabilitation of the site. In a framework of the project archaeological expedition of Georgian National Museum renewed an archaeological excavations on a territory of Armaziskhevi archaeological reserve. As a result of the work it was discovered that the buildings, which were excavated in 30's and 40's of the 20th c. are not preserved to our days; As a result of the excavations, here were discovered stone build building, household pits, graves # 145-147. Especially must be mentioned remnant of hall wall built with stones and lime, which is contemporary to the building with threshold. Also, under the multicell building was discovered a big hall dated from the medieval times, which was unknown yet. As a result of the work now we can speak about new stratigraphy of Armaziskhevi Pitiakhsh complex. Cultural strata and corresponding building layers now show us the following picture: **Stratum I** (Stone Age) is represented via tools of the Middle and Upper Paleolithic Ages. **Stratum II** (Bronze Age) seven graves of the Late Bronze Age. **Stratum III** (Early Antique Period) remnants of settlement and graves of 5th-4th cc. were discovered on so called "Forest Sector". **Stratum IV** (Hellenistic Period) settlement and cemetery are discovered on Katsitavana hill and so called "Forest Sector". Colchis Tetri was discovered on Eristavs' cemetery. **Stratum V** (Late Antique Period) residence and graves of Eristavs'. **Stratum VI** is represented via settlement and cemetery.

ლიტერატურა

აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ. 1993: კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ. 1978: ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბილისი, 91-104.

ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995: ბაიათხევი. – მცხეთა, X, 97-134.

ხიმშიაშვილი კ. 1992: არმაზისხევის ანტიკური ხანის ნაგებობანი. – ლიტერატურა და ხელოვნება № C1/2, 101-109.

Иващенко М. 1980: Самтаврские погребения первых трех веков н.э. (Мцхета, III), Тбилиси.

Нариманишвили Г. 1991: Керамика Картли V – I вв. до н.э. Тбилиси

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – არმაზისხევი, გეგნგეგმა. 1937-1949 და 2014-2015 წწ.

ტაბ. II – 2014-2015 წწ. გათხრების გეგმა.

ტაბ. III – 2014 წლის გათხრები. გეგმა

ტაბ. IV – 2015 წლის გათხრები. გეგმა.

ტაბ. V – ზღურბლიანი ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. VI – 1. ორსენაკიანი ნაგებობების ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 2. ზღურბლიანი ნაგებობების ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ტაბ. VII – 1. მრავალსენაკიანი ნაგებობის ხედი დასავლეთიდან; 2. მე-10-11 სენაკების ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. VIII – № 147 სამარხის გეგმა და ჭრილები.№ 147 სამარხის ხედი სამარხის გახსნის შემდეგ.

ტაბ. IX-X – 2014 წელს აღმოჩენილი არტეფაქტები.

ტაბ. XI-XIII – 2015 წელს აღმოჩენილი არტეფაქტები.

ტაბ. XIV – წყალსადენის მილი ფრინველის გამოსახულებით.

ტაბ. XV-XVI – არმაზისხევის ერისთავთა კომპლექსი

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Armaziskhevi. Masterplan. 1937-1939 and 2014-2015.

Pl. II – 2014-2015. Plan of the excavated area.

Pl. III – Excavations of 2014. Plan.

Pl. IV – Excavations of 2015. Plan.

Pl. V – General view of the building with threshold and surounding territory. View from the north.

Pl. VI – 1. Building with two rooms, view from the south-east. 2. building with threshold, view from the south-east.

Pl. VII – 1. Building with many rooms, view from the west; 2. Rooms Nos. 10-11, view from the south.

Pl. VIII – Grave 147, [lan and sections. View of the grave 147 after its openning.

Pl. IX-X – Artefacts found in 2014.

Pl. XI-XIII – Artefacts found in 2015.

Pl. XIV – Water supply pipe with an image of a bird.

Pl. XV-XVI – Armaziskhevi Pitiakhsh (Eristavi) complex.

ტაბ. I

N
I
VI
XI
XVI
XXI
XXVI
XXXI
II
VII
XII
XVII
XXII
XXVII
III
VIII
XIII
XVIII
XXIII
XXVIII
XXXIII
IV
IX
XIV
XIX
XXIV
XXIX
XXXIV
V
X
XV
XX
XXV
XXX
XXXV
20 10 0 20 Meters

0 2 4 6 8 10
XXII-4
XXII-7
XXII-8
XXII-9
XXII-10
XXVII-4
XXVII-5
XXVII-6
XXVII-7
XXVII-9
XXVII-10
XXVIII-1
XXXVIII-5
XXIII-1
XXIII-2
XXIII-3
XVIII-1
ქვევრი №2
თიხები №2
ხაბიჭი №1
თიხები №7
ქვევრი №3
ქვევრი №4
ქვევრი №1
XVIII-10
თიხები №10
თიხები №9
თიხები №6
თიხები №8
XIX-1
XIX-2
XIX-3
XXIV-1

ტაბ. III


სამარხი №1
ქვევრი № 2
0 50 100 150
სათავსი № 1
ორმო
№ 2
ორმო № 7
ორმო № 3
ორმო № 1
ორმო № 5
სათავსი № 2
1
2


1 : 1
2 : 2
0 50 100 150

ტაბ. IV



1

2

1

2

1

2



1



2



3



4

5

6

ტაბ. IX


12
15
11
14
20
21
18
10
8
33
35
39
27
28
30
46
7
5
19
26
44
45
36
24
47
6
2
3
4
01-3-9
9
31
16
43
17
01-3-22
22
01-3-32
32
25
1
13
40
50
51
33
34

ტაბ. X


48
38
37
71
49
53
52ა
52
57
56
58
55
68
70
75
73
65
66
61
60
72
60
76
63
87
91

ტაბ. XI


414
431
428
385
451
387
386
418
403
391
412
421
405
426
439
432
434
424
435
469
513
506
367
483
481
521
487
517
504

ტაბ. XII


219
209
218
225
128
148
154
188
107
115
116
152
186
169
182
123
226
174
118
124
117
119

ტაბ. XIII


159
175
183
160
178
184
161
374
400
401
353
311
343
359
312
378
380
362
379
328
320
306
238
295
286
352
363
340
331
305
303

ტაბ. XIV





0 2 4 6





0 2 4 6





ტაბ. XV



ტაბ. XVI

დავით მინდორაშვილი

საკირის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. საკირესთან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიახლოვეს, შემოვლითი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს აღმოჩნდა ორი არქეოლოგიური ობიექტი, რომლებიც 2014 წლის 27 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით შეისწავლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ.[1]

სოფ. საკირის მიდამოები გვიაბრინჯაოს ხანიდან ვიდრე ადრეული შუა საუკუნეების ჩათვლით უწყვეტად ჩანს დასახლებული [ღამბაშიძე, გოგოჭური 2007]. ამ ტერიტორიაზე ადრეული შუა საუკუნეების გამორჩეული ძეგლია საკირის ციხე, რომელიც განვითარებულ შუა საუკუნეებშიც განაგრძობდა ფუნქციონირებას და აკონტროლებდა ხეობაზე გამავალ მნიშვნელოვან გზებს [ბერძენიშვილი 1964:214-262; ბერძენიშვილი 2005:96]. წერილობითი წყაროების ცნობებითა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ციხის ახლომახლო ტერიტორიები ინტენსიურად ყოფილა დასახლებული გვიანდელ შუა საუკუნეებშიც [გურჯისტანის ... 1941:301]. სოფ. საკირის სიახლოვეს არსებული ზოგიერთი გვიანდელი ძეგლი არქეოლოგიურად შესწავლილია [რამიშვილი, მინდორაშვილი 2005].

2014 წელს მიკვლეული პირველი არქეოლოგიური ობიექტი მდებარეობს სოფ. საკირის ჩრდილოეთით (კოორდ. 8358582E/ 4623415N; 8358575E/4623410N). ის მოზრდილი ნასოფლარის შემადგენელი ერთ-ერთი საცხოვრებელი კომპლექსის ნაწილია.

გათხრების შედეგად გამოვლინდა ბაზალტის ფლეთილი და ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით მშრალად ნაგები სწორკუთხა გეგმის შენობა (შიდა ფართობი: 6,70x4,40 მ, კედლების სისქე 90-100 სმ), დამხრობილი აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე (ტაბ. I_1). მოზრდილი ქვებით ნაშენი კედლები ზოგ ადგილას 1,20 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. შენობა 70 სმ სისქისა და 2,95 მ სიგრძის ტიხარით ორ არათანაბარ სათავსოდაა გაყოფილი. შენობის დასავლეთი სათავსი კვადრატული გეგმისაა — 4,40x4,10 მ. აღმოსავლეთი სათავსი ვიწროა (1,65x3 მ), გეგმით П-ს მაგვარი (ტაბ. I_1). მისი სამხრეთი ნაწილი გახსნილია და შენობაში შესასვლელიც ამ მხრიდან უნდა ყოფილიყო (ტაბ. I_1). სათავსის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა იატაკში ნაწილობრივ ჩადგმული თონე (ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 26-50 სმ, დმ 73 სმ, კედლის სისქე 10 სმ). თონე ე.წ. „ქართული თონის“ ტიპს განეკუთვნება, ანუ მას სასულე (საქარე) მილი არა აქვს (ტაბ. I_2). შენობის ორივე სათავსი ერთმანეთს უკავშირდებოდა ტიხრის სამხრეთ ნაწილში არსებული 65 სმ სიგანის გასასვლელით (ტაბ. I_1).

შენობას, კერძოდ სათონეს, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰქონდა 1,40 მ სიგანის დერეფნისმაგვარი მინაშენი (ტაბ. I_1). შენობაში მოხვედრა შეიძლებოდა დერეფნის გავლით. ნაგებობის იატაკი მიწატკეპნილია. რაც შეეხება გადახურვას, საფიქრებელია, რომ ის ყავრის იყო. შენობის გათხრებისას, იატაკის დონეზე მრავლად ჩნდებოდა არქეოლოგიური მასალა – კერამიკული ნაწარმი.

მეორე არქეოლოგიური ობიექტი მდებარეობს საცხოვრებელი ნაგებობიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 200-ოდე მ-ის დაშორებით (კოორდ.8358388E/4623089N). იქ მშენებლობის დროს აღმოჩნდა მოზრდილი ქვის ფილები და თავდაპირველად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქმე უნდა გვქონოდა ქვის სამარხთან. თუმცა, გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ის იყო სამეურნეო ხარო (ტაბ. I_3), რომელიც, რა თქმა უნდა, უკავშირდებოდა საცხოვრებელ შენობას. თუმცა, საძიებო თხრილებში ნაგებობის ნაშთები არ აღმოჩენილა. ხარო ამოშენებულია ბაზალტის საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვებით, კირხსნარზე. ხაროს პირი ნახევარწრიულია იმის გამო, რომ პირის სამხრეთ მხარეს ბაზალტის ქვების ნაცვლად გამოუყენებიათ ქვიშაქვის 1,12 მ სიგრძის, 70 სმ სიგანისა და 9 სმ სისქის ფილა. ხარო პირს ქვემოთ თანდათან ფართოვდება

1 ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: დ. მინდორაშვილი (ხელმძღვანელი), მ. ცინდელიანი (არქეოლოგი), ჯ. ჩოხელი, ნ. რეზესიძე (საველე ასისტენტები), ე. სახვაძე (მხატვარ-არქიტექტორი).

და მთავრდება კირხსნარით მოლესილი ბრტყელი ძირით (ხაროს ზომები: პირის დმ – 0,70-0,90 მ, მუცლის დმ – 1,15-1,40 მ, ძირის დმ– 1,10-1,40 მ, სიღრმე 185 სმ, კედლის სისქე – 23 სმ). ხაროს თავის დროზე დაფარებული ჰქონია ქვიშაქვის სამი ბრტყელი ფილა (ფილების ზომები: 66x65x10სმ; 53x76x9 სმ) (ტაბ. I_4), რომელთაგან ერთი (შუათანა) ბულდოზერს აუხდია. გათხრებისას ხაროს პირის დონეზე, მთელ განათხარ ტერიტორიაზე ჩნდებოდა კერამიკული ნაწარმი.

დიდი ხნის მანძილზე, იქ სადაც სოფლის მეურნეობის ძირითად დარგად მემინდვრეობა ყალიბდებოდა, პარალელურად სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის მარცვლეულის საცავები იქმნებოდა. ამ საცავებიდან ერთ-ერთი ყველაზე უძველესია ხარო [ჩიქოვანი 2004:155]. მარცვლეულის შენახვის გარდა, ხარო სამალავადაც გამოიყენებოდა მტრის შემოსევების დროს. ხაროს უმთავრესად ეზოში, ზოგჯერ კი ნაგებობაშიც აკეთებდნენ. ხშირად ხარო ისე იყო შენიღბული, რომ მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ ოჯახის წევრებმა იცოდნენ [ჩიქოვანი 1976:70]. საკირის ნასოფლარის ხაროს არაერთი პარალელი ეძებნება. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ამავე რეგიონში 2004-2005 წლებში შესწავლილი თისელის ნასახლარის სამეურნეო ხარო [მინდორაშვილი 2010:499, ტაბ. II, IV].

საცხოვრებელი ნაგებობის გათხრებისას მიკვლეული არტეფაქტები კერამიკითაა წარმოდგენილი. ფუნქციური თვალსაზრისით მასში გამოიყოფა სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. სამეურნეო დანიშნულების ჯგუფს მიეკუთვნება ქვევრების რამდენიმე ნატეხი, შემორჩენილი პირი-გვერდისა და ძირის ფრაგმენტებით. ქვევრის პირი დაბრტყელებულია, ყელი დაბალი. გვერდის ნატეხები შემკულია რელიეფური სარტყლებით, კეცი გადანატეხში მუქია. ჭურჭლის ძირები ვიწროა და ბრტყელი (ტაბ. $II_{110,116,136}$). ქვევრები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი უხეში თიხისაგან, გამომწვარია წითლად, მათზე არ შეინიშნება ჩაკირვის კვალი.

სამზარეულო კერამიკა მრავალრიცხოვანია. ისინი წარმოდგენილია კეცების, ქოთნებისა და ქოთნის სახურავების ნატეხებით. კეცები დამზადებულია მსხვილმინარევიანი უხეში თიხისაგან, სამეთუნეო მორგვის გამოყენების გარეშე. გამომწვარია წითლად. ყველა მათგანი შებოლილია. კეცები ფორმების მიხედვით არაა მრავალფეროვანი. პირის მოყვანილობით მათში გამოირჩევა – მომრგვალებული, დაბრტყელებული და სამკუთხაგანივკვეთიანი პირის მქონე ნიმუშები (ტაბ. $II_{170, 172, 174, 178}$). გვხვდება სახელურიანი ეგზემპლარებიც (ტაბ. II_{164}). ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია ამოღარული ნაჭდევები და კოპები (ტაბ. II_{175}).

ქოთნები წარმოდგენილია პირ-ყურის, გვერდისა და ძირის ნატეხებით. ისინი ხასიათდება მომრგვალებული გაშლილი პირით (ტაბ. $II_{90,94,108}$). გვხვდება პირმოყრილი ნიმუშებიც (ტაბ. II_{145}). ჭურჭლის ყურები მასიურია, ბრტყელგანივკვეთიანი. ყურის ტანთან მიერთების ადგილი შეკობილია თითით დატანილი ფართო ნაჭდევით (ტაბ. $II_{1,2,5,8,16,26}$). ქოთნების ნაწილს აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყურები (ტაბ. $II_{3,14}$). ყურები მიერთებულია ჭურჭლის პირსა და ტანზე ან ყელსა და მხარზე (ტაბ. II_{94}). ქოთნები როგორც წესი არ გამოირჩევა ორნამენტის სიუხვით. ძირითადად ესაა ირიბი ნაჭდევები (ტაბ. II_{108}), ამოღარული ტალღოვანი ორნამენტი (ტაბ. $II_{61,67,68,75}$). ნაწილი შემკულია რელიეფური „თოკისებრი“ ორნამენტით (ტაბ. $II_{58,59,66}$). ჭურჭლის ძირები ბრტყელია, უქუსლო. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. ისინი გამომწვარია წითლად. თუმცა, ცეცხლის ზემოქმედების გამო ყველა შებოლილია.

ქოთნების სახურავები ყველა დისკოსებურია (ტაბ. II_{162}). ორნამენტის ერთადერთი სახეა თითით დატანილი ფართო ზოლები (ტაბ. II_{167}). სახურავებს ცენტრში დაძერწილი აქვთ სხვადასხვა სიმაღლის სახელურები (ტაბ. $II_{119, 163}$).

განათხარ მასალაში შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება სუფრის ჭურჭელი. მათ შორის გამოირჩევა დოქის რამდენიმე ნატეხი. დოქის პირები მომრგვალებულია. ყელი ფართოა და დაბალი (ტაბ. $II_{107,83}$). ყელის ერთ ნატეხზე შემორჩენილია ბრტყელგანივკვეთიანი ყურის კვალი. ჭურჭლის ძირები პროფილირებულია. აქვთ მომაღლო ქუსლი და ბრტყელი ან შეღარული ძირი (ტაბ. $II_{124, 114, 144}$).

სუფრის ჭურჭელში ცალკე გამოიყოფა თხელკედლიანი სასმისები, რომლებიც შემორჩენილია ყურისა და ძირ-გვერდის ფრაგმენტების სახით. ყური მრგვალგანივკვეთიანია. დამზადებულია წმინდად განლექილი თიხისაგან. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. III_{37}). ძირ-გვედის ნატეხი თხელკედლიანია. კეცი გადანატეხში მუქია. ზედაპირი სადაა. ჭურჭელი დამზადებულია წმინდად განლექილი თიხისაგან. გამომწვარია მოწითალოდ (ტაბ. III_{38}).

ჯამები ხასიათდება ამოღარული ან ბრტყელი პირით (ტაბ. $III_{40,42}$). ზოგიერთ ჯამს აქვს ბრტყელი, ირიბად დაქანებული პირი (ტაბ. $III_{30,43,44}$). ნაწილი ჯამებისა გამოირჩევა შედარ-

ებით მაღალი, სწორი ან ოვალური კალთით. ჯამების ერთ ჯგუფს აქვს დაბრტყელებული პროფილირებული პირი და ძალზე დაბალი კალთა (ტაბ. $III_{35,47,52}$). ჭურჭელი დამზადებულია შედარებით კარგად განლექილი თიხისაგან. ყველა მათგანი გამომწვარია წითლად.

მოჭიქული კერამიკა სულ რამდენიმეა (7 ერთეული). მათგან 6 ჯამია. ერთი წარმოდგენილია ძირ-გვერდის ნატეხით. ძირი ვიწროა (დმ – 4 სმ), დაბალი (სიმაღლე – 0,7 სმ). ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია ცისფრად (ტაბ. III_{27}). მეორე ჯამის ძირი შეღარულია. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ (ტაბ. III_{31}). ასევე მწვანედაა მოჭიქული ჯამის გვერდის ნატეხი (ტაბ. III_{28}) და ჯამის გვერდის ნატეხისაგან დამზადებული გახვრეტილი დისკო (ტაბ. III_{33}), რომლის მსგავსი ნივთები (გახვრეტილი თუ გაუხვრეტავი ნიმუშები) არაერთი გვხვდება განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების განათხარ მასალაში (კვეტერა, უფლისციხე, ჟინვალის ნაქალაქარი, თისელის ნასოფლარი და სხვ.)

ცალკე უნდა აღინიშნოს ჯამის ძირ-გვერდის ნატეხი, რომლის ანგობირებული შიდაპირი შემკულია ამოკაწრული სწორი და ტალღოვანი ხაზებით. ნახატი დაფარულია ჭიქურის მწვანე საღებავით (ტაბ. III_{29}). ნაკაწრებით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამების ჯგუფში ერთიანდება ჯამის გვერდის კიდევ ერთი ნატეხი (ტაბ. III_{32}). მწვანედ მოჭიქული ანალოგიური ჯამები კარგადაა ცნობილი გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლებიდან. ისინი მრავლადაა აღმოჩენილი ჯავახეთის ახალქალაქში [ჯანდიერი 1978:ტაბ. X], გონიოში [მინდორაშვილი, მამულაძე 2009: ტაბ. XVII] და სხვ. მოჭიქულ კერამიკაში გამოირჩევა ჭურჭლის გვერდის ერთი ნატეხი, რომელიც გარედან შემკულია შიშველ კეცზე ანგობით მოხატული ზოლებით და დაფარულია მწვანე, კრიალა ჭიქურით. ჭურჭლის შიდაპირი ასევე მწვანედაა მოჭიქული (ტაბ. III_{34}).

ხაროს გათხრებისას გაცილებით მცირერიცხოვანი მასალა გამოვლინდა. პროფილირებული ფრაგმენტებიდან გამოირჩევა მომრგვალებულპირიანი, ნაჭდევებით შემკული კეცი (ტაბ.III_{12}). სამზარეულო კერამიკის სხვადასხვა ნიმუშიდან აღსანიშნავია ქოთნები, რომლებიც ხასიათდება გაშლილი პირით (ტაბ. $III_{15, 17}$). ზოგიერთი ქოთანი შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით (ტაბ. III_{3}). ქოთნის ძირები ბრტყელია, უქუსლო (ტაბ. III_{20}). ხუფები დისკოსებურია (ტაბ. III_{4}). ჯამები ხასიათდება დაბალი ქუსლითა და ბრტყელი ძირით (ტაბ.III_{19}). სამეურნეო ხაროსთან აღმოჩენილი მასალა ფორმებით, ორნამენტით, კეცის სტრუქტურით იმეორებს ნაგებობის გათხრებისას მიკვლეულ არტეფაქტებს და მათი თანადროულია.

საკირის ნასოფლარის მასალა ახლო დგას თისელის ნასოფლარის XV-XVI სს-ით დათარიღებულ არტეფაქტებთან, თუმცა თისელის მასალაში უფრო შეიმჩნევა განვითარებული შუა საუკუნეების არტეფაქტების ფორმების გავლენა (შეღარული ბორბლისებური ძირის მქონე მოუჭიქავი ჯამების სიმრავლე; მრავალფრად მოხატულ-მოჭიქული ჯამები და სხვ.). საკირის განათხარ მასალაში განვითარებული შუასაუკუნეების არტეფაქტების ფორმათა ნაკვალევი უკვე აღარ შეინიშნება. საკირის მასალა ფორმებით საკმაოდ დაშორებულია წინამორბედი ეპოქის გავლენებს და ვფიქრობთ ის XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ნასოფლარის არქეოლოგიური მასალის (თონე, კეცები, მარცვლეულის შესანახი ხარო) მიხედვით ირკვევა, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში ნასოფლარისა და საერთოდ ამ რეგიონის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენდა მარცვლეული კულტურების მოყვანა.

არქეოლოგიურ მონაცემებთან ამ მხრივ სრულ თანხმობაშია წერილობითი წყაროების ცნობებიც [თისელისა... 1986:16, 25, 28, 29, 31-34]. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარის“ მიხედვით, საკირეში, რომელიც იმ დროს შედიოდა ახალციხის ლივას აწყურის ნაჰიეში და წარმოადგენდა სოფ. დგვარის ერთ-ერთ უბანს, ყოფილა 10 კომლი მოსახლე, რომელიც ოსმალთა სასარგებლოდ გარკვეულ ბეგარას იხდიდა. საკირის ტერიტორიაზე მოხსენიებულია საკალოო მიწა და წისქვილი; გადასახადი დაწესებულია: ხორბალზე, ქერზე, ფეტვზე, იონჯასა და თივაზე; ბოსტნეულზე, ფუტკარზე, ღორზე, ცხვარზე [გურჯისტანის ... 1941:301]. აღნიშნული წყაროს მიხედვით, საკირელები მეცხოველეობასაც მისდევდნენ. ჩანს, საკირელების სამეურნეო საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვნი ყოფილა, თუმცა მარცვლეული კულტურების მოყვანას წამყვანი ადგილი ეკავა.

ასეთია 2014 წელს საკირის ნასოფლარზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები.

D. Mindorashhjvili

ARCHAEOLOGICALEXCAVATIONS AT SAKIRE VILLAGE-SITE

Summary

In Borjomi municipality near the village of Sakire while improving the access road to the pipeline two archaeological sites were identified those were studied by the expedition of the Centre of Archaeology of Georgian National Museum in October-November, 2014.

Site I was located in north of Sakire (Coordinates 8358582E/4623415N). The dwelling building was a dry-laid stone structure, rectangular in plan (6.7 m by 4.4 m). It was divided with a partitionin two chambers of unequal sizes (fig. I1). In one of the chambers an oven was identified (fig. I2). The oven chamber had a corridor-like extension which could be usedfor entering the building (fig. I1).

Site II was located in 200 m away of the building and presented a storage pit (Coordinates8358388E/4623089N) (fig.I3). The pit interior was built with stones and mortar (dimensions: mouth diameter – 0.7-0.9 m, bottom diameter – 1.1-1.4 m, depth-1.85 m).It must have been covered with stone slabs (fig. I4).

The artefacts recovered during the excavations contained ceramics of 16th-17th centuries (fig. II-III).

Based on the archaeological material it can be suggested that grain-growing was one of the main agricultural activities for the population of the village in the Late Middle Ages.

ლიტერატურა

ბერძენიშვილი დ. 2005: ნარკვევები, თბილისი.

ბერძენიშვილი ნ. 1964: ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947). – საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I. თბილისი, 214-262.

გურჯისტანის ...1941: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, ტ. III. თბილისი.

თისელისა ... 1986: თისელისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. კლდიაშვილმა. თბილისი.

მინდორაშვილი დ.2010: თისელის ნასოფლარი.– ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბილისი, 493-525.

მინდორაშვილი დ., მამულაძე შ. 2009: გონიო-აფსაროსის №10 კოშკში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. – გონიო-აფსაროსი, ტ. VIII. ბათუმი, 25-58.

რამიშვილი რ., მინდორაშვილი დ. 2005: ტაძრისის ტერიტორიაზე 2004 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. თბილისი (ხელნაწერი).

ღამბაშიძე ირ., გოგოჭური გ. 2007: სოფ. საკირესთან მილსადენის 199-ე კილომეტრნიშნულზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. თბილისი (ხელნაწერი).

ჩიქოვანი თ. 1976: თრიალეთი. თბილისი.

ჩიქოვანი თ. 2004: ხარო – მარცვლეულის მიწისქვეშა საცავი. – ძიებანი, №13-14,155-159.

ჯანდიერი ე. 1978: ჯავახეთის ახალქალაქის განათხარ ნაგებობათა თარიღისათვის. – ფსაძ, ტ. III. 27-45.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – 1. საკირის ნასოფლარის ერთ-ერთი საცხოვრებელი კომპლექსი. გეგმა და ჭრილები; 2. სათონე. გეგმა და ჭრილები; 3. სამეურნეო ხარო გათხრებამდე. გეგმა და ჭრილები; 4. სამეურნეო ხარო გათხრების შემდეგ. გეგმა და ჭრილები.

ტაბ. II-III –გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Dwelling complex of Sakire settlement. Plan and sections; 2. Bakeshop. Plan and sections; 3. Housewifely pit before excavations. Plan and sections; 4. The same after excavations. Plan and sections.

Pl. II-III – Artifacts found during excavations.

ტაბ. I


I
II
თონე
N
I
II
გეგმა
ჭრილი I - I
ჭრილი II - II
0 25 100 200

1


II
I
I
N
II
გეგმა
ჭრილი I - I
0 25 100 200
ჭრილი II - II

2


II
I
I
II
გეგმა
1.55
ჭრილი I - I
0.95
0 20 100 200
ჭრილი II - II

3


N
გეგმა
ჭრილი I - I
ჭრილი II - II
0 20 100 200

4

ტაბ. II

110
116
136
145
108
170
172
164
90
174
175
178
94
2
3
16
8
5
1
26
14
58
167
119
162
163
75
59
83
107
124
66
67
61
68
114
144

ტაბ. III



ალექსანდრე ორჯონიკიძე

საგარეო ურთიერთობათა ძირითადი მიმართულებები ადრეული ყორღანების გავრცელების ხანაში

ორი კულტურული სამყაროს – ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე გავრცელებული მტკვარ-არაქსული კულტურა დროთა განმავლობაში ფართოვდება, ძირითადად სამხრეთის მიმართულებით მიიწევს და იკავებს უზარმაზარ ტერიტორიას, მოიცავს რა ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას, ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვისპირეთის მთელ რიგ რაიონებს. მახლობელ აღმოსავლეთში მისმა ფართო განფენამ განაპირობა ძველაღმოსავლურ სამყაროსთან კონტაქტების გაძლიერება, გაზარდა ამ კულტურის მატარებელი ტომების როლი წინააზიის უძველეს ისტორიაში, აქცია კავკასია და ბუნებრივია, აღმოსავლეთ საქართველოც, სამხრეთის დაწინაურებული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, მის ჩრდილო პერიფერიად [ჯაფარიძე 1976: 62-63].

ვითარება ძირეულად იცვლება ამ კულტურის ბოლოსათვის, როდესაც თავისი არსებობის თითქმის ათასწლოვანი პერიოდის მიწურულს შეცვლილი ბუნებრივი პირობების, საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი მკვეთრი გარდატეხის, მძლავრი მიგრაციული პროცესების, თუ სხვა, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელი მიზეზების გამო, მტკვარ-არაქსის კულტურა კრიზისს განიცდის. აღმოსავლეთ საქართველოში ამ კრიზისის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების გამოჩენა სახელდება [ჯაფარიძე 1998: 143]. ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი – ინდივიდუალური ყორღანული სამარხი, რომელსაც არ გააჩნია ადგილობრივი ტრადიცია. დასაფლავების ეს წესი კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე ტომებისათვის იყო დამახასიათებელი, რომლებიც ამ პერიოდისთვის აქტიურდებიან სამხრეთ კავკასიის მიმართულებით [Burney 1958: 175]. ჩრდილოური გავლენების გაძლიერება, ჩანს, მხოლოდ კავკასიის მიმართულებით არ მომხდარა. ეს პროცესი ინტენსიურად წარიმართა შუა აზიასა და ბალკანეთშიც, რამაც მთლიანობაში საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო [Makharadze 2014: 226]. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველო გარკვეული ხანით ჩამოცილდა წინააზიურ სამყაროს, რომელთანაც მას ტრადიციულად მჭიდრო კულტურული კავშირები გააჩნდა და ჩრდილოურ კულტურათა ორბიტაში მოექცა. ჩრდილოეთის ოლქებთან ურთიერთობა ნათლად აისახა არა მარტო სამარხის ტიპსა და დაკრძალვის წესში, არამედ, სამარხეული ინვენტარის მნიშვნელოვან ნაწილშიც. სწორედ აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის დიდ კულტურულ წრეებში ვლინდება ადრეული ყორღანებისათვის დამახასიათებელი ელემენტების ერთობლიობა, როგორც სამარხის ტიპსა და დაკრძალვის წესში, ისე არქეოლოგიურ მასალებში, მათ შორის, განსაკუთრებით ნათლად – თიხის ჭურჭელში [Burney 1958; გოგაძე 1972; გობეჯიშვილი 1981; ჯაფარიძე 1998].

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ადრეულ ყორღანებში გვხვდება სხვადასხვა ტიპი: ორმოში გამართული, ხის ძელებით ნაგები დასაკრძალავი კამერით; ქვის დრომოსიანი ნაგებობით; ხის ძელებით გადახურული უბრალო ორმოთი; მიწისპირზე ნაგები ხის ან ქვის სამარხი კამერით და სხვ. ხელოვნური ქვა-მიწაყრილით ხშირად დაფარულია ქვით ნაგები აკლდამები და დოლმენებიც. ზოგჯერ ყორღანს ძირში შემოუყვება ქვის წრე-კრომლეხი. გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილადი და კოლექტიური დაკრძალვის წესი. არის კრემაციული სამარხებიც [Mindiashvili 2012: 71-89]. ყორღანები ზომითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთი გრანდიოზული ზომისაა, მდიდრული სამარხული ინვენტარის შემცველი, ზოგი კი ღარიბულ ინვენტარს შეიცავს. სამარხებში გვხვდება ოქროსა და ვერცხლის სამკაული; ბრინჯაოს იარაღები – ცულები, სატევრისპირები, სატეხები; ქვის, პასტისა და ლითონის მძივ-სამკაული; ქვისა და ძვლის ისრის პირები და სხვ. ზოგჯერ ყორღანის კამერაში ჩადგმულია ხის დასაკრძალავი ოთხთვალა ეტლი ან მისი ნაწილები, უმთავრესად – თვლები და სარეცელი; არის სხვადასხვა ზომისა და დანიშ-

ნულების მქონე თიხის ჭურჭელი, მარცვლეულისა და ხილის ნაშთები და სხვ.

ადრეულ ყორღანებში ორ ჯგუფს გამოყოფენ – მარტყოფულს და ბედენურს. აღნიშნავენ მათ შორის საერთოს, ძირითადად დაკრძალვის ყორღანულ წესში, კულტურის ხასიათში კი საკმაო სხვაობას ხედავენ. მარტყოფულ ყორღანებში სამარხეული კამერა ხშირად მიწისპირზე ნაგებ ხის ნაგებობას წარმოადგენს. არის ქვის ნაგებობაც. პარალელურად ორმოში გამართული დასაკრძალავი კამერაც გვხვდება. ჩანს, რომ უკანასკნელი უფრო მრავალრიცხოვანი ტიპი უნდა იყოს სამარხისა.

მარტყოფული ყორღანებისათვის ძალზე დამახასიათებელია მსხლისებრი ფორმის ჭურჭელი, შემკული ჭრილი და ნაკაწრი გეომეტრიული სახეებით. გვხვდება ფრინველის სტილიზებული გამოსახულებაც. ეს კერამიკა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს გვიანმტკვარ-არაქსულ ჭურჭელთან, როგორც ფორმის, ისე ორნამენტის ხასიათით და მის ტრადიციებზე აღმოცენებული ჩანს [Куфтин 1941: 104; ჯაფარიძე 1998: 71].

შიდა ქართლში, გარდა მსხლისებრი ფორმისა, სხვა ჭურჭელი არ გვხვდება [საქართველოს არქეოლოგია 1992: 127]. მესხეთშიც შიდა ქართლის მსგავსი სურათია – კოდიანსა და ფარავანზე გათხრილი ყორღანებიც ანალოგიურ ჭურჭელს შეიცავს [ორჯონიკიძე 2015: 11].

ქონებრივი უთანასწორობის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, ჩნდება მდიდრული სამარხეული ინვენტარის შემცველი გრანდიოზული ყორღანებიც, გამართული გამორჩეული პირისთვის. მნიშვნელოვნად წინაურდება მეტალურგია, თავს იჩენს ბრინჯაოსგან დამზადებული იარაღის სხვადასხვა ტიპი; ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს სამკაული. გვხვდება ჩრდილო კავკასიისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის სამარხებისათვის დამახასიათებელი ცხოველის კბილებისა და ეშვების საკიდები [ჯაფარიძე 2003: 136-143].

მარტყოფული ყორღანებისათვის ქვის ისრისპირი არაა დამახასიათებელი. სამაგიეროდ, ფართოდაა წარმოდგენილი ბრინჯაოს პირამიდულთავიანი ისრისპირი, უცნობი, როგორც წინარე, ისე მომდევნო – თრიალეთის კულტურებისათვის [ჯაფარიძე 1998: 82]. იშვიათად, მას ვხედავთ ბედენურ კომპლექსებშიც. მაგრამ ეს იარაღი უფრო მარტყოფის ჯგუფისათვისაა დამახასიათებელი. მრავლადაა ქვის, პასტისა და ქარვის სხვადასხვა ფორმის მძივები და სამკუთხა საკიდები. უკანასკნელი კარგადაა ცნობილი მტკვარარაქსული სამარხებიდანაც.

მარტყოფული და ბედენური ყორღანები ჩანს, ერთდროულად ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე და ერთხანს თანაარსებობს მასთან. ორივე ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოს დაახლოებით ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, როგორც მთაში, ისე ბარშია გავრცელებული. თუმცა, ზოგან, თითქოს ბედენური ყორღანები უფროა დამკვიდრებული.

ბედენური ყორღანები ძირითადად ორმოშია გამართული. აქ მიცვალებულებს ხშირად ხის სარეცელზე, ოთხთვალა ეტლთან ერთად ასაფლავებდნენ. ზოგჯერ სამარხ ორმოში ჩადგმულია ვერტიკალურად მდგარი ხის მორებისაგან შეკრული კამერა, მსგავსად ჩრდილო კავკასიაში, დაღესტანში – უტამიშთან გათხრილი ყორღანისა და ძველი ორმოსამარხების კულტურისა, სადაც ორმოს კედლები ვერტიკალურად ჩადგმული ხის ძელებით იყო შემაგრებული. ჩრდილოეთის კიდევ უფრო ფართო რეგიონში – აზოვისპირეთში, შავიზღვისპირა სტეპურ ზოლში, ვოლგისპირეთში, კავკასიისპირეთში გათხრილ ყორღანებში ჩანს, ბედენის მსგავსად, მიცვალებულის დაკრძალვა ეტლთან ერთად, რაც განსაკუთრებით ყუბანისპირეთში, ნოვოტიტაროვკის ყორღანებში შეინიშნება, სადაც თითქმის ყველა სამარხშია ეტლის ნაკვალევი. ბედენური ყორღანების სამარხ კამერაში ან მთლიანი ეტლია ჩატანებული, ან კიდევ ეტლის რომელიმე ნაწილი, ძირითადად, ბორბალი. ზოგჯერ ურმის მხოლოდ კვალია შემორჩენილი. ეტლების კონსტრუქცია გამორიცხავს მათ პრაქტიკულ დანიშნულებას. იგი უფრო მიცვალებულისათვის გასატანებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი [ჯაფარიძე 1998: 99].

საიდან გავრცელდა ეტლი, საბოლოოდ დადგენილი არ არის. ფიქრობდნენ, რომ ოთხთვალა ეტლი ერთი ცენტრიდან, ძველი აღმოსავლეთიდან ვრცელდება [Чайлд 1956: 358]. თუმცა, საკმაოდ ადრეული ხანიდანაა ის აღმოსავლეთ ევროპაშიც, სადაც მიცვალებულთან ეტლის ჩატანების მრავალი შემთხვევაა ცნობილი. ფიქრობდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ეტლის გავრცელების ერთ-ერთი გზა წინა აზიიდან კავკასიაზე გადიოდა. თუმცა, არც კასპიის ზღვის აღმოსავლეთი მხარე, შუა აზიაა ამ მხრივ ყურადღების მიღმა დარჩენილი. არის საპირისპირო მოსაზრებაც – ეტლის შუა ევროპიდან სამხრეთ რუსეთის სტეპების, ჩრდილო და სამხრეთი კავკასიის

გავლით წინა აზიაში გავრცელების თაობაზე [Резепкин 2012: 114]. ფაქტი ისაა, რომ ეტლთან ერთად მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამხრეთ რუსეთის სტეპურ ზოლში და უფრო სამხრეთით მიმდებარე მხარეშიც, კავკასიაზე რამდენამდე უფრო ადრე ვრცელდება [Гей 2000]. აღსანიშნავია, რომ ბედენისა და ჩრდილოური კულტურების ყორღანთა ინვენტარის შემადგენლობაც ხშირად საკმაოდ ახლოა ერთმანედთან. ყორღანი რომ ჩრდილოური მოვლენაა, ეჭვსგარეშეა. საფიქრებელია, რომ სამხრეთ კავკასიაში ყორღანულ სამარხში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის წესიც ჩრდილოეთიდან მომდინარეობს, სადაც ეს წესი საკმაოდ ადრე ჩანს. საქართველოს სამხრეთის უშუალოდ მოსაზღვრე რეგიონებში ხის ოთხთვალა ეტლი არაა აღმოჩენილი. საგულისხმოა, რომ სამხრეთ კავკასიაში, ყორღანებში იმთავითვე ხის ოთხთვალა ეტლი ვრცელდება. კავკასიის ჩრდილოეთით აღმოჩენილი ხის ყველა ეტლიც ოთხთვალაა. წინარე – მტკვარ-არაქსის კულტურაში ხის ოთხთვალა ეტლი უცნობია, რთული რელიეფის გამო საქართველოში უფრო ხის ორთვალა ურემი უნდა ყოფილიყო სამეურნეო ხმარებაში. ამგვარი ურემი აქ დღემდე გამოიყენება, ხოლო ოთხთვალას გამოყენებას ქართულ ისტორიულ სინამდვილეში არ ადასტურებენ [მირცხულავა 2011: 109]. ოთხთვალას კი მხოლოდ დაკრძალვის ცერემონიალში იყენებდნენ, რომლის ტრადიცია უცხო კულტურას – ბედენს უკავშირდება. რამდენადაც ეს ტრადიცია მყარად იყო ფეხმოკიდებული სამხრეთ რუსეთის სტეპების კულტურებში, ბედენის კულტურაც აგრძელებს იმ ტრადიციას, საიდანაც იქნა ის გადმოღებული [ჯაფარიძე 2006: 337; მირცხულავა 2011: 113]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული მოსაზრება ოთხთვალა ეტლის მხოლოდ ბედენის კულტურის კუთვნილების თაობაზე, როგორც ჩანს, საჭიროებს გადახედვას, რადგან მარტყოფულ ყორღანებში მისი არსებობის არაერთი შემთხვევაა უკვე ცნობილი. თედოწმინდის, ზეიანის № 1, ჩიხისწყლის, თრიალეთის XXIV და ფარავნის ყორღანებში დადასტურებული ფაქტები მოწმობს, რომ ხის ოთხთვალა ეტლით დაკრძალვის წესი არც მარტყოფული ჯგუფის სამარხებისათვის უნდა ყოფილიყო უცხო. და მაინც, მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვა უფრო მეტად ბედენის კულტურაშია ფეხმოკიდებული. სწორედ ბედენური ყორღანების სამარხ კამერაში, რომლის იატაკი და ხის ბოძებზე დაყრდნობილი გადახურვაც ძელური იყო, ხის სარეცელზე, ხის კუბოში ჩასვენებული მიცვალებული ხის ოთხთვალა ეტლზე იყო დასვენებული. თუმცა, ბედენურ ყორღანებში ჩადგმული ხის ნაგებობა, არ უნდა იყოს უმთავრესი დასაკრძალავი ნაგებობა ამ კულტურისა. ძირითადი კი ორმოში გამართული, ზოგჯერ ხით გადახურული სამარხი ჩანს. უნდა ითქვას, რომ სამარხ ორმოში ჩადგმული ხის დასაკრძალავი ნაგებობა მხოლოდ ბედენის კულტურას ახასიათებს [ჯაფარიძე 1998: 56].

ბედენური ყორღანების სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდრულია. თავისებურია თიხის ჭურჭელი, მკვეთრად განსხვავებული მარტყოფული ყორღანების ნაწარმისაგან. მართალია, ისიც ხელით ნაძერწია, მაგრამ გამოირჩევა ფორმათა გასაოცარი სინატიფით. ჭურჭლის ზედაპირის სიკრიალე მეტალის ბზინვარების დონემდეა მიყვანილი. იშვიათად, გვხვდება მოხატული ჭურჭელიც.

როგორც მარტყოფის, ისე ბედენის ყორღანების ლითონის ნივთები, ძირითადად დარიშხანიანი სპილენძისგანაა დამზადებული, რითაც ჩანს კავშირი წინარე კულტურის ლითონის ნივთებთან [ჯაფარიძე 1998: 124]. ბედენურ ძეგლებზე ჩნდება კალიანი ბრინჯაოს ნივთები. ბოლო დრომდე მიჩნეული იყო, რომ ეს ლითონი ჩვენში ანატოლიიდან შემოდის [Дедабришвили 1979: 60]. თუმცა, ამ თვალსაზრისით არ გამორიცხავენ აღმოსავლეთ ევროპასაც [ფიცხელაური 2013: 64-86].

ბედენურ სამარხებში გვხვდება სხვადასხვა ფორმის ოქროსა და ვერცხლის მძივები, საკიდები, საკინძები. წნორის ყორღანში ნაპოვნია ლომის ოქროს პატარა ქანდაკება – პირველი სკულტურული გამოსახულება სამხრეთ კავკასიაში. ოქრომჭედლობის განვითარება წინააზიასთან კავშირში განიხილება. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ნივთებს არ ეძებნება პირდაპირი ანალოგი არც სამხრეთით, არც ჩრდილოეთით. აღნიშნავენ სხვაობასაც მარტყოფული და ბედენური ძვირფასი ლითონის ნაწარმს შორის [ჯაფარიძე 1998: 120], რაც სხვადასხვა საიუველირო ცენტრის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

ცნობილია, რომ ადრებრინჯაოს ხანაში, ლითონწარმოების სფეროში, შეინიშნება მკვეთრი ცვლილებები ევრაზიის ფართო სივრცეზე, რომლის უმთავრეს შედეგს წარმოადგენს ცირკუმპონტური მეტალურგიული პროვინციის ჩამოყალიბება. მან მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია შავი ზღვის გარშემო, სადაც ფართოდ ვრცელდება დარიშხანიანი ბრინჯაო – ყველაზე დამახასიათებელი შენადნობი ამ ზონაში, მათ შორის სამხრეთ

კავკასიაშიც, მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში [Черных 1978: 53-82]. მძლავრი მეტალოწარმოების კერის არსებობას აღნიშნავენ ადრეული ყორღანების დროის საქართველოშიც, სადაც, მართალია, ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება დარიშხანიანი ბრინჯაო, მაგრამ ბედენის კულტურაში თავს იჩენს კალიანი ბრინჯაოს ნივთებიც. შეინიშნება მთელი რიგი სიახლეები ლითონის ნივთების ფორმაშიც.

ადრეულ ყორღანებში გავრცელებული ქვის იარაღებიდან ყურადღებას იქცევს ხვრელიანი ქვის ცული. იგი ამ კულტურაში იშვიათია. თითქოს ჩანს სიახლოვე მარტყოფულ და ბედენურ ამგვარ ცულებს შორის. ეს ცულები ემსგავსება ჩრდილოკავკასიურებს [შატბერაშვილი და სხვ. 2010: 189].

საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში ისევე, როგორც წინა აზიაში, ქვის გახვრეტილი ცული იშვიათია. ნაკლებადაა ის გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზეც. ევროპული, განსაკუთრებით კი სამხრეთ რუსეთის კულტურების ამგვარ ცულებს უახლოვებენ კოლხეთში აღმოჩენილ ქვის ამ იარაღს, რომელიც რიგი განსხვავების მიუხედავად, სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს ნაწარმთან, რაც მათი ჩრდილოური წარმომავლობითაა ახსნილი [ჯიბლაძე 2007: 40].

რაც შეეხება ქვის ისრისპირს, მარტყოფულ ჯგუფში ის იშვიათია. სამაგიეროდ, კარგადაა წარმოდგენილი ბედენურ ყორღანებში, სადაც ძირითადად გვხვდება სამკუთხა და ფოთლისებრი ფორმის, ფუძეამოღარული ცალები, ფაქიზად, ვიწრო პარალელური ამოღარვის ტექნიკით დამუშავებული ზედაპირით. იშვიათად, გვხვდება ყუნწიანი ისრისპირიც, ასევე ფაქიზად დამუშავებული იგივე ტექნიკით [შატბერაშვილი და სხვ. 2014: 85].

ბედენური თიხის ჭურჭელი საგრძნობლად განსხვავდება მარტყოფულისაგან. იგი ფორმათა მრავალგვარობით და შესრულების უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება. ის, რაც ადრეული ყორღანული კულტურის ამ ორ კომპლექსს აერთიანებს, ძირითადად, ჭურჭლის ზედაპირის დამუშავებაა. მაგრამ ბედენურ კერამიკაზე იგი უმაღლეს დონემდეა აყვანილი ისე, რომ მისი საკრიალე თითქმის ლითონურ ბზინვარებაში გადადის. საერთო ელემენტი, მტკვარ-არაქსის კერამიკიდან მომდინარე, თითქოს მაინც შესამჩნევია და აახლოვებს ამ ორ კერამიკურ კომპლექსს, მაგრამ ბედენური კერამიკა მაინც იმდენად თავისებურია და რიგ შემთხვევაში, მკვეთრად გამორჩეულიც, რომ მისი დაკავშირება სამხრეთ კავკასიურ სხვა ნებისმიერ კულტურასთან ძალზე გაჭირდება. სწორედ კერამიკაა ძირითადი, რომელიც ბედენის ტიპის ძეგლებს აერთიანებს. ისიც ხელით ნაძერწია და ფაქიზად დამუშავებული იმ დონემდე, რისთვისაც არ მიუღწევია სამხრეთ კავკასიის არც ერთი დროის თიხის ჭურჭელს. ფორმები დიდი ოსტატობითაა გამოყვანილი, განსაკუთრებით, მომცრო ზომის თხელკეციანი ჭურჭლისა. ყველაზე მეტად დამახასიათებელია ორი ტიპი – ცილინდრულყელიანი და ბირთვისებრმუცლიანი ცალყურა ხელადა და – ბიკონუსური ფორმის ცალყურა ტოლჩა [საქართველოს არქეოლოგია 1992: 136 – 138].

რა მოსდის მრავალსაუკუნოვან მტკვარ-არაქსის კულტურას ადრეული ყორღანების გავრცელების ხანაში, მთლიანად ქრება იგი ახალი კულტურის გამოჩენის შედეგად, თუ მისი ტრადიციები გარკვეულწილად კვლავაც განაგრძობს არსებობას, კონკრეტულად რა სახით ვლინდება ეს ნიშნები მატერიალურ კულტურაში, ყოველთვის იწვევდა მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს. იმ ეპოქალური ძვრების მიუხედავად, რაც ახალი – ყორღანული კულტურის გამოჩენას მოჰყვა შედეგად, მტკვარარაქსული ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყოველი რეგიონის მატერიალურ კულტურაში მეტ-ნაკლებად მაინც შემორჩა. როგორც ჩანს, ეს ტრადიციები არაა ერთგვაროვანი და სხვადასხვა ლოკალური ვარიანტის ნიშნებს შეიცავს, რამდენადმე სახეშეცვლილს, ახალ კულტურასთან შეხების გამო.

რაც შეეხება ბედენურ კერამიკას, რომელსაც განსხვავებით მარტყოფულისაგან ადგილობრივი წანამძღვრები არ უჩანს, მასშიც შეინიშნება გარკვეული მტკვარარაქსული ელემენტების არსებობა შავპრიალა ჭურჭლის კეთებაში, კეცის ორფენიანობაში, სპირალური ორნამენტისა და თიხის სარქველების გამოყენებაში. მაგრამ მთლიანობაში, სხვაობა ამ კულტურებს შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ იგი მხოლოდ ევოლუციით ვერ აიხსნება [გოგაძე 1972: 108].

ბედენის კულტურის გამოჩენას უკავშირებენ მოსახლეობის ახალი ნაკადის შემოსვლას ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან (აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა) [გოგაძე 1972: 111]. ჩნდება კალიანი ბრინჯაოს იარაღ-სამაკაულის ახალი ტიპები, ქვის ნატიფად დამუშავებული ისრისპირები და სხვა მრავალი ელემენტი, რაც მკვეთრად განასხვავებს ამ ჯგუფს მტკვარ-არაქს-მარტყოფული წრის ძეგლებისაგან. თავს იჩენს სრულიად ახალი კერამიკული ფორმები, შემ-

კობის ხერხები, რითაც უფრო მჭიდრო კავშირი ჩანს იმ ქვეყნებთან, რომლებიც მდებარეობენ სამხრეთ კავკასიის დასავლეთით და ჩრდილოეთით, ვიდრე სამხრეთით და აღმოსავლეთით. დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე ამ ოლქების კერამიკული ელემენტები კი იქ ჩანს უფრო ადრე და დამახასიათებლად, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში. ამ ელემენტებს და ამ კულტურებს ერთნაირი იერი აქვთ. მაგალითად, ანატოლიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისას. ამგვარი ორნამენტის გამოჩენა ირანსა და მესოპოტამიაში, მოხატულკერამიკიან ქვეყნებში, ახსნილია მათი გამოჩენით ჩრდილოეთით ან დასავლეთით მდებარე ოლქებიდან [გოგაძე 1972: 108]. წინა აზიასთან ურთიერთობა კი უფრო მეტად შესამჩნევია მეტალურგიასა და საიუველირო საქმეში. კერამიკით სამხრეთთან კავშირი კი ნაკლებად შეინიშნება. ამიტომ თვლიან, რომ ამ დროს სამხრეთიდან მოსახლეობის რაიმე მნიშვნელოვან გადმოადგილებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. თუ სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთის მხრიდან უნდა მომხდარიყო [ჯაფარიძე 1989: 36].

საერთოდ, ადრეული ყორღანების ჩრდილოურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს თვით სამარხის ტიპი და მისი გავრცელების არეალიც. კავკასიის სამხრეთით ყორღანული სამარხი მეტად იშვიათია, რაც არის, ისიც ჩრდილო ზონასთან კავშირში მოიაზრება. ჩრდილო კავკასიასთან ბევრ საერთოს ხედავენ აზერბაიჯანში გათხრილ ყორღანებშიც, განსაკუთრებით, ნოვოსვაბოდნაიას კულტურის ძეგლებთან. შენიშნულია ამ კულტურის მატარებელი ტომების გადასვლა ჩრდილო კავკასიიდან წინა აზიაში, ანატოლიასა და ირანში [Резепкин 2012: 89]. ჩრდილო ზონასთან კავშირზე მეტყველებს „მარგალიტების“ ორნამენტის იგივეობა ბედენისა და ირანის ძეგლების – ტიურენგ თეფე III, თეფეჰისარ II-B, იარიმთეფეს კერამიკის ერთი ჯგუფი. ფრაგმენტები ამგვარივე ორნამენტით ცნობილია ცენტრალური ანატოლიიდანაც – ალიშარის ხალკოლითური ფენიდან [Кавтарадзе 1992: 51]. ამ პროცესებმა თავი იჩინა ანატოლიის სხვა ძეგლებზეც, რაც ნათლად აისახა იქ ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის დამახასიათებელ დაკრძალვის რიტუალში [Palumbi 2011: 59]. ცვლილებების მასშტაბურობაზე მატერიალური კულტურის ძეგლების გარდა, ანთროპოლოგიური მონაცემებიც მეტყველებს – ახალი მოსახლეობის გამოჩენა. ალაჯა ჰუიუკზე მოსახლეობა ბრაქიცეფალია, მაშინ როცა ცენტრალური ანატოლიის ადგილობრივი მოსახლეობა დოლიქოცეფალი [ჯაფარიძე 1969: 176; Кавтарадзе 1992: 36].

მაგრამ ჩრდილოური ელემენტების მომძლავრება ანატოლიაში უფრო ნათლად გამოჩნდა ევროპასთან მოსაზღვრე მის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-ცენტრალურ მხარეებში, სადაც შეინიშნება ბალკანეთიდან წამოსული კულტურული ნაკადები. სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით კავკასიის დასავლეთით მიმდებარე მხარეებში ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების განსაკუთრებული გააქტიურების შედეგად, დუნაისპირეთსა და ბალკანეთში მნიშვნელოვნად იცვლება ცხოვრების სტაბილური ხასიათი [Palumbi 2011: 59]. ბალკანეთზე მიმდინარე პროცესებმა განაპირობა ანატოლიის ამ ნაწილების ევროპეიზაცია, მათი მოქცევა ბალკანო-დუნაისპირულ და ეზერო-თრაკიის ველის კულტურათა გავლენის ქვეშ [Мерперт 1987: 89-97]. ანატოლიის მხრიდან კი ვარაუდობენ გარკვეული კულტურული ნაკადების გამოჩენას კოლხეთის დაბლობის ნასახლარებზე [ფხაკაძე 1993: 150]. მცირეაზიურ-ეგეოსურ და სამხრეთ ევროპულ ტრადიციებს უნდა ასახავდეს შვერილიანი ყურები და ყურები სიგრძივ ჩაღარული ან რელიეფური ზოლებით შემკული ბედენურ კერამიკაზე. ასევე, ჰორიზონტალური ყური დამახასიათებელი ჯერ დასავლეთ ანატოლიისათვის, რომელიც მოგვიანებით თავს იჩენს ცენტრალურ ანატოლიაში, შემდეგ კი კოლხეთის გზით ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოშიც [გოგაძე 1972: 109; Гогадзе, Панцхава 2003: 45].

კოლხეთის დაბლობის ნასახლარების კერამიკის ნაწილი მჭიდროდ აკავშირებს მას ანატოლიის, ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სინქრონულ კულტურებთან, რომელთაც, თავის მხრივ, ახლო ანალოგები გააჩნიათ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის თანადროულ და კიდევ უფრო ადრეული ხანის ზოგიერთ კულტურასთან როგორც ფორმის, ისე ორნამენტის მხრივ [Кавтарадзе 1983: 105; ჯაფარიძე 1991: 158 Пхакадзе 2000: 50-59; აფაქიძე 2000: 219; Черных 1987: 106; Шаншашвили 2004: 148-149]. განსაკუთრებულ სიახლოვეს ხედავენ ბედენის კულტურასა და მის სინქრონულ დუნაისპირეთის ვუჩედოლის კულტურას შორის [Черных 1987: 106].

ცირკუმპონტური ზონის შიგნით მიმდინარე პროცესები, აქ შენიშნული ეთნოკულტურული ძვრები, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული მოსახლეობის ანატოლია-კავკასიის მიმართულებით გააქტიურებას, რასაც სამხრეთ კოლხეთის ნასახლარებს გარდა, ამჩნევენ ბედენის კულტურის ზოგიერთ კერამიკურ ნაწარმზეც [გოგაძე 1972: 108-109; Черных 1987: 106; Мерперт 1988: 7-36]. პარალელურად, დასავლეთ საქართველოს ამ ნაწილში ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს მხრიდან მომდინარე გავლენებიც, რაც განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ბედენის კულტურის ხანაში, როცა პროტოკოლხური პერიოდის სამხრეთ კოლხეთის ნამოსახლარების ერთი ჯგუფი ახლო კავშირს ამჟღავნებს ქართლის დასავლეთი ნაწილის ბედენურ ნასახლარებთან. აღნიშნავენ იმ ელემენტებსაც, რომლებიც ერთმანეთთან აახლოვებს ამ ხანის საქართველოს ორივე ნაწილის კულტურას [Микеладзе 1990: 20; გოგაძე 1997: 33-58; Гогадзе, Панцхава 2003: 41- 55; ჯიბლაძე 1997: 75-78].

აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, ჩრდილოური ელემენტები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთშიც იჩენს თავს. აფხაზეთში გამოვლენილ ორიოდე ყორღან-დოლმენს [Цвинария 1990] უახლოვებენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა და კიდევ უფრო მეტად დაშორებული სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის რიგი ოლქების ადრებრინჯაოს ხანის კულტურებს [ჯაფარიძე 1991: 160, 162; Гогадзе, Панцхава 2003: 45]. დაღარულზედაპირიანი კერამიკა, დამახასიათებელი აფხაზეთის დოლმენებისათვის, ასევე დამახასიათებელი ჩანს ბედენის კულტურის სამარხებისა და ნამოსახლარების თიხის ჭურჭლის ერთი ჯგუფისათვის. საქართველოს ორივე რეგიონის ამგვარი ნაწარმი კი ამავე ნიშნით სიახლოვეს ამჟღავნებს ძველი ორმოსამარხების, კატაკომბური და ზოგიერთ ტრიპოლურ ნაწარმთან [გოგაძე 1972: 110]. სამხრეთ კავკასიის ამ დროის ყორღანულ კერამიკაზე ისეთი ორნამენტის გამოჩენა, როგორიცაა გოფრირება, წერტილოვანი შემკობა ან მომცრო კოპების მწკრივი, უკავშირდება დნესტრისპირეთის ტრიპოლიურ თიხის ჭურჭელს, ხოლო „მარგალიტებით“ - ნოვოსვაბოდნაიას კერამიკას ყუბანისპირეთიდან. ჩრდილოური გავლენები ჩანს უხეში ქილისებრი ჭურჭლის ზედაპირზე დატანილი ტეხილხაზოვანი ორნამენტითაც, რაც ასევე აახლოვებს მას ძველი ორმოსამარხებისა და კატაკომბურ კერამიკასთან [გოგაძე 1972: 91; Kelly-Buccellati 1974: 54].

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ადრეული ყორღანების გავრცელების პერიოდში საქართველოს ტერიტორია წარმოადგენდა ადგილობრივი და ევროპული კულტურების ერთგვარ საკონტაქტო ზონას (წინააზიურის გარკვეული მონაწილეობით), რომელშიც წამყვანი ადგილი ჩრდილოეთიდან მომდინარე ევროპულ ელემენტს ეკავა. თუმცა, ამგვარი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და მალევე, შუაბრინჯაოს ხანაში, აღმოსავლეთ საქართველო კვლავ უბრუნდება წინააზიურ კულტურულ სამყაროს [ჯაფარიძე 1998: 250].

Alexander Orjonikidze

MAIN DIRECTIONS OF FOREIGN RELATIONS IN THE PERIOD OF THE SPREAD OF EARLY KURGANS ON THE TERRITORY OF GEORGIA

Summary

Coming into existence and establishing of the earlier period kurgan type burials is the most important event in the old ancient history of Georgia. It is that very passage of time when there had been starting to set a crucially significant turning point in the further development of the Early Bronze period culture.

Georgia, traditionally considered as an eastward oriented periphery of the ancient eastern civilization, appeared shifted into the orbit of European cultures for a certain period of time. The shift was followed by weakening of contacts with the south and the crisis of indigenous Kuro-Araxes culture. Instead there settled a new type of burial mound so called kurgan and some other elements of material culture characteristic to the northern Caucasian zone. Changes were singularly significant in the eastern part of Georgia where all the kurgan type burials had been detected and excavated.

Series of excavations, started in the 1930s, have revealed various types of kurgans with ordinary pit tombs beneath them. One part of the graves had been covered with timber logs, the others were equipped with stone paved portholes and one more part of them has yielded timber log burial chambers. Some of them belonged either to a single occupant or a pair of individuals. A certain number of them were mass burials or even cremation ones.

Scantiness of appropriate stratigraphic data reflective of the period thwarted the scholars' attempts to fix requisite correlations between the groups of kurgans belonging to either the earlier or the later periods.

There predominate the kurgans displaying coexistence of pottery ascribed to the cultures that are almost completely different from one another. In order to shed light on such an inadequateness there emerges an utter importance of adducing the materials coming from already unveiled simultaneous and well stratified habitation sites but regretfully it is not always possible because of the extreme scantiness of appropriate settlements.

Admittedly there have been identified two main groups of the earlier period kurgans named Martkopi and Bedeni according the locality names where they had been found and explored. Scholars consider that the groups share certain traits and mainly these are burial rites but at the same time they stress the fact that there are considerable cultural differences between the contexts coming from these two groups of kurgans.

Burial chambers of Martkopi kurgans are log built structures arranged strictly on the topsoil surface and this evidence is considered as a characteristic feature of the group but at the same time there are examples of stone built chambers among them. As to the pattern of the burials there predominate pit tombs in the group.

Martkopi pottery is genetically connected with the earlier Kuro-Araxes culture examples uncovered in the both Trans and Ciscaucasia sites of the same culture. Grave goods coming from these kurgans include the first trickles of precious metals and bronze weapons normally characteristic to the northern zones and pendants made of animals' teeth.

As to the kurgans comprising Bedeni group they are mostly arranged in earthen pits and in some of the cases the pits are inserted with special burial chambers fittingly installed within them. Generally the chambers are constructed of vertically standing timber logs strictly bordering the pit. This kind of structures had been quite common not only in the north Caucasus but also in earlier period pit tomb cultures of neighboring regions.

Kurgans unveiled in the areas of the Azov Sea littoral, in the Volga riverside territories and the Black Sea steppes have displayed a burial rite similar of Bedeni group i.e. burying of the dead placed on a four wheeled chariots.

The same burial rite i.e. individuals lying on hearses has been evidenced in Martkopi group kurgans too but less frequently and it basically remains dominant in the group of Bedeni culture.

Bedeni grave goods are fairly different from the artifacts brought to light at Martkopi village and it is especially noticeable if compare the pottery belonging to the two groups. The wares coming from the former bear no sign of any earlier period local prerequisites.

Bedeni containers are distinguished with a vast variety of forms and shapes and exquisite subtleness. Their black burnished exteriors imitate metallic luster and silvery sheen. The kurgans of the group have yielded gold adornments for instance a tiny gold figure of a lion coming from Tsnori 2nd kurgan. It is the first sculptured example evidenced

in the southern Caucasus. There also start off the first trickles of tinned bronze. One part of metal weapons bear the resemblance of the northern Caucasian specimens but there are the ones that display similarities to the Near Eastern examples. Besides the pottery and metal objects Bedeni kurgans have yielded delicately worked stone arrowheads so uncommon to Martkopi group.

Nowadays scholars have evidenced coexistence of Martkopi and Bedeni pottery in a number of kurgans that in its turn points to the contemporaneousness of the both groups during a certain period of time. At the same time there are cases when the kurgans have yielded not only Bedeni but also the Kuro-Araxes culture pottery characteristic to various local groups. There are also the containers displaying the traits characteristic to the both Bedeni and Kuro-Araxes cultures.

Bedeni pottery is in close connection with the specimens of the countries located in the west and north of the southern Caucasus rather than with the ones lying in the south and east of it. It is a well known fact that ceramic elements of these regions emerged in the north much earlier and more characteristically than in the south Caucasus.

Scholars fixed the fact that the northern cultures had became noticeably active towards the Balkans and western Anatolia. One of these streams had arrived in Anatolia, continued its way and reached the Black Sea littoral. In the result there followed a change that is clearly seen within one of the groups of pottery.

Further surveys have brought to light the fact that another northern current approved stronger in the eastern Georgia. The situation enabled the scholars to suggest a tangible penetration of certain forms of Bedeni pottery within one group of the Early Bronze period west Georgian earthen ware.

Scholars have divided Bedeni pottery in two morphologically different groups: The first, earlier group includes the examples of offhand containers coming not only from the kurgans but also from the settlements resembling the grave goods of the kurgans unveiled in the north Caucasus and the Azov Sea littoral. This is the group that coexisted with the Kuro-Araxes and Martkopi pottery.

As to the second group it includes neatly modeled containers and they too have parallels in the north Caucasus, mainly at Maikop and Novosvobodnaya type sites and there is no sign of any coexistence with the Kuro-Araxes and Martkopi culture pottery.

The changes that had been taking place before the tail end of the Early Bronze period were mainly connected with the movement of certain new ethnic streams heading from the north and west to the south Caucasus where they filtered through the locals and became the vehicle of the further social stratification and property qualification.

ლიტერატურა

აფაქიძე ჯ. 2000: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და ანატოლიის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების ურთიერთობის პრობლემები. - აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, მაცნე I, 219-236.

გობეჯიშვილი გ. 1981: ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.

გოგაძე ე. 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.

გოგაძე ე. - 1997: კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ. – გურია, II, თბილისი, 33-58.

მირცხულავა გ. 2011: მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები, თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 2015: ადრეული ყორღანები საქართველოში. თბილისი.

საქართველოს არქეოლოგია, II, 1992. თბილისი.

ფიცხელაური კ. 2013: სამხრეთ აღმოსავლეთ კავკასიის ეთნო-კულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბილისი.

ფხაკაძე გ. 1993: დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში. თბილისი.

შატბერაშვილი ზ., შატბერაშვილი ვ., ნიკოლაიშვილი ვ. 2010: ტყემლარას ბრინჯაოს ხანის სამარხები. – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბილისი, 185-206.

შატბერაშვილი ზ., შატბერაშვილი ვ. 2014: მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიციის მიერ შესწავლილი ბედენური ყორღანები ბედენის პლატოდან. – ძიებანი, №22, 81-101.

ჯაფარიძე ო. 1969: არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1989: ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში. – მაცნე, №2, 26-40.

ჯაფარიძე ო. 1991: საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში.თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2006: ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 1997: კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

Гей А. 2000: Новотиторовская культура. Москва.

Гогадзе Э., Панцхава Л. 2003: Колхидская культура эпохи бронзы и раннего железа. – Кавказ в системе раннеметаллических культур Евразии, Тбилиси, 41-55.

Дедабришвили Ш. 1979: Курганы Алазанской долины. Тбилиси.

Кавтарадзе Г. 1983: К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тбилиси.

Кавтарадзе Г. 1992: Вопросы этнической истории Кавказа и Анатолии и проблема хронологии и периодизации. Автореферат докторской диссертации. Тбилиси.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети. Тбилиси

Мерперт Н. 1987: Циркумпонтийская зона в раннем бронзовом веке. Вопросы культурных контактов. - Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тбилиси, 89-97.

Мерперт Н. 1988: Об этнокультурной ситуации IV-III тыс. до.н.э. в циркумпонтийской зоне. – Древный Восток. Этнокультурные связи. Москва, 7-36.

Микеладзе Т. 1990: К археологии Колхиды. Тбилиси.

Пхакадзе Г. 2000: Восточное Причерноморье во второй половине IV-III тыс. до.н.э. (к проблеме культурных контактов). – Взаймодействие культур и цивилизации. Санкт-Петербург, 50-59.

Резепкин А. 2012: Новосвободненская культура. Санкт-Петербург.

Цвинария И**. 1990:** Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тбилиси.

Чайлд Г. 1956: Древнейший Восток в свете новых раскопок. Москва.

Черных Е. 1978: Металлургические провинции и периодизация эпохи раннего металла на территории СССР. – СА, №4, 53-82.

Черных Е. 1987: Культурные контакты в циркумпонтийской области. – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тбилиси, 98-108.

Шаншашвили Н. 2004: К распространению одного типа керамики на Кавказе. – АЭФК, Баку, 148-149.

Burney Ch. 1958: Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age. – AS, VIII, 157-209.

Kelly-Buccellati M. 1974: The Excavations at Korucutepe, Turkey, 1968-70: Preliminary report, part V: The Early Bronze Age potery and its affinities. – JNES, 33: 44-54.

Makharadze Z. 2014: The end of the Early Bronze Age in Georgia. – კავკასიისა და ანატოლიის ადრელითონების ხანის არქეოლოგიის პრობლემები, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი, 226-232.

Mindiashvili G. 2012: Early Kurgans of the South Caucasus. – Studies in Caucasian Archaeology, I. Tbilisi.

Palumbi J. 2011: The Arslantepe royal tomb and the Manipulation of the Kurgan ideology in Eastern Anatolia at the beginning of the third millennium. – Ancestral Landscapes, Lion, 47-59.

Rova E., Puturidze M., Makharadze Z. 2010: The Georgian-Italian Shida Kartli archaeological project: A report on the First two Field seasons 2009 and 2010. – Rivista di Archeologia, XXXIV, 5-30.

ლერი ჯიბლაძე

კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების სინქრონიზაციის საკითხები

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით კოლხეთის დაბლობის კარგად შესწავლილი ნამოსახლარების (ნოსირი III, ნამჭედური, ფიჩორი, ნაოხვამუ, ყულევი, ჭალადიდის ზურგა და სხვ.) თანმიმდევრული სტრატიგრაფიული ჭრილების მეშვეობით, ქრონოლოგიურად დავალაგოთ სხვა კატეგორიის ძეგლები (განძები, სამაროვნები, ძველი სამთამადნო გამონამუშევრები, დიუნური სადგომები, შემთხვევით აღმოჩენილი ლითონის ინვეტარი, რკინის საწარმოო ქურები); ცალკეული ეპოქების მიხედვით მოვახდინოთ მათი სინქრონიზაცია როგორც ერთმანეთთან, ასევე მეზობელ რეგიონებში გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურებთან. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ვახდენთ ტრადიციული და რადიოკარბონული (C_{14}) მეთოდით მიღებული თარიღების ურთიერთშეპირისპირებას.

კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის (პროტო და ძველი კოლხური კულტურების) ნამოსახლარების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხებს არაერთი მკვლევარი შეეხო, რომელთა შორის ცალკე გამოვყოფდით ზოგიერთი მეცნიერის დიდ ღვაწლს. როგორც ცნობილია, ბ. კუფტინმა ამ მიმართულებით პირველმა გაკვალა გზა. ცნობილმა მკვლევარმა ნაოხვამუსა და ანაკლია I-ის ნამოსახლარების მასალებზე დაყრდნობით შეიმუშავა ქრონოლოგია-პერიოდიზაცია, რომელიც დღესაც ძალაში რჩება და სპეციალისტებისათვის ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს [Куфтин 1950: 193-238, 246-257]. თ.მიქელაძემ პირველმა მოგვცა პროტო და ძველი კოლხური კულტურების კერამიკის განვითარების ეტაპობრივი პერიოდიზაცია [მიქელაძე 1974: 49; Микеладзе 1990: 80-81, ტაბ. XXXVII]. აღნიშნული პრობლემის კვლევა-ძიების საქმეში ასევე დიდი სამუშაოები ჩაატარეს ო.ჯაფარიძემ, დ. ხახუტაიშვილმა, ე. გოგაძემ, მ. ბარამიძემ და სხვა მკლევა-რებმა. როგორც ვხედავთ, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები საკმაოდ საფუძვლიანადაა გამოკვლეული.

პროტო და ძველი კოლხური კულტურების სხვა კატეგორიის ძეგლების ურთიერთმიმართება ნამოსახლარების მასალებთან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დღემდე არ დამდგარა დღის წესრიგში. სადღეისო მონაცემებით საკვლევი მხარის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვა ტიპის ძეგლები არქეოლოგიური პერიოდების მიხედვით სრულად არ შეესატყვისება სტრატიფიცირებული ნამოსახლარების ჭრილებს. ეს კი ხელს უშლის ამ ტიპის ძეგლებიდან მომდინარე არტეფაქტების კომპლექურად შესწავლას, მათ ერთიან დინამიკაზე თვალის გადევნებას და ურთიერთშედარებას[1] ნამოსახლარების მასალებთან. მაგალითად, შუაბრინჯაოს მიწურულიდან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ჩათვლით გავრცელებულია განძები [ქორიძე 1965; რამიშვილი 1974; ლორთქიფანიძე 2001: 178-194]. ბრინჯაოს ხანაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა (გაგიდის სამაროვანი, ანაკლია II-ის უინვენტარო ორმოსამარხი) [ჯიბლაძე და სხვ. 2004: 74-80] სამაროვნები და ცალკეული სამარხები დღემდე უცნობია. ამ კატეგორიის ძეგლები ბარში წარმოდგენილია მხოლოდ კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნების (ცალკეული სამარხების) სახით, რომლებიც ძირითადად ექცევა ადრერკინის ხანაში [მიქელაძე 1985; აფაქიძე ჯ.1988: 46-52; პაპუაშვილი 2010: 32-41; პაპუაშვილი და სხვ. 2015]. აღნიშნულ პერიოდებში კოლხეთის დაბლობზე და მთიან ზოლში ლითონის ინვენტარი (ყუამილიან-ყუადაქანებული, ბრტყელი და კოლხური ცულები და ა.შ.) უმრავლეს შემთხვევში გვხდება კომპლექსების გარშე, ცალკეული შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვით, რომელთა დათარიღება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ცენტრალური კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე (მთიანი აფხაზეთი,

1 ფიჩორის ცენტრალური ბორცვის I მონაზვინ ფენაში კერამიკულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა სამკუთხა-პირიანი, შიდა მხარეს ვერტიკალურზოლიანი ბრინჯაოს თოხი, რომლის ზუსტი ანალოგები ცნობილია ურეკის განძიდან და გაგიდის სამაროვნიდან [ჯიბლაძე 2010: 32-35]. საყურადღებოა, რომ ურეკის შუაბრინჯაოს ხანის განძში შემავალი ბრინჯაოს ორი საფხეკის იდენტური არტეფაქტი გაგიდის სამაროვანზეც გამოვლინდა [ქორიძე 1965: 10, ტაბ. I; ბარამიძე, ფხაკაძე 2009: 54-57].

სვანეთი, ზემო რაჭა) არსებული სამთამადნო წარმოების ძეგლები [ინანიშვილი და სხვ. 1998 : 52-59; ინანიშვილი და სხვ. 2010: 54-102] ფუნქციონირებს ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ჩათვლით, მაშინ როცა რკინის სადნობი საწარმოო ქურები და შავიზღვისპირა ზოლში გავრცელებული დიუნური სადგომები არსებობის დროის მცირე მონაკვეთებს მოიცავენ [თავამაიშვილი 1999; Хахутаишвили 1987]. როგორც ვხედავთ, სხვა კატეგორიის ძეგლები ხშირ შემთხვევაში ქრონოლოგიურად არ შეეფარდებიან ნამოსახლარების სტრატიფიცირებულ ჭრილებს და ძირითადად ლითონის ინვენტარის მიხედვით თარიღდებიან და ზოგიერთ ეპოქაში მოწყვეტილი არიან კერამიკული მასალებისაგან. ამ ძეგლებისათვის (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სამაროვნებს) უმრავლეს შემთხვევაში არა გვაქვს C_{14} თარიღები. თუ გვხვდება თითო-ოროლა ნიმუში, ისიც ადრერკინის ხანისაა. ვფიქროთ, ამ მხრივ არსებულ ლაკუნას ერთგვარად ავსებს ზოგიერთი ნამოსახლარის (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის IV ფენა, ყულევის წინაანტიკური ხანა – II ფენა, ჩოლოქისპირა ნამოსახლარის IV-III ფენები, ნაოხვამუს III ფენა და ა.შ) კულტურულ ფენებში მიკვლეული ბრინჯაოს ზოგიერთი ინვენტარის სახეობა, რომლებიც ზუსტ ანალოგებს პოულობენ შუაბრინჯაოს ხანის სამარხების (გაგიდა), განძებისა (ურეკი) და კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნების ლითონის არტეფაქტებთან.

როგორც ცნობილია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია C_{14}-ით ძეგლების დათარიღება [ქავთარაძე 1981: 4-31]. ჩვენთანაც საკმაო პერიოდის განმავლობაში გამოიყენება რადიონახშირბადის მეთოდით ძეგლების ასაკის განსაზღვრა [Апакидзе, Бурчуладзе 1987]. თუმცა თავიდანვე არქეოლოგიური ნიმუშებისათვის C_{14}-ით მიღებული თარიღების სიმცირე არ იძლეოდა მათი ეფექტური დანერგვის საშუალებას [ქავთარაძე 1981: 29]. ეხლა საქართველოშიც მომრავლდა C_{14}-ით არქეოლოგიური ძეგლების დათარიღება, რომლებიც შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყნების ლაბორატორიაში. ამან კი მნიშვნელოვნად დააძველა, განსაკუთრებით ადრეული პერიოდის ძეგლების ასაკი. ამ მეთოდით ძეგლების დათარიღებამ ასევე სიღრმეში გადაწია პროტო- და ძველი კოლხური ნამოსახლარების კულტურული ფენების თარიღი და ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე საუკუნით დააშორა ტრადიციული მეთოდით მიღებულ თარიღები (ეს უფრო ეხება პროტოკოლხური I ეტაპის ძეგლებს) [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 23-25,35-37; ქავთარაძე 1981: 76, 114]. თუმცა, სადღეისო მონაცემებით პროტო- და ძველი კოლხური კულტურების ნამოსახლარებისთვის არა გვაქვს რადიონახშირბადის თარიღების დიდი სერია. როგორც აღნიშნავენ, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით სასურველია სხვადასხვა ძეგლების მსგავსი კულტურული ფენებიდან მიღებული თარიღების სიახლოვის ხარისხი, ასევე ცალკეული ძეგლების ერთი და იმავე ფენიდან თარიღების სერიის მიღება, ეს კი საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობის გამოყვანის შედეგად მოცემული ფენისათვის მაღალი სიზუსტის თარიღის მიღების შესაძლებლობას იძლევა [ქავთარაძე 1981: 29]. ამის შესახებ მართებულად აღნიშნავდენ, რომ C_{14} თარიღების არსებობა სარწმუნოა მხოლოდ დიდი სერიების არსებობისას და მათზე დაყრდნობა ჯერჯერობით დამაჯერებლობას მოკლებულია [მახარაძე 1994: 61]. კოლხეთის მაგალითზე ხშირად ის თარიღები რაც არის, მეტადრე ადრეული ხანის ძეგლებისათვის, საკმაოდ დაძველებული გვეჩვენება. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე (C_{14} თარიღების სერიების ნაკლებობის გამო) სანდოობის თვასაზრისით ამ შემთხვევაში უფრო ვამჯობინებთ ტრადიციულ დათარიღებას. რადიონახშირბადის მეთოდით თუ ძველდება ძველკოლხურ ნამოსახლართა კულტურული ფენები, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ასევე შესაბამისად სიღრმეში უნდა გადაიწიოს მათი სინქრონული პერიოდის სხვა ტიპის ძეგლების ასაკმაც (ეს განსაკუთრებით ეხება ლითონის ინვენტარის შემთხვევით ცალკეულ აღმოჩენებს, განძებს და ა.შ). ჯერჯერობით ამ დროს ძირითადი ამოსავალი რჩება ამ კატეგორიის ძეგლებიდან მომდინარე ცალკეულ ნივთთა ტიპოლოგიური მონაცემები და სხვადასხვა ავტორთა მიერ შემოთავაზებული თარიღები.

წინამდებარე ნაშრომში თავი მოვუყარეთ კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე დღემდე არსებულ ყველა C_{14}-ით და ტრადიციული მეთოდით მიღებულ თარიღებს, ერთად ვიძლევით სხვადასხვა ეტაპისა თუ საფეხურით დაღარიღებას. ასევე სინქრონიზაციისას ვიშველიებთ რადიონახშირბადის მეთოდით მიღებულ თარიღებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, დაახლოებით თანადროული პერიოდის ძეგლებიდან.

სადღეისო მონაცემების მიხედვით პროტოკოლხურ და ძველკოლხურ კულტურათა

განვითარებაში არტეფაქტების ფორმალურ-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად დასაშვებად მიგვაჩნია გამოიყოს ხუთი ეტაპი, რომელიც ზოგიერთ ძეგლზე სტრატიგრაფიულადაც იმიჯნება. ამ კულტურათა ეტაპობრივი პერიოდიზაცია და მათი ძირითადი დამახასიათებელი ნივთიერი მასალები არაერთ ნაშრომში გვაქვს განხილული, ამიტომ ხელმეორედ არ გავიმეორებთ [ჯიბლაძე 1997: 107-116, ტაბ. I-XX; Джибладзе 2007: 104-126, ტაბ. XIX-XXIV, XCI]. ვფიქრობთ, მასალათა ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად პროტოკოლხური I ეტაპი უნდა გაიმიჯნოს უფრო ადრეულ და შედარებით მოგვიანო საფეხურის ძეგლებად. ადრეულ საფეხურს უნდა მიეკუთვნოს ისპანის ქვედა ჰორიზონტი, შემოქმედი და ჭოლიპა. ეს ძეგლები ტერიტორიულად ერთმანეთს ებმის და ერთი რეგიონის, სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებს წარმოადგენს. მათ თითქმის ერთნაირი თიხის ნაწარმი ახასიათებთ და მდ. ენგურის ქვემო წელის აუზის ნამოსახლარების არქეოლოგიური –არტეფაქტებისგან განსხვავდებიან მცირე ლოკალური თავისებურებებით. მოგვიანო საფეხურის ნამოსახლარებს მიეკუთვნება ფიჩორი (VIII-VI ფენა), ანაკლია პირველი (ქვედა ფენა), ოჩამჩირე, ისპანი (ზედა ჰორიზონტი), შესაძლოა საელიაოს კურზია (ქვედა III ფენა), დაბლაგომი და არგვეთა (ზედა ჰორიზონტებზე გამოვლენილია პროტოკოლხური კერამიკა). სამწუხაროდ, პრ.კ. I ეტაპის ადრეული ნამოსახლარები შესწავლილია მცირე მაშტაბის გათხრებითა და შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვით. ამიტომ ჩვენი გამოყოფა უფრო ზოგადი ხასიათისაა და, როგორც აღინიშნა, ემყარება ამ ძეგლებზე მოპოვებული არტეფაქტების ანალიზს.

პრ.კ. I ეტაპის ადრეული საფეხურის ძეგლებს ტრადიციული (შედარებითი) მეთოდით ვათარიღებთ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით (ძვ.წ. XXV-XXIV სს.). სამწუხაროდ, ამ საფეხურის ძეგლებიდან მხოლოდ ისპანის ნამოსახლარის ქვედა ჰორიზონტიდან გვაქვს C_{14} თარიღი, რომელიც რამდენადმე დაძველებული გვეჩვენება: ნიმუშები ТБ-82, ТБ-233 – ძვ.წ. 3175±287 .; ძვ.წ. 3225±283 წ. (მ. კლარკის საკალიბრაციო მრუდის გამოყენებით) [ქავთარაძე 1981: 75-76]. თსუ რადიონახშირბადის ლაბორატორიაში დაიმონის მრუდის გამოყენებით ამ ჰორიზონტის ასაკი უდრის 5100±159 – ძვ.წ. 3150 წ., 5130±92 – ძვ.წ. 3180 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 23][2].

პრ.კ. I ეტაპის მოგვიანო საფეხურის ნამოსახლარებს ვათარიღებთ ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით (დაახლოვებით ძვ.წ. XXIII-XX სს.). გვაქვს რამდენიმე ნამოსახლარიდან მომდინარე რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღები: ისპანის ზედა ჰორიზონტი, ТБ-232, 4600±108 – ძვ.წ. 2650 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 23]; ТБ-31, 3600±103 – ძვ.წ. 1650 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 23]. ეს ნიმუშები მ. კლარკის საკალიბრაციო მრუდით განისაზღვრა ძვ.წ. 2617±333 და ძვ.წ.1651±258 წწ. [ქავთარაძე 1981: 76]. ფიჩორის ცენტრალური ბორცვის C_{14} ნიმუშები თსუ რადიონახშირბადის ლაბორატორიაში დაიმონის მრუდით დათარიღდა: VIII ფენა, ТБ-460, ძვ.წ. 2760 წ.; VII ფენა, ТБ-460 – ძვ.წ. 2346 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 37]. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდით განსაზღვრული ფიჩორის VIII ფენის ასაკი, ისპანის ზედა ჰორიზონტთან ერთად (მხედველობაში გვაქვს ТБ-232 ნიმუში ისპანიდან), რამდენადმე უახლოვდება ისპანის ქვედა ჰორიზონტის თარიღს. ფიჩორის ქვედა ფენა, ოჩამჩირესთან, ჭოლიპასთან და შემოქმედთან ერთად, , მცენარისანაბეჭდიანი, შედრეკილი და მასიურქუსლიანი ძირებიანი კერამიკით უკავშირდება კოლხეთის დაბლობის ენეოლითური ხანის (ჩაქვი, მაჭარა IV ფენა, ათარა არმიანსკაია) ნამოსახლარების მასალებს [ფხაკაძე 1992: 221].

როგორც აღვნიშნეთ, ისპანის ქვედა ჰორიზონტის რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღი დაძველებული გვეჩვენება. ამიტომ ამ საფეხურის ძეგლების ასაკის განსაზღვრისას ჩვენთვის უფრო მისაღებია ტრადიციული მეთოდით განსაზღვრა, რომელიც, ჩვენი აზრით, რეალურ თარიღთან უფრო ახლოს დგას. იგივე მოსაზრება გვაქვს ფიჩორის VIII ფენის (ასევე ისპანის ზედა ჰორიზონტის) C_{14} თარიღთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც ვამჯობინებთ ამ ძეგლის

2 [2] როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსის კულტურას სტრატიფიცირებული ნამოსახლარების მონაცემების საფუძველზე ყოფენ სამ ქრონოლიგიურ ეტაპად (ადრეული, განვითარებული, ფინალური) [ჯაფარიძე 1976: 162-168; Кушнарева, Чубинишвили 1970: 61-62]. უფრო გვიან დაუმატეს მე-4 გვიანი საფეხური, რომელიც შეესაბამება მტკვარ-არაქსის კულტურაში ადრეული ყორღანული კულტურის გამოჩენას [მახარაძე 1994: 75; ორჯონიკიძე 2004: 133]. ამ პერიოდიზაციას ეყრდნობიან და პირობითად უწოდებენ A, B, C ეტაპებს [ქავთარაძე 1981: 72]. ისპანის ნამოსახლარს აკუთვნებენ ადრებრინჯაოს I-C პერიოდს და რადიონახშირბადის მეთოდის გათვალისწინებით ათარიღებენ ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით [ქავთარაძე 1981: 75-76].

აღნიშნულ ფენაზე ტრადიციული მეთოდით მიღებულ თარიღს.

რადიონახშირბადის თარიღის რამდენიმე სერია მომდინარეობს ანაკლია მეორის სხვადასხვა სიღრმიდან: ТБ-80, 3570±103 –ძვ.წ. 1620 წ.; ТБ-274, 4200±109 – ძვ.წ. 2250 წ.; ТБ-275, 4300±109 – ძვ.წ. 2350 წ.; ТБ-276, 4100±63 – ძვ.წ. 2150 წ. [Апакидзе,Бурчуладзе 1987: 35]. მ. კლარკის საკალიბრაციო მრუდით იგივე ფენის ასაკი უდრის: ძვ.წ. 2258±308 წ., 2352±316, 2108±360 და 1590±256 წწ. [ქავთარაძე 1981: 114]. თავის დროზე ანაკლია მეორეს ეს ფენა ჩვენს მიერ დათარიღებული იქნა პრ.კ. II ეტაპით და ახლაც ამ აზრზე ვდგავართ [ჯიბლაძე 2007: 109]. როგორც ვხედავთ, C_{14} მისი ასაკი გადატანილი იქნა ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. ამ თარიღით კი ეს ნამოსახლარი უფრო უახლოვდება პრ.კ. I ეტაპის მოგვიანო საფეხურის ძეგლების ასაკს (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VII ფენა). ანაკლიის ბორცვიდან რამდენიმე შემთხვევაში C_{14} სინჯები აღებული იქნა უფრო მეტი სიღრმიდან, ვიდრე ქვედა ფენა იყო განფენილი, იქნებ ტორფნარევი ფენიდანაც. თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, შესაძლოა ამ ძეგლმა ამიტომაც მოგვცა უფრო ძველი თარიღები, რადგან ტორფი შედარებით აძველებს C_{14} თარიღებს [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 37]. თუმცა ძეგლის გამთხრელების მონაცემებით რადიონახშირბადის დათარიღებისთვის ხის ნიმუშები (ТБ-275, ТБ-276) აღებული იქნა უშუალოდ ძელური ნაგებობის იატაკის დონიდან [Микеладзе 1990: 25-26].

კოლხეთის ბარიდან და ბორცვოვანი ზონიდან პროტოკოლხური კულტურის არეალში შემავალი სხვა კატეგორიის ძეგლები არ არის ცნობილი. მისი (ალბათ უფრო მოგვიანო საფეხურის) თანადროული ჩანს პროტოკოლხური და მტკვარ-არაქსული (არგვეთა,[3] დაბლაგომის ზედა ჰორიზონტები) და, ჩვენი აზრით, პროტოკოლხური და დოლმენური კულტურების თანხვედრის ძეგლები (გუმისთა I, პალი, ახრა-კაპში, აჭანდარა, კამან I და სხვ.) [ჯიბლაძე 2007: 107]. ასევე მცირე და საშუალო ზომის ეშერის[4] (კიურ-დერეს ქვედა ფენა), ხუაბის, ოთხარის დოლმენები, გუმისთის ყორღანული სამარხი და სხვ. პროტოკოლხურ კულტურას უნდა ეკუთვნოდეს შემთხვევითი მონაპოვარი ადრებრინჯაოს ხანის სპილენძ-ბრინჯაოს ყუამილიანი-ყუადაქანებული ცულები (ასევე სხვა სახის ბრინჯაოს ინვენტარი), კოლხეთის მთიანეთიდან და მისი დაბლობი ზოლიდან [ჩართოლანი 1996: ტაბ. XIII_{1-3}, $XV1_{-2}$; ჯიბლაძე 2011: 126-136]. პრ.კ. I ეტაპი ზოგადად უნდა შეესაბამებოდეს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ დოლმენური კულტურის ადრეულ ფენებს, მტკვარ-არაქსის ფინალურ ეტაპსა და ადრეული ყორღანულ კულტურას (მარტყოფ-ბედენი, თრიალეთის ადრეული I ჯგუფის ყორღანები) [ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2012: 205-210]. სინქრონიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა თსუ რადიონახშირბადის ლაბორატორიაში მიღებული თარიღები ადრეული ყორღანული კულტურიდან: მატყოფის № 3 და № 4 ყორღანები – ТБ-317, ТБ-325: 4300±109 – ძვ.წ. 2350 წ.; 4600±±108 – ძვ.წ. 2650 წ. [Апакидзе Бурчуладзе 1987: 44]; მ. კლარკის საკალიბრაციო მრუდის გამოყენებით ალაზნის ველის ყორღანების თარიღებია: ТБ-243, ძვ.წ. 2584±337 წ.; UGLA – ძვ.წ. 2768±319; LJ – 3217, ძვ.წ. 2318±312; 3217; ხრამებიდან, სოფ. ნუკრიანი: ТБ-242, ძვ.წ. 2643 წ±330 წ. [ქავთარაძე 1981: 59]. აღნიშნულ ძეგლებზე (სხვა ყორღანებთან ერთად) სხვადასხვა ქვეყნების ლაბორატორიებში მიღებული C_{14}, რამდენადმე განსხვავებულ თარიღებს იძლევა [ჯაფარიძე 1998: 150-152].

პრ.კ. II ეტაპის ნამოსახლარებად მიგვაჩნია ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (V ფენა), ნაკარღალი (IV-VI ფენები), ფიჩორის № 6 ბორცვი. ბ. კუფტინის მიხედვით, ანაკლია პირველის II ფენა. თუმცა ამ ძეგლის წარმოდგენილ ფენაში გვხვდება მოდევნო III-IV კულტურული ფენებისთვის დამახასიათებელი მოგვიანო ხანის გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპის კერამიკაც. პრ.კ. II ეტაპის ძეგლებად ასევე ვთვლით ონწყოშიაშის ტორფქვეშა ნამოსასახლარს (შემთხვევითი მონაპოვარი მასალების მიხედვით). პრ.კ. II ეტაპის ნამოსახლარებს ტრადიციული მეთოდით ვსაზღვრავთ ძვ.წ. XIX-XVII სს-ებით. გვაქვს C_{14} და სხვა მეთოდით მიღებული თარიღები

3 სინქრონიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა არგვეთას ნამოსახლარის ზედა ჰორიზონტზე მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ერთად გამოვლენილი პროტოკოლხური კულტურის ელემენტები, რომელიც რადიონახშირბადის მეთოდით განისაზღვრა: ТБ-416, 4800 ± 159 – ძვ.წ. 2850 წ.; ТБ-417, 4500 ±109 – ძვ.წ. 2550 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987 : 46]. აქვე გვინდა, შევნიშნოთ, რომ გვაქვს C_{14} თარიღი მაჭარის ენეოლითური ხანის ფენიდან, რომელიც რამდენადმე დაძველებული გვეჩვენება – 3810± 90 წ. [ფხაკაძე 1992: 221].

4 მხედველობაში აქვთ ეშერის დოლმენების შუაბრინჯაოს ხანის ფენებში გამოყოფილი მასალები: ლ. სოლოვიოვის № 2, მ.ივაშჩენკოს № 1, ბ. კუფტინის № 2, 4, 6, ო.ჯაფარიძის № 1 დოლმენები [ჯაფარიძე 1961: 217-219; ჯაფარიძე 1959: 77-126].

ზოგიერთი ნამოსახლარიდან: ფიჩორის ცენტრალური ბორცვის V ფენა-ТБ-450, 3830 ± 103 – ძვ.წ. 1880 წ. ეს ფენა ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში თერმოლუმინესცენციის მეთოდით განისაზღვრა 3775 წ. -– ძვ.წ.1790 წ. [ჯიბლაძე 1997: 102]. ერგეტის „მამულიების ბორცვის“ IV ფენა C_{14}-ით დათარიღდა ძვ.წ. 1680 წ. (ТБ-448, 3630±30) [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 36]. ძეგლის გამთხრელების მიერ მოცემული ცხრილის მიხედვით ერგეტას IV ფენაში გვაქვს შუა და გვიანი ბრინჯაოს საწყისი პერიოდის მასალების თანხვედრა [პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2005: ტაბ. X, XXIV-XXVIII], რომელიც ანაკლია II-ისა და ფიჩორის (V ფენა) მასალებთან შედარებით უფრო მოგვიანო პერიოდისა ჩანს. აქედან გამომდინარე ერგეტის IV ფენა უფრო თანადროული უნდა იყოს შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანის მასალების (ფიჩორის IV ფენა).

კოლხეთის დაბლობზე პრ.კ. II ეტაპს ეკუთვნის ანაკლია II-ის შუაბრინჯაოს ხანის ფენაში აღმოჩენილი უინვენტარო ორმოსამარხი და შემთხვევითი მონაპოვარი ბრინჯაოს ინვენტარის ნაწილი გაგიდის სამაროვნიდან [ჯიბლაძე და სხვ. 2004: 74-82]. ეს ძეგლი სამეცნიერო წრისათვის ნაკლებად ცნობილია ამიტომ შევჩერდებით მასზე.

გაგიდის სამაროვანი მდებარეობს ფიჩორის ნამოსახლარის ჩრდილოეთით, 2 კმ დაცილებით, ადგილ ნაჭკადუში (ისორეთი), უშუალოდ ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ. დროთა განმავლობაში ზღვის ტალღებმა გააშიშვლა სანაპირო ზოლი და გამოაჩინა ბრინჯაოს სხვადასხვა ეპოქის სამაროვნებისათვის დამახასიათებელი დიდძალი არქეოლოგიური მასალა [ფხაკაძე, ბარამიძე 2001: 125-130; ბარამიძე, ფხაკაძე 2009: 54-57]. როგორც ჩანს, ეს მასალები ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ უნებართვო გათხრების შედეგად უგზოუკვლოდ იფანტებოდა სხვადასხვა ადგილებში. მათი უმნიშვნელო ნაწილი კი შ. ამირანაშვლის სახ. ხელოვნების მუზემის აქეოლოგის და ქუთაისის მუზეუმების ფონდებში მოხვდა. სავარაუდოდ ძალიან დიდი პარამეტრების მქონე სამაროვანთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელიც შემოსული მასალების მიხედვით სინქრონული ჩანს ფიჩორის ცენტრალური ბორცვის შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ფენებისა (VI-III ფენა). დიდი ალბათობით გაგიდის სამაროვანი უნდა წარმოადგენდეს ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე განლაგებულ პროტო- და ძველი კოლხური კულტურების მატარებელი მოსახლეობის საძვლეს. სამწუხაროდ, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო აღმოჩენის ადგილის დათვალიერება და გარკვევა იმისა თუ რა ტიპის სამაროვანთან უნდა გვქონდეს საქმე, შეუძლებელია. სავარაუდოდ, ეს ძეგლი უფრო უნდა წარმოადგენდეს კოლექტიური დაკრძალვის სამარხ ორმოებს. გაგიდის სამაროვნის ლითონის ინვენტარი ახლო პარალელებს პოულობს ბრილისა და მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის მასალებთან. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნულ პერიოდებში გავრცელებული ყოფილა ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა, რომელიც ლითონის იარაღ-სამკაულის მიხედვით მჭიდრო კავშირებს ავლენს შიდა და ზემო ქართლის შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპის (წაღვლი, აწყურის სამარხი, ნული, ქვასათალი, ზველის ყორღანი, კვირაცხოველი, ჩითახევი, ბორნიღელე და თლიას ადრეული სამარხები) ბრინჯაოს ინვენტართან.

პრ.კ. II ეტაპის ნამოსახლარები მეტნაკლებად სინქრონული ჩანს ბრილის სამაროვნის უძველესი ფენების, ეშერის კრომლეხების (B ფენა), შემთხვევით მონაპოვარ ლითონის ინვენტარის ნაწილითან (ზემო სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი) და სხვ. [რამიშვილი 1974: 12; ფანცხავა და სხვ. 2001: 39-44; ჯიბლაძე 2011: 126-136].

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში პრ.კ. II ეტაპის სინქრონულად მიგვაჩნია სხვადასხვა კატეგორიის ძეგლები: ნამოსახლარები – მაჭარა (II-III ფენები), გუმისთა II; სამაროვნები – ეშერა (შუაბრინჯაოს ხანის ფენა), აზანთა, სულის დოლმენები და ა.შ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე როგორც ადრე, ასევე შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები გამართულია მღვიმე-ფარდულებში, სადაც მათი თხელი კულტურული ფენები ჩაჭრილია ცალკეული მეორადი დაკრძალვის ორმო სამარხებით. ასეთი სიტუაცია დაფიქსირდა შემდეგ ძეგლებზე: კამან I, კალდახვარა, ივაშჩენკო, შრომა (მიხაილოვსკი) და სხვ. [Соловев 1958: 115-135; Соловев 1960: 69-100]. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ქ. სოხუმამდე და მის ჩრდილოეთით სხვა ელემენტებთან ერთად რამდენადმე განსხვავებული თიხის ნაწარმის არსებობას ხსნიან ამ მხარის ლოკალური თავისებურებებით (ო.ჯაფარიძე, გ.ფხაკაძე, მ.ბარამიძე)[5].

5 მდ. გუმისთის ჩრდილოეთით კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ლოკალურ წრეში აერთიანებენ დაკრძალვის წესს, დოლმენებს, დასახლებებს ტერასაზე, სოჭი-ადლერის ტიპის ქვის თოხებს, რომლებიც უფრო განიცდიდა ჩრდილოურ გავლენებს მაიკოპ-

აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ ეშერის დოლმენების ადრეულ ფენებს, ანაკლია პირველთან (ქვედა ფენა) და ოჩამჩირესთან ერთად აერთიანებენ კოლხეთის დაბლობისა და მისი ბორცვიანი ზოლის ადრებრინჯაოს ხანის კულტურაში, რომელსაც საფუძვლად დაედო დასავლეთ საქართველოს ნეოლითი [ჯაფარიძე 1961: 233; ჯაფარიძე 1976: 190-191; ფხაკაძე 1993: 83,110].

აფხაზ და რუს მკვლევათა ნაწილს (ლ. სოლოვიოვი, ვ. ბჟანია ი. ვორონოვი, მ. ინალიფა, ი. წვინარია) ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები შეჰყავს სამხრეთ-დოლმენურ კულტურაში [Соловъев 1958 : 150-151; Соловъев 1960: 69; Воронов 1971: 17]. ვფიქრობთ, რომ კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურების გავრცელების არეალში შედის მთელი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორია, უფრო მძლავრად ქ. სოხუმამდე, შედარებით სუსტად კი მდ. ფსოუმდე. აქ ხდება მათი შეხვედრა განსხვავებულ და მონათესავე დოლმენურ და სოჭი-ადლერის ტიპის ქვის თოხების მატარებელ კულტურებთან, რომლებიც მთელ რიგ ძეგლებზე არაერთი ელემენტებით ვლინდება [ჯიბლაძე 1997: 118]. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული მომდევნო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურა, ზოგიერთი ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით, მძლავრადაა წარმოდგენილი, რაც სხვა მკვლევარებთან ერთად ჩვენს მიერ არაერთხელ აღინიშნა [ჯიბლაძე 1997: 119; ჯიბლაძე 2007: 120].

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეტაპის თანადრეული უნდა იყოს სამთავროს სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის I და II ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხები (ძვ.წ. XX-XVIII, XVIII-XVIსს) [სადრაძე 2002: 242, ტაბ. XXV-XXVII]. ასევე თრიალეთური კულტურის შუა (ძვ.წ. 1800-1600 წწ) საფეხურის ძეგლების თიხის ნაწარმი [გოგაძე 1972: 69], რომელთანაც კონტაქტებს ამჩნევენ ზოგიერთი ელემენტებით.

პრ.კ. II ეტაპში თავის დროზე გაერთიანებული იქნა ნოსირის ნამოსახლარის ძირა ფენები [გოგაძე 1982: 59-60; Микеладзе 1990: ტაბ. XXVII]. მომდევნო წლებში ზოგიერთი ძეგლის შესწავლით (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი) სტრატიგრაფიულად დადასტურდა, რომ პრ.კ. II ეტაპში უნდა ჩავრთოთ ფიჩორის ცენტრალური ბორცვის V ფენა და სხვა სინქრონული ნამოსახლარების მასალები (ასევე ზემოთ მოხსენიებული ამ ეტაპის სხვა ძეგლების არტეფაქტებიც). ნოსირის ძირა ფენის მასალები კი უნდა განისაზღვროს შედარებით მოგვიანო ასაკით [ჯიბლაძე 1997: 111-112; ჯიბლაძე 2007: 112].

პრ.კ. II ეტაპთან სინქრონიზაციის თვალსაზრისით, საყურადღებოა კოლხეთის მთიანეთის სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღები. მაგალითად, საგების ანთიმონის საბადოდან: ТБ-310, 3950±63, ძვ.წ. 2000 წ.; ТБ-334, 3890±63, ძვ.წ. 1940 წ. [Апакидзе, Бурчуладзе1987: 16].[6] იგივე ნიმუშები აღნიშნული ძეგლიდან ტრადიციული მეთოდით განისაზღვრა ძვ.წ. 1680 და 1640 წწ. [ინანიშვილი და სხვ. 2010: 89]. ასევე საყურადღებო ჩანს ბაშკაცარას № 5 მაღაროს სპილენძის სულფიდური მადნებიდან მომდინარე თარიღები, რომელიც ტრადიციული მეთოდით არის მიღებული: ТБ-4198, ТБ-4199, 4080±300, ძვ.წ. 2130 წ.; 4020±2080, ძვ.წ. 2070 წ. [ინანიშვილი და სხვ. 2010: 89; Бжания 1988: 40]. ვარაუდობენ, რომ აფხაზეთის, სვანეთის და რაჭის გამადნებათა ზოლში გეოლოგიურად დადასტურებული სპილენძის სულფიდების მადნების გავრცელების ერთიანი სისტემა, ძვ. წ. III ათასწლეულიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე გამოიყენებოდა კოლხეთის მეტალურგიული ცენტრების ძირითად საწარმოო ბაზად [ინანიშვილი და სხვ. 2010: 89]. სპილენძ-ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე კი ზედაპირულად განლაგებული ოქსიდური და კარბონატული სპილენძის მადნებზე მარტო მუშაობდენ მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში შემავალი ძეგლები [ინანიშვილი და სხვ. 2010: 89; Лордкипанидзе 1989: 104]. რამდენად რეალურად გამოიყურება ეს მოსაზრება, ძნელი სათქმელია.

პრ.კ. II ეტაპის კულტურის ელემენტები მოჩანს ზემო იმერეთის პლატოზე მრავალფენიანი ნამოსახლარების კულტურულ ფენებში: ჯიეთის IV-V ფენები, ითხვისი –ჩილათის ბორცვი (ვგულისხმობთ VI ფენაში მტკვარ-არაქსის მასალებთან ერთად გამოვლენილ პროტოკოლხურ კერამიკას), მოდინახეს სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის ადრეული ჯგუფის (№ 7, 9, 21) სამარხები [ბერიკაშვილი 2006: 29; მახარაძე, ბერიკაშვილი 2004: 32; გაგოშიძე და სხვ. 2004: 78-79, ტაბ, 113, სურ. 53; ლომთაძე 2000: 5-17]. როგორც ვხედავთ, პროტო-

ნოვოსვაბოდნაიას მხრიდან[ბარამიძე 1999: 24].

6 რამდენადმე განსხვავებულ თარიღებს გვაძლევენ აღნიშნულ ნიმუშებზე [ინანიშვილი და სხვ. 2010: 89].

კოლხური კულტურის ნამოსახლარები მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. შესაძლოა, ეს ზღვისპირა კულტურის (შესწავლილი მასალის მიხედვით) ძეგლები განადგურდა ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ტრანსგრესიისა და მომდევნო ფანაგორიული რეგრესიის შედეგად.

ძვ.წ. IV ათასწლეულში შავი ზღვის დონემ თანამედროვე ნიშნულს მიაღწია, რის შემდეგ იგი მსოფლიო ოკიანის დონის აწევ-დაწევის შედეგად შესაბამისად განიცდიდა დროებით რყევებს 1,5-5 მ ფარგლებში [ხახუტაიშვილი ნ. 1986: 10; Хахутаишвили 1984: 146-152; Джанелидзе 1980: 21] . ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში მსოფლიო ოკიანის დონემ და, შესაბამისად, შავი ზღვის დონემ 1,5-2 მ-ით აიწია (ახალშავზღვური ტრანსგრესია), რის შემდეგ დაიწყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლის დაჭაობება. ამ პროცესების დროს გაფორმება დაიწყო ახალშავზღვურმა დიუნამ. იგი ცნობილია ახალშავზღვური ტერასის სახელწოდებით, რომელმაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დაბლობზე გამდინარე წყლებს ბარიერი შეუქმნა და ზღვაში გასასვლელი გადაუკეტა. თვლიან, რომ ამის გამო არსებობა შეწყვიტეს ადრებრინჯაოს ხანის დასახლებებმა, რომლებიც ახალშავზღვური ტერასის ახლოს მდებარეობდნენ. ერთ-ერთი მათგანი ისპანის ნამოსახლარია, რომელიც 2 მ სისქის ტორფმა დაფარა [ინაიშვილი 1977: 77-78; ხახუტაიშვილი დ. 1979: 7-11; ხახუტაიშვილი ნ. 1986: 11; Хахутаишвили 1984: 147]. ამიტომაც მიიჩნევენ, რომ კოლხეთის დაბლობზე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენები განლაგებულია ახალშავზღვური ტერასის (დიუნის) უკან წარმოდგენილ ტორფნარებში (ისპანი, ყულევი, ანაკლია), სადაც კონსერვაციის საუკეთესო პირობები არსებობდა [ხახუტაიშვილი დ. 1979: 11]. ფიქრობენ, რომ ამ პროცესების შედეგად კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში ნეოლითური ხანისა და უფრო ადრეული დონეები 25-30 მ სიღრმეზეა დაძირული. ვფიქრობთ, ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ამ პროცესების შედეგად უნდა აიხსნას ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების მხრივ არსებული ლაკუნა, რომელიც შეინიშნება კოლხეთის დაბლობის შავიზღვისპირა ზოლში მდ. ჩოლოქსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, იმ ზონაში, სადაც ზღვის მოქმედება აქტიური იყო, პროტოკოლხური კულტურის ძეგლები განადგურდა და ტორფქვეშ მოექცა. გადარჩნე მხოლოდ ისინი, რომლებიც მაშინდელი ზღვის სანაპიროდან რამდენადმე დაცილებული იყო და ზღვის აქტიობა ვერ მისწვდა (ფიჩორი, ნაკარღალი, გაგიდა, ანაკლია პირველი, ანაკლია მეორე, შემოქმედი). ასევე სავარაუდოდ, ის გაუთხრელი ძეგლები, რომლებიც განფენილია მდ. ენგურის ქვემო წელის აუზის ორივე სანაპიროზე და მომავალში ჩატარებული გათხრების შედეგად დიდი ალბათობით მოსალოდნელია ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ფენების გამოვლენა.

პრ.კ. II ეტაპიდან ძვ.კ. I ეტაპზე გარდამავალ საფეხურის ნამოსახლარებად მიგვაჩნია ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (IV ფენა), ნაკარღალი (III-II ფენა), ნოსირი III (I, II ფენა), ნამჭედური (VI ფენა), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ერგეტა (IV ფენა), ჩოლოქისპირა ბორცვი (VI ფენა), ანაკლია I (III ფენა) [ჯიბლაძე 2007: 110]. ფიქრობენ, რომ ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს წყემი (II ფენა) და საელიაოს კურზია (II ფენა). ტრადიციული მეთოდით ეს ეტაპი ჩვენს მიერ განისაზღვრა ძვ. წ. XVI-XV სს-ებით. ამ ფენისათვის დამახასიათებელია შუა და გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპის ნარევი კერამიკული მასალების თანხვედრა, სადაც ჭარბობს პირველი. ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის C_{14} ლაბორატორიაში, ცინცინატის საკალიბრაციო მრუდით ფიჩორის ცენტრალური ბორცვის IV ფენა განისაზღვრა 3510±100, ძვ. წ. 1624 წ. იგივე ფენა ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში თერმოლუმინესცენციის მეთოდით დათარიღდა 3470 წლით – ძვ.წ. 1585 წ. [ჯიბლაძე 1997: 98] [7]. სხვადასხვა სიღრმიდან აღებული C_{14} რამდენიმე თარიღი მომდინარეობს ნამჭედურის VI ფენიდან: ТБ-81, ТБ-230, ТБ-306, 3400 ±±125 – ძვ.წ. 1450 წ.; 3300±125 – ძვ.წ. 1350; 3700±103 – ძვ.წ. 1750 წ.; 3600±103 – ძვ. წ. 1650წ [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 24-25]. ამავე ფენის ზოგიერთი ნიმუში (ТБ-810), მ.კლარკის საკალიბრაციო მრუდით დათარიღდა ძვ.წ. 1430±267 წ. [ქავთარაძე 1981: 133]. როგორც ვხედავთ,ნამჭედურის ქვედა ფენიდან ზოგჯერ ნაჩვენებია C_{14} დაბალი თარიღები. არადა ამ ფენაში ძირითადად დომინირებს პრ.კ. II ეტაპის კერამიკა [Микеладзе, Хахутаишвили 1985: 84-113]. ამ

7 ორივე მეთოდით თარიღები განსაზღვრა ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ.ჰიუპმა. ესტონეთიდან მომდინარე თარიღები მიღებულია ცინცინატის მრუდით, 5568 წლიანი ნახევარდაშლის პერიოდით, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კი დაიმონის მრუდით 5730 წლიანი ნახევარდაშლით. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ფიჩორის ცენტრალური ბორცვის ТБ-421 და ТБ-449 ნიმუშები ზედა ელინისტური ფენის ჩათვლით შეესაბამება II და III ფენების თარიღებს. ТБ-450 ნიმუშზე კი ნაცვლად IV-ისა უნდა ყოფილიყო მითითებული V ფენა [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 37].

ფაქტორის გათვალისწინებით, შესაძლოა მისი პრ.კ. II ეტაპშიც გადატანა. ასევე მხედველობაშია მისაღები ის ფაქტორიც, რომ ამ ძეგლის მასალები მემკვიდრეობით კავშირებს ისპანის ზედა ჰორიზონტის თიხის ნაწარმთან ავლენს. აქედან გამომდინარე უფრო მისაღები გვეჩვენება ამ ძეგლების არტეფაქტების ქრონოლოგიურად ერთმანეთთან უფრო დაახლოვება.

კოლხეთის დაბლობზე ამ ეპოქის სინქრონული პერიოდის სამარხები არ გვხდება. შუაბრინჯაოს დასასრულსა და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს ურეკის, ქვიშარის I, გალის (1959 წლის მონაპოვარი) და ლეჩქოფის განძები. ასევე ლითონის ინვენტარის ცალკეული აღმოჩენები (მეტწილად ბრინჯაოს ცულების, ურეკი 1936 წ., არადუ, ჭლოუ) და ის განძები, რომლებიც შეიცავენ კოლხური ცულების პროტოტიპებს: პილენკოვო (განთიადი), გაგრა, ბიჭვინთა (1935 წ.), ქობულეთი, ერგე (1936 წ.), ჭოროხი (1953 წ.), მახო (1972 წ.), კირნათი და სხვ. [ნიორაძე 1948: 5; ქორიძე 1965: 10-12; ქორიძე 1968: 28-29; რამიშვილი 1974: 45-53; კახიძე, მამულაძე 2000: 53-62, ჯიბლაძე 2011: 126-136; Трапш 1970: 174]. გარდამავალი ხანის ძეგლების სინქრონული ჩანს თრიალეთური კულტურის გვიანი საფეხურების თიხის ნაწარმი (ძვ.წ. 1600-1450 წწ.). ასევე ზოგადად დასაშვებია თანადროულობა (ვგულისხმობთ გარდამავალ ხანას) შიდა ქართლის ტერიტორიაზე შესწავლილ თითქმის ყველა ძეგლთან (ნული, ქვასათალი, წაღვლი, დიდი მცხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამაროვნები), რომლებიც შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის გვიან ეტაპს განეკუთვნებიან (შესაძლოა, ქრონოლოგიურად აქ ჩავრთოთ ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურის ძეგლები – სამთავროს სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის III ქრონოლოგიური ჯგუფი, შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხები და ა.შ.) [სადრაძე 2002: 242, ტაბ.XXV-XXVII; ჯაფარიძე 2009: 159; რამიშვილი 2004: 41; Садрадзе 1993: 20, 55]. პრ.კ. II-დან ძვ. კოლხურ I ეტაპზე გარდამავალ ხანასთან ქრონოლოგიურად შეიძლება ახლოს მივიტანოთ კ. ფიცხელაურისეული გარდამავალი ხანის ძეგლების ასაკიც [ფიცხელაური 1973: 123-147, ტაბ. LXIX].

ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ახალშავზღვური ტრანსგრესია ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე (შუაბრინჯაოს დასასრული) გრძელდებოდა. ამ პერიოდში იწყება ახალი შავზღვური რეგრესია, რომელიც ფანაგორიულის სახელს ატარებს [ხახუტაიშვილი ნ. 1986: 11][8]. იგი ქრონოლოგიურად მოდის შუაბრინჯაოს ხანის დასასრულზე და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპზე. ამ პერიოდში ზღვის დონე თანდათანობით დაბლა იწევს, ღრმავდება მდინარეთა კალაპოტები. ამ პროცესების შედეგად კოლხეთის დაბლობზე დაჭაობებული ზონები თანდათანობით დაშრა და აყვავებულ სამეურნეო სავარგულებად იქცა. კოლხეთის დაბლობი, განსაკუთრებით მისი აკუმულაციური ნაწილი, რომელიც მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა, ახალი დასახლებებით დაიფარა [ხახუტაიშვილი ნ. 1986: 11] . გვინბრინჯაოს საწყისი ეტაპიდან, უფრო კი ადრერკინის ხანის დასაწყისიდან კოლხეთის დაბლობზე იწყება დემოგრაფიული აფეთქება. მთელი რეგიონი იფარება ხელოვნურად გამართული ბორცვებით [ჯიბლაძე, პაპუაშვილი 2013: 100-112]. ამ ეტაპის ნამოსახლარებად მიგვაჩნია ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (III ფენა), ნაოხვამუ (ძირა ფენა), თაგილონის წიფურიას გუძუბა (IV ფენა), პატრიკეთი, საელიაოს კურზია (II ფენა), ნამარნუ (ჩრდილოეთი ბორცვი), ჭალადიდის ზურგა (I, II ფენები), ნამჭედური (V ფენა),საგვიჩიოს ზურგა და პატარა კონძა, ჩოლოქისპირა ბორცვი (V ფენა), ანაკლია პირველი (III, IV ფენები), ნოსირი (III ფენა), ნაჭვის ზურგა, კეკელურის ზურგა, აბედათი, სვირის ციხურა, კოდორი I (ობერგულე), ერგეტა (III ფენა), ყულევი (I ფენა), გეჯეთი და სხვა ნამოსახლარები. ძვ.კ I ეტაპის ადრეული საფეხურის მასალები უშუალოდ მოსდევს შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანის არტეფაქტებს. ტრადიციული მეთოდით ამ საფეხურის ნამოსახლარებს ვაკუთნებთ ძვ.წ. XV ს-ის დასასრულსა და ძვ.წ. XIV-XII სს-ებს [ჯიბლაძე 1997: 112]. გვაქვს ზოგიერთ ძეგლზე მიღებული C_{14} თარიღები: ფიჩორის ცენტრალური ბორცვი: ТБ-449, 3830±103 – ძვ.წ. 1680 წ. იგივე ფენა ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში C_{14} დათარიღდა 3360±110 წ. – ძვ.წ. 1374 წ.; თერმოლუმინესცენციის მეთოდით კი 3400 წლით (ძვ.წ. 1415 წ.) [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 37; ჯიბლაძე 1997: 96]. ტრადიციულ მეთოდთან შედარებით რამდენადმე დაბალი მონაცემები აჩვენა რადიონახშირბადის დათარიღების სერიამ ნამჭედურის V ფენის სხვადასხვა სიღრმიდან, რომელიც გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპის ნამოსახლარად მიგვაჩნია: ТБ-50, ТБ-320, ТБ-321, ТБ-321,

8 აღნიშნულ საკითხებზე დეტალურად იხილეთ [პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ი. 2014].

2970±80 – ძვ.წ. 1020 წ.; 3110±80, ძვ.წ. 1160 წ.; 3020±80 – ძვ.წ. 1070 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 25][9]. ამავე ფენიდან მომდინარე ერთ-ერთი ნიმუშის (ТБ-50) ასაკი მ. კლარკის საკალიბრაციო მრუდით უდრის ძვ.წ. 1054±258 წ. მცდარია ჭალადიდის ზურგას ქვედა ფენის C_{14} მაღალი თარიღი: ТБ-5, 3900±63- ძვ.წ.1950 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 39]. უფრო მართებული უნდა იყოს მ. კლარკის საკალიბრაციო მრუდის გამოყენებით მიღებული იგივე ფენის ასაკი, ოღონდ 500 წლიანი ცდომილების დაბალი მაჩვენებელით (ძვ.წ. 1910±500 წ.) [ქავთარაძე 1981: 125].

მოხსენიებული ძვ. კოლხურის საწყისი I ეტაპის ნამოსახლარებიდან რამდენადმე ადრეულად გვეჩვენება ყულევის ქვედა ფენის მასალები, რომელიც ზოგიერთი ელემენტებით ებმის გარდამავალი ხანის არტეფაქტებს (ორფერდა და მინიატურული ყურიანი თიხის ჭურჭელი). საერთოდ ყულევის ნასახლარი წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ყველაზე მასშტაბურად შესწავლილ სტრატიფიცირებულ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარს, რომელმაც მოგვცა ძალზე საყურადღებო არტეფაქტები [პაპუაშვილი 2014: 204-205]. იგი შესაძლოა მომავალში გახდეს (მხედველობაში გვაქვს გამოქვეყნების შემდეგ) ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი ძეგლი არა მარტო კოლხეთის დაბლობის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხების, არამედ საერთოდ კოლხური კულტურის შესწავლის საქმეში.

საინტერესოა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქ. ოჩამჩირის ჩრდილოეთით არ ჩანს კოლხეთის ბარისთვის დამახასიათებელი ტიპური გვიანბრინჯაოს საწყისი ეტაპის კერამიკა. ადრერკინის ხანის განმსაზღვრელი თიხის მასალები კი მძლავრადაა წარმოდგენილი მთელ ტერიტორიაზე [ჯიბლაძე 2007: 13-20,186, ტაბ. I]. ამ რეგიონში განსხვავებული კერამიკის არსებობა შესაძლოა გამოწვეული იყოს ამ მხარის ლოკალური თავისებურებებით. გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპიდან ადრერკინის ხანის ჩათვლით ლითონის ინვენტარის მიხედვით (ბრინჯაოს ცულები, თოხები, სამკაული და სხვა ნივთები), კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ზოგიერთი ლოკალური თავისებურების გათვალისწინებით, მძლავრადაა გამოვლენილი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე [აფაქიძე ჯ. 2006: 66-87; დოლიძე 1999; ბარამიძე და სხვ. 2013].[10]

ძვ.კ. I ეტაპის ადრეული საფეხურისთვის ყველაზე მისაღები გვეჩვენება ფიჩორის ცენტრალური ბორცვის III კულტურულ ფენაზე ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის რადიონახშირბადისა და თერმოლუმინისცენციის მეთოდით მიღებული თარიღები: ძვ.წ. 1415 და ძვ.წ. 1334 წწ., რაც ძირითადად თანხვედრაშია ჩვეულებრივ ტრადიციულ დათარიღებასთან. ამ ეტაპის ადრეულ საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს არტეფაქტების ერთი ჯგუფი გაგიდის სამაროვნიდან და კოლხეთის მთიანეთიდან – ბრილის სამაროვნის გარკვეული კომპლექსები [საქართველოს აქეოლოგია 1959: 135-136; ფანცხავა და სხვ. 2001: 39-44; ჯიბლაძე და სხვ 2004: 74-82]. გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის თანადროული ჩანს თლიას სამაროვნის ცალკეული კომპლექსებიდან (თლია I პერიოდი, I-A და II-B ქვეპერიოდები) მომდინარე არტეფაქტები [აფაქიძე ჯ. 2002: 62-63]; განძები, რომლებიც შეიცავენ I, II და II პირველი ქვესახეობის კოლხურ ცულებს [ქორიძე 1965: 61] და მის თანმხლებ ნივთებს და ა.შ (ასევე ვგულისხმობთ სხვა სახეობის ლითონის ნივთების ცალკეულ შემთხვევით აღმოჩენებსაც). რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღებით დახლოებით ამ პერიოდისა ჩანს სამთამადნო წარმოების ძეგლები: ბაშკაცარას სპილენძის მაღარო- ТБ-304, 3300±125 – ძვ.წ. 1350 წ.; გონას სპილენძის მაღარო, ТБ-91, 3050 ± 80 – ძვ.წ.1100 წ.; ТБ -255, ТБ-302 № 80 მაღარო) – ზოფხიტოს ანთიმონის საბადო: 3100±80– ძვ.წ. 1150; 3400±125 – ძვ.წ. 1450 წ. [Апакидзе, Бурчуладзе1987: 15-16]. ზოგიერთი ნიმუში (ТБ-255, ТБ-302, ТБ-304) მ. კლარკის მრუდით განისაზღვრა ძვ.წ. 1149±277, 1392±440, 1298±283 წწ-ით [ქავთარაძე 1981: 133]. ტრადიციული მეთოდით ამ ნიმუშების თარიღებია: ძვ.წ. 960 წ. (ТБ-91), ძვ.წ. 1350 წ. (ТБ-304), ძვ.წ. 1000 (ТБ-255), ძვ.წ. 1250 წ. (ТБ-302) [ინანიშვილი და

9 რამდენადმე შეუსაბამოებაა ნამჭედურის V ფენის C_{14} ერთ-ერთი სერიის დათარიღებაზე. აღნიშნული აქვთ, რომ ნიმუში ТБ-306 ძვ.წ. 1725±267 წ. მომდინარეობს VII ფენიდან (ფენის მითითებაც მცდარია) [ქავთარაძე 1981: 125]. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კი ეს ნიმუში განეკუთვნება V ფენას (3700±103, ძვ.წ. 1750 წ.) [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 24]. ორივე შემთხვევაში მოტანილი თარიღები მცდარია, რადგან ამ ძეგლის V ფენის ასაკი ტრადიციული მეთოდით გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპს არ უნდა გასცდეს.

10 ზოგიერთი მკვლევარი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული კოლხური კულტურის განვითარებაში ორ ქრონოლოგიურ ეტაპს გამოყოფს: 1. ძვ.წ. XIV- XI და 2. ძვ.წ. X-VII სს. კოლხური კულტურის აღმნიშვნელად იგივე მნიშვნელობით იყენებენ ტერმინს ოჩამჩირული კულტურის გვიან საფეხურს [Воронов 1971: 20]

სხვ. 2010: 89]. ამავე პერიოდისა ჩანს ასევე ტრადიციული მეთოდით განსაზღვრული თარიღი ბაშკაცარადან: ТБ-4197 – ძვ.წ. 1100 წ. [ინანიშვილი და სხვ. 2010: 89]. სავარაუდოდ ამ პერიოდში სპილენძის და ანთიმონის მაღაროები სრული დატვირთვით მუშაობენ და ნედლეულით ამარაგებენ როგორც კოლხეთს, ასევე, შესაძლოა, მეზობელ რეგიონებსაც.

ძვ.კოლხური I-ის ადრეული ეტაპი ქრონოლოგიურად თანადროული უნდა იყოს ცენტრალური ამიერკავკასიულის [ფიცხელაური 2005] და შიდა ქართლური (სამთავრული) არქეოლოგიური კულტურების ცალკეული პერიოდების (ვ.სადრაძის მიხედვით შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის, გვიანბრინჯაოს ადრეული და გვიანდელი ეტაპის ძეგლების – ძვ.წ. 1450-1350, ძვ.წ. 1350-1300 და ძვ.წ. 1300-1250 წწ.) [სადრაძე 2002: 242]. კ.ფიცხელაურის სქემის მიხედვით კი შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისა (ძვ.წ.1450-1350 წწ.) და გვიანბრინჯაოს ხანის I ადრეული ეტაპის საფეხურის ძეგლებისა (ძვ.წ. 1350-1250 წწ.) [ფიცხელაური 1973: 147-183, ტაბ. LXIX]. რ.აბრამიშვილის მიხედვით, გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლების – ძვ.წ. XIII-XII სს-ები [აბრამიშვილი 1957: 313]. ზოგადად, სინქრონიზაცია ასევე დასაშვებია ჩრდილო კავკასიაში მდებარე წინა ყობანური ხანის ფასკაუს, ზემო რუხთას, კუმბულთას სამაროვნებთან [Крупнов 1951: 43-60].

ძვ. კოლხური I ეტაპის მოგვიანო საფეხურის ნამოსახლარებს ვაკუთნებთ ფიჩორის ცენტრალურ ბორცვს (II ფენა), ტამიშს (ქვედა ჰორიზონტი), ნაოხვამუს (შუა ფენა), ნოსირი მესამეს (III ფენა), ნამჭედურს (IV ფენა), ყულევს (III ფენა), ფიჩორის № 4 და № 8 ბორცვების ქვედა ჰორიზონტებს, ჩოლოქისპირა ბორცვს (IV ფენა) და სხვა. ეს საფეხური მომდევნო ძვ. კოლხური II ეტაპისაგან სტრატიფიცირებული ნამოსახლარების მასალების ფორმალურ-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად გამოიყოფა მთელი რიგი ნიშნების მიხედვით [ჯიბლაძე 1997: 93; ჯიბლაძე 2007: 115-116]. იგი ერთგვარ გარდამავალ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს ძვ. კოლხურ I და II ეტაპებს შორის. ძვ. კოლხურ I ეტაპის მოგვიანო საფეხურის კერამიკაზე იშვიათად შეინიშნება მბრუნავი ჩარხის გამოყენების კვალი, რომელიც მასობრივად ფეხს იკიდებს ძვ. კოლხურ II ეტაპზე. ამ საფეხურის ძეგლებს ტრადიციული მეთოდით ვსაზღვრავთ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით (დაახლოებით ძვ.წ.XI- IX სს-ები). გვაქვს რამდენიმე რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღები, ამ საფეხურის ნამოსახლარებიდან. ფიჩორის ცენტრალური ბორცვი – II ფენა: ТБ-421, 3050±80 – ძვ.წ. 1100 წ.; ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის C_{14} ლაბორატორიაში იგივე ფენა განისაზღვრა 2988±50 – ძვ.წ. 1020 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 37; ჯიბლაძე 1997: 93]; ნამჭედურის IV ფენა, ТБ-63, 3010±80 – ძვ.წ. 1060 წ.; ТБ-307, 3110± 80 –ძვ. წ. 1160 წ. [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 24]. იგივე ნიმუშები ნამჭედურის აღნიშნული ფენიდან მ.კლარკის საკალიბრაციო მრუდის გამოყენებით დათარიღდა ძვ.წ. 1081±264, 1159±279 წწ. [ქავთარაძე 1981: 133].[11] გვაქვს C_{14} თარიღი ერგეტას ნამოსახლარის III კულტურული ფენიდან: ТБ-447, 3000±80 – ძვ.წ.1050 წ. [Апакидзе, Бурчуладзе1987: 3].

კოლხეთის დაბლობზე ამ პერიოდის მეორადი დაკრძალვის სამაროვნები არ არის ცნობილი, თუმცა შესაძლოა ძვ.კ. I ეტაპის მოგვიანო საფეხურის ნამოსახლარების სინქრონული იყოს კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებზე გამოყოფილი I ქრონოლოგიური ჯგუფის ყველაზე ადრეული სამარხთა კომპლექსები, რომელთაც ზოგადად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებენ [პაპუაშვილი 2010: 41]. ამ პერიოდში სრული დატვირთვით უნდა მუშაობდნენ სამთამადნო წარმოების ძეგლები, რომლებიც ტრადიციული მეთოდით განსაზღვრულია: ჭყორნალის სპილენძის მაღარო: ТБ-90, ТБ-91 – ძვ.წ. 960, 930 წწ. იგივე ნიმუშების თარიღები რადიონახშირბადის მეთოდით უდრის: 3010±80, ძვ.წ. 1060 წ., 3050±80, ძვ.წ. 1100 წ. [Апакидзе, Бурчуладзе1987: 15].

ძვ. კოლხური I-ის მოგვიანო საფეხური ქრონოლოგიურად თანადროული ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანის მესამე საფეხურის ძეგლების (ძვ.წ. 1100-900 წწ.) [ფიცხელაური 1973: ტაბ. LXIX]; რ. აბრამიშვილის მიხედვით დაახლოებით მეორე საფეხურის (ძვ.წ. XI-X სს.) [აბრამიშვილი 1957: 15-138] და თლია II- A, II-B, II-პერიოდების სამარხების (ძვ. წ. XI ს-ის მეორე ნახევარი, ძვ.წ. X ს-ის მეორე ნახევარი) [აფაქიძე ჯ. 2002: 49]. ძვ. კოლხური I ეტაპის მოგვიანო საფეხურისა და, ძირითადად, II ეტაპის თანადროული უნდა იყოს ყობანური კულტურის ძეგლები.

ძვ.კ. II ეტაპის ნამოსახლარები სხვა პერიოდებთან შედარებით ყველაზე მრავლად

11 11. აქ ერთგვარ უზუსტობასთან უნდა გვქონდეს საქმე. ნამჭედურის ТБ-307 ნიმუშს ერთ შემთხვევაში აკუთვნებენ III ფენას, ზოგჯერ კი IV ფენას.

არის გამოვლენილი კოლხეთში. ამ პერიოდში მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება დემოგრაფიული აფეთქება, იზრდება ნამოსახლართა მასშტაბები. როგორც დაბლობი, ასევე მთისწინა ზოლი იფარება სამოსახლოებით. ცალკეულ დასახლებათა ფართობები ზოგჯერ აღწევს 15, 25, 20, ჰა. სხვა ფაქტორებთან ერთად წინაანტიკურ ხანაში სწორედ ასეთმა მძლავრმა დასახლებებმა საფუძველი შეუმზადეს კოლხეთში სახელმწიფოს წარმოქმნას. ძვ. კოლხურ II ეტაპის კლასიკურ ძეგლებად ვთვლით ნაოხვამუს (III ფენა), ტამიშს I, II (ზედა ჰორიზონტი), მოქვს, ბომბორას, კისტრიკს, სოხუმის მთას, ტეხურისპირა ფლატეს, წარჩეს, ფიჭვნარს (გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი), ციხისძირს, ნამჭედურს (IV ფენა), ნოსირს (IV ფენა), ლეცავას მთის ნამოსახლარს, ყულევს (II ფენა), აბაჟუს (IV ფენა), ჯვარალებს, საელიაოს კურზიას (I ფენა), დაბლაგომს (შუაფენა), ზურგას (ზედა ფენა), ნამარნუს (IV ფენა), პალურის ჟირ-სუკს (III-IV ფენები), გალის მზიურის ბორცვს (II ფენა), რეფო-შეშელეთს, ჟორჟისა და ესართიების გუძუბებს, თაგილონის წიფურიას გუძუბას (II ფენა), განმუხურს, ფიჩორის ნამოსახლართა სისტემაში შემავალ ნამოსახლარებს (№№ 2, 3, 4, 8, 10 გუძუბების ქვედა ჰორიზონტები), გაგიდას, აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლში ცნობილ დიუნურ სადგომებს და სხვ. [თავამაიშვილი 1999; ჩიგოშვილი 1999: 18-53]. ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს მძივების საწარმოო სახელოსნოებიც (ოჩხომური, მუხურჩის ნაწისქვილარი, ნოქალაქევი) [აფაქიძე 2001: 14-31; გოგაძე და სხვ. 2010: 160-167]. კოლხეთის დაბლობის სხვა კატეგორიის ძეგლებიდან II ეტაპის სინქრონული უნდა იყოს კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნები [მიქელაძე 1985]. უფრო კონკრეტულად II, III, IV,V ქრონოლოგიური ჯგუფები [პაპუაშვილი 2010: 32-41]. ასევე ამ ეტაპში ვრთავთ სამაროვნების იმ ჯგუფს, რომლებიც ცნობილია სვანეთიდან (ქართვანი), ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთიდან [პაპუაშვილი ნ. და სხვ. 2006: 127-132]; დ. ქორიძის მიხედვით, კოლხური ცულების ტიპოლოგიური განვითარების II ეტაპის ცულების (ძვ.წ. XII-VIII სს.) შემცველ განძებს (III სახეობა, IV სახეობა, IV პირველი ქვესახეობა, IV მეორე ქვესახეობა) [ქორიძე 1965: 61]. ტრადიციული მეთოდით ადრერკინის ხანით უნდა განისაზღვროს რკინის სადნობი საწარმოო ქურები, რომლებიც გამოვლენილია კოლხეთის ტერიტორიაზე. მათი ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცდეს ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს. შესაძლოა, სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს არაერთ ქურასთან დაფიქსირებული ძვ.კ. II ეტაპის დამახასიათებელი ნიმუშები: კერძოდ, ზოომორფული ყურების მოგვიანო განვითარება – ლილვაკისებურ დანაძერწიანი და ორკაპა წაბელილი ტოტის იმიტაციის მქონე ყურებიანი თიხის ჭურჭელი, ფართოზოლიანი კანელურებიანი კერამიკა, გრძელი ფორმის საქშენი მილები, დიდი ზომის დერგები და ა.შ. [Хахутаишвили 1987: 83, 84, 90, 95, 105, 108, 113, 114, 130, სურ.13, 14, 17, 19, 23, 25, 27, 28, 35, 38, 42, 43, 48, 52]. დაახლოებით ამ თარიღებს იძლევა ნამოსახლარებიდან და კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებიდან ანალოგიური ნიმუშების შემცველი კომპლექსები. ის მაღალი თარიღები, რომელიც მიღებულია ზოგიერთი ქურისთვის C_{14} და არქეომაგნიტური მეთოდებით ასკანა II_1, ასკანა I_2, მზიანი II, მზიანი IV, მშვიდობაური II, მშვიდობაური IV ნაგომარი I_2 და სხვ. – ძვ.წ. XIX, XVIII, XVI, XIV, XIII სს., უბრალოდ ჩვენთვის მიუღებელია [Хахутаишвили 1987: 109-110, 132, 143, 150, 155, 162, 179-181; Апакидзе, Бурчуладзе 1987: 26-28]. არადა, არაკალიბრილებული მეთოდით მიღებული თარიღებიც ზოგიერთ შემთხვევაში მაღალი უნდა იყოს რკინის საწარმოო სახელოსნოებისათვის (ძვ.წ. XIII, XII, XIV, XV, XVIII სს. და ა.შ.) [Апакидзе, Бурчуладзе 1987: 26-28]. ძვ.კ. II ეტაპი თანადროული უნდა იყოს თლია III, IV, VA, VB პერიოდებისა და ქვეპერიოდების [აფაქიძე 2002: 49]; რკინის ფართო ათვისების ხანის III, IV და ნაწილობრივ V საფეხურის ძეგლების [აბრამიშვილი 1957: 15-138]. გვაქვს C_{14} თარიღები კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნებიდან: ურეკი, სამარხი ორმო № 3, ТБ-299, 2700±102 – ძვ.წ. VIII ს., ტრადიციულით ძვ.წ. VII ს.; ერგეტას ნაკარდამუს სამაროვანი ТБ-427, 2600±102, ძვ.წ. 650 წწ., ტრადიციულით ძვ.წ. VI სს. [Апакидзе, Бурчуладзе1987: 36, 43].

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია:

1. პროტოკოლხური I ეტაპის ადრეული საფეხურის ძეგლებს ტრადიციული მეთოდით ვსაზღვრავთ ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით, ან მეორე ნახევრით. რადიონახშირბადის მეთოდით კი (ისპანის ნამოსახლარის ქვედა ჰორიზონტზე დაყრდნობით) განისაზღვრა ძვ.წ. XXXIII-XXXII სს-ებით, რაც დაძველებული გვეჩვენება. ამიტომ ამ საფეხურისათვის უფრო მისაღები გვეჩვენება ტრადიციული მეთოდით დათარიღება.

2. პრ.კ. I ეტაპის მოგვიანო საფეხურის ძეგლებს ტრადიციული მეთოდით ვათარიღებთ

ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულით. შესაძლოა მათი თარიღის გადატანა ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყიშიც. აბსოლუტური თარიღებით ჩვენთვის მისაღებია (დაახლოებით ძვ.წ. XXIII-XX სს-ები).

3. ამ ეტაპის ძეგლები (ფიჩორის VIII ფენა, ისპანის ზედა ჰორიზონტი) C_{14} განისაზღვრა ძვ.წ. XXVIII, XXVII სს-ებით, რაც რამდენადმე დაძველებული გვეჩვენება. სხვა მოგვიანო საფეხურის ძეგლებიდან მოტანილი რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღები, ზოგიერთის კორექტივით, მეტნაკლებად მისაღები გვეჩვენება.

4. პრ.კ. II ეტაპს ტრადიციული მეთოდით ვათარიღებთ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველინახევრით (ძვ.წ. XIX, XVIII-XVII სს.), რაც ძირითადად ემთხვევა C_{14} მიღებულ თარიღებს. ამ ეტაპზე ორივე მეთოდით დათარიღება შედარებით ერთმანეთთან ურთიერთსინქრონიზაციაში მოდის.

5. შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურის ძეგლებს ტრადიციული მეთოდით ვაკუთნებთ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებს (ძვ.წ. XVI-XV სს.).

6. ამ საფეხურის ძეგლები რადიონახშირბადის მეთოდით განისაზღვრა ძვ.წ. XVIII, XVII, XVI, XV სს-ით. როგორც ვხედავთ, ცდომილება აქ დიდი არ არის და საშუალო არითმეტიკულით დაახლოებით ემთხვევა ტრადიციული მეთოდით დათარიღებას.

7. ძვ.კოლხური I ეტაპის ადრეული საფეხურის ძეგლებს ტრადიციული მეთოდით ვათარიღებთ ძვ.წ. XIV-XII სს-ებით.

8. ეს საფეხური რადიონახშირბადის მეთოდით განისაზღვრა ძვ.წ. XVII, XV, XIV, XIII, XII, XI სს-ებით. საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით ორივე მეთოდით მიღებული თარიღები ერთმანეთთან თანხვედრაშია.

9. ძვ.წ. I ეტაპის მოგვიანო საფეხურის ძეგლებს ტრადიციული მეთოდით ვათარიღებთ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით (ძვ.წ. XI-IX სს.).

10. ძვ.წ. I ეტაპის მოგვიანო საფეხურის ძეგლები C_{14} დათარიღდა ძვ.წ. XII, XI, X სს-ით, რაც სრულ თანხვედრაშია ტრადიციულ განსაზღვრასთან.

11. ძვ.კოლხური II ეტაპის ძეგლებს ტრადიციული მეთოდით თარიღდება ძვ.წ. X, IX- VII სს-ით, რომლებიც თანხვედრაში უნდა მოდიოდეს C_{14} მიღებულ დათარიღებასთან.

L. Jibladze

ON THE SYNCHRONIZATION OF COLCHIAN SITES OF EARLY AND LATE BRONZE AGE

Summary

In the development of archaeological Cultures of Colchian lowland (Proto Colchian and Ancient Colchian) 5 stages and steps with characteristic features are defined. For dating we are using both – traditional and absolute methods and synchronize them with the sites of other categories. Protocolchian 1st stage early step according to the Radiocarbon method is dated to the 32th cent. BC, and by the traditional method to the 25th-24th cent BC. Protocolchian 1st stage late step according to the Radiocarbon method is dated to the 28-27 and 24th centuries BC, and by the traditional method to the 23-20th cent BC. The traditional and Radiocarbon dating of the archaeological sites of transitional stage from Middle bronze to the Late Bronze period (16-15 th cent BC), Ancient Colchian 1st stage early step (14-12th cent BC) , Ancient Colchian 1st stage late step (11-8th cent BC), and Ancient Colchian 2nd t stage (9th-8th cent BC) is more or less converged.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სმამ, XIX-A,XXI-B, 115-140.

აფაქიძე ჯ. 1988: ცენტრალური კოლხეთის არქეოლოგიური რუკა (ძვ.წ. XVI-XV სს.) (სამაროვნები, განძები, მეტალურგიული სახელოსნოები). – ძმ, № 3, 46-52.

აფაქიძე ჯ. 2001: კოლხური კულტურის საწარმოო ნამოსახლარების დათარიღებისათვის. – ძიებანი № 7, 14-26.

აფაქიძე ჯ. 2002: გვიანბრინჯაო და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

აფაქიძე ჯ. 2006: აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები. – აფხაზეთი, I, თბილისი, 66-87

ბარამიძე მ. 1999: ძვ.წ. III- II ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. – საქართველო-აფხაზეთის მოამბე, № 2-3,თბილისი, 23-35.

ბარამიძე მ., ფხაკაძე გ. 2009: აფხაზეთი, ტ. II, თბილისი.

ბარამიძე მ., წითლანაძე ლ., დოლიძე ნ. 2013: აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, II. თბილისი.

ბერიკაშვილი დ. 2006: ზემო იმერეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

გაგოშიძე ი., მახარაძე გ., ქორიძე ე., გოგიბერიძე ნ. 2004: ითხვისის ნამოსახლარი. – არქეოლოგიური ჟურნალი, III, 73-113.

გოგაძე ელ. 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.

გოგაძე ელ. 1982: კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბილისი.

გოგაძე ელ., დავლიანიძე ც., ფანცხავა ლ., ლომიტაშვილი დ. 2010: ქვის საწარმოო ნამოსახლარები კოლხეთიდან. ძიებანი, № 19, 160-167.

დოლიძე ნ. 1999: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებებით).

თავამაიშვილი გ. 1999: უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებებით).

ინაიშვილი ა. 1977: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები (ანგარიში). – სდსძ, VI, 67-90.

ინანიშვილი გ., ჩართოლანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ. 1998: საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები. – ძიებანი № 2, 52-59.

ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ.III-I ათასწლეულები). თბილისი.

კახიძე ა., მამულაძე შ. 2000: ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი.

ლომთაძე გ. 2000: მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, I, 5-17.

ლორთქიფანიძე ოთ. 2001: განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა). – კავკასიის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები [ძიებანი, დამატება VI], 178-194.

მახარაძე ზ. 1994: ციხია გორას მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბილისი.

მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ. 2004: აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართული კულტურათა შეხვედრა ზემო იმერეთის ტერიტორიაძე. – არქეოლოგიური ჟურნალი, III, 29-47.

მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიიდან. თბილისი.

მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი.

მუსხელიშვილი დ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2010: ანაკლია, II. თბილისი.

ნიორაძე გ. 1948: ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები. – სსმმ, XV-B, 1-22.

ორჯონიკიძე ალ. 2004: მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი.

პაპუაშვილი რ. 2010: კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის. არქეოლოგიური ჟურნალი, V, 32-41.

პაპუაშვილი რ. 2014: სოფ.ყულევი (გეოგრაფია, წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური კვლევის ისტორია). – ძიებანი, № 22, 192-208.

პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ჯიქია ლ., პაპუაშვილი ი. 2015: ცაიშის სამაროვანი, თბილისი.

პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ი. 2014: შავი ზღვის პალეორეჟიმი და მისი გავლენა კოლხეთის დაბლობის დასახლებებზე (ძვ.წ. III-I ათასწლეულებში),თბილისი.

პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2005: კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. ერგეტა. თბილისი.

პაპუაშვილი ნ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ. 2006: კოლხეთის ენეოლითის, ადრებრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამაროვნების გავრცელების რუკა. – ძიებანი, № 17-18, 127-132

რამიშვილი ალ. 1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

რამიშვილი ალ. 2004: ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში. [ძიებანი, დამატება, VII], თბილისი.

სადრაძე ვ. 2002: მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ. წ. II-I ათასწლულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2001: ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი № 12 სამარხის დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 8, 39-44.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VIII სს.). თბილისი.

ფიცხელაური კ. 2005: ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XIV-XIII სს. თბილისი.

ფხაკაძე გ. 1992: ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, II. თბილისი, 216-280.

ფხაკაძე გ. 1993: დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. თბილისი.

ფხაკაძე გ., ბარამიძე მ. 2001: ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი გალის რ-ში. –კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები [ძიებანი, დამატება, VI], 125-128.

ქავთარაძე გ. 1981: საქართველოს ენეოლით- ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ქორიძე დ.1968: ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხისათვის. – სსმმ, XXX-B, 15-30.

ღამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ.V-III ათასწლეულებში. თბილისი.

ჩართოლანი შ. 1996: ძველი სვანეთი. თბილისი

ჩიგოშვილი თ. 1999: ენგურ-კოდორის აუზის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებებით).

ხახუტაიშვილი დ. 1979: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1979წ. მუშაობის შედეგები. – სდსძ VIII, 3-18.

ხახუტაიშვილი დ. 1995: ქობულეთის ქვეყანა. ბათუმი.

ხახუტაიშვილი ნ. 1986: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ადრერკინის ხანაში. – სდსძ, XV]. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1959: დოლმენური კულტურა საქართველოში. – თსუ შრომები, ტ. 77, 77-126.

ჯაფარიძე ო. 1961: ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულში. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2009: შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან. თბილისი

ჯიბლაძე ლ. 1997: კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია პერიოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით). თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 2010: კოლხეთის დაბლობის შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ინტერპრეტაციისათვის. – კულტურულ-ისტორიული ძიებანი. თბილისი, 32-35.

ჯიბლაძე ლ. 2011: კოლხეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ლითონის ყუახვრელიანი ცული, აფხაზეთი II. არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბილისი, 126-136.

ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ. 2013: კოლხეთის დაბლობის ხელოვნურ ბორცვთა აგებულებისათვის. – სსმმ, IV, (49-B), 105-117.

ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., ხვისტანი რ. 2004: შუა და გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში. – ძიებანი, № 13-14, 74-82.

Апакидзе А, Бурчуладзе А 1987: Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии. Тбилиси.

Бжания В.В. 1988: Древние рудники у перевала Аденгь. – Медные рудники Западного Кавказа III-I тыс. до н. э. и их роль в горно-металлургическом производстве древнего населения. Тезисы докладов Башкапсарского полевого археологического семинара (Сухуми – Башкапсара, 1988 г.). Сухуми, 12.

Воронов Ю. 1971: История Абхазии от древнейших времен до ранего средневековья. Автореферат дисертации на соиск. уч. степ. канд. ист. наук. Москва.

Джанелидзе Н. 1980: Палеография в Грузии в Голицене. Тбилиси.

Джибладзе Л. 2009-2010: Поселении Колхидской низменности в эпоху бронзы. – Археология Кавказа, № 1, Тбилиси, 101-132.

Крупнов Е. 1951: Материалы по археологии Северной Осетии докобанского периодаю – МИА, № 23, Москва-Ленинград, 17-74.

Куфтин Б. 1950: Материалы к археологии Колхиды, том. II. Тбилиси.

Кушнарева К., Чубинишвили Т. 1970: Древные культуры Южного Кавказа (V-III) тыс.до. н.э. Ленинград.

Лордкипанидзе О. 1989: Наследие древней Грузииию. Тбилиси.

Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985: Древнее Колхидское поселение Намчедури. Тбилиси.

Микеладзе Т. 1990: К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа). Тбилиси.

Садрадзе В. 1993: Археологические памятники Мцхета Великой эпохи Средней бронзы. Тбилиси.

Соловьев Л. 1958: Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы. Стоянка Воронцовской пешеры. – ТАИЯЛИ, т. XXIX, 115-135.

Соловьев Л. 1960: Погребение дольменной культуры в Абхазии и прилегающей части Адлерского раиона. – ТАИЯЛИ, т. XXXI, Сухуми.

Техов Б. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э. Москва.

Трапш М.1970: Труды, I. Сухуми.

Хахутаишвили Д. 1984: Природа и человек в Приморской полосе Колхиды в эпоху Голоцена. – Кавказо-Ближневосточный сборник,VIII. Тбилиси, 146-151.

Хахутаишвили Д. 1987: Производство железа в древней Колхиде. Тбилиси.

ლერი ჯიბლაძე

ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული არტეფაქტები კოლხეთიდან

საქართველოს ტერიტორიაზე, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, პროფ. ვ. გოროდცოვის მიერ 1911 წელს სოფ. წაღვერში შესწავლილი მხოლოდ ერთი ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნო იყო ცნობილი [Иессен 1935: 140-141; ნიორაძე 1944: 173-174; ქორიძე 1965: 49; ფიცხელაური 1973: 85-86 და სხვ.]. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლი არქეოლოგიური გათხრებით იქნა შესწავლილი, მის შესახებ მაინც მცირე ცნობები მოგვეპოვება. წაღვერის ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნო იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარეობდა და აქ მზადდებოდა კოლხური გვიანბრინჯაოს ხანის კულტურისთვის დამახასიათებელი არტეფაქტები. როგორც აღნიშნავენ, ამ საწარმოო სახელოსნოში ერთდროულად მიმდინარეობდა მადნიდან სპილენძის მიღება და სპილენძ-ბრინჯაოსგან სხვადასხვა დანიშნულების ნივთების ჩამოსხმა [ფიცხელაური 1973:86].[1]

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წაღვერის გარდა, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საწარმოო სახელოსნოები იშვიათადაა ცნობილი. აქ ამ კატეგორიის ძეგლების ერთ-ერთ კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს სოფ. ქვემო ქედის ტერიტორიაზე (წითელწყაროს რ-ნი) შესწავლილი ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნო, სადაც აღმოჩენილა მადნის გამოსადნობი ქურები, თიხის ტიგელები, ქვისა და ლითონის ყალიბები, ქვის სასრესები და ა.შ. [Пицхелаури 1979: 31-33]. ქვემო ქედის სახელოსნოს წაღვერის ამ ხასიათის ძეგლთან შედარებით, უფრო მოგვიანო ხანას აკუთვნებენ (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) [ფიცხელაური 1973: 85-92]. თუმცა შემდგომში ქვემო ქედის ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ასაკი უფრო დაზუსტებული იქნა (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი) [ჯაფარიძე 2013: 37].

XX საუკუნის 70-იანი წლებამდე კოლხეთში ორიოდე ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნო (სოხუმის მთის ნამოსახლარი, მაქსანია) იყო ცნობილი, სადაც ლითონსადნობ ღუმელთან (ქურა) ერთად გამოვლენილა საჩამომსხმელო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები (საქშენი მილები, წიდები, ნაღვენთები, თიხის ტიგელები, ასევე მადნის დასამუშავებელი ქვის ურიები და ა.შ) [კალანდაძე 1953: 12-35, 62-63, სურ. 29; ჩართოლანი 1971: 55-56].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთ ძეგლზეა აღმოჩენილი ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები. აქედან გამომდინარე შესაძლოა ყველა ისინი მეტ-ნაკლებად დავუკავშიროთ ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებს. სადღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. III-II ათასწლეულების, ასევე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის (დაახლოვებით ძვ.წ. X-VII სს-ები) ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული

1 წაღვერში ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნო, ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ არტეფაქტებთან ერთად გამოვლენილა გვიანბრინჯაოს ხანის III კულტურულ ფენაში [ნიორაძე 1944:178-179]. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული ხანის ლითონის საწარმოო სახელოსნოები აღმოჩენილია ბალიჭ-ძეძვებისა და ამირანის გორას (III უძველესი ნაგებობა) ნამოსახლარებზე (ლითონის სადნობი ქურები, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნა, ძვ.წ. III ათასწლეული) [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 102-103; Кушнарева, Чубинишвили 1970: ნახ. 21, სურ. 20]. აქვე შევნიშნავთ, რომ ადრებრინჯაოს ხანის ლითონის (სპილენძ-ბრინჯაოს) საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული ნივთები (ტიგელები, ყალიბები და ა.შ) აღმოჩენილია ხიზანაანთ გორას (B,C დონეები), ქვაცხელას, ზველის, გუდაბერტყას, თისელის სერის, საკოჭიას, ავრანლოს, ხაშურის ნაცარგორასა (VI ჰორიზონტზე) და სხვა ნამოსახლარებზე [კიკვიძე 1972: 9, 14, 19-20, სურ. 1-2, 4, 5, 7, 9; აბესაძე 2011: 103; ორჯონიკიძე 1983: 74; ღამბაშიძე და სხვ. 2010: 279, 281-289, 300, 313; რამიშვილი 2013: 13]. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს საჩამომსხმელო საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული ნივთები კი ცნობილია სოფ. ოფრეთში (აღმოსავლეთ ამიერკავკასიული ბრინჯაოს ცულის ყალიბი), სოფ. თელოვანში, სადაც განძის შემადგენლობაში კოლხური ცულის ჩამოსახმელ ყალიბთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულები, თოხები, სეგმენტური იარაღები, ზოდები [ნიორაძე 2011: 116]; სოფ. მიტარბში, სტალინირის ნაცარგორაზე (II ფენა, საკურთხეველთან აღმოჩენილი სატეხის, თუ სატევრის ჩამოსახმელი ყალიბის ფრაგმენტი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიული ცულის ყალიბი და ლითონის გამოსადნობი ხელსაწყო?), ხოვლეს ნამოსახლარზე (V ჰორიზონტი, სხივისებრი საყურეებისა და ისრისპირის ჩამოსასხმელი ორმაგი ყალიბი), მცხეთაში (თიხის ციცხვი – სამთავრო I, სახლი II), სოფ. განთიადში – სამარხში (ქვემო ქართლი, სამი ერთეული აღმოსავლეთ ამიერკავკასიული ბრინჯაოს ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი, ორი ტიგელი, გალმღვარი ლითონის ჩამოსახმელი თიხის მილაკი და ოვალური კოპი) [გობეჯიშვილი 1951: 250, ტაბ.VI_2; გობეჯიშვილი 1952: 94, ტაბ. XXXII_{1-2}; ავალიშვილი 1974: 39-41; მუსხელიშვილი 1978: 33, ტაბ.LXIII; აფაქიძე და სხვ. 1978: 116,სურ. 616, 618; ჯაფარიძე 2003: 235].

არტეფაქტები აღმოჩენილია დაახლოებით ოთხ ათეულზე მეტ ნამოსახლარზე (რუკა I_{1-44})[2]. ზოგიერთ ძეგლზე კარგად ჩანს ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გადასვლა (ყულევის II ფენა, ოჩხომურის საწარმოო სახელოსნო და ა.შ.), რაც გამოიხატება ორივე ლითონისთვის დამახასიათებელი ელემენტების თავმოყრით (რკინისა და ბრინჯაოს ზოდები, საწარმოო ნარჩენები და ა.შ). აღსანიშნავია, რომ კოლხეთში ნამოსახლარების გარდა, სხვადასხვა ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბები ასევე ცნობილია სხვა კატეგორიის ძეგლებიდანაც. კერძოდ, ზოგიერთი განძიდან, სპილენძის ძველი მაღაროდან (რაჭა-ჭყორნალიანის ორსართულიანი გამონამუშევარი – სატეხის, ბრტყელი ცულის თუ სეგმენტის ჩამოსასხმელი ქვიშაქვის სამი ყალიბი, ასევე მადნის დასამუშავებელი ანთიმონის ტიგელიგონას მაღაროდან) და ნიგვზიანის სამაროვნიდან (№ 7 სამარხი – კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი) [Иесен 1935: 124, ტაბ. 5; მიქელაძე 1985: 120; ბარამიძე 1998: 176; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კატალოგი 2014: 37].

კოლხეთის ბარში ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები გამართულია უშუალოდ ნამოსახლართა კულტურულ ფენებში, ზოგჯერ მათ პერიფერიულ მხარეს. ზოგიერთ ძეგლზე შემორჩენილია ჯარგვლური წყობისა და წრიული ფორმის, 34 კვ. მეტრი ფართობის მქონე ხით ნაგები სახელოსნოს ნაშთები, რომელსაც ჰქონია წნულებით ამოყვანილი მართკუთხა ფორმის მინაშენი (2,20x2 მ-ზე) (სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი – ჩოლოქისპირა ნამოსახლარი, IV ფენა) [ჩავლეიშვილი 1991: 7-8, ტაბ. V]. კოლხეთის ბარისაგან განსხვავებით კი, ზემო იმერეთის პლატოზე (საირხე, ადგილი სახოველი, კარახტინი) წინაანტიკურ ხანაში ბრინჯაოს საწარმოო კერისთვის გამოუყენებიათ ქვის საძირკვლიანი შენობა, რომელიც ხის კონსტრუქციაზე ყოფილა დაფუძნებული [მახარაძე, ბრაგვაძე 1990: 32]. ბარში ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოების ნაშთები ყოველთვის აღმოჩენილია მსხვილ დასახლებათა კომპლექსებთან ერთად. როგორც ვარაუდობენ, მათი წარმოშობა განპირობებული უნდა ყოფილიყო ბრინჯაოსგან დამზადებულ ინვენტარზე მოსახლეობის მოთხოვნილების გაზრდით [რამიშვილი 1974: 104].

მთიან კოლხეთში ბრინჯაოს საჩამომსხმელო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები იშვიათად დასტურდება (ლეჩხუმი, ცხეთის ნამოსახლარის ქვედა დონე, ძვ.წ. VIII-VII სს.), სადაც ერთ-ერთი სათავსოს იატაკზე გამოვლინდა ცალფა ქვის ყალიბი [სახაროვა 1976: 96]. ბრინჯაოს საწარმოოს არსებობას ვარაუდობენ სვანეთში სკარეშის გორაზე და კალას თემში მდებარე ბორცვ „ლუნასყეში“ [გობეჯიშვილი, ჩართოლანი 1965: 32; ჩართოლანი 1996: 128][3].

დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებით (ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი კერებით) უფრო დაწინაურებული ჩანს ზღვისპირა სანაპირო ზოლი, ვიდრე მისი შიდა მხარე. ისინი ნაკლებადაა გამოვლენილი ზღვიდან დაშორებულ როგორც დაბლობ, ასევე მთისწინა ზოლის ნამოსახლარებზე. ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების მძლავრი კერები აღმოჩენილია კოლხეთის დაბლობის მდინარეთა ქვემო წელზე, ზღვისპირა სანაპირო ზოლში და მათ სიახლოვეს განლაგებულ ნამოსახლარებზე. განსაკუთრებით მათი სიმრავლე შეინიშნება მდინარეების ჩოლოქ-ოჩხომურისა და ენგურის ქვემო წელის აუზებში.

კოლხეთის ბარში ყველაზე უადრესი ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები ტრადიციული მეთოდის გამოყენებით თარიღდება ძვ.წ III ათასწლეულის შუა ხანებით, ხოლო C_{14} კი ძვ.წ. XXXII, XXXI-XXVIII სს-ებით (ისპანის ქვედა ჰორიზონტი, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი VIII ფენა) [ქავთარაძე 1981: 75-76; Апакидзе, Бурчуладзе 1987: 23, 37]. ისინი წინარე კოლხურ ხანას – პროტოკოლხურ კულტურას განეკუთვნებიან. საერთოდ, დასავლეთ საქართველოში ყველაზე უადრესი ლითონის (სპილენძის) საწარმოო საქმიანობა დასტურდება ზემო იმერეთის პლატოზე სამელე კლდისა და სამერცხლე კლდის მღვიმე-ნამოსახლარების ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურულ ფენებში. ამ ძეგლებზე სპილენძის საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები

2 აღნიშნულ ჩამონათვალიდან მხოლოდ სამელე და სამერცხლე კლდეზე არის გამოვლენილი სპილენძის საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები. აქვე შევნიშნავთ, რომ მარტვილის რ-ნის მთისწინა სოფლებში (კიწია, ნახუნაო, კურზუ, დოშაყე, გაჭედილი და სხვ.) რკინასთან ერთად ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთების აღმოჩენის შესახებ (სპილენძის ნაღვენთები, წიდები, ბრინჯაოს ზოდები და სხვ.) ვეყრდნობით ჯ. აფაქიძის მონაცემებს [აფაქიძე 1988: 50]. სამწუხაროდ, რა კატეგორიის ძეგლებთან გვაქვს საქმე, ნაშრომში არ არის მითითებული. ამ სიაში ასევე შევიყვანეთ მახინჯაურის განძის ჩაფლვის ადგილზე გამოვლენილი ბრინჯაოს სახელოსნოს (ღუმელის) ნაშთები [რამიშვილი 1974:11].

3 სვანეთში ოქროს მაძიებელთა ცნობით წიფნასა და ლალორალში გვხვდებოდა ორ რიგად განლაგებული ჩასობილი ხის ბოძები. ფიქრობენ, რომ ოქროს მაძიებლებს ძველი ლითონის საწარმოო დაუნგრევიათ [ჩართოლანი 1996: 128].

(თიხის ტიგელები, ყალიბის ნამზადი), გამოვლენილია მტკვარ-არაქსისა და მაიკოპური კულტურების ტიპის კერამიკასთან ერთად [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 262-263, 268-269]. ზემო იმერეთის პლატოზე ასევე გვხვდება ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან (სასხმელი ყალიბები, თიხის ტიგელები, ციცხვის ფრაგმენტები, საქშენი მილები, მადნის ნატეხები) დაკავშირებული ნივთები მოდინახესა (მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა) და უფრო მოგვიანო პერიოდის კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შემავალ წინაანტიკური ხანის ითხვისის, სახოველისა და კარახტინის ნამოსახლარებზე (საირხე) [ნადირაძე 1975: 117; 1991: 18; გაგოშიძე და სხვ. 2004: 78, სურ. 44-48; მახარაძე, ბრაგვაძე 1992: 32; ბერიკაშვილი 2003: 17,სურ. IV].

კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე გამოვლენილი ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოების მიხედვით რამდენიმე ლითონდამუშავების კერა გამოიყოფა. სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანაში, მდინარეების ჩოლოქ-ოჩხომურის ორმდინარეთში ისპანის, ჩოლოქ-ისპირა და ნამჭედურის ნამოსახლარებზე არსებობდა ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოების მძლავრი კერა. აქ განფენილ დიდ და პატარა სამოსახლო ბორცვებზე (საერთო ფართობი დაახლოვებით 100 ჰა) დაფიქსირდა არაერთი ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთი [ჩავლეიშვილი 1991: 3-26].

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა სანაპირო ზოლში, ყულევისა და ცივას ნამოსახლარებზე მოქმედებდა ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული მძლავრი ლითონდამუშავების კერა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მდ. ხობისწყლის მარჯვენა სანაპიროზე შესწავლილი ყულევის ნამოსახლარი, სადაც წინაანტიკური ხანის ფენაში ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ნაშთებთან ერთად გამოვლინდა, აქვე დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს იარაღები [პაპუაშვილი, ჯიბლაძე 2014: 178-191, ტაბ. I-IV].

მდ. ენგურის ქვემო წელის აუზში, როგორც მის მარჯვენა, ასევე მარცხენა სანაპიროზე, ზღვისპირა ზოლში შეინიშნება ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთების სიმრავლე. აქ ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების (ანაკლია I, ანაკლია II, ფიჩორის ცენტრალური და № 6 ბორცვები) კულტურულ ფენებში გვხვდება ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული არტეფაქტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიჩორის ადრებრინჯაოს ხანის ფენაში არსებული ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნო, სადაც გამოვლინდა ლითონჩამომსხმელ საქმიანობასთან დაკავშირებული 60-მდე ნივთი. მათ შორის ყუამილიანი ცულებისა და თოხების ჩამოსასხმელი თიხის ყალიბები; ოთხგანყოფილებიანი (კომბინირებული), სხვადასხვა ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბები აქ დამზადებულ 8 ბრინჯაოს თოხთან ერთად [ჯიბლაძე 2007: 17, ტაბ. CI-CIII]. ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული არტეფაქტების აღმოჩენა დიდი ალბათობით მომავალშიც მოსალოდნელია მდ. ენგურის ქვემო წელზე განფენილ მთელ რიგ, ჯერჯერობით შეუსწავლელ ნამოსახლარზე. ამდენად, მდ. ენგურის ქვემო წელზე არსებული ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვები თავისთავად ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებსაც წარმოადგენდენ, სადაც მიწათმოქმედებასთან ერთად ძირითადი საქმიანობა ლითონდამუშავება უნდა ყოფილიყო.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია) საკმაოდ მძლავრი ბრინჯაოს საწარმოო კერა მოქმედებდა სოხუმის მთის, გუადიხუს, ბომბორასა და კისტრიკის ნამოსახლარებზე [კალანდაძე 1953: 12-35, 62-63; Габелия 1989: 136-138].

ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორად კერებს უკავშირდება კოლხურ კულტურაში გავრცელებული ბრინჯაოს ინვენტარისგან შემდგარი განძები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია 149 პუნქტში, აქედან კი 17 მის ფარგლებს გარეთ [ლორთქიფანიძე 2001: 192-194, რუკა 1].[4] მათი უმრავლესობა ჩამოსხმული უნდა იყოს, სავარაუდოდ, განძების ჩაფლვის ადგილებთან ახლოს მდებარე, უმეტეს შემთხვევაში მიუკვლეველ ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში. სხვა მონაცემებთან ერთად ამ ფაქტზე უნდა მიუთითებდეს იშვიათად განძების თანმხლები ყალიბები (თაგილონის განძი, ცხირო გალი) [ქორიძე 1965: 33,სურ. 24; ხვისტანი 1986: 70]. ასევე ზოგიერთი განძის აღმოჩენის ადგილებზე (სოხუმის მთა, ოჩამჩირე – 1961წ., გალის – 1956 წ.) დაფიქსირებული ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების კვალი (სპილენძის სადნობი ქურების ნაშთები). ბრინჯაოს განძების აღმოჩენის ადგილებზე ჩამოსხმას უნდა მიანიშნებდეს მათი ერთი ნაწილიც, რომლებიც შეიცავს ზოდებს, ხმარებიდან გამოსულ სხვადასხვა ნივთების ფრაგმენტებს და ა.შ. რო-

4 სოფ ომარიშარში (მდ. კოდორის ზემო წელი) იხსენიებენ რვა კოლხური ცულისგან შემდგარ გვიანბრინჯაოს ხანის განძისა და ამავე პერიოდის ერთი სამარხის აღმოჩენას [ჩართოლანი, ცინდელიანი 2010: 8-9].

გორც ჩანს, ისინი ხელმეორედ ჩამოსხმისთვის უნდა ყოფილიყვნენ განკუთვნილი.

ადრე, შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ლითონდამუშავების მძლავრი კერები მოქმედებდა მდ. ყვირილას ზემო წელზე (საჩხერის ყორღანული სამაროვნები, სოფ. ქორეთი, მოდინახე და სხვ.); სვანეთში (კომპლესქგარეშე აღმოჩენებით, ასევე სამაროვნისა და ცალკეული სამარხების მასალების მიხედვით – ბოგრეში, ქართვანი, ბაბილი) და ზემო რაჭაში – ბრილის სამაროვნიდან მომდინარე ბრინჯაოს ინვეტარის სახით [გობეჯიშვილი 1952: 56-60; საქართველოს არქეოლოგია 1959: 111-115; ჯაფარიძე 1961: 12-139; ფხაკაძე 1992: 268-270; ჩართოლანი 1996: 42-106 135-142; ლომთაძე 1997 : 3-11; ლომთაძე 2000 : 5-17; ლომთაძე 2002: 5-15; ლომთაძე 2004: 48-72; კვიციანი, ჯიბლაძე 2015: ტაბ. II-X].

ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორად კერებში (საწარმოო სახელოსნოებში) არის დამზადებული ის უამრავი ლითონის ინვეტარი, რომელიც მომდინარეობს სამარხეული კომლექსებიდან თუ სამაროვნებიდან. ბრინჯაოს ინვეტარის სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალურ კოლხეთში, ასევე მდ. ენგურის ქვემო წელზე მიკვლეული კოლხური მეორადი დაკრძალვის სამაროვნები, თუ ცალკეული სამარხები. სადღეისოდ არსებული მასალების მიხედით მათი კონცენტრაცია შეინიშნება მდ. ცხენისწყლისა (მარტვილის რ-ნი, ვედიდკარი-მახათი, გურძემი, სალხინო, ნახუნაო, ნალეფსაო, ლეჭე, კურზუ, მუხურჩა და სხვა) და მდ. ენგურის ქვემო წელზე (ერგეტის ოთხი სამაროვანი, ფიჩორი, გაგიდა, ცაიში, დღვაბა, პალური, ჭუბურხინჯი და ჯვარი – სამარხეული ინვეტარი) [აფაქიძე 1988: 46-52; პაპუაშვილი რ. 2010: 32-43; პაპუაშვილი რ. და სხვ. 2015; პაპუაშვილი ნ. და სხვ. 2006: 127-132]. ამ კატეგორიის ძეგლებზე, რკინასთან ერთად ბრინჯაოს ინვეტარის სიმრავლე განპირობებული უნდა ყოფილიყო აღნიშნულ მდინარეთა ხეობებში გამავალი სამთამადნო წარმოების ძეგლებთან დამაკავშირებელი მთავარ საკომუნიკაციო გზებზე მდებარეობით.

ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა ტიპის, ქრონოლოგიური პერიოდის სამაროვნების (ცალკეული სამარხების, თუ სამარხეული კომპლექსების) სიმრავლით გამოირჩევა აფხაზეთის რეგიონი, სადაც ამ კატეგორიის ძეგლები დაახლოებით 80 ერთეულამდეა გამოვლენილი. მათ შორის მარტო დოლმენები ცნობილია 30 პუნქტამდე. შუაბრინჯაოს ხანაში საკმაოდ მძლავრი ლითონდამუშავების კერა ფუნქციონირებდა მდ. ენგურის ქვემო წელზე სოფ. გაგიდასთან, ქ. სოხუმთან, ზემო ეშერაში დოლმენების ბრინჯაოს ინვენტარის სახით. მათთან შედარებით უფრო ნაკლები მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო ამტკელის ტბის მიდამოებში შესწავლილი ლითონდამუშავების კერა, დაახლოვებით სინქრონული პერიოდის სულისა და აზანთას დოლმენების მასალების მიხედვით [Воронов 1982: 14-16]. ადრებრინჯაოს დასასრულისა და შუაბრინჯაოს ხანის ლითონდამუშავების კერა გამოვლენილია გუდაუთის რაიონში ხუაბისა და ოთხარას დოლმენებიდან მომდინარე ბრინჯაოს ინვეტარის სახით [Цвинария 1990: 12-78, ტაბ. 11,13$_1$, 28$_1$, 29, 31$_{1-4,7,22}$].

გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანაში ამ კატეგორიის ძეგლების მიხედვით, ლითონდამუშავების კერები განსაკუთრებით მრავლადაა გამოვლენილი ქ. სოხუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (ვერეშჩაგინის მთა, სოხუმის მთა, წითელი შუქურა, ლეჩქოფი, შუბარა, ქვემო და ზემო ეშერა, სოხუმის ჰესი, მერხეული და სხვ.); მდ. ბზიფის აუზში-გუდაუთის რაიონში (ბომბორას ველი, აბგახურკი, გუდაუთა, ყულანურხვა, ახალი ათონი, აჩანდარა, კისტრიკისა და ბომბორას ნამოსახლარებზე ჩაშვებული ორმო სამარხები, მუგუძირხვა, ზვანდრიფში, აჩკაცი, პრიმორსკოე); გაგრის მიდამოებში (გაგრის სამაროვანი და სხვ.), მდ. ღალიძგას სათავეებთან (ტყვარჩელი- ჯანტუხი) და ა.შ [Стражев 1926: 105-134; Лукин 1941: 17-97; Куфтин 1949: 144-208, 229, 239-321; Воронов 1969: 17-41; Шамба 1984; Трапш 1969 :17-209; Трапш 1970: 98-197; Бжания В., Бжания Д. 1991; პაპუაშვილი ნ. და სხვ. 2006: 127-132].

კოლხეთის ბარში, ძირითადად მსხვილ დასახლებათა კომპლექსებთან არსებული ლითონდამამუშავებელი კერები სპილენძის ნედლეულით მარაგდებოდნენ ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდზე განლაგებული სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან, რომლებიც აქ წარმოდგენილი იყო სპილენძის სულფიდური მადნებით (აფხაზეთის, სვანეთისა და რაჭის სპილენძის გამადნებათა სისტემები) [ინანიშვილი და სხვ. 2010:54-102]. ასევე მცირე კავკასიონის მთიანეთიდან, სადაც განლაგებულია სპილენძის საბადოები და პოლიმეტალური მასალები (აჭარის სპილენძის საბადოთა ჯგუფი – მდ. მერისისა და მდ. აჭარისწყლის ხეობათა ზემო წელი, გურიის მადნეული ზონა – მდ. ნატანებისა და მდ. ბახვისწყლის სათავეები)[5].

5 ვარაუდობენ, რომ მდ. ყვირილას ზემო წელზეც მცირე რაოდენობით არსებობდა სპილენძის საბადოები, რომელთა ამოწურვის შემდეგ მათი კვალი დაიკარგა [ჯაფარიძე 2013: 13]. სპილენძის ძველი გამონამუშევრე-

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის ბარის სპილენძის ნედლეულით მომარაგებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მდ. ჭოროხის აუზში 10-12 ადგილზე ცნობილი როგორც ჟანგისეული, ასევე მიწისქვეშა ძველი სპილენძის გამონამუშევრების როლი [Иессен 1935: 44-46, 62-63]. ამ მდინარის აუზს მიიჩნევდენ არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ კავკასიის ერთ-ერთ უმთავრეს მეტალურგიული წარმოების ცენტრად, საიდანაც სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდებოდა როგორც მზა ლითონის ნაწარმი, ასევე ბრინჯაოს ზოდები [Иессен 1935:129]. შედარებით მოგვიანო პერიოდში კოლხური კულტურის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებისა და სხვა შემთხვევითი ლითონის ინვეტარის აღმოჩენების სიმრავლის გამო სავსებით ლოგიკურად გამოითქვა მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო სხვა დამოუკიდებელი მეტალურგიული წარმოების კერები, რომლებიც ჭოროხის აუზის მეტალურგიული წარმოების ცენტრზე არ იქნებოდა დამოკიდებული [ქორიძე 1965: 129].

კოლხეთში ბრინჯაოს საწარმოო კერების სპილენძის ნედლეულით მომარაგებისას ასევე მხედველობაშია მისაღები ადგილობრივი მნიშვნელობის წვრილ-წვრილი საბადოების მონაწილეობაც: ვაკიჯვარი – ადგილი ქორბუდა, ზემო ხინო, ბზონის წყალი, ბობოყვათი. ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მდ. ამტკელის სათავეებთან (სოფ. გიორგიევსკი) მდებარე სპილენძის საბადოები [ქორიძე 1965: 102,122; ჩავლეიშვილი 1991: 14; Габелия 1989: 66].

როგორც ჩანს, ბრინჯაოს პირველად და მეორად მეტალურგიული წარმოების კერებს შორის მთავარი დამაკავშირებელი საკომუნიკაციო გზები ძირითადად გადიოდა იმ მდინარეების (აჭარისწყალი, ნატანები, ბახვისწყალი, რიონი, ცხენისწყალი, ენგური, კოდორი, ბზიფი) ხეობებში, რომელთა სათავეები მდიდარი იყო სამთამადნო წარმოების ძეგლებით. ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად და მეორად კერებს შორის სპილენძის ნედელეულით მომარაგებისას დაკავშირება, ალბათ, ხდებოდა ხევისპირა საცალფეხო, გვერდითი შემოვლითი და საუღელტეხილო გზებითაც. თითეულ ბრინჯაოს საწარმოო კერას უნდა ჰქონოდა თავისი მნიშვნელოვანი სპილენძის საბადოები. სავარაუდოა, რომ ბარში არსებული ლითონჩამომსხმელი სახელოსნოების სპილენძის ნედლეულით მომარაგებისას თავდაპირველად უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო შედარებით ახლოს მდებარე, ტრანსპორტირებისათვის უფრო იოლად ხელმისაწვდომი კოლხეთის მთიანეთში არსებული სამთამადნო წარმოების ძეგლები. აქიდან გამომდინარე (თუ გავითვალისწინებთ დამხრობასაც), უფრო მისაღები გვეჩვენება, რომ მდ. ჭოროხისა და აჭარისწყლის სპილენძის საბადოებიდან ხდებოდა სამხრეთ–დასავლეთ კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი კერების მომარაგება; მდ რიონის[6], ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში გამავალი საკომუნიკაციო გზებით სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონების ბარში მდებარე ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოების; მდ. კოდორისა და ბზიფის სათავეებთან განლაგებული სპილენძის საბადოებით კი – ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მხარის. შემთვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი კერების უფრო მეტი კონცენტრაცია ძირითადად შეიმჩნევა ამ მდინარეების ქვემო წელსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. ბუნებრივია, სხვა მიზეზებთან ერთად ადამიანები უფრო მეტი ინტენსივობით სახლდებოდნენ იქ, სადაც გადიოდა სპილენძის ნედლეულით მომარაგებელი ძირითადი არტერია. ერთ-ერთ ასეთად კი, შესაძლოა, იმ პერიოდში მდ. ენგურის ხეობაში გამავალი საკომუნიკაციო გზები ყოფილიყო. იქნებ ამ მიზეზებითაც აიხსნას ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებისა და სხვა კატეგორიის ძეგლების სიმრავლე მდ. ენგურის ქვემო წელში (რუკა 2). ასევე

ბი მოხსენიებული აქვთ მდ. ჯეჯორას ხეობაში სოფ. ყევსელთასთან ახლოს [Иессен 1935: 35-43; Техов 1977: 198], სოფ. ბეჟათუბნის ჩრდილოეთით, სოფ. ჩეჩევისა და სარმაგის ტერიტორიაზე [ქორიძე 1965: 49]. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მარტო ჯავის რ-ში, მდ. ლიახვის ხეობაში არაერთ პუნქტში იხსენიებენ ლითონის (ბრინჯაოს) წარმოების ძველ ნაშთებს [Техов 1991: 226; ჯაფარიძე 2013: 49].

6 ვარაუდობენ, რომ რაჭის მეტალურგიული წარმოების ცენტრიდან სპილენძის ნედლეულით მარაგდებოდა მდ. ყვირილას ხეობა, კერძოდ, ზემო იმერეთის ზეგანის უძველესი მოსახლეობა [ჯაფარიძე 2013: 49]. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, ენეოლითის ხანაში მოქმედებდა უძველესი ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც ჯერ ანატოლიიდან მტკვრის სათავეების გასწვრივ, შემდეგ კი მდ. რიონის გაყოლებით მიემართებოდა და მამისონის უღელტეხილის გავლით სამხრეთ კავკასიას ჩრდილო კავკასიასთან აკავშირებდა [ფიცხელაური 2012: 68]. ეს ფაქტი იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ კავკასიაში ენეოლითური ხანის ტიპური, წინააზიური ქვის სამაჯურების აღმოჩენების უმეტესობა სამხრეთიდან (თეთრამიწა, დარკვეთი, სამერცხლე კლდე) და ჩრდილოეთიდან (ნალჩიკი, მეშოკო, სკალა, კამენომოსტკაია, პეშჩერა), სწორედ მამისონის უღელტეხილს ებჯინება [ფიცხელაური 2012: 68]. ვარაუდობენ, რომ ეს გზა ფუნქციონირებდა ბრინჯაოს ხანაშიც.

ბრინჯაოსა და უფრო გვიან, რკინის საწარმოო კერების სიჭარბეც.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი და მეორადი წარმოების კერები, ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასარკვევი. მეტ-ნაკლებად უნდა დაზუსტდეს თუ როგორ ქრონოლოგიურ თანხვედრაში მოდიან ერთმანეთთან ბრინჯაოს პირველადი და მეორადი მეტალურგიული წარმოების კერების ექსპლუატაციის დასაწყისი; უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, კოლხეთის მთიანეთში არსებული სამთამადნო წარმოების ძეგლებზე (მთიანი აფხაზეთი, სვანეთი, ზემო რაჭა) რა პერიოდიდან იწყება სულფიდური სპილენძის მადნების მოპოვება, მათი პირველადი დამუშავება და მიწოდება ბარისათვის[7]; საყურადღებოა, მთიდან ბარში სპილენძი მარტო ნახევარფაბრიკატების სახით, თუ უკვე დამზადებული ლითონის ნაწარმის სახით შედიოდა; რომელი რეგიონიდან და რა სახის მადნით (ოქსიდური, კარბონატული-სილიკატური, იქნებ სულფიდური სპილენძის) საზრდოობდენ კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის (ისპანი, ფიჩორი) ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები, რომელთა დიდი ნაწილი (მხედველობაში გვაქვს შავიზღვისპირა ზოლში მდებარე), სავარაუდოდ, განადგურებული და ტორფქვეშ უნდა იყოს მოქცეული ჰოლოცენის ხანაში მიმდინარე ტრანსგრესიული და რეგრესიული პროცესების შედეგად [Хахутаишвили 1984: 146-152]. მეტ-ნაკლებად დასადგენია მთიდან ბარში სპილენძის ნედლეულით მომარაგების გზების, ტრანსპორტირებისა და შრომითი ორგანიზაციის საკითხები. ყოველივე ეს წარმოქმნის ისეთ პრობლემურ საკითხში გარკვეული სიცხადის შეტანას. როგორიცაა მთისა და ბარის ურთიერთობა, რომელიც ხომ არ იყო დამყარებული ამ რეგიონებს შორის მხოლოდ ბრინჯაოს ნედლეულით მომარაგებაზე; კოლხეთის მთიანეთიდან სპილენძის ნედლეულის მომწოდებლებს რა მიჰქონდათ სანაცვლოდ ბარის მოსახლეობისაგან[8], რადგან ეს უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლითი პროცესები; კოლხეთის მთიანეთის სამოსახლოდ ათვისება უკავშირდება თუ არა ლითონის საბადოების მოპოვებას; სამთამადნო წარმოების ძეგლებზე სამუშაოები მუდმივად მიმდინარეობდა, თუ მთაში არსებული მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ისინი მხოლოდ დროებითი-სეზონური ხასიათისა იყო; აქიდან გამომდინარე მოსახლეობა მუდმივად ცხოვრობდა მთაში, თუ სეზონურად, ანდა ხომ არ იყვნენ ისინი ბარიდან მთაში ასულები სამთამადნო წარმოების ძეგლებზე სეზონური სამუშაოების წარმოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განფენილ სამთამადნო წარმოების ძეგლების გავრცელების ზონაში და მიმდებარე ტერიტორიებზე, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი გამონაკლისის არსებობას (მდ. კოდორის ხეობა, მღვიმე ფარდულები – ახრაკაპში, პალი); ზემო სვანეთში ზედაპირულად აკრეფილი მასალების მიხედვით: სოფ. იფარი – ლასილა-ლაროლარ, ლასილა-სგიმულდ, ბოგრეშის ნამოსახლარის გვიანბრინჯაოს ხანის ფენა, სოფ. კალა – სკარეშის გორა, მესტია – ზურულდი), ძვ.წ III-II ათასწლეულების ნამოსახლარები არ დასტურდება [Бжания 1973: 66-76; ჩართოლანი 1996:128; კვიციანი, ჯიბლაძე 2015:13]. აქ ეს პერიოდები ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი სპილენძ-ბრინჯაოს ინვეტარით, ცალკეული სამარხებით, სამაროვნებით (ბოგრეში, ბრილი, შესაძლოა ღარის კოლექცია, ქართვანი და ა.შ.), მათ შორის დოლმენებით (მთიანი აფხაზეთი – ჩხალთა, სანჩარი, ჯამპალი და სხვ.) [Куфтин 1949: 44-48, ტაბ. XXIX, XXX, XXXI; გობეჯიშვილი 1952: 56; საქართველოს არქეოლოგია 1959: 111; Марковин 1978: 5; პაპუაშვილი ნ. და სხვ. 2006: 129]. ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემებიც გარკვეულ წარმოდგენას უნდა გვიქმნიდეს იმაზე, რომ კოლხეთის მთიანეთის ზოგიერთი მხარის განსახლება ვიგულისხმოთ ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან (მხედველობაში გვაქვს სვანეთის მხარე უადრესი ფართოპირიანი, ყუადაქანებული სპილენძის ცულების მიხედვით) [კვიციანი, ჯიბლაძე 2015: 29, 101] და შუაბრინჯაოს საწყისი საფეხურიდან (ზემო რაჭა, ტრადიციული დათარიღებით). მაგრამ ძნელი დასადგენია ეს დასახლებები სე-

7 C14 დათარიღებით ყველაზე ადრეული თარიღები მომდინარეობს საგების ანთიმონის საბადოდან: ТБ-310, 3950±63 – ძვ.წ. 2000 წ; ТБ-334, 3890 ± 63 – ძვ.წ.1940 წ. [Апакидзе, Бурчуладзе1987: 16]. იგივე ნიმუშები აღნიშნული ძეგლიდან ტრადიციული მეთოდით განისაზღვრა ძვ.წ. 1680 და 1640 წწ. [ინანიშვილი და სხვ. 2010: 89]. ასევე საყურადღებო ჩანს, ბაშკაცარას № 5 მაღაროს სპილენძის სულფიდური მადნებიდან მომდინარე თარიღები, რომელიც ტრადიციული მეთოდით არის მიღებული: ТБ-4199, 4080±300 – ძვ.წ. 2130; 4020±2080 – ძვ.წ. 2070 წ. [ინანიშვილი და სხვ. 2010: 89].

8 გამოთქმულია ვარაუდი, რომ სპილენძის ნედლეულის მომპოვებელ და მფლობელ მთის მოსახლეობას, ბარის სასოფლო-სამეურნეო ოლქებთან რეგულარულად უნდა ჰქონდათ საგაღებმიმცემო ურთიერთობა [ლორთქიფანიძე 1986: 64].



რუკა 1

ზონური თუ სტაციონალური ხასიათისა იყო[9]. თუმცა ბრილის სამაროვნი, სადაც დასტურდება მიცვალებულთა უწყვეტლივ დაკრძალვა (შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან, ვიდრე ახ.წ III-IV სმ-მდე) გვავარაუდებინებს, რომ ამ ძეგლის ადრეული ფენები უნდა წარმოადგენდეს დღემდე მიუკვლეველ, ალბათ იქვე ახლოს გამართულ, სინქრონული პერიოდის სტაციონალური დასახლების განსასვენებელ ადგილს. შესაძლოა ისინი სამთო მეტალურგებიც ყოფილიყვნენ. ამას გვაფიქრებინებს ბრილის სამაროვნის გამართვის სტაციონალური ხასიათი, ახლოს მდებარეობა (11 კმ დაშორება) და სინქრონულობა ზემო რაჭის (მხედველობაში გვაქვს სოფ. ღების) სამთამადნო წარმოების ობიექტებთან.

ამრიგად, წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა იმ დიდი პრობლემის გარკვეული არსი, რომელიც დაკავშირებულია კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად და მეორად კერებთან. ჩვენ გვესმის, რომ აღნიშნულ საკითხზე ამ მცირე ფორმატის სტატიაში სრული სურათის შექმნა და ამოწურვა შეუძლებელია. ეს მხოლოდ ამ მიმართულებით კვლევის ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს, რომელიც მომავალში უთუოდ გაგრძელდება.

9 აღსანიშნავია, რომ სოფ. ბრილში იხსენიებენ ძვ.წ. V-IV სს-ების ნამოსახლარების ნაშთებს, სადაც ქვის საძირკვლიან ნანგრევებს შორის აღმოჩენილა სპილენძის მადნის დასამუშავებელი ქვები [ღამბაშიძე 1961: 23]. როგორც ირკვევა აქ მაცხოვრებელი ხალხი ადრეანტიკურ ხანაშიც დაკავებული ყოფილა მეტალურგიული საქმიანობით. ზემო რაჭიდან აღნიშნული აქვთ თევრეშოს, გორიმოს, ორღობისა და საარწივიძის სამაროვნები [გობეჯიშვილი 1942: 46], რომლებიც არ გათხრილა. ერთი ასეთი სამაროვანია მითითებულია სოფ. ღების აღმოსავლეთითაც [გობეჯიშვილი 1942: 45]. საინტერესოა, რომ ორღობისა და საარწივიძის სამაროვნებზე წყალდიდობისას გამოჩენილა ქვაყუთი სამარხები [გობეჯიშვილი 1942: 46].



რუკა 2

L. Jibladze

ARTIFACTS FROM COLCHIS RELATED TO BRONZE MANUFACTURING ACTIVITIES

Summary

The items related with the Bronze manufacturing activities are revealed more than four dozen settlement remains. Most of them are found at seaside hill-settlements. Powerful metal-processing hearths by the Bronze manufacturing workshops are outlined in the South West, central and North-West Colchis. Also metallurgical production secondary hearths are connected with numerous bronze inventories from the treasures and burial grounds.

The Mining Sites in Colchis highlands and Bronze production workshops communication ways to the valley likely were connected in the River ravines. They were connected Ravine-edge pedestrian, side bypass and internal bypass ways.

ლიტერატურა

აბესაძე ც. 2011: ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან საქართველოში. თბილისი

ავალიშვილი გ. 1974: ქვემო ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი.

აფაქიძე ა. და სხვ. 1978: მცხეთა, II. თბილისი.

აფაქიძე ჯ. 1988: ცენტრალური კოლხეთის არქეოლოგიური რუკა (ძვ.წ. XVI-XV სს.) (სამაროვნები, განძები, მეტალურგიული სახელოსნოები). – ძმ, № 3, 46-52.

ბარამიძე მ. 1998: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში(ძირითადი პრობლემები). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი (ხელნაწერის უფლებებით).

ბერიკაშვილი დ. 2003: ზემო იმერეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. – სხსმნ, VIII, 16-23.

გაგოშიძე ი., მახარაძე გ., ქორიძე ე., გოგიბერიძე ნ. 2004: ითხვისის ნამოსახლარი. – არქეოლოგიური ჟურნალი, III, 73-113.

გობეჯიშვილი გ. 1942: ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ნაწილი I, თბილისი (ხელნაწერის უფლებებით).

გობეჯიშვილი გ. 1951: სტალინირის ნაცარგორა. – მიმომხილველი, II, 239-276.

გობეჯიშვილი გ. 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.

გობეჯიშვილი გ., ჩართოლანი შ. 1965: სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1964 წელს. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები. თბილისი, 1-38.

ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. წ. III-I ათასწლეულებში). თბილისი.

კალანდაძე ალ. 1953: სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი.

კიკვიძე ი. 1972: ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბილისი.

კვიციანი ი., ჯიბლაძე ლ. 2015: უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში (ლითონის არტეფაქტები). თბილისი.

ლომთაძე გ. 1997: ახლად აღმოჩენილი ერთი სამარხი მოდინახედან. – სხსმნ, III, 3-11 .

ლომთაძე გ. 2000**:** მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, I, 5-17.

ლომთაძე გ. 2002**:** მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. – არქეოლოგიური ჟურნალი, II, 5-15.

ლომთაძე გ. 2004: მოდინახეს გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი. – არქეოლოგიური ჟურნალი, III, 48-72.

ლორთქიფანიძე ოთ. 1986: არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 2001: განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა). –კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატება № 6), 178-194.

მახარაძე გ., ბრაგვაძე ზ. 1990: არქეოლოგიური გათხრები კარახტინში. – ძმ, № 1, 32-39.

მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი.

მუსხელიშვილი დ. 1978: ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბილისი.

ნადირაძე ჯ. 1975: ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ნიორაძე გ. 1944: არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში (ბორჯომიდან ახალციხის მიმართულებით). –სსმმ, XIII-B, 173-226.

ნიორაძე გ. 2011: შრომები.თბილისი.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. კატალოგი 2014. თბილისი.

ორჯონიკიძე ალ.1983: სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში.თბილისი.

პაპუაშვილი ნ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., 2006: კოლხეთის ენეოლითის, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამაროვნების გავრცელების რუკა. – ძიებანი, № 17-18, 127-132.

პაპუაშვილი რ. 2010: კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის. – არქეოლოგიური ჟურნალი, V, 32-43.

პაპუაშვილი რ., ჯიბლაძე ლ. 2014: ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების ცენტრი ყულევის ნამოსახლარიდან. – ძიებანი, № 22, 178-191.

პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ჯიქია ლ., პაპუაშვილი ი. 2015: ცაიშის სამაროვანი. თბილისი.

რამიშვილი ალ.1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.

რამიშვილი ალ. 2013: ხაშურის ნაცარგორა. (ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI). თბილისი.

საქართველოს არქეოლოგია, 1959. თბილისი.

სახაროვა ლ. 1976: ლეჩხუმის 1970-1971 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. – მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 96-104.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VIII სს.). თბილისი.

ფიცხელაური კ. 2012: სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში – არქეოლოგიური კულტურათა დინამიკა. – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები,თბილისი, 64-88.

ფხაკაძე გ. 1992: ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, II, თბილისი, 216-260.

ქავთარაძე გ. 1981: საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ღამბაშიძე ო. 1961: ძველი მოსახლეობის ნაშთები ბრილში. – საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 22-23.

ღამბაშიძე ო.1963: მდ. რიონის შუა წელის გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი (ხელნაწერის უფლებებით).

ღამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ.VI-III ათასწლეულებში. თბილისი.

ჩავლეიშვილი ი. 1991: კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში. – სდსძ, XIX, 3-26.

ჩართოლანი შ.1971: სპილენძის ძველი სამთამადნო გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის ხეობაში. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბილისი, 49-61.

ჩართოლანი შ.1996: ძველი სვანეთი. თბილისი.

ჩართოლანი შ., ცინდელიანი მ. 2010: კოდორის ხეობის „ დალის“ მხარის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ხვისტანი რ. 1986: მელითონეობის კერა გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთში. – ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში. N2 , თბილისი, 70-76.

ჯაფარიძე ო. 1961: ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2013: ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქართველოში. თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

Апакидзе А., Бурчуладзе А. 1987: Радиоуглородное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии. Тбилиси.

Бжания В.1973: Поселение Очамчирской культуры в горах Абхазии. – Кавказ и Восточная Европа в древности. Москва, 65-76.

Бжания В., Бжания Д. 1991: Древний могильник в Гагре. Сухуми.

Воронов Ю.1969: Археологическая карта Абхазии. Сухуми.

Воронов Ю. 1982: Древности Азантской долины. Сухуми.

Габелия А. 1989: К Истории бронзовой металлургии и металлообработки Абхазии. – Вопросы истории Абхазии, Сухуми, 64-69.

Иессен А. 1935: К вопросу о древнеишей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК 120, Москва-Ленинград, 7-216.

Куфтин Б. 1949: Материалы к археологии Колхиды, том I.Тбилиси.

Кушнарева К; Чубинишвили Т. 1970: Древные культуры Южного Кавказа (V-III тыс. до. н. э.). Ленинград.

Лукин А. 1941: Материалы по археологии Бзифской Абхазии. – ТОПКГЭ, I, Ленинград, 17-97.

Марковин В. 1978: Дольмены Западного Кавказа. Москва.

Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985: Древнее Колхидское поселение Намчедури. Тбилиси.

Пицхелаури К. 1979: Восточная Грузия в конце бронзового века. Тбилиси.

Стражев В. 1926: Бронзовая культура в Абхазии. – ИАНО, вып. IV, Москва, 105-134.

Техов Б. 1991: О древней металлургии и металлообработке централного Кавказа. – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Телави-Сигнахи 1986. Тбилиси, 224-253.

Трапш М. 1969: Труды, том. I. Сухуми.

Трапш М. 1970: Труды, том. II. Сухуми.

Хахутаишвили Д. 1984: Природа и человек в Приморском полосе Колхиды в э эпоху Голоцена. – Кавказо-Ближневосточный сборник, VIII. Тбилиси, 146-151.

Шамба Г. 1984: Раскопки древных памятников Абхазии. Сухуми.

Цвинария И. 1990: Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тбилиси.

რუკების განმარტება

რუკა 1. კოლხეთის ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული პუნქტების ჩამონათვალი[10]: 1. სამელე კლდე; 2. სამერცხლე კლდე; 3. მოდინახე; 4. ისპანი; 5. ანაკლია I (ქვედა ფენა); 6. ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (VIII, VII, V ფენები); 7. ფიჩორის № 6 ბორცვი; 8. ანაკლია II; 9. ერგეტა (IV ფენა); 10. ნოსირი III (I ფენა); 11. ნამჭედური (VI-III ფენები); 12. ჩოლოქისპირა ბორცვი (VI-III ფენები); 13. ქვემო ჭალადიდის ზურგა (ქვედა ფენა); 14. ქვემო ჭალადიდის II უბანი; 15. ყულევი (II-III ფენები); 16. ცივა; 17. ანაკლია I-ის მიმდებარე ბორცვები; 18. მაქსანია; 19. დაბლაგომი; 20. მუხურჩის ნანისქვილარი; 21. ლეხაინდრაო; 22. ოჩხომური; 23. ნოქალაქევი; 24. ფახულანი; 25. ზემო ღუმურიში; 26. ფიჩორის № 4 ბორცვი; 27. ნაოხვამუ (III ფენა); 28. მახინჯაური; 29. ფიჭვნარი; 30. მაჭარა № 2 დიუნა; 31. სოხუმის მთა; 32. ბომბორა; 33. კისტრიკი; 34. ტამიში; 35. კიწია; 36. გაჭედილი; 37. ნახუნაო; 38. კურზუ; 39. დოშაყე; 40. ითხვისი; 41. სახოველა; 42. კარახტინი; 43. ცხეთა.

რუკა 2. რუკაზე დატანილია მდ. ენგურის ორივე სანაპიროს გასწვრივ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული პუნქტები, განძები და სამაროვნები: 1.ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (VIII,VII, V ფენები); 2. ფიჩორის № 6 ბორცვი; 3. ფიჩორის № 4 ნამოსახლარი; 4. ფიჩორის სამაროვანი; 5. ფიჩორის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძი; 6. გაგიდა; 7. ანაკლია I; 8. ანაკლია II; 9. შემთხვევით აღმოჩენილი ცალკეული ბრინჯაოს ინვენტარი ანაკლია II-ის მიმდებარე ტერიტორიიდან; 10. ერგეტა („მამულიების ბორცვი‘‘); 11. ერგეტის სამაროვნები (I,II,III,IV); 12. თაგილონი (სამი განძი); 13. ჭუბურხინჯი; 14. ზემო ღუმურიში;15. გალი (ხუთი განძი); 16. ლეკუმხარა; 17. რეჩხი; 18. წარჩე; 19. საბერიო; 20. ფახულანი; 21. პალური; 22. მაქსანია; 23. ჯვარი; 24. ყულევი; 25. ცივი; 26. ცაიში; 27. ორული; 28. დღვაბა; 29. ხეთა; 30. მახარია

KEY TO MAPS

Map 1. A list of places associated with the industrial production of bronze in Colchis: 1. Samele Klde; 2. Samertskhle Klde; 3. Modinaxe; 4. Ispani; 5. Anaklia I (bottom layer); 6. Central mound in Pichori (LayersVIII, VII, V); 7. Mound 6 in Pichori; 8. Anaklia II; 9. Ergeta (layer IV); 10. Nosiri III (layer I); 11. Namtcheduri (layers VI-III); 12. Mound on the bank of the river Choloki (layers VI-III);13. Qvemo Tchaladidi Zurga (bottom layer); 14. 2nd site of Qvemo Tchaladidi; 15. Qulevi (layers II-III); 16. Tsiva; 17. surrounding maounds of Anaklia I; 18. Maksania; 19. Dablagomi; 20. Mukhurtcha Natsiskvilari; 21. Lekhaindrao; 22. Otchkhomuri; 23. Nokalakevi; 24. Phakhulani; 25. Zemo Ghumurishi; 26. Mound # 4 in Pichori; 27. Naoxvamu (layer III); 28. Makhinjauri; 29. Phitchvnari; 30. Matchara 2nd dune; 31. Sokhumis mta; 32. Bombora; 33. Kistriki; 34. Tamishi; 35. Kitsia; 36. Gatchedili; 37. Naxunao; 38. Kurzu; 39. Doshaqe; 40. Itkhvisi; 41. Sakhovela; 42. Karakhtini; 43. Tckheta.

Map 2. Sites, hoards and cemeteries on the banks of r. Enguri and surrounding areas associated with the industrial production of bronze: 1. Central mound in Pichori (LayersVIII, VII, V); 2. Mound 6 in Pichori; 3. Mound 4 in Pichori; 4.Pichori cemerery; 5. Late Bronze-Early Iron Age hoard of Pichori; 6. Gagida; 7. Anaklia I; 8. Anaklia II; 9. Random finds on the territory adjacent to Anaklia II; 10. Ergeta ("Mamulebi mound"); 11. Ergeta cemeteries (I, II, III, IV); 12. Tagiloni (three hoards); 13. Tchuburikhinji; 14. Zemo Rumurishi;15. Gali (five hoards); 16. Lekumkhara; 17. Rechkhi; 18. Tsarche; 19. Saberio; 20. Phakhulani; 21. Paluri; 22. Maqksania; 23. Jvari; 24. Qulevi; 25. Tsivi; 26. Tsaishi; 27. Oruli; 28. Dghvaba; 29. Kheta; 30. Makharia.

10 რუკაზე ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე განლაგებული სამთამადნო წარმოების ობიექტების (მთიანი აფხაზეთი,ზემო რაჭა, სვანეთი) დატანისას გამოყენებული გვაქვს [ინანიშვილი და სხვ. 2010:60,სურ.3.1].ლეჩხუმის სპილენძის ძველი გამონამუშევრების ზოგიერთი ობიექტი მიახლოვებით დასმული გვაქვს [სახაროვა 1976:24; ღამბაშიძე 1963:31-35].

ნინო ახვლედიანი, ირინე სულთანიშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლთა ქრონოლოგიის საკითხისთვის (სასირეთის „განძი“)

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების გამოყოფისა და მათი ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების განსაზღვრის თაობაზე არსებული პრობლემის განხილვა. ძირითადად, შევჩერდებით ადრეულ ხანაზე, რადგან ჩვენთვის საინტერესო საკითხების კვლევისას ყველაზე მეტ დავას სწორედ ეს პერიოდი იწვევს.

დღეისათვის აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების დათარიღებისთვის რამდენიმე ქრონოლოგიური სკალა არის შემუშავებული (რ. აბრამიშვილი, კ. ფიცხელაური, მ. ბარამიძე, ვ. სადრაძე, ალ. რამიშვილი) [აბრამიშვილი 1957; ფიცხელაური 1973; ბარამიძე 1965; სადრაძე 2002; რამიშვილი 2004]. ამათგან ძირითადია ერთმანეთისგან განსხვავებულ საფუძველზე აგებული ორი ქრონოლოგიური სისტემა (აბრამიშვილი, ფიცხელაური), რომელთა ბაზაზეც აიგო ყველა დანარჩენი.

იმის გათვალისწინებით, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკა კონსერვატულია და დიდხანს ინარჩუნებს ფორმებს, აღნიშნული პერიოდის ქრონოლოგიური სისტემა ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებას უნდა ემყარებოდეს კერამიკული მასალის გათვალისწინებით.[1]

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ყველაზე სწრაფ და გადაუდებელ პროგრესს საბრძოლო იარაღი საჭიროებს. იმ დროისათვის ხელჩართულ ბრძოლაში ყველაზე მეტ პროგრესს მახვილი განიცდის, რომლის განვითარებაშიც, არაერთი თვალსაზრისით, გადამწყვეთ როლს ასრულებს სატევარი.

სატევარ-მახვილების განვითარებით კარგად ედევნება თვალი სპილენძ-ბრინჯაოს დამუშავების წინსვლას და ამდენად, შეფარდებით ქრონოლოგიას. გარდა ამისა, საბრძოლო იარაღი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ დროინდელ პოლიტიკურ ერთეულზე, რადგან მახვილის გაჩენა დიდად არის გაპირობებული მისი მფლობელი საზოგადოების სოციალური თვალსაზრისით განვითარების მაღალი დონით. მახვილი წარმოადგენს დაწინაურებული საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლის ერთგვარ ინსიგნიას.

მახვილი იმის მაუწყებელია, რომ მისი დამამზადებელი საზოგადოება მეტალურგიის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე დგას და ის კარგად იცნობს ცხენს. მახვილის მფლობელი და მისი აღმოჩენა ძირითადად უნდა ემთხვეოდეს მფლობელის პოლიტიკურ ერთეულს. უთუოდ უნდა იყოს გარკვეული რეგიონის მფლობელი. ამ ნივთის გავრცელების მიხედვით, მისი არსებობის დროს, შედარებით ზუსტად შეიძლება შემოისაზღვროს არქეოლოგიური კულტურის ტერიტორიული საზღვრები.

მახვილი ძირითადად მომდინარეობს სამარხეული ინვენტარიდან. ბუნებრივია ვიგულისხმოთ, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური გაერთიანების წარჩინებული პირი იკრძალებოდა იმ საზღვრებში, რომელზეც მას გარკვეული უფლებები ჰქონდა. ასევე ბუნებრივია ვიგულისხმოთ, რომ მახვილი არ შეიძლებოდა გამხდარიყო ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის, გაჩუქების ან სხვა რაიმე ფორმით გასხვისების საგანი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მახვილი სხვა ეთნიკური თუ პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელთან მხოლოდ ძალადობის შედეგად შეიძლებოდა მოხვედრილიყო.

ამასთან ერთად, შესაძლებელია და უნდა გაირკვეს სხვა კულტურის რა ტერიტორია ეჭირა მახვილის მფლობელს და ეს ფლობა რით იყო გამოწვეული - იმით, რომ მან დაიპყრო ეს ტერიტორია, თუ დროებით უჭირავს ის მისთვის საჭირო მეურნეობის (მესაქონლეობის) გამო. გარკვეული ტერიტორიის დაკავება შესაძლოა ხდებოდა იმიტომაც, რომ გადაეკეტათ მომთაბარეთა შეტევის შესაძლებლობა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამით უნდა აიხსნას დაღესტნის [Марковин 1969: სურ. 41], ზემო იმერეთის [ქორიძე 1965: სურ. 18] და აფხაზეთის ტერიტორიაზე ქედაბეკური მახვილების აღმოჩენის ფაქტი (რუკა №1). საჭიროა გაირკვეს, თუ რით არის გაპირობებული ის ფაქტი, რომ კავკასიის არქეოლოგიურ კულტურებს შორის, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მთელ მონაკვეთზე, მახვილები ყველაზე მეტად გავრცელებულია ცენტრალურ ამიერკავკასიაში და რამდენადმე მის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში (თალიშ-ლენქორანი). ზოგან კი, მაგალითად, კოლხურ

1 ამ პრინციპზე არის აგებული რ. აბრამიშვილის ქრონოლოგიური სისტემა, რის გამოც არსებულთა შორის უპირატესობას მას ვანიჭებთ.



რუკა 1 – ქედაბეკური ტიპის მახვილების გავრცელების რუკა: 1. აკურა; 2. ქედელი; 3. ფევრები; 4. ტიბაანი; 5. წითელგორები; 6. ხირსა; 7. დაშსალახლო; 8. ყაზახი; 9. კოშკოტანი; 10. ჯალალოღლი; 11. ლორუთი; 12. ლენინაკანი; 13. არტიკი; 14. კიროვოკანი; 15. დილიჟანი; 16. გოლოვინო; 17.ხურჯინ-ხოგერი; 18. აიგეძორი; 19. სევანი; 20. ქედაბეკი; 21.კალაკენტი; 22. ბაიანი; 23. ხანლარი; 24. კიროვობადი; 25. მინგეჩაური; 26. არჩაძორი; 27.ხუშტადა; 28. დრანდა; 29.ზემო სიმონეთი.

და ყობანურ კულტურებში საერთოდ არ გვხვდება; რით იყო გაპირობებული ცენტრალურ ამიერკავკასიაში ერთმანეთთან გენეტიკურად დაკავშირებული სატევარ-მახვილების გავრცელება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების ჩათვლით; რით იყო გაპირობებული ის, რომ ერთი ტიპის იარაღი გარკვეულ რეგიონში ადრე ქრება, ხოლო გარკვეულ ტერიტორიაზე გვიან ხანებამდე შემორჩა და ა.შ. ამ მოვლენების გათვალისწინების გარეშე ქრონოლოგიური სისტემა კარგავს თავის ფუნქციას, რომლის საბოლოო მიზანიც არის წარმოაჩინოს თუ რა ვითარებაში და რა ტემპით ხდებოდა დროის ამა თუ იმ მონაკვეთში, გარკვეულ ტერიტორიაზე, საზოგადოების აღმავალი ხაზით სვლა.

ამ და სხვა რთულ საკითხებთან არის დაკავშირებული ლჭაშენ-წითელგორულის თუ ცენტრალურამიერკავკასიურის სახელით ცნობილი არქეოლოგიური კულტურის პრობლემები.

ძვ.წ. II ათასწლეულის მესამე მეოთხედში (ძვ.წ. XV-XIII სს.) აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი განსხვავებული დონის მქონე არქეოლოგიური კულტურის სინქრონულობა რ. აბრამიშვილმა ჯერ კიდევ თავის ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში ივარაუდა [აბრამიშვილი 1961: 312]. მოგვიანებით, კ. ფიცხელაურმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ამ პერიოდის ძეგლები მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში ერთგვაროვანია (მისი ქრონოლოგიური სისტემით ძვ.წ. 1350-1250წწ.) [ფიცხელაური 1973: 161, ტაბ. LXIX], მომდევნო საფეხურზე კი იქმნება ამ ერთიანი კულტურის საფუძველზე აღმოცენებული არქეოლოგიური კულტურები (შიდა ქართლის ტერიტორიაზე- სამთავრული, ხოლო კახეთის ტერიტორიაზე იორ-ალაზნის) [ფიცხ-

ელაური 1973: 161].

ამ საკმაოდ რთული და სადაო არქეოლოგიური კულტურის წამყვან ძეგლს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ლაგოდეხის რაიონში გათხრილი წითელგორების ორი ყორღანი წარმოადგენს, რომლებიც სომხეთში-ლჭაშენში გათხრილ ყორღანებთან ერთად ამიერკავკასაში ადრე გათხრილ ტიპიურ ძეგლთა შორის თავისი სიმდიდრით გამოირჩევა.

წითელგორების ორივე ყორღანი მიჩნეულია ერთი არქეოლოგიური კულტურის სხვადასხვა საფეხურის ამსახველ ძეგლებად. ორივე ქრონოლოგიური სისტემის მიხედვით (აბრამიშვილი, ფიცხელაური) ქრონოლოგიურად წინ უსწრებს №2 ყორღანი და ორივე ავტორის მიერ ის ძვ.წ. 1450-1350 წწ. შორის ექცევა. აღნიშნული თარიღი აბრამიშვილის მიხედვით გვიანი ბრინჯაოს ხანას შეესაბამება, ფიცხელაურის მიხედვით შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს [Abramishvili 1997: ტაბ. III; ფიცხელაური 1973: ტაბ. XIX][2].

წითელგორების №1 ყორღანი ფიცხელაურმა ძვ.წ. 1350-1250 წწ. განსაზღვრა, აბრამიშვილმა ძვ.წ. XIV ს. ბოლოთი და XIII საუკუნით.

მიუხედავად იმისა, რომ წითელგორების ყორღანებისთვის ორივე ავტორის მიერ მიღებულ თარიღებს შორის სხვაობა პრაქტიკულად არ არის (რაც არის ის არ შეიძლება გახდეს პრინციპული დავის საგანი), მათ მიერ შედგენილი ქრონოლოგიური სისტემების მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების ორი ურთიერთგამომრიცხავი სურათი იქმნება.

ფიცხელაურის თვალსაზრისით, სამთავრული კულტურის ფოთლისებური სატევრების შემცველ ფენას ქრონოლოგიურად წინ უსწრებს წითელგორების ყორღანების კულტურა, რომელსაც ის ცენტრალურამიერკავკასიურს უწოდებს და რომლის დაშლის შედეგადაც ვარაუდობს კახეთის ტერიტორიაზე იორ-ალაზნის ორმდინარეთის არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებას – შედგენილტარიანი და მთლიანადსხმული სატევრებით, ხოლო შიდა ქართლის ტერიტორიაზე კი სამთავრული კულტურის ჩამოყალიბებას – ფოთლისებური სატევრებით [ფიცხელაური 1973: 170].

აღნიშნულისგან განსხვავებით, აბრამიშვილმა წითელგორების №2 ყორღანი სამთავრული ფოთლისებური სატევრების სინქრონულად მიიჩნია, რადგან ამ ყორღანში შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური ძეგლებისთვის დამახასიათებელი კერამიკის ფორმებთან ერთად აღმოჩნდა სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი ფენისთვის დამახასიათებელი პირმოყრილი ჭურჭელი და სარდიონის დახეთქილი მძივები [აბრამიშვილი 1980: 82; Abramishvili 1997: ტაბ. $III_{10,31}$].

შესაბამისად, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი არქეოლოგიური კულტურა ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე აღმოჩნდა. საზღვარი მათ შორის მდ. არაგვზე დაიდო. არაგვის დასავლეთით შავ ზღვამდე არსებობდა ზოომორფულყურიანი კერამიკის მატარებელი საზოგადოების კულტურულ-ისტორიული ერთობა, რომელიც ორი არქეოლოგიური კულტურისგან შედგებოდა- კოლხური და სამთავრული. მის აღმოსავლეთით კი არსებობდა ლჭაშენისა და წითელგორების ყორღანების არქეოლოგიური კულტურის მატარებელი საზოგადოების კულტურულ-ისტორიული ერთობა, რომელიც მოიცავდა თითქმის მთელ სომხეთს, დასავლეთ აზერბაიჯანს და დროის გარკვეულ მონაკვეთში აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებს [Abramishvili-Abramishvili 1995: 191-193].

თავის მხრივ, ეს კულტურულ-ისტორიული ერთობაც რამდენიმე არქეოლოგიური კულტურისგან შედგებოდა. მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე მკვეთრად გამოიყოფა ე.წ. იორ-ალაზნის და თორის არქეოლოგიური კულტურები [Abramishvili-Abramishvili 1995: 191-193].

რაც შეეხება შიდა ქართლს, ამ ტერიტორიაზე ორი დიდი კულტურულ-ისტორიული ერთობის ინტერესები გადაიკვეთა და აქ მათი მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ურთიერთობა უნდა ვივარაუდოთ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ შიდა ქართლის ტერიტორია არ არის გამოთიშული ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურის ძეგლების არეალიდან. სხვა რომ არაფერი, ძვ.წ. XIII საუკუნემდე თბილისის ტერიტორია აღნიშნული კულტურის წრეში შედის [აბრამიშვილი 1980: 85], თუმცა ამ რეგიონის განვითარება სამთავრული კულტურის უპირატესობით მიმდინარეობს. დროთა განმავლობაში ზოომორფულყურიანი კერამიკის მატარებელი

2 შევნიშნავთ, რომ ამჯერად მთავარია არა პერიოდების სახელწოდება, არამედ არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური და კულტურული ურთიერთმიმართების განსაზღვრა.



რუკა 2 – ზოომორფულყურიანი კერამიკის გავრცელების რუკა: 1. კისტრიკი; 2. ბეთი; 3. გუმისთა; 4. წითელი შუქურა; 5. სოხუმი; 6. ტამიში; 7. მოქვი; 8. ოჩამჩირე; 9. შეშელეთი; 10. ამარია; 11. ცარიო; 12. გალი; 13. ლარილარი; 14. პალური; 15. საბერიო; 16. ჭუბურხინჯი; 17. დიხაგუძუბა; 18. საგვიჩიო; 19. ბანძა; 20. მუხურჩა; 21. კეკელურის ზურგა; 22. ცხეთა; 23. ნაგვაზაო; 24. აბედათი; 25. ვედითკარი; 26. ნოსირი; 27. ცემი; 28.კოდორი; 29. ნაოხვამუ; 30. საკარიო; 31. კუჩხის აბანო; 32. ურეკი; 33. ლეღვა; 34. ფიჭვნარი; 35. ჯიხანჯური; 36. ნამჭედური; 37. ციხისძირი; 38. ჩაქვი; 39. დაბლაგომი; 40. მთისძირი; 41. ვანი; 42. პატრიკეთი; 43. ოფჩა; 44. წინასოფელი; 45. ითხვისი; 46. საჩხერე; 47. ძევრილჰესი; 48. ბრილი; 49. თრელი; 50. სტირფაზი; 51. ოჟორა; 52. ცხინვალი; 53. ცხინვალის ნაცარგორა; 54. დვანი; 55. ტკოცი; 56. გორაძირი; 57. კორბოული; 58. წაღვლი; 59. აბანო; 60. სურამი; 61. რველი; 62. ჩითახევი; 63. კვირაცხოველი; 64. ზველი; 65. მუსხი; 66. მოლითი; 67. თაქ-ქილისა; 68. ბეშთაშენი; 69. განთიადი; 70. ღრმახევისთავი; 71. წოფი; 72. შაითან-დაღი; 73. მუსიერი; 74. ხურჯინ-ხოგერი; 75. რედკინ-ლაგერი; 76. კალაკენტი; 77. მელიღელე; 78. გადრეკილი; 79. გულგულა; 80. სარითეფე; 81. ბოლნისი; 82. ჩხიკვთა; 83. სანთა; 84. მადნისწყალი; 85. ავჭალა; 86. მუხათგვერდი; 87. არმაზი; 88. სამთავრო; 89. ნარეკვავი; 90. კავთისხევი; 91. კასპი; 92. მჭადიჯვარი; 93. ხოვლე; 94. უფლისციხე; 95. ყათლანიხევი; 96. ზემო ავჭალა; 97-105. თბილისი: 97. გლდანი; 98. საფურცლე; 99. თრელი; 100. ღრმაღელე; 101. დიდუბე; 102. ნაძალადევი;103. საბურთალო;104. ნავთლუღი; 105. საყდრისხევი; 106. ორდუ

საზოგადოება იკავებს მთელ აღმოსავლეთ საქართველოს (ძვ.წ. XIIIს), მისი აღმოსავლეთი ნაწილის-კახეთის გამოკლებით (რუკა №2). ამ ტერიტორიაზე არ ვრცელდება არც ფოთლისებური სატევრები.

ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურა[3], როგორც წინამორბედი, ისე სინქრონული კულტურებისგან მეტალურგიაში მკვეთრი ტეხილით გამოირჩევა. თრიალეთური კულტურის ყუნწიანი სატევრები იცვლება ბრინჯაოს წინააზიური სატევარ-მახვილებით, საიდანაც საბოლოოდ განვითარდა საკუთრივ ლჭაშენ-წითელგორული კულტურის საბრძოლო იარაღი[4]. ჩნდება აბჯრის ფირფიტები, ორთითები, სამთითები, მასრა-

3 რიგ შემთხვევებში მკვლევარები ტერმინებს-ცენტრალურამიერკავკასიური და ლჭაშენ-წითელგორული სინონიმებად მიიჩნევენ, რაც არსებითი ხასიათის შეცდომაა. ეს ორი სახელ-წოდება ერთმანეთისგან პრინციპულად გან-სხვავებულ შინაარსს ატარებს.

4 როცა ლაპარაკია საბრძოლო იარაღის განვითარებაზე წინააზიური სატევარ-მახვილებიდან იგულისხმება არა მათი ევოლუციური განვითარება, არამედ გარდაქმნა ადგილობრივ ნიადაგზე.

შეკრული შუბისპირები და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურა არ არის გათვითცნობიერებული რკინის მეტალურგიაში, ამ საზოგადოების მაღალი ფენა იყენებს მეზობელი ტომების მიღწევას (ანუ კულტურის ამ წრეში არსებობს ამ ძვირადღირებული ინოვაციის მომხმარებელი). ამის მაჩვენებელი უნდა იყოს ის, რომ მდიდრულ სამარხებში (წითელგორი, ლჭაშენი, ლორი-ბერდი, გარაჯამირლი) რკინა არ ჩანს, ხოლო ამ კულტურის წრის ის ძეგლები, რომლებშიც რკინა გვხვდება (ბერიკლდეების №4 ყორღანი, თრელის №65 სამარხი, წეროვნის №74 სამარხი), სამთავრული კულტურის არეალშია მოქცეული.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ამიერკავკასიის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია სასირეთის „განძი“ (ტაბ. I), რადგან აქ თავმოყრილია მთელი ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურებისა თუ მათი ლოკალური ვარიანტების განმსაზღვრელი მასალა და კავკასიის მთიანეთის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური კულტურისთვის დამახასიათებელი სატევარი.

სასირეთის განძის ნივთთა ერთი ნაწილი, კერძოდ, ლაგმები, მსგავსებას პოულობს ფრიად დიდ რეგიონში გავრცელებულ ანალოგიურ ლაგმებთან. ამ ლაგმების საშუალებით სასირეთის განძი უკავშირდება ლჭაშენის და არტიკის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ძეგლებს [Хачатрян 1979: სამარხი №79; Мартиросян 1964: , ტაბ. VIII]. აქ აღმოჩენილი ნივთები კი საუკეთესო მასალას იძლევა ამ ძეგლთა აბსოლუტური თარიღების მისაღებად.

აღნიშნული ლაგმებით სასირეთის „განძი“ უდაოდ სინქრონულია არადეთის ორგორის № 1 ყორღანისა. ამ უკანასკნელში აღმოჩენილი კერამიკა მსგავსებას იჩენს ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებთან, როგორიცაა ბერიკლდეების №4 ყორღანი და წითელგორები. ყოველივე ეს კი ამ წამყვანი ძეგლების სწორი სინქრონიზაციის საშუალებას გვაძლევს.

სასირეთის „განძის“ ქრონოლოგია-პერიოდოზაციისას შესაძლებელი ხდება, ერთის მხრივ, გარკვეული პერიოდისთვის შეჯერდეს ამიერკავკასიის კულტურების ქრონოლოგიური სისტემები, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ძეგლისთვის მიღებული თარიღი შემოწმდეს ამიერკავკასიის ცალკეული არქეოლოგიური კულტურებისთვის თუ მათი ლოკალური ვარიანტებისთვის მიღებული ქრონოლოგიური სისტემებით. ამას გარდა, სასირეთის „განძი“ საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ კავკასიის და საერთოდ ევრაზიის არაერთი ძეგლის სინქრონიზაცია, მაგრამ წინამდებარე ნაშრომი ასეთ მიზანს არ ისახავს.

სასირეთის „განძი“ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი სოფელ სასირეთის ეკლესიასთან მოქმედ სასაფლაოზე, საფლავის გაჭრის დროს.[5] სოფლის მცხოვრებთა გადმოცემით, ყველა ის ნივთი, რომელიც დღეს სასირეთის „განძის“ სახელით არის ცნობილი, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან ორი მეტრის სიღრმეზე ერთმანეთთან მიჯრით იყო მიწყობილი [Nioradze 1932: 82]. აღმოჩენის ვითარების მიხედვით მასალა უდავოდ კომპლექსს წარმოადგენს.

მისი განძად მიჩნევის ერთ-ერთ საბუთად, გ. ნიორაძემ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მანამდე არც ამ ადგილებში და არც თვით სოფელში არასდროს ყოფილა მიკვლეული არანაირი სიძველე.

აღმოჩენიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გაითხარა სასირეთის „განძის“ სინქრონული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი (მასალა გამოუქვეყნებელია).

სასირეთის განძიდან მომდინარე ნივთების უმეტესობა ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურის წრის ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი – ბრინჯაოს ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის სამი ცული (ტაბ. $I_{19,20,21}$), სამხრეთამიერკავკასიური ტიპის

5 ქვემო სასირეთის „განძი“ მკვლევართა უმრავლესობის მიერ ძვ. წ. XIII-XII სს. თარიღდება (მაკალათია [აკალატია 1932: 17], ნიორაძე [ნორადზე 1932: 82-97], ჯაფარიძე [ჯაფარიძე 1950: 35-85] ქორიძე [ქორიძე 1965: 108], მარტიროსიანი [Мартиросян 1964: 100], ბარამიძე [ბარამიძე 1965: 131], რამიშვილი [რამიშვილი 1979: 399]), აბრამიშვილი ძეგლს ძვ. წ. XIV-XIII სს. მიჯნის ახლო ხანებით ათარიღებს [აბრამიშვილი 1961: 318]. აბრამიშვილის თარიღი დამაჯერებლად მიიჩნია ფიცხელაურმა [Пицхелаури 1969: 178]. აქვე შევნიშნავ, რომ აღნიშნულ თარიღს ვიზიარებთ ჩვენც. არასერიოზულია სასირეთის განძისთვის ვალჩაკისა და სკაკოვის მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შემოთავაზებული თარიღი – ძვ.წ. IX-VIII სს. [Вальчак, Скаков 2002: 132-141]. ძვ.წ. IX-VIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის ფართო ათვისების ხანაა, როცა სასირეთის „განძის“ ნივთთა უმრავლესობა კარგა ხანია გამოსულია ხმარებიდან, მით უფრო სატევრები და წრიულსაყბეურიანი ლაგმები, რომლებსაც ავტორები ძეგლის დათარიღებისას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ეყრდნობიან. ძეგლის დათარიღება ორიოდე ფრაზით: «такую дату клада из Сасирети подтверждают и входящие в его состав кинжалы с рукоятками и кинжальные клинки»კატეგორიულად მიუღებელია.

სატევარი (ტაბ. I_2), აღმოსავლურქართული (კახური) ტიპის სატევრის ნატეხი (ტაბ. I_{15}), ოთხი კავი (ტაბ. I_{16}), ოთხი წრიულსაყბეურიანი ლაგამი (ტაბ. I_{7-10}), ორი შტანდარტი ფრინველის გამოსახულებით (ტაბ. I_{11-12}), ჯიხვის თავის სკულპტურული გამოსახულება (ტაბ. I_{13}),[6] სამფეხა ჭურჭელი ხუფზე ფრინველის გამოსახულებით (ტაბ. I_{14}), სატეხი (ტაბ. I_6);

სამთავრული კულტურის ძეგლებისთვის დამახასიათებელი – ორი ფოთლისებური სატევარი (ტაბ. $I_{3,5}$); კოლხური კულტურის წრის ძეგლებისთვის დამახასიათებელი ორი ცული (ტაბ. I_4); ცენტრალურკავკასიური ტიპის სატევარი (ტაბ. I_1), რომლის არეალიც ცენტრალური კავკასიის მთიანი ნაწილითა და შიდა ქართლის დასავლეთით შემოიფარგლება; ორი ბრტყელი ცული (ტაბ. I_{18}) დააბზინდა (ტაბ. I_{17}), რომლის კულტურული წარმომავლობაც მთლად ნათელი არ არის. თუმც გვაქვს გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს ნივთი ლჭაშენ-წითელგორულ კულტურას უკავშირდება. ამ ტიპის აბზინდის შემცველი მხოლოდ ოთხი კომპლექსია ცნობილი. აქედან, ორი – ბორნიღელეს №85 (ტაბ. II_1) და არტიკის №17 სამარხები (ტაბ. II_2), ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურის წრეში შედის; თავად სასირეთის „განძი“, რომელიც კულტურათა სინთეზს წარმოადგენს და აფხაზეთის განძი, რომელიც ქრონოლოგიურად გვიან პერიოდს ეკუთვნის (ტაბ. II_3) [Воронов 1968: ტაბ. XXXIX_{25}].

სასირეთის სინქრონული და ანალოგიური აბზინდების შემცველი ძეგლების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. XIII ს-ს არ გადმოსცდება.

ცენტრალურკავკასიური ბრინჯაოს სატევრების (ტაბ. II_{4-6}) ჩვენთვის ცნობილი ჩვიდმეტი ერთეულიდან მხოლოდ ერთია აღმოჩენილი ისტორიული თორის ტერიტორიაზე (მაჭარწყლის №1 სამარხი). ყველა დანარჩენი მათი ძირითადი გავრცელების ტერიტორიიდან მომდინარეობს. აქედან, ხუთი აღმოჩენილია თლიას სამაროვანზე [Техов 1963: სურ. 88], ერთი ყორნისში (ცხინვალის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, №626), ერთი ქვასათალში (იქვე, №2227), სამი ხაშურის რაიონში [Gambashidze, Hauptmann, Slotta, Yalcin 2001: სურ. 218; რამიშვილი 1999: ტაბ. I], ერთი ქარელის რაიონში – დოღლაურის II სამაროვანზე (სამარხი №22 (მასალა გამოუქვეყნებელია)[7] [გაგოშიძე, ჭანიშვილი 2014]; ჩრდილოეთ კავკასიაში –სამი აღმოჩენილია ყობანში [Техов 1963: ტაბ. VIII_5, $IX_{2,3}$], ერთი – ზემო რუთხის სამაროვანზე (№6 სამარხი) [Крупнов 1960: სურ. 23], ერთი – ზემო ბაქსანში (ტაბ. II_5). ჩამოთვლილთაგან დახურულ კომპლექსში მხოლოდ სამი დადასტურდა (მაჭარწყლის №1 სამარხი, ნაცარგორის №510 სამარხი და დოღლაური II-ის №22 სამარხი) (ტაბ. $II_{4,6}$). ყველა ამ სატევარს აერთიანებს ჩარჩოიანი ტარი, რომლის ფორმაც წინააზიური სატევარ-მახვილების ტარის მინაბაძს წარმოადგენს [Техов 1973: 101].

ბრტყელი ცული (ტაბ. I_{18}) ევრაზიის თითქმის მთელ ტერიტორიაზეა გავრცელებული. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ სახის იარაღი სამ ტიპად იყოფა [ქორიძე 1969: 5-29]. სასირეთის ცული III ტიპს მიეკუთვნება [ქორიძე 1969: 9, ტაბ. $III_{18,19}$]. ამ ჯგუფში ერთიანდება ყველაზე ადრეული ერთეულები, რომლებიც სასირეთისა და ბეშთაშენის (სამარხი №20) კომპლექსების მიხედვით, ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება [ქორიძე 1965: 108-110]. საქართველოში ბრტყელი ცულის III ტიპის არეალი შიდა და ქვემო ქართლით შემოიფარგლება [ქორიძე 1965, ტაბ. II_{1-8}]. საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამიერკავკასიაში ისინი აღმოჩენილია სომხეთისა და აზერბაიჯანის გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ძეგლებზე [Хачатрян 1959: სურ. 56].

ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ცული (ტაბ. $I_{19,20,21}$) წმინდა ამიერკავკასიურ კუთვნილებას წარმოადგენს და მის ფარგლებს გარეთ არ გვხვდება (ცნობილია მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ორი შემთხვევითი მონაპოვარი). მათი საერთო რაოდენობიდან (ასზე მეტი ერთეული) უდიდესი ნაწილი საქართველოშია აღმოჩენილი (80-ზე მეტი). აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია 70 (19 ერთეულის აღმოჩენის ადგილი უცნობია), აქედან დასავლეთ საქართველოში – 10, აზერბაიჯანში – 11, სომხეთში – 30.

მეტწილად საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი ამ ტიპის ცულის ქვის ყალიბებიც: ნაცარგორა-ცხინვალთან [გობეჯიშვილი

6 სასირეთის სკულპტურის ანალოგიური აღმოჩენილია არტიკის №79 სამარხში. ორივე სკულპტურას (სასირეთი, არტიკი) კისერზე შემოუყვება ერთმანეთის იდენტური წნული სარტყელი.

7 გამთხრელების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დოღლაურის სამაროვნიდან მომდინარე სატევარი დახურულ კომპლექსშია აღმოჩენილი. მათივე ცნობით, აღნიშნული ტიპის სატევრის შემცველ სამარხში სხვა ნივთებთან ერთად ბრინჯაოს ორი მასრაგახსნილი შუბისპირი და პირმოყრილი ჭურჭელი აღმოჩნდა. ამ უკანასკნელის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ.წ. XII ს-ით განისაზღვრება (ამის შესახებ. იხ. ახვლედიანი 2003)

1952: ტაბ. XXXII], ოფრეთი-შულავერის ხეობა [ბერძენიშვილი 1964: 7,სურ. 1], დმანისთან [ავალიშვილი 1968: 505-509], ითხვისში (მასალა გამოუქვეყნებელია), თბილისში [Abramishvili, Abramishvili 1997: 197, სურ. 207]. საქართველოს ფარგლებს გარეთ ანალოგიური ყალიბები აღმოჩენილია: აზერბაიჯანში – შამქორის რაიონში [Hummel 1933: 233-234, სურ. 29] და სომხეთში – ლენინაკანსა და კარმირ-ბლურზე [Хачатрян 1959,სურ. $57_{1,3}$].

ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ცულებისა და მათი ყალიბების აღმოჩენის ვითარება იმას მოწმობს, რომ მათი წარმოების ერთ-ერთი ძირითადი კერა აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ კი, შიდა და ქვემო ქართლი უნდა ყოფილიყო – თბილისი, ცხინვალი, ოფრეთი, დმანისი. ყალიბების აღმოჩენის დანარჩენი პუნქტებიდან ორი – ითხვისი და შამქორი, მდებარეობს არგვეთში და გარდაბანში, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ანტიკური ხანიდან დაწყებული მჭიდრო პოლიტიკურ და კულტურულ კავშირშია ქართლის სამეფოსთან, ხოლო მესამე და მეოთხე – ლენინაკანი და კარმირ-ბლური – მდებარეობს ქვემო ქართლის მომიჯნავე ტერიტორიაზე.

ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ცულის შემცველი ძეგლებიდან ყველაზე ადრეულია: ქვემო სასირეთის განძი (ტაბ. I), ნავთლუღის №1 სამარხი (ტაბ. III_2), ლჭაშენის ყორღანი [Мартиросян 1969: ტაბ. IX] და არტიკის სამარხები (№90,433) [Хачатрян 1979].

სამთავროს სამაროვანზე აღნიშნული ტიპის ცული აღმოჩენილია სამ სამარხში (№240, 591, 195). ეს იარაღი არსებობას იწყებს ძვ.წ. XIII საუკუნიდან აღმოსავლურქართული ტიპის ბრინჯაოს მთლიანადსხმულ სატევართან ერთად (სამარხი №240).

ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ცული ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურის დამახასიათებელი იარაღია, თუმცა ის არსებობას განაგრძობს ამ კულტურის დაცემის შემდეგაც. მისი ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. XIII-VII სს. განისაზღვრება [Abramishvili 1997: ტაბ. I, III].

ქრონოლოგიურ სისტემაში სასირეთის „განძის“ ადგილის სწორად განსაზღვრისთვის მეტად მნიშვნელოვანია აქ აღმოჩენილი კოლხური ტიპის ცული (ტაბ. I_4). კოლხური ცული ქრონოლოგიური პრინციპით პირველად დააჯგუფა დ. ქორიძემ [ქორიძე 1965]. მისი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, სასირეთის ცულები I ტიპს მიეკუთვნება. მაგრამ I ტიპის ცულებს შორის ქორიძე ორ ქვეტიპს განასხვავებს (ტაბ. IV) [ქორიძე 1965: 59-73], რომელთაგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პირველი უფრო ადრეულია, თუმცა დროის გარკვეულ მონაკვეთში ისინი, ბუნებრივია, თანაარსებობენ. სასირეთის ცული I_2 სახეობას ეკუთვნის.

ჩვენთვის საინტერესო ცულების ორივე ვარიანტი და ამავე იარაღის II სახეობა ქორიძის მიერ კოლხური ცულების განვითარების I ეტაპს განეკუთვნება და მათი არსებობის ძირითადი დრო ძვ.წ. XIV-XII სს-ით შემოიფარგლება [ქორიძე დ. 1965: 59].

ქართლის ტერიტორიიდან ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ბრინჯაოს კოლხური ცულების შემცველი ცხრა კომპლექსი მომდინარეობს: ქვემო სასირეთის „განძი“ (ტაბ. I_4), გორის „კოლექცია“ (ტაბ. V), ქვემო გოსტიბეს კომპლექსი (ტაბ. VI), ბეშთაშენის №11 სამარხი, სურამის „კოლექცია“ (ტაბ. VII), დგვრისის სამარხი [Техов 1963: სურ. 30], აბანოს „კოლექცია“(ტაბ. VIII) და ბორნიღელეს სამარხები (ტაბ. IX-X). ამათგან ბორნიღელეს სამარხებში I_1 ქვეტიპის კოლხური ცულები აღმოჩენილია ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევრებთან ერთად; დგვრისის კომპლექსში I_1 სახეობის კოლხურ ცულთან ერთად ნაპოვნია ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი და თავხვია საკინძი. სურამისა და აბანოს „კოლექციებში“ (ტაბ. VII-VIII). ამავე ქვეტიპის ცულები არსებობას აგრძელებენ გვიანდელი სახის ფოთლისებურ სატევრებთან ერთად.

I_1 და I_2 სახეობის კოლხური ცულების პროტოტიპები ერთად გვხვდება ურეკისა და ერგეს განძებში [ქორიძე 1965:ტაბ. I_{5-6}, ტაბ. VI]. I სახეობის ორივე ქვესახეობა (I_1 და I_2) ერთად არის აღმოჩენილი შემდეგ კომპლექსებში: ზემო კოჭოს განძი [რამიშვილი 1979:ტაბ. III], მელექედურის განძი [რამიშვილი 1979: ტაბ. VIII], დიდაჭარის განძი [ქორიძე 1965:ტაბ. XXXIV], დიღმის განძი [ქორიძე 1965:ტაბ. VIII], სურამის განძი [სახაროვა 1976:ტაბ. II].

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ I_1 და I_2 სახეობის ცულები სხვადასხვა რეგიონისთვის არის დამახასიათებელი და ამდენად, ეს სხვაობა ლოკალურობის მაუწყებლად მიგვეჩნია, მაგრამ მათი კარტოგრაფირება ამის საფუძველს არ გვაძლევს.

ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით გარკვეული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ I_1 სახეობის კოლხური ცული უფრო ადრეულია. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ცულების პროტოტიპებთან ერთად მეტწილად I_1 სახეობის ცულები თანაარსებობენ (ლიხნისა და მახოს განძები) [ქორიძე 1968:ტაბ. I_{1-13}; რამიშვილი 1979:ტაბ.

XXXIII]. ამასთან ერთად, გვაქვს ორივე ქვესახეობის ცულების თანაარსებობის შემთხვევები – მელექედურის განძი, სადაც ცულის პროტოტიპს ენაცვლება თოხის პროტოტიპი [რამიშვილი 1979:ტაბ. XVI]. მაგრამ არა გვაქვს არცერთი შემთხვევა, პროტოტიპებთან მხოლოდ I_2 სახეობის ცულების თანაარსებობისა.

აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია მკვლევართა იმ ნაწილის პოზიცია, რომელთა თვალსაზრისითაც სასირეთის „განძი" და მასთან ერთად მთელი რიგი ძეგლები უფრო ადრეულია, ვიდრე სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი კომპლექსები.

ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი (ტაბ. $I_{3,5}$) და ბრინჯაოს აღმოსავლურქართული ტიპის (კახური) შედგენილტარიანი სატევარი საგანგებო განხილვის საგანია, რადგან ქრონოლოგიურ სისტემაში მათი ადგილის განსაზღვრასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სამთავრული და ლჭაშენ-წითელგორული არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხიც.

ფოთლისებური სატევარი სამთავრული კულტურის (ადრეული ქრონოლოგიური ჯგუფის) განმსაზღვრელი იარაღია, მაგრამ მისი არსებობა მთელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე თანადროული არ არის. სამთავროს სამაროვანზე ფოთლისებური სატევარი დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში არსებობს, ხოლო მის ჩრდილოეთით და დასავლეთით უფრო დიდხანს ძლებს (ფოთლისებური სატევრის გვიანდელი სახეები – სასირეთი, სურამი).

შედარებით დიდხანს ძლებს ფოთლისებური სატევარი კოლხური და ყობანური კულტურების გავრცელების ტერიტორიაზეც. ამიტომ, როცა ლაპარაკია ფოთლისებური და შედგენილტარიანი სატევრების ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ფოთლისებური სატევრები და არა ზოგადად ფოთლისებური სატევრები, თუნდაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულნი.

კახური ტიპის შედგენილტარიანი სატევარი შიდა ქართლში ფოთლისებურსა და მთლიანადსხმულს შორის გარდამავლად მოიაზრება [ლომთათიძე 1974: 70-72; აბრამიშვილი 1957: 138; ჩუბინიშვილი 1950: 103]. ასეთ შემთხვევაში კი ბუნებრივია, რომ შედგენილტარიანი სატევარი დროის გარკვეულ მონაკვეთში, როგორც ფოთლისებური, ისე მთლიანადსხმული სატევრების სინქრონულია. ასევე შეუძლებელია, რომ ფოთლისებურ სატევარს და მისი მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფისთვის დამახასიათებელ შედგენილტარიან სატევარს ქრონოლოგიური კონტაქტები არ ჰქონოდათ.[8]

შესაბამისად, შედგენილტარიან სატევრებთან ვხვდებით ისეთ ნივთებს, რომლებიც უკვე არსებობენ ფოთლისებური სატევრების შემცველ კომპლექსებში.

ასეთი შედგენილობის კომპლექსები (სამთავროს №44 სამარხი – თავხვია საკინძითა და მასრაგახსნილი შუბისპირით (ტაბ. III_1), გოსტიბეს კომპლექსი (ტაბ. VI), ნავთლუღის №1 სამარხი (ტაბ. III_2) მკვლევართა ნაწილს ფოთლისებური და შედგენილტარიანი სატევრების სინქრონულობის საბუთად მიაჩნია, ნაწილს კი მთლიანადსხმულ სატევრებთან შედარებით შედგენილტარიანი სატევრების ადრეულობის მტკიცებულებად [Пицхелаури 1969: 174-185; აბრამიშვილი 1957: 138].

შედგენილტარიანი სატევრების შემცველ კომპლექსებში, გარდა ფოთლისებური სატევრების შემცველი სამარხებისთვის დამახასიათებელი ნივთებისა, გვხვდება: სარდიონის ექვსწახნაგა მძივები – ვანთის სამარხი (ტაბ. III_4), სათვალისწყლის №8 სამარხი (ტაბ. III_6), ლჭაშენის №2 ყორღანი; ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ცულები – სასირეთის განძი (ტაბ. $I_{19,20,21}$), ნავთლუღის №1 სამარხი (ტაბ. III_2), ლჭაშენის №1 ყორღანი [Мартиросян 1964, ტაბ. IX_1] და სპილენძის ფურცლისგან დამზადებული ქვაბი – ნავთლუღის №1 სამარხი (ტაბ. III_2), ორხევის კომპლექსი (ტაბ. III_3).

სამთავროს სამაროვანზე ფოთლისებური სატევრების შემცველი ფენის 70-მდე სამარხია გათხრილი. არცერთ მათგანში არ არის აღმოჩენილი არც სარდიონის ექვსწახნაგა მძივი, არც ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ცული და არც სპილენძის ფურცლისგან დამზადებული ქვაბი. ყველა ამ ნივთს სამთავროს სამაროვანზე მხოლოდ ფოთლისებური სატევრების მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხებში ვხვდებით. ამიტომაც, ის ფაქტი, რომ ფოთლისებური სატევრები წინ უსწრებს შედგენილტარიან სატევრებს, უდავოდ მიგვაჩნია.

იორ-ალაზნის ტერიტორიისთვის არის დამახასიათებელი ასევე ბრინჯაოს მთლიანადსხმული შუბისპირი მასრაზე ორი რელიეფური სალტით, რომელიც ქრონოლოგიურად რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს კახური ტი-

8 იმ ფაქტს, რომ ორი მომიჯნავე ქრონოლოგიური ჯგუფის გადაკვეთაზე მათთვის დამახასიათებელი ნივთები დროის მოკლე მონაკვეთში თანაარსებობენ, მტკიცება არ სჭირდება.

პის სატევრებს. ამას უნდა ადასტურებდეს აღნიშნული შუბისპირების აღმოჩენა სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველ სამარხებში (№№ 80, 101, 228).

სასირეთის განძში კახური ტიპის შედგენილტარიანი სატევრის ნატეხთან ერთად აღმოჩნდა სამხრეთამიერკავკასიური ტიპის ასევე შედგენილტარიანი სატევარი (ტაბ. I_2), რომლის არეალიც მოიცავს სომხეთს, აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ აზერბაიჯანს. მათი საერთო რაოდენობის დიდი ნაწილი სომხეთის ძეგლებიდან მომდინარეობს, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთეულები კი სამხრეთამიერკავკასიური სატევრების ადგილობრივ ვარიანტს წარმოადგენს.

სასირეთის „განძის" გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის სატევრების შემცველი რამდენიმე კომპლექსია ცნობილი: ჩურისხევის „კოლექცია" (ტაბ. III_8), გორის „კოლექცია" (ტაბ. V), რველის „კოლექცია" (ტაბ. III_7), ყვიბისის „კოლექცია" (ბორჯომის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი). ყვიბისის სატევრის ანალოგიური აღმოჩენილია არტიკის №107 სამარხში [Хачатрян 1979: 155] (სხვაობა მათ შორის მხოლოდ ქუდის დაჭვირვაშია); წეროვნის №22 სამარხი (ტაბ. II_8), წაღვლის №62 სამარხი (ტაბ. II_7), შილდის კომპლექსი (ტაბ. XI).

სამხრეთამიერკავკასიური ტიპის სატევრების ცალკეული ერთეულები აღმოჩენილია: გომნაში [ნიორაძე 1974:ტაბ. XII], კიკეთსა (სემ №44-58: 1) და ყორნისში [Куфтин 1969, ტაბ. IX_1].

სამხრეთამიერკავკასიური და აღმოსავლურქართული (კახური) ტიპის შედგენილტარიანი სატევრები ერთად არის აღმოჩენილი სასირეთსა და ჩურისხევში (ტაბ. $I_{2,15}$; ტაბ. III_8), რაც მათ გარკვეულ სინქრონულობაზე მეტყველებს. ამასვე ადასტურებს ფევრების №6 სამარხში კახური ტიპისშედგენილტარიან სატევართან ერთად აღმოჩენილი საკინძი (ტაბ. III_5), რომლის ზუსტი ანალოგებიც აღმოჩენილია არტიკის შედგენილტარიანი (სამხრეთამიერკავკასიური) სატევრების შემცველ სამარხებში (ტაბ. $XII_{2,3,4}$).

ჩვენთვის საინტერესო სატევრებისგან სრულიად განსხვავებული ორნამენტია დატანილი ანთოკის კომპლექსის შედგენილტარიანი სატევრის პირზე (ტაბ. XIII). ამგვარი ორნამენტი კულტურული კუთვნილების მანიშნებელია და ის ლჭაშენ-წითელგორული და მისი ლოკალური, განჯა-ყარაბაღული, არქეოლოგიური კულტურისთვის არის დამახასიათებელი. ამავე კომპლექსის ჯვრისებური საკიდის ანალოგიური აღმოჩენილია წითელგორების №1 ყორღანში (ტაბ. XIV_6). ამ ყორღანის ბრინჯაოს ბალთის ანალოგიური კი არტიკის №448 სამარხში, სადაც სამხრეთამიერკავკასიური ტიპის შედგენილტარიანი სატევარი და ამავე რეგიონისთვის დამახასითებელი შუბისპირია აღმოჩენილი (ტაბ. XII_1).

ანალოგიური შუბისპირი აღმოჩნდა შილდის სამლოცველოს თიხის ჭურჭელში ბრინჯაოსტარიან ფოთლისებურ სატევარსა და სამხრეთამიერკავკასიური ტიპის შედგენილტარიან სატევართან ერთად (ტაბ. XI). აქვე აღმოჩნდა სარდიონის ექვსწახნაგა მძივი და მასრაგახსნილი შუბისპირები [ფანცხავა, მაისურაძე 1984, ტაბ. XXXIX], რაც თავის მხრივ, ორი ქრონოლოგიური ჯგუფის გადაკვეთაზე მიუთითებს (ძვ.წ. XV-XIV და ძვ.წ. XIII-XII სს.).

სამხრეთამიერკავკასიური ტიპის სატევარი, შუბისპირი და წითელგორული ბალთა აღმოჩენილია რველის კომპლექსში მასრაგახსნილ შუბისპირთან და ხუთკოპა საკინძთან ერთად (ტაბ. III_7). სათვალისწყლის №8 სამარხში ერთად აღმოჩნდა წითელგორული ბალთა, სამხრეთამიერკავკასიური სატევარი და სარდიონის ექვსწახნაგა მძივი (ტაბ. III_6). სარდიონის ექვსწახნაგა მძივი აღმოჩნდა არტიკის № 625 სამარხში ცილინდრულ საბეჭდავთან ერთად [Хачатрян 1979: 395], რომლის ანალოგების ზედა ქრონოლოგიური საზღვარიც ბარტელდ ჰრუდას დასკვნით ძვ.წ. XII საუკუნეს აღწევს [Kossak 1983: 140-171].

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსი ზოგადად წითელგორების №1 ყორღანის სინქრონულია. ეს უკანასკნელი ლჭაშენის ყორღანების სინქრონული ძეგლია. თავის მხრივ, ლჭაშენის ყორღანები აქ აღმოჩენილი წრიულსაყბეურებიანი ლაგმებითა და მცირე პლასტიკით არტიკის სამარხებსა და სასირეთის „განძს" უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთამიერკავკასიური და აღმოსავლურქართული შედგენილტარიანი სატევრები ძირითადად თანადროულნი არიან, გვაქვს გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სამხრეთამიერკავკასიური შედგენილტარიანი სატევრების ერთი ნაწილი ქრონოლოგიურად რამდენადმე წინ უსწრებს კახური ტიპის შედგენილტარიან სატევრებს და შიდა ქართლში ფოთლისებური სატევრების არსებობის ძირითად დროს უნდა ეკუთვნოდეს. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს კუშჩის №8 სამარხი, სადაც ერთად აღმოჩნდა სამხრეთამიერკავკასიური შედგენილტარიანი სატევარი და მასრაგახსნილი შუბისპირი (ტაბ. XV). ანალო-

გიური შუბისპირები აღმოჩენილია შილდის სამლოცველზე (ტაბ. $XVI_{1,2}$) და თრელის სამაროვნის №74 სამარხში, რომელიც შუაბრინჯაოს პერიოდს ეკუთვნის (ტაბ. XVI_3).

ამ შუბისპირებთან დიდ მსგავსებას პოულობს ტალიშში, ჰასან-ზამინის ორნაწილიან ქვის სამარხში აღმოჩენილი შუბისპირი (ტაბ. XVI_4). ჰასან-ზამინის ამავე სამარხში მოჭიქულ საბეჭდავებთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს კონუსური მძივები (ტაბ. XVI_6), რომელთა ანთიმონის ანალოგიც აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის ძვ.წ. XV-XIV სს. დათარიღებულ №264 სამარხში. ჰასან-ზამინის საბეჭდავი ცილინდრის გამოსახულება მსგავსებას პოულობს გეზერის საბეჭდავი ცილინდრის გამოსახულებასთან [Shaeffer 1948: 410,სურ. $30_{1,4}$]. შეფერის მიხედვით, ეს ძეგლები ცილინდრების ეპოქას ანუ ტალიშის გვიანი ბრინჯაო II საფეხურს ეკუთვნის (ძვ.წ. 1450-1350წწ.) [Shaeffer 1948: 415-417].

კუშჩის №8 სამარხში ნაპოვნი პასტის ბიკონუსური, დაღარული მძივის (ტაბ. XV_2) ანალოგიური მძივები აღმოჩენილია არტიკის სამარხებში (№№ 96, 129, 177, 180, 297,317, 418, 423), წითელგორების №1 ყორღანში (ტაბ. XIV_1), ლორი-ბერდის ყორღანებში (№№2 და 7) [Деведжян 1981:ტაბ. IX,3,4] და ტალიშში, ჩილა-ჰანეს №2 დოლმენში (ტაბ. XVI_5). ლჭაშენის №10 ყორღანში ასეთივე მძივი აღმოჩენილია სარდიონის ექვსწახნაგა მძივთან ერთად. ამ მძივის შემცველ ძეგლებს შეფერი ტალიშის გვიანი ბრინჯაოს 2-3 პერიოდებს აკუთვნებს (ძვ.წ. 1450-1350 და 1400-1200წწ.) [Shaeffer 1948: 415-417].

კუშჩის №8 სამარხის მასრაგახსნილი შუბისპირის ანალოგების შემცველი ძეგლები წინა აზიის ცილინდრულ საბეჭდავებზე დაყრდნობით აბსოლუტურ დათარიღებას ექვემდებარება და მათი თარიღი ძვ.წ. XV ს. მეორე ნახევრითა და XIVს-ით განისაზღვრება. ის ფაქტი, რომ კუშჩის №8 სამარხი სხვა მრავალ ნივთთან ერთად განჯა-ყარაბაღულ სატევარსაც შეიცავს, ცენტრალურამიერკავკასიური (ფიცხელაურის მიხედვით) და განჯა-ყარაბაღული კულტურების სინქრონულობის ბრწყინვალე მაგალითია, ისე როგორც ფევრების №6 და სათვალისწყლის №8 სამარხები აქ აღმოჩენილი შედგენილტარიანი სატევრებით, წითელგორული ბალთებით, ჭვირული საკიდებით და ზემოთ ხსენებული საკინძებით (ტაბ. $III_{5,6}$) ცენტრალურამიერკავკასიური და იორ-ალაზნის არქეოლოგიური კულტურების სინქრონულობის ბრწყინვალე მაგალითია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი სინქრონული არქეოლოგიური კულტურა თანაარსებობდა. შესაბამისად, აღმოსავლეთ საქართველოს ზოომორფულყურიანი კერამიკის მატარებელი საზოგადოების არქეოლოგიურ კულტურასა (სამთავრული არქეოლოგიური კულტურა) და ლჭაშენ-წითელგორულ არქეოლოგიურ კულტურას შორის სხვაობა არის არა ქრონოლოგიური, არამედ კულტურულ-რეგიონალური.

N. Akhvlediani, I. Sultanishvili

ON THE QUESTION OF THE CHRONOLOGY OF THE LATE BRONZE AND EARLY IRON AGE MONUMENTS EXCAVATED IN EAST GEORGIA (THE "TREASURY" OF SASIRETI)

Summary

In order to understand the chronological relation of the archaeological cultures of the Transcaucasia belonging to the second half of the II millennium, highly significant is the study of the Sasireti "Treasury" (Table I), since this is the monument containing the material of the entire Transcaucasia which define all the archaeological cultures and their local variations of the Late Bronze and Early Iron Age and the dagger bearing the features of the archaeological culture belonging to the central part of the mountainous region of the Caucasus.

Part of the Sasireti "Treasury", specifically the cheek-pieces find resemblance to those analogous consistently excavated throughout quite a large region. With these cheek-pieces the Sasireti "Treasury" is related to the earliest monuments of the Late Bronze Age found in Lchasheni and Artik [Khachatrjan T. 1979, grave #79; MartirosjanA.1964, Tab.

VIII].Also, the artefacts excavated here make up the best possible material for the determining of the absolute dates of the monuments. According to the aforementioned cheek-pieces, the Sasireti "Treasury" is undoubtedly synchronous withburial mound #1 of Aradeti Orgora. Ceramic objects found in the latter find similarity with such important monuments as burial mound #4 of Berikldeebi and Tsitelgorebi. All this enables us to give a correct synchronization to these foremost archaeological monuments. The defining of the chronology and periodization of the Sasireti "Treasury" opens up the way to the defining of the correlation of the chronological systems in the Transcaucasian cultures, and on the other hand, this makes it possible to examine the date of this monument according to chronological systems adopted for the individual archaeological cultures of Transcaucasia and their local variations. In addition, the Sasireti "Treasury" allows us to synchronize not only numerous monuments of Transcaucasia but also those of entire Caucasia and Euro-Asia, at large.

Lower Sasireti "Treasury" is dated from XIII-XII cc. BC by most of the scholars (Makalatia S. 1932:17, Nioradze G. 1932:82-97, Japaridze O. 1950:35-85, Koridze D. 1965:108, Martirosyan A. 1964:100, Baramidze M. 1965:131, Ramishvili A. 1979:399); Abramishvili dates the monument from close to the turn of the XIV-XIII cc. BC (Abramishvili R. 1961:318). Pitskhelauri supports the date determined by Abramishvili (Pitskhelauri 1969:178). Here, we should notice that we also confirm this date. Considering the IX-VIII cc. BC as the correct date for the Sasireti "Treasury" without providing this assumption with any proofs is not a serious idea offered by Valchak and Skakov (Valchak C., Skakov A. 2002:132-141). The IX-VIII cc. BC is the age of introducing iron in East Georgia when most of the objects of the Sasireti Treasury are outdated no longer being used, and all the more so, daggers and circled cheek-bits which the authors base their date for the monument. To date the monument by suggesting just one phrase "The date we propose for the Sasireti "Treasury" is proved by the presence of daggers with tilts and dagger blades among other objects is categorically unacceptable.

For the present, there have been worked out several chronological scales for the dating of the Late Bronze and Early Iron Age monuments excavated in East Georgia (R. Abramishvili, K. Pitskhelauri, M. Baramidze, V. Sadradze, A. Ramishvili) [AbramishviliR. 1957; Pitskhelauri K. 1973; BaramidzeM. 1965; SadradzeV. 2002; RamishviliA. 2004]. Among those, main are two different from each other's chronological systems (R. Abramishvili and K. Pitskhelauri), which have served as the core of the rest of them. Taking into account the fact that the ceramics of the Late Bronze and Early Iron Age is conservative in the maintenance of their forms for a long time, the chronological system of the mentioned period must be based on the development of the bronze metallurgy encompassing ceramic material also. This is the principle used by Abramishvili while structuring this chronological system which is why I give priority to it among them.

Abramishvili, as early as in one of his earliest works [2. P.312], expressed his surmise as to a synchronic existence of two different archaeological cultures on the territory of East Georgia in the third quarter of the II millennium (XV-XIII cc. BC).

Later, Pitskhelauri expressed an opinion that the monuments of this period are homogeneous throughout the entire central Transcaucasia (by his chronological system 1350-1250 BC.) [Pitskhelauri K. 1973:161, Tb. XIX], and at the following stage, archaeological cultures generated on the basis of this unified culture (on the territory of Shida-Kartli – that of Samtavro, and on the territory of Kakheti – that of Ior-Alazani)[Pitskhelauri K. 1973:161]. The foremost monuments of this quite intrinsic and disputed archaeological culture on the territory of East Georgia are represented by two burial mounds of Tsitelgorebi opened in the region of Lagodekhi, which together with the burial mounds, opened in Lchashen in Armenia, are marked out with their opulence from the typical monuments excavated before in Transcaucasia.

Both Burial mounds of Tsitelgorebi are considered to be monuments representing two different stages of the same archaeological culture. According to the two chronological systems (Abramishvili, Pitskhelauri) burial mound #2 is earliest and both authors date it between 1450-1350 BC. The aforementioned date correlates to the Late Bronze Age according to Abramishvili; the same date belongs to the turn of the Middle Bronze to the Late bronze Age [Abramishvili R. 1997, Tab. III; Pitskhelauri K. 1973,Tab.XIX]. 2 Burial mound #1 of Tsitelgorebi was dated by Pitskhelauri by 1350-1250 BC, whereas Abramishvili dated it from the end of the XIV c. and XIII c.

Despite the fact that there is no practical variation between the dates adopted by the two authors for the burial mounds of Tsitelgorebi (the existing difference cannot become a subject for principle argumentation), according to the chronological systems made up by them, in the second half of the II millennium on the territory of East Georgia we have two controversial pictures describing the social-economic and cultural-political development of the population.

From Pitskhelauri's point of view, the Samtavro archaeological culture, developed in the Late Bronze and Early Iron Age on the territory of ShidaKartli, is chronologically preceded by the culture of Central Transcaucasia. Whereas according to Abramishvili, in the aforementioned period two archaeological cultures on the territory of East Georgia (that of Samtavro and that of Lchashen-Tsitelgorebi (which Pitskhelauri names as Central Transcaucasian culture) emerged on one and the same chronological level. The border between them was drawn along the River Aragvi. From the west of the Aragvi River up to the Black Sea there existed the unified cultural-historical society of ceramic with zoomorphic handles consisting of two archaeological cultures – that of Colchis and that of Samtavro. And to its east, there existed the unified cultural-historical society of the archaeological cultures of Lchashen and Tsitelgorebi burial mounds covering almost the whole of Armenia, West Azerbaijan and for a certain period of time, the eastern and southern parts of East Georgia [Abramishvili R. and M. 1995:191-193]. This cultural-historical unity itself also consisted of several archaeological cultures. Among them, on the territory of Georgia conspicuous are the so called Ior-Alazani and Tori archaeological cultures [Abramishvili R. and M. 1995:191-193]. As concerns Shida Kartli, across this territory these two cultural-historical units collided with each other over the respective purposes and this allows us to surmise that their coexistence here must have been less peaceful.The Lchashen-Tsitelgorebi archaeological culture, stands out among the cultures prior to it as well as its synchronic ones with a sharp change in metallurgy. Daggers with shanks are substituted by bronze daggers and swords of the type of those from Asia Minor, from which takes its origin the weaponry of Lchashen-Tsitelgorebi proper. There emerge chain mail plates, bidents, tridents, spear-heads with closed sockets, etc.

Despite the fact that the Lchashen-Tsitelgorebi archaeological culture does not know iron metallurgy, the elite of this society uses the achievements of the neighbouring tribes (i.e. there live in this culture the users of this expensive innovation). The proof of this supposition must be the fact that in the opulent graves (Tsitelgorebi, Lchasheni, Lori-berdi, Garajamirli) iron is not found, whereas the monuments of this cultural circle in which iron is found (burial mound #4 of Berikldeebi, grave #65 of Treli, grave #74 of Tserovani) is within the area of Samtavro culture.

The most part of the Sasireti treasury bears the traits of similar to the monuments belonging to the circle of the Lchashen-Tsitelgorebi archaeological culture. Those made of bronze are:three axes of the central Transcaucasian type (Tab. $I_{19, 20,21}$), a dagger of the South Caucasian type (Tab. I_2), part of a dagger of East Georgian (Kakhetian) type (Tab. I_{15}), four hooks (Tab. I_{16}),four bridles with circled cheek-bits (Tab. I_{7-10}), two staffs with bird's images (Tab. I_{11-12}), a sculptural image of an ibex head (Tab. I_{13}, the analogous of this Sasireti sculpture has been excavated in grave #79 of Artik; both sculptures (Sasireti, Artik) have identical plated bands around the necks); a tripod vessel with a bird's image on the lid (Tab. I_{14}),a chisel(Tab.I_6). Characteristic to the Samtavro culture monuments – two leaf-shaped daggers (Tab. $I_{3,5}$); two axes characteristic to the circle of the Colchian culture (Tab.I_4); a dagger of the Central Caucasian type (Tab. I_1); the area of the expansion of the latter encompasses the mountainous part of the Central Caucasus and the western part of Shida Kartli; two flat axes (Tab. I_{18}) and a buckle (Tab. I_{17}), the provenance of the latter is not quite clear. However, we have certain reasons to surmise that this object finds its link with the Lchashen-Tsielgorebi culture. Only four complexes are known to have contained the buckles of this type, two out of which – Bornighele #85 (Tab. II_1) and Artik #17 graves (Tab. II_2) – belong to the circle of the Lchashen-Tsitelgorebi archaeological culture; the Sasireti Treasury itself, which represent a synthesis of various cultures and the treasury of Apkhazeti, which belong to a later chronological period (Voronov J. 1968, Tab. XXXIX_{25}). The upper chronological limit of the monuments containing the synchronic and analogous buckles to Sasireti does not exceed the XIII century BC. Neither does the date of the complexes containing the analogous objects, which are among the Sasireti Treasury and help define this or that culture, exceed the XIII century.

Every monument studied in the present work, which find there provenance from various archaeological cultures and are synchronous to the Sasireti Treasury are, at large, synchronous to burial mound #1 of Tsitelgorebi. The latter is synchronous to the Lchasheni burial mounds. The Lchasheni burial mounds by themselves are linked with the Artik graves and the Sasireti Treasury with their bridles of circled cheek-bits and minor plastic art.

In conclusion, we deem it correct to suppose that throughout the period we have studied two synchronous archaeological cultures coexisted on the territory of East Georgia. Accordingly, the difference between the archaeological culture of the society using ceramic with zoomorphic handles (the Samtavro archaeological culture on the territory of East Georgia) and that of Lchashen-Tsitelgorebi is not chronological but cultural and regional.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, XIXA-XXIB, გვ.115-139.

აბრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, XXII-B, გვ. 291-380.

აბრამიშვილი რ. 1978: თრელის შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. – თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი, გვ. 86-139.

აბრამიშვილი რ. 1980: ამიერკავკასიის არქეოლოგიური კულტურები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. – თბილისში საკავშირო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება, ხელნაბეჭდი (დაცულია რ. აბრამიშვილის არქივში).

ახვლედიანი ნ. 2003: პირმოყრილი ჭურჭლის თარიღისათვის. – კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები [ძიებანი, დამატებანი X], თბილისი, გვ. 59-65.

ავალიშვილი გ. 1968: მეტალურგიის ძველი კერა ქვემო ქართლში. – სმამ, გვ. 14-20.

ბარამიძე მ. 1965:კასპის სამაროვანი. – მსკა, IV, გვ. 31-66.

ბარამიძე მ. 1974: შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. – მსკა, VI, გვ. 124-135.

ბერძენიშვილი დ. 1964: ბოლნისის ისტორიის გეოგრაფიის საკითხები. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბილისი, გვ. 5-49.

გაგოშიძე ი., ჭანიშვილი თ., 2014: დოღლაურის II სამაროვანზე 2013 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში წაკითხული საანგარიშო მოხსენება.

გობეჯიშვილი გ. 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი.

ლომთათიძე გ. 1974: ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბილისი.

ნიორაძე გ. 1974: არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში. – სსმმ, XIII-B, გვ. 173-200.

ნუცუბიძე ა. 1960: ალაზნის ველის ძვ.წ. XIV-XII სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

რამიშვილი ა. 1979: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

რამიშვილი ა. 1999: მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები ფლევის ნავთობსადენი სადგურის მშენებლობისას. – მილსადენის არქეოლოგია, I, თბილისი, გვ. 55-70.

რამიშვილი ა. 2004: შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიის პრობლემები. თბილისი.

სადრაძე ვ. 2002: მცხეთისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური ძეგლები ძვ.წ. II ათასწლეულის და I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი.

სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.

ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ. 1984: შილდის სამლოცველო. თბილისი.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ქორიძე დ. 1968: ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხი. – სსმმ, XXVII-B, გვ. 15-29.

ქორიძე დ. 1969: საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრტყელი ცულების კლასიფიკაციის და გენეზისის საკითხისათვის. – სსმმ, XXVIII-B, გვ. 5-29.

ჩუბინიშვილი ტ. 1950: გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. – სსმმ, XVI-B, გვ. 9-34.

ჩუბინიშვილი ტ. 1957: მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი

ჯაფარიძე ო. 1950: კოლხური ცული. – სსმმ, XVI-B, გვ.35-87.

Абрамишвили Р.М. **1978:** Хронология и периодизация памятников эпохи бронзы – раннего железа ВосточнойГрузии и

синхронизация с ним основных комплексов Закавказья. – სიღნაღის საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენება, ხელნაწერი. მოხსენების ტაბულები გამოიცა 1997 წელს მ. აბრამიშვილის რედაქტორობით:

Abramishvili R.M. 1997: Cronological ordering at archaeological finds of Transcaucasia. – Bulletin of Tbilisi Archeological museum, N 1, Tbilisi.

Вальчак С.Б., Скаков А.Ю. **2002**: Клад из Мехчис-Цихе в контексте хронологии некоторых археологических памятников Юго-Западного Закавказья. – Российская Археология, № 2, Москва, 132-141.

Воронов Ю. Н. **1968**: Археологическая карта Абхазии, Сухуми.

Гамбашидзе О., Квижинадзе К. **1984:** Месхет-Джавахетская экспедиция. –ПАИ, 1981, 18-20.

Гамбашидзе О., Квижинадзе К. **1981**: Работы Месхет-Джавахетской экспедициию –ПАИ, 1978, 57-64.

Гамбашидзе О., Гамбашидзе И. **1987:** Месхет-Джавахетская экспедиция в 1984 году. –ПАИ, 1984-1985, 28-31.

Гамбашидзе О., Гамбашидзе И. **1991**: Основные результаты работ Месхет-Джавахетской экспедиции в 1985-1986 гг. – ПАИ, 1986, 27-34.

Деведжян С. Г. 1981: Лори-Берд, т. I, Ереван.

Ивановский А. А. 1911: По Закавказью. Материалы по археологии Кавказа, VI, Москва.

Иессен А.А. 1941: Археологические памятники Кабардино-балкарии. –МИА, № 3, 7-36.

Куфтин Б. А. 1969: Археологическая маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси.

Крупнов Е. М. 1960: Древняя история Северного Кавказа, Москва.

Марковин В. Н. 1969: Дагестан и горная Чечня в древности, Москва.

Мартиросян А.А. 1964: Армения в эпоху поздней бронзы и раннего железа, Ереван.

Пицхелаури К.Н. 1969: Локализация археологических культур на территории Восточной Грузии. –ТКАЭ, т.I, 160-205.

Пицхелаури К.Н. 1969: Восточная Грузия в конце бронзового века. Тбилиси.

Садрадзе В. Г. 1991: Мцхета в XV-XII вв. до н.э., Тбилиси.

Техов Б.В. 1963: К истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в нижнем течении реки Большой Лиахви. Тбилиси.

Техов Б.В. 1973: Центральный Кавказ XVI-X вв. до н.э. Москва.

Уварова П.С. 1900: Могильники северного Кавказа. Материалы по археологии Кавказа, т. VIII, Москва.

Хачатрян Т.С. 1959: Орудия труда эпохи поздней бронзы и раннего железа в Армении. – Труды государственного исторического музея Армении. т. V. Ереван.

Хачатрян Т.С. 1979: Артикский Некрополь. Ереван.

Abramishvili R. und M. 1995: Archaologische Denkmäler in Tbilisi unter Wegs zum Goldenen Vlies, Archäologische Funde aus Georgian, Saarbrüchen.

Gambashidze I., Hauptmann A., Slotta R., Yalcin U. 2001: Georgian Schätze Aus dem lend des Goldenen Vies. Bochum.

Hummel J. 1933: Zur Archaeologie Azerbaidzans. – ESA, VIII, 311-34.

Kossak G. 1983: Tli grab 85. Bemerkungen zum Beginn des skytheratlichen Formenkreises in Kaukasus. – Beiträge zur Allgameinen und Vergleichenden Archäologie, 89-186.

Makalatia S. 1932: Découverte archéologique en Géorgie. –Mittelungen der Antropologischen Gesellschatt in Wien. LXII.

Nioradze G. 1932:, Der verwahrfund von Kvemo Sasireti (Georgia, Rayon Kaspi). – ESA, 82-97.

Shaeffer Cl. 1948: Stratigraphie Comparee et chronologie de l'Asie occidentales. Oxford.

ტაბულების განმარტება

ტაბ. I – ქვემო სასირეთის „განძი“ (ყველა ნივთი ბრინჯაოსია): 1. ცენტრალურკავკასიური ტიპის სატევარი; 2. სამხრეთამიერკავკასიური ტიპის სატევარი; 3,5. ფოთლისებური სატევრები; 4. კოლხური ტიპის ცული; 6. სატეხი;7-10. წრიულსაყბეურიანი ლაგმები; 11-12. შტანდარტები ფრინველის სკულპტურული გამოსახულებით; 13. ჯიხვის თავის სკულპტურული გამოსახულება; 14. სამფეხა ჭურჭელი ხუფზე ფრინველის გამოსახულებით; 15. აღმოსავლურქართული ტიპის სატევრის ნატეხი; 16. კავები; 17. აბზინდა; 18. ბრტყელი ცული; 19-21. ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ცულები. (რ. აბრამიშვილის მიხედვით).

ტაბ. II – 1-3. ბრინჯაოს აბზინდები: 1) ბორნიღელეს № 85 სამარხი (ო. ღამბაშიძის მიხედვით) [Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1991, ტაბ. 68]; 2) არტიკის №17 სამარხი (ტ. ხაჩატრიანის მიხედვით) [Хачатрян 1979: გვ.121]; 3) აფხაზეთის განძი (ი. ვორონოვის მიხედვით) [Воронов 1968: ტაბ. XXXIX_{25}]; 4-6. ბრინჯაოს სატევრები ჩარჩოიანი ტარით: 4) მაჭარწყლის №1 სამარხი (ო. ღამბაშიძის მიხედვით) [Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1991: ტაბ. 68]; 5) ზემო ბაქსანი (ა. იესენის მიხედვით) [Иессен 1941,ტაბ. II_5]; 6) ნაცარგორის №510 სამარხი (ა. რამიშვილისმიხედვით) [Ramishvili 1991: ტაბ. I]; 7-8. სამხრეთამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს სატევრები: 7) წაღვლის №62 სამარხი (ა. რამიშვილის მიხედვით) [რამიშვილი ალ. 2004: ნახ. 88]; 8) წეროვნის №22 სამარხი (ვ. სადრაძისმიხედვით) [Садрадзе 1991: ტაბ. LXXIX].

ტაბ. III – 1. სამთავროს № 44 სამარხი, 2. ნავთლუღის № 1 სამარხი; 3. ორხევის კომპლექსი (რ. აბრამიშვილის მიხედვით); 4. ვანთის სამარხი (ა. ნუცუბიძისმიხედვით) [ნუცუბიძე 1960: ტაბ. XXXVIII]; 5. ფევრების №6 სამარხი (კ. ფიცხელაურის მიხედვით) [Пицхелаури 1969: ტაბ. XXX]; 6. სათვალისწყლის № 8 სამარხი (ა. ნუცუბიძის მიხედვით) [ნუცუბიძე 1960, ტაბ: XXXVIII]; 7. რველის კოლექცია (ო. ღამბაშიძის მიხედვით) [Гамбашидзе, Квижинадзе 1984, ტაბ. XXXIV]; 8. ჩურისხევის კოლექცია(რ. აბრამიშვილის მიხედვით).

ტაბ. IV – კოლხური ცულების I სახეობა (დ. ქორიძის მიხედვით).

ტაბ. V – გორის „კოლექცია“ (რ. აბრამიშვილის მიხედვით).

ტაბ. VI – ქვემო გოსტიბეს კომპლექსი, ბრინჯაოს: 1. შედგენილტარიანი სატევარი; 2. შუბისპირი; 3. კოლხური ტიპის ცული; 4. კერამიკის ფრაგმენტი (ტ. ჩუბინიშვილის მიხედვით) [ჩუბინიშვილი 1950, სურ. 1].

ტაბ. VII – სურამის „კოლექცია“ (რ. აბრამიშვილის მიხედვით).

ტაბ. VIII – აბანოს „კოლექცია“ (რ. აბრამიშვილის მიხედვით).

ტაბ. IX – ბორნიღელეს №52 სამარხი (ო. ღამბაშიძის მიხედვით) [Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1987, ტაბ. XXXI]

ტაბ. X – ბორნიღელეს №69 სამარხი (ო. ღამბაშიძის მიხედვით) [Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1991, ტაბ. 52]

ტაბ. XI– კომპლექსი შილდის სამლოცველოდან (ლ. ფანცხავასა და ბ. მაისურაძის მიხედვით) [ფანცხავა, მაისურაძე 1984, ტაბ. LV].

ტაბ. XII– ბრინჯაოს ნივთები არტიკის სამარხებიდან: 1. სამარხი №448; 2.სამარხი №2; 3. სამარხი №6; 4. სამარხი №432. (ტ. ხაჩატრიანის მიხედვით) [Хачатрян 1979].

ტაბ. XIII– ანთოკის კომპლექსი (რ. აბრამიშვილის მიხედვით).

ტაბ. XIV– ნივთები წითელგორის №1 ყორღანიდან: 1. პასტის მძივები; 2. ბრინჯაოს მძივები; 3. სარდიონის მძივები; 4-5. ბრინჯაოს ბალთა; 6. ბრინჯაოს ჯვრისებური საკიდი; 7. ბრინჯაოს აბჯრის ფირფიტა (რ. აბრამიშვილის მიხედვით).

ტაბ. XV – ნივთები კუშჩის №8 სამარხიდან: 1. ბრინჯაოს სატევარი; 2. პასტის მძივები; 3. ბრინჯაოს შუბისპირი; 4.განჯა-ყარაბაღული ტიპის ბრინჯაოს სატევარი (რ. აბრამიშვილის მიხედვით).

ტაბ. XVI – ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირები: 1-2. შილდის სამლოცველო (ლ. ფანცხავასა და ბ. მაისურაძის მიხედვით) [ფანცხავა ლ. მაისურაძე ბ. 1984: ტაბ. LXI]; 3. თრელის №74 სამარხი (რ. აბრამიშვილის მიხედვით) [აბრამიშვილი რ. 1980: სურ. 28]; 4. ჰასან-ზამინი (კ. შეფერის მიხედვით) [Shaeffer 1948: ტაბ. LVIII]; 5. პასტის მძივი ჩილა-ჰანედან; 6. ბრინჯაოს მძივი ჰასან-ზამინიდან (კ. შეფერის მიხედვით) [Shaeffer 1948: ტაბ. LX; სურ. 219_{27}, 227_{22}; ტაბ. LVIII].

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I - Bronze objects from Kvemo Sasireti hoard: 1. Dagger of a Central-Caucasian type; 2. Dagger od a South-Caucasian type; 3, 5. Leaf-shaped dagger blades; 4. Axe of a Colchian type; 6. Chisel; 7-10. Bits with disk-shaped cheek-pieces; 11-12. Staff bearing a sculptured depiction of a bird; 13. Sculptured depiction of the head of a mountain goat; 14. Cauldron on three legs with a sculptural depiction of a bird on the lid; 15. Fragment of a dagger of the Eastern-Georgian type; 16. hooks; 17. Plaque; 18. Flat axe;19-21. Axes of the Central-Transcaucasian type. (According to R. Abramishvili).

Pl. II – 1-3. Bronze plaques: 1) Burial 85.1 at Bornighele (reproduced from: Gambashidze 1991: pl. 68); 2) Burial 17 of the Artik burial-ground (reproduced from: Khachatryan 1979: 121); 3) Hoard from Abkhazia (reproduced from: Voronov 1968: pl. XXXIX, 25); 4-6. bronze daggers with a frame handle: 4) burial No. 1 at Machartskali (reproduced from: Gambashidze 1984: XXXIII); 5) Upper Baksan (reproduced from: Iessen 1941: pl. II); 6) burial No. 510 at Natsargora (according to Ramishvili 1991: pl. I); 7-8. Bronze daggers of the South Caucasian type: 7) burial No. 62 at Tsagvli (reproduced from: Ramishvili 1981: pl. XXXII); 8) burial No. 22 at Tserovani (reproduced from: Sadradze 1991, pl. LXXIX).

Pl. III – 1. Samtavro, burial 44; 2. Navtlugi, burial 1; 3. Orkhevi burial-complex (accroding R. Abramishvili); 4. Vanta burial (reproduced from Nutsubidze 1980: pl. LI); 5. Pevrebi, burial 6; Satvalistskali, burial 8 (reproduced from Nutsubidze 1980: pl. XXXVIII); 7. "Collection" from Rveli (reproduced from Gambashidze 1981: pl. XXXIV); "Collection" from Churiskhevi (accroding R. Abramishvili).

Pl. IV – Colchian axes of type I (reproduced from Koridze 1965: fig. 53).

Pl. V – Gori "Collection" (according R. Abramishvili).

Pl. VI – Assemblage from Kvemo Gostibe: 1. Bronze dagger with a composite handle; 2. Bronze spear; 3. Bronze axe of the Colchian type; 4. Fragment of pottery (reproduced from Chubinishvili 1950: fig. 1).

Pl. VII – Surami "collection" (according R. Abramishvili).

Pl. VIII – Abano "collection" (according R. Abramishvili): 1, 4. Bronze spears; 2. Leaf-shaped dagger blade; 3. Bronze dagger terminal; 5. Bronze axe of the Colchian type.

Pl. IX – Bornigele, burial 52 (reproduced from Gambashidze, Gambashidze 1987: pl. XXXI).

Pl. X – Bornigele, burial 69 (reproduced from Gambashidze, Gambashidze 1991: pl. 52).

Pl. XI – Assemblage from the Shilda sanctuary: 1. Bronze dagger with a composite handle; 2. Bronze leaf-shaped dagger with a bronze handle; 3. Bronze spear (reproduced from Pantskhava and Maisuradze 1984: pl. LV).

Pl. XII – Bronze arttefacts from Artik graves: 1. Burial 448; 2. Burial 2; 3. Burial 6; 4. Burial 432 (reproduced from Khachatryan 1979).

Pl. XIII – Assemblage from Antoki (according R. Abramishvili).

Pl. XIV – Aetefacts from Tsitelgori burial-mound 1: 1. Paste beads; 2. Bronze beads; 3. Cornelian beads; 4-5. Bronze plaques; 6. Bronze cruciform pendant; 7. Bronze plate of armour (accrording to R. Abramishvili).

Pl. XV – Artefacts from Kushchi burial 8: 1. Bronze dagger with a composite handle of the South-Caucasian type; 2. Paste beads; 3. Bronze spear; 4. Dagger of Gandzha-Karabakh type (accrording to R. Abramishvili).

Pl. XVI – 1-4. Bronze spears with an open socket: 1-2. From the Shilda sanctuary (reproduced from Pantskhava-Maisuradze 1984: pl. LXI); 3. Treli, burial 74 (reproduced from Abramishvili 1979: fig. 28); 4. Khasan-Zamin (reproduced from Schaefer 1948: pl. I.VIII); 5. Paste bead from Chila-Khane (reproduced from Schaefer 1948: I,X, figs. 219.27 and 227.212 6. Bronze bead from Khasan-Zamin reproduced from Schaefer 1948: pl. LVIII).

Map No. 1 – The distribution of the Kedabek type swords: 1. Akura; 2. Kedeli; 3. Pevrebi; 4. Tibaani; 5. Tsitelgorebi; 6. Khirsa; 7. Dashsalakhlo; 8. Kazakhi; 9. Koshkotan; 10. Jalalogli; 11. Lorut; 12. Leninakan; 13. Artik; 14. Kirovokan; 15. Dilijan; 16. Golovino; 17. Khurjin-Khoger; 18. Aigedzor; 19. Sevan; 20. Kedabek; 21. Baian; 23. Khanlar; 24. Kirovobad; 25. Mingechaur; 26. Archadzor; 27. Khushtada; 28. Dranda; 29. Zemo Simoneti.

Map No.2– The distribution of pottery with zoomorphic handles: 1. Kistriki; 2. Beti; 3. Gumista; 4. Tsiteli Shukura; 5. Sukhumi; 6. Tamishi; 7. Mokvi; 8. Ochamchire; 9. Shesheleti; 10. Amaria; 11. Tsario; 12. Gali; 13. Larilari; 14. Paluri; 15. Saberio;16. Chuburkhinji; 17. Dikhagudzuba; 18. Sagvichio; 19. Bandza; 20. Mukhurcha; 21. Kekeluris; Zurga; 22. Tskheta; 23. Nagvazao; 24. Abedati; 25. Ve-

ditkari; 26. Nosiri; 27. Tsemi; 28.Kodori; 29. Naokhvamu; 30. Sakario; 31. Kuchkhis abano; 32. Ureki; 33. Leghva; 34. Pichvnari; 35. Jikhanjuri; 36. Namcheduri; 37. Tsikhisdziri; 38. Chakvi; 39. Dablagomi; 40. Mtisdziri;41. Vani; 42. Patriketi ; 43. Opcha; 44. Tsinasopeli; 45. Itkhvisi; 46. Sachkhere; 47. Dzevrilgesi; 48.Brili; 49. Treli ;50. Stirpazi;51. Odjora;52. Tskhinvali; 53. Tskhinvalis Natsargora; 54. Dvani;55. Tkotsi; 56. Goradziri; 57. Korbouli; 58. Tsagvli; 59. Abano; 60. Surami; 61. Rveli; 62. Chitakhevi; 63. Kviratskhoveli; 64. Zveli; 65. Muskhi; 66. Moliti; 67. Tak-kilisa; 68. Beshtasheni; 69. Gantiadi; 70. Grmakhevistavi; 71. Tsopi; 72. Shaitan-Dag; 73. Musi-leri; 74. Khurjin-khoger; 75. Redkin-Lager; 76. Kalakent; 77. Meligele; 78. Gadrekili;79. Gulgula;80. Saritepe;81. Bolnisi;82. Chkhikvta;83. Santa;84. Madnischala;85. Avchala;86. Mukhatgverdi; 87. Armazi; 88. Samtavro; 89. Narekvavi; 90. Kavtiskhevi; 91. Kaspi; 92. Mchadijvari; 93. Khovle; 94. Uplistsikhe; 95. Katlaniskhevi; 96. Zemo Avchala;97-105. Tbilisi: 97. Gldani;98. Sapurtsle; 99. Treli; 100. Grmagele; 101. Didube; 102. Nadzaladevi; 103. Saburtalo; 104. Navtlugi; 105. Sakdriskhevi; 106. Ordu.

ტაბ. I



ტაბ II



ტაბ. III



ტაბ. IV

ტაბ. V



ტაბ. VI



ტაბ. VII



ტაბ. VIII



ტაბ. IX



ტაბ. X





1



2



3

ტაბ. XII



ტაბ. XIII





1



2



3



4



5



6



7


1
2
3
4


1
2
3
4
5
6

გოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი

კნოლეს ნამოსახლარი და სამაროვანი

კნოლეს ნამოსახლარი მდებარეობს თრიალეთში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ დაცილებით, სოფ. ბარეთისაკენ მიმავალი გრუნტის გზის პირას. გზის გაყოლებაზე, ჩრდილოეთით, დაახლოებით 0,5 კმ-ის დაცილებით საბეჭდავის ნასოფლარის ნანგრევები და ახლად აღდგენილი ეკლესია მდებარეობს. ნასოფლარსა და მდ. ბეშქენაშენს (ბაშკოვ-სუ) შორის დაბალი ქედია (ელი-ბაბა), რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირს მიუყვება. ქედის თხემსა და კალთებზე საბეჭდავის (ელი-ბაბა) „ციკლოპური“ ნამოსახლარია განლაგებული. საბეჭდავის ქვედა სიმაგრიდან 200 მ-ის დაცილებით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე ქვაჯვარაა აღმართული (ტაბ. I).

კნოლეს არქეოლოგიური კომპლექსი შეიცავს ციკლოპურ სიმაგრეს, მის გარშემო არსებულ დასახლებას და სამაროვანს (ტაბ. II). არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1990 წელს. სამუშაოები წარიმართა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით. ერთი ანძის ღრმულის ამოღებისას დაზიანდა სამი (№№ 1-3) სამარხი. მეორე ანძის დადგმა კი უშუალოდ სიმაგრის შიდა ფართობში იყო გათვალისწინებული. გაითხარა ერთი სახლი და 19 სამარხი. სიმაგრის ტერიტორიიდან ანძა მოშორებით იქნა გადატანილი. არქეოლოგიურ კომპლექსს დაუდგინდა დაცვითი ზონა.

2011 წელს განახლდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის დროსაც დაზიანდა სიმაგრის გარეთ არსებული დასახლების რამდენიმე სახლი. მიუხედავად ამისა არქეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, კულტურის სამინისტრომ ციკლოპურ სიმაგრეს სტატუსი მოუხსნა, მშენებარე კომპანიამ კი არქეოლოგიური გათხრები არ დააფინანსა.

დასახლება გაშენებულია ბეშთაშენის ჩრდილოეთით არსებული მცირე ქედის მოსწორებულ თხემზე და გადასცქერის მდ. ბაშკოვ-სუს, რომლის მარცხენა ნაპირზე საბეჭდავის (ელი-ბაბა) „ციკლოპური“ ნამოსახლარია გაშენებული (ტაბ. I).

კნოლეს „ციკლოპურ“ სიმაგრეს სამხრეთიდან ნამოსახლარი ეკვრის. ის გაშენებულია 2,5-3,0 ჰა ფართობზე (ტაბ. III). მიწის ზედაპრზე შეინიშნება სახლების კონტურები. სახლების ერთი ჯგუფი უშუალოდ სიმაგრეს ეკვრის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დასახლება რაღაც ეტაპზე სიმაგრეს შეერწყა.

ციკლოპური სიმაგრე (ტაბ. III) განლაგებულია თხემის ჩრდილოეთ კიდეზე, აგებულია კლდოვან დედაქანზე. მას ასიმეტრიული ელიფსის ფორმა აქვს. მისი მაქსიმალური სიგრძე 90 მ-ს, სიგანე 60 მ-ს აღწევს. კედლები ნაგებია დიდი ზომის ბაზალტის დაუმუშავებელი ლოდებით, უდუღაბოდ. სიმაგრეს მარტივი შესასვლელი აქვს, რომელიც დამცავი კედლის აღმოსავლეთ ნაწილშია გაჭრილი.

სიმაგრე ორადაა გაყოფილი. სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ბაზალტის ქვებით ნაგები კედლითაა გამოყოფილი შიდა სივრცისაგან. სიმაგრის ამ ნაწილში მხოლოდ ერთი ორსენაკიანი სახლი დგას. დანარჩენ ფართობზე 9 ან 10 სახლია გამართული. თავდაცვითი კედლის მთელ პერიმეტრზე მცირე ზომის სახლებია მიდგმული, ისე, რომ სიმაგრის ცენტრალური ნაწილი ნაგებობებისაგან თავისუფალი ჩანს. სახლები ნახევრადმიწურებს წარმოადგენენ, უფრო სწორად, ისინი კლდოვან დედაქანში ერთი მესამედით ან ოდნავ მეტადაა ჩადგმული. ყველა სახლი ერთსენაკიანია და, როგორც ჩანს, ბანური გადახურვა ჰქონდა.

სიმაგრის ტერიტორიაზე გაითხარა ერთი, № 2 სახლი (ტაბ. IV), რომელიც მდებარეობს სიმაგრის ჩრდილოეთ ნაწილში, შესასვლელის მარჯვნივ. სახლს გეგმაში არასწორი ოთხკუთხედის ფორმა აქვს (7,0x5,3 მ.), ჩაკვეთილია კლდოვან დედაქანში. წარმოადგენს ნახევრადმიწურ ნაგებობას. კედლები შედგენილია ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ლოდებით. ყველაზე დიდი ლოდის სიმაღლე 2,8 მ-ია, სიგანე – 0,9 მ., სისქე – 0.7 მ. იატაკად მოსწორებული კლდოვანი დედაქანია გამოყენებული (ტაბ. V).

№ 2 სახლის ჩაქცეული კედლების პრეპარაციის და აღების დროს აღმოჩნდა ობსიდიანის სათლელისებრი იარაღი (ინვ. № 169); საფხეკის ფრაგმენტი (ინვ. № 171); ამოღარული იარაღი (ინვ. № 172); სახოკი (ინვ. № 173). აქვე აღმოჩნდა კაჟის ნამგლის ჩასართი (ინვ. № 170), რომელიც დამუშავების ტექნიკითა და

მოყვანილობით ადრებრინჯაოს ხანის ნამგლის ჩასართების ტიპისაა. ჩაქცეული ქვაყრილის ქვეშ, 1,2-1,3 მ-ის სიღრმეზე, იატაკის დონეზე დაფიქსირდა: 1. ჯამის პირ-გვერის ფრაგმენტი (ინვ. № 72; ტაბ. VI_{26}). თიხის, ლეგა-მოშავო; 2. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 73; ტაბ. VI_{23}), თიხის, მოყავისფრო; 3. დერგის ფრაგმენტი (ინვ. № 74; ტაბ. VI_{24}), თიხის, მოყავისფრო, ზედპირი მონაცრისფროა; 4. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 75; ტაბ. VI_8), თიხის, მოყავისფრო, კეცში შერეულია ობსიდიანის წვრილი ნატეხები; 5. პირის ფრაგმენტი (ინვ. № 76; ტაბ. VI_7), თიხის, მოყავისფრო, კეცში შერეულია ობსიდიანის წვრილი ნატეხები; 6. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 77; ტაბ. VI_{14}), თიხის, მოყავისფრო, კეცი ქარსმინარევიანია; 7. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 78; ტაბ. VI_{18}), თიხის, მოყავისფრო, კეცში ქარსია შერეული; 8. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 79; ტაბ. VI_{15}), თიხის, მოყავისფრო, კეცში შერეულია ქარსი; 9. ქოთნის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 80; ტაბ. VI_{22}), თიხის, ლეგა-მოყავისფრო, კეცში შერეულია ობსიდიანის წვრილი ნატეხები; 10. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 81; ტაბ. VI_{20}), თიხის, ლეგა-მოყავისფრო, კეცში შერეულია ობსიდიანის წვრილი ნატეხები; 11. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 82; ტაბ. VI_{19}), თიხის, ლეგა-მოყავისფრო, კეცში შერეულია ქარსის ნაწილაკები; 12. ჭურჭლის გვერდისა და ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 83; ტაბ. VI_2), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფრო, შიდაპირი მოწითალოა; 13. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № 84; ტაბ. VI_4), თიხის, ლეგა მონაცრისფრო, კეცში ქარსის მინარევები; 14. ტაფისებური ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 85; ტაბ. VI_{25}), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფრო; 15. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 86; ტაბ. VI_3), თიხის, მოყავისფრო-მონაცრისფრო; 16. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 87; ტაბ. VI_{16}), თიხის, მოყავისფრო, კეცში შერეულია ობსიდიანის წვრილი ნატეხები, ცუდადაა გამომწვარი; 17. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 88; ტაბ. VI_{17}), თიხის, მოშავო, ზედაპირი გაპრიალებული აქვს; 18. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 89), თიხის, მოყავისფრო, კეცში შერეულია მოთეთრო ნაწილაკები და ქარსი; 19. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № 90; ტაბ. VI_{12}), თიხის, მოყავისფრო; 20. ჯამის პირის ფრაგმენტი (ინვ. № 91; ტაბ. VI_{21}), თიხის, მოშავოდ გამომწვარი; 21. ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (ინვ. № 92; ტაბ. VI_1), თიხის, აგურისფრად გამომწვარი, კეცი გადანატეხში ყავისფერია, თიხა წვრილ მინარევებს შეიცავს; 22. თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი (ინვ. № 93; ტაბ. VI_9), მოყავისფრო-მოჩალისფრო; 23. თიხის ჭურჭლის გვერდის ნაწილი (ინვ. № 94; ტაბ. VI_{13}), მოშავოდ გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალებია. კეცი გადანატეხში ყავისფერია; 24. თიხის ჭურჭლის გვერდის ნაწილი (ინვ. № 95; ტაბ. VI_{10}). მოყავისფრო-მოშავო. ზედაპირი შემკულია წნევით დატანილი ნაპრიალები ხაზებით; 25. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. № 96), გარეთა პირი ყავისფერი, ხოლო შიდაპირი შავი, თიხა შეიცავს ქარსის წვრილ მინარევებს, ხელითაა ნაძერწი; 25. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. № 97). ბრტყელი, მოყავისფრო, კეცი გადანატეხში ყავისფერია; 26. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. № 98; ტაბ. VI_5), ბრტყელი, მოყავისფრო-მოჩალისფრო, კეცი გადანატეხში მოწითალოა; 27. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. № 99; ტაბ. VI_6), ბრტყელი, მოშავოდ გამომწვარი; 28. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. № 100), ბრტყელი, მოყავისფრო, ხელითაა ნაძერწი; 29. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. № 101), მოშავოდ გამომწვარი, ხელითაა ნაძერწი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს; 30. თიხის ჭურჭლის მხრის ნაწილი (ინვ. № 102; ტაბ. VI_{11}), მოყავისფრო; 31. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ინვ. 103), მოშავოდ გამომწვარი, კეცი გადანატეხში ყავისფერია; 32. თიხის ჭურჭლის ნატეხები (ინვ. №№ 104, 105), სხვადასხვა; 33. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. 106), ბრტყელი, მოყავისფრო, ხელითაა ნაძერწი, თიხა ობსიდიანის წვრილ მინარევებს შეიცავს; 34. სალესი ქვა (ინვ. № 107), შემორჩენილია სიგრძე – 7,0 სმ, დმ. - 2,5 სმ.; 35. ობსიდიანის ანატკეცი (ინვ. №№ 108, 109); 36. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. № 110), მოჩალისფროდ გამომწვარი; 36. თიხის ჭურჭლის ძირი (ინვ. № 111), მოჩალისფროდ გამომწვარი; 37. დანა, რკინის (ინვ. № 112), სწორი, ცალპირლესილი, შემორჩენილია ორი მანჭვალი, წვერი მოტეხილი აქვს. სიგრძე - 22,5 სმ (ტაბ. XXVII_6); 38. დანის პირი (ინვ. № 113), რკინის, სიგრძე - 8,5 სმ. (ტაბ. XXVII_7).

სამაროვანი მდებარეობს ნამოსახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით და თითქმის უშუალოდ ეკვრის მას (ტაბ. I, II). სამარხები გამოვლინდა მაღალი ძაბვის ანძების საძირკვლების გაჭრის დროს. დაზიანებული სამი სამარხი (№№ 1-3) გაითხარა 1990 წლის 15-17 ივნისს, დანარჩენი 16 სამარხი კი იმავე წლის სექტემბერში.

სამარხები მიწის ზედაპირიდან 0,3 – 0,4 მ სიღრმეზე გამოვლინდა, ისინი ქვაყრილიანი სამარხების ჯგუფს მიეკუთვნება (ტაბ. VII; ტაბ. XXVIII). ყველა მათგანს აქვს ბაზალტის

მოზრდილი ქვებით შედგენილი კრომლეხი, რომლის შიდა სივრცე წვრილი და საშუალო ქვებითაა შევსებული.

ქვაყრილის ქვეშ გამართულია სამარხები (ტაბ. VIII), რომელთა უმეტესობას ქვით ამოშენებული კედლები აქვს. ორმოსამარხს მხოლოდ სამარხთა მცირე ნაწილი (სამ. №№ 2, 3, 6, 7, 12, 17) წარმოადგენს. ყველა სამარხი კამერა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი.

სამარხი № 1. გამოვლინდა V ნაკვეთის მე-4 კვადრატში (ტაბ. VII, VIII); ქვაწრიანი სამარხია, დაზიანებული (ტაბ. X_1). სამარხი კამერა ქვით ყოფილა ამოშენებული, რომელიც გადახურული იყო ქვის ფილებით. შემორჩენილია დასავლეთი კედელი. მიცვალებულის ჩონჩხი არ დაფიქსირებულა.

სამარხში აღმოჩნდა: 1. სამაჯური (ინვ. № 1, ტაბ. XI_1), ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი, რკალგახსნილი. დმ - 5,6 სმ; 2. სამაჯური (ინვ. № 2, ტაბ. XI_2), ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი, რკალგახსნილი, დმ - 5,6 სმ (ქიმიური დამუშავების დროს დაიშალა); 3. მძივები (ინვ. № 3, ტაბ. XI_3): სარდიონის, სფერული (1 ც.); თეთრი პასტის, ცილინდრული (2 ც.); თეთრი პასტის, ორმხრივ დამუშავებული (1 ც.); მომწვანო-მოცისფრო პასტის (2 ც.).

სამარხი № 2. დაფიქსირდა V ნაკვეთის მე-7 კვადრატში (ტაბ. VII, VIII, X_1); ქვაწრიანი სამარხია, დაზიანებული (სავარაუდო დმ. 2,5 მ). კრომლეხის ცენტრში გამართული ორმოსამარხის სიგრძე 1,2 მ-ია, სიგანე 0,55 მ-ს უდრის. მიცვალებულის ძვლები არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა: 1. ბალთა (ინვ. № 4, ტაბ. XII_4, XXIV_9), ბრინჯაოსი (2 ც.). თავებშეკრულ რგოლზე (დმ. 0,7 სმ) წამოცმულია გრეხილი ორმაგი ენა (სიგრძე 0,21 მ); 2. სამაჯური (ინვ. № 5, ტაბ. XII_2, XXIV_3), ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი, რკალგახსნილი; 3. სამაჯური (ინვ. № 6, ტაბ. XII_3, XXIV_5), ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი, შეწყვილებული; 4. მძივები (ინვ. №7, ტაბ. XII_1, XIII): თეთრი პასტის, ე.წ. დომინოსებური; სარდიონის, სფერული.

სამარხი № 3. მდებარეობს IV ნაკვეთის მე-6 კვადრატში (ტაბ. VII, VIII, X_1); ქვაწრიანი ორმოსამარხია (დმ. 2,7 მ). დაზიანებულია და გაძარცვული. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა სამარხი კამერის გარშემო (ინვ. № 8, ტაბ. XI_5). დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ზედაპირი და შიდაპირი მორუხო-მოყავისფროა, მხარი შემკულია ჰორიზონტალური ღარებით; სამარხ კამერაში აღმოჩნდა სარდიონის მძივი (ინვ. № 9, ტაბ. XI_4).

სამარხი № 4. გაითხარა IV ნაკვეთის მე-4,5,7-9 კვადრატში (ტაბ. VII, VIII, X_1). ქვაყრილის დმ. 4,2 მ-ია. სამარხი კამერის კედლები ბაზალტის ქვითაა ამოყვანილი, მისი სიგრძე 2,1 მ-ია, სიგანე 0,55 მ-ს უდრის. სიღრმე 0,5 მ-ია. სამარხი კამერა დიდი ზომის ოთხი ფილით ყოფილა გადახურული. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის მცირე ფრაგმენტები დაფიქსირდა. როგორც ჩანს მიცვალებულს თავი დასავლეთით ედო. სამარხში აღმოჩნდა: 1. დერგის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № 10, ტაბ. XI_7), თიხის, ზედაპირი და შიდაპირი რუხი ფერისაა, კეცი გადანატეხში მოყვითალოა; 2. ჯამი (ინვ. № 11, ტაბ. XI_6), თიხის. დამზადებულია ცუდად განლექილი, ობსიდიანმინარევიანი თიხისაგან.

სამარხი № 5. გაითხარა IX ნაკვეთის 1,2,5,6 და X ნაკვეთის 1,4 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII, X_2). ქვაყრილიანი სამარხია (დმ. 4,5 მ). ცენტრში გამართულია ბაზალტის ქვით ნაგები სამახი კამერა (1,8x0,6x0,5 მ), რომელიც ბაზალტის სამი ფილით ყოფილა გადახურული. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის მცირე ფრაგმანტები დაფიქსირდა. როგორც ჩანს მიცვალებულს თავი დასავლეთით ედო. სამარხში აღმოჩნდა: 1. ქოთანი (ინვ. № 12, ტაბ. XIV_4, XXIII_3). დამზადებულია ცუდად განლექილი, ობსიდიანმინარევიანი თიხისაგან. არათანაბრადაა გამომწვარი, ზედა და შიდაპირი შავი, გადანატეხში მოყვითალო ფერისაა, ხელითაა ნაძერწი; 2. თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის (ინვ. № 13, ტაბ. XIV_5) ფრაგმენტები. დამზადებულია ობსიდიანმინარევიანი, ძალიან ცუდად განლექილი თიხისაგან. უხეშად არის ხელით ნაძერწი. ზედა და შიდაპირი მოყვითალო-რუხი ფერისაა. კეცი გადანატეხში ორფენიანია: ყვითელი და რუხი; 3. დერგის ფრაგმენტები (ინვ. № 14, ტაბ. XIV_1). დამზადებულია ცუდად განლექილი, ობსიდიანმინარევინი თიხისგან. კეცი გადანატეხში სამფენიანია, შუაში რუხია, გარე და შიდაპირი მოწითალო-მოყავისფროა. უხეშად არის ხელით ნაძერწი; 4. დოქი (ინვ. № 15, ტაბ. XIV_3). დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, ზედაპირი მოშავო, შიდაპირი ნაცრისფერია. ჭურჭლის ყელი დაღარულია. მუცელზე შემოუყვება რელიეფური ზოლები და სამმაგი სამკუთხედები; 5. მძივები (ინვ. № 16, ტაბ. XIV_2): თეთრი პასტის, ცილინდრული (11 ც.); სარდიონის სფერული (3 ც.).

სამარხი № 6. გამოვლინდა IX ნაკვეთის 4-8 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII, X_3). ქვაყრილიანი (დმ. 3,6 მ) ორმოსამარხია. სამარხი ორმო (1,4x0,4x0,4 მ) გადახურული ყოფილა ქვის ფილებით. სამარხი გაძარცვულია. ქვაყრილში აღმოჩნდა ცუდად განლექილი თიხისაგან

დამზადებული ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტები (საინვ. № 17, ტაბ. XI_8).

სამარხი № 7. მდებარეობს VIII ნაკვეთის მე-10,11 და XIII ნაკვეთის 1,2 კვადრატებში. ქვაყრილიანი (დმ. 1,9 მ.) ორმოსამახია (1,3x0,4x0,3 მ). გადახურული ყოფილა ბაზალტის სამი ფილით, რომლებიც სამარხი კამერის ჩრდილო-დასავლეთით ეწყო. სამარხი გაძარცვულია. სამარხ კამერაში არტეფაქტები და მიცვალებულის ძვლები არ დადასტურდა.

სამარხი № 8. გამოვლინდა VII ნაკვეთის 7-12 და XII ნაკვეთის 1-3 კვადრატებში. ქვაყრილიანი სამარხია (ტაბ. VII, VIII). კრომლეხი წარმოადგენს ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილ წრეს, რომლის დმ. 6,0 მ-ია. ცენტრში გამართული სამარხი კამერის (2,1x0,5x0,5 მ) კედლები ბაზალტის ქვითაა ამოყვანილი, რომელიც გადახურული ყოფილა ბაზალტის ფილებით, შემორჩენილია ორი. სამარხის დასავლეთ ნაწილში ადამიანის კბილები (საინვ. № 19) აღმოჩნდა. იატაკზე მიმოფანტული იყო სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (საინვ. № 18, ტაბ. XIV_6). ერთ-ერთი წარმოადგენს პატარა ზომის თხელკეციან ქოთანს, რომელსაც ახასიათებს მრგვალბაკოიანი, ოდნავ პირგადაშლილი ყელი, გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი. ზედა და შიდა პირი რუხი-მოყავისფროა, კეცი გადანატეხში სამ ფენიანი – რუხი, შავი და მოყავისფრო. ამავე ჭურჭელს ეკუთვნის მცირე ზომის ფრაგმენტი კოპითურთ. დანარჩენი ფრაგმენტები წარმოადგენენ გვერდების ნატეხებს, მხოლოდ ერთია პირის ფრაგმენტი. დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან, ზედა და შიდაპირი მოყავისფროა. სამი ფრაგმენტი კი წარმოადგენს სქელკეციანი ჭურჭლის ნატეხებს, რომელიც დამზადებულია ობსიდიანმინარევიანი უხეში თიხისაგან.

სამარხი № 9. გაითხარა XI ნაკვეთის მე-2,3,6 და XII ნაკვეთის 1,4 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII, IX_1). ქვაყრილიანი სამარხია. კრომლეხი (დმ. 4,5 მ) შედგენილია ბაზალტის მოზრდილი ლოდებით. სამარხი კამერა (1,8x0,5x0,5 მ) გამართულია ბაზალტის ქვებით და ბაზალტისავე ფილებითაა გადახურული. მიცვალებულის თავის ქალას ანაბეჭდები სამარხის დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა. სამარხში აღმოჩნდა: 1. ჯამი (ინვ. № 20, ტაბ. XV_4). დამზადებულია განლექილი, ობსიდიან და კვარცმინარევებიანი თიხისაგან, ზედა და შიდაპირი რუხი მოყავისფროა, ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია პირიდან გვერდზე გადასვლის ადგილზე მიძერწილი რქისებური ორმაგი შვერილი; 2. ქოთანი (ინვ. № 21, ტაბ. XV_6) დამზადებულია ძალიან ცუდად განლექილი, მსხვილ ობსიდიანმინარევიანი თიხისაგან, ზედაპირი მოწითალო-მოყავისფროა, შიდაპირი მოყვითალო-რუხი. უხეშად არის ხელით ნაძერწი; 3. კათხა (ინვ. № 22, ტაბ. XV_7). დამზადებულია კარგად განლექილი, ქარსნარევი თიხისაგან; 4. ქოთანი (ინვ. № 23). შემორჩენილია მხოლოდ ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები. ჭურჭელი დამზადებულია ქარსნარევი თიხისაგან, ზედაპირი მოყავისფროა, შიდაპირი რუხი; 5. ქოთანი (ინვ. № 24, ტაბ. XV_5). მცირე ზომისაა, დამზადებულია ცუდად განლექილი. ობსიდიანმინარევიანი თიხისაგან, ძალიან ცუდად არის შენახული.

სამარხი № 10. გამოვლინდა VI ნაკვეთის 7-12 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII, IX_2). ქვაყრილიანი სამარხია. კრომლეხის დმ. 4,8 მ-ია. სამარხი კამერის გრძივი კედლები ბაზალტის ქვებითაა ამოყვანილი. გადახურული ყოფილა ბაზალტის ფილებით. გადახურვას აკლია ცენტრალური ფილა. სამარხი გაძარცვულია. სამარხში აღმოჩნდა: 1. ქოთანი (ინვ. № 25, ტაბ. XV_2). დამზადებულია ცუდად განლექილი, ობსიდიანმინარევიანი თიხისაგან. ხელით არის ნაძერწი. ზედა და შიდაპირი მოყავისფროა, არათანაბრად არის გამომწვარი. ჭურჭელს მრგვალი ბაკო, დაბალ ყელი, კვერცხისებური მუცელი და მომრგვალებული ძირი აქვს. პირის დმ. 0,13 მ, სიმაღლე 0,31 მ, ძირის დმ. 0,15 მ; 2. დანა (ინვ. № 26, ტაბ. XV_3) რკინის, მოხრილი. სიგრძე 0,19 მ; 3. მძივები (ინვ. № 27, ტაბ. XV_1) თეთრი პასტის, ცილინდრული და სფერული; სარდიონის, სფერული (9 ც.), ერთი მძივი კანელურებიანია.

სამარხი №11. გაითხარა VI ნაკვეთის 3,6,9 და VII ნაკვეთის 1,4,7 კვადრატებში. ქვაყრილიანი სამარხია (ტაბ. VII, VIII). კრომლეხი (დმ. 4,0 მ) შედგენილია ბაზალტის ქვებით, ასეთივე ქვებითა

კარგად განლექილი ქარსნარევი თიხისაგან, ერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია ნახვრეტი, ერთზე – განივი ღარები. ჭურჭლის ზედაპირი მორუხო-მოყავისფროა, შიდაპირი ყავისფერი; 3. სამაჯური. (ინვ. № 32, ტაბ. XVII_4). დამზადებულია ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან; 4. სამაჯური (ინვ. № 28, ტაბ. XVII_3), ბრინჯაოსი, შეწყვილებულ ღეროიანი. დმ. 8.0 სმ; 5. სამაჯური (ინვ. № 33, ტაბ. XVI_3), ანთიმონის (?), ძლიერ დაზიანებული; 6. ბეჭედი (ინვ. № 34, ტაბ. XVI_2), ბრინჯაოსი, რკალგახსნილი, დმ. 1,5 სმ; 7. მძივები (ინვ. № 35, ტაბ. $XVII_{1,2}$): თეთრი პასტის, ცილინდრული; ცისფერი პასტის, კანელურებიანი; სარდიონის, სფერული.

სამარხი №12. გამოვლინდა VII ნაკვეთის 6,9 და VIII ნაკვეთის 4,7,8 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII). ქვაყრილიანი სამარხია. მისი ყრილი დაზიანებულია №№ 7, 8, 13, 14, 16 სამარხების გამართვისას. მისი კრომლეხის ნაშთი უნდა იყოს VIII ნაკვეთის 5 და 8 კვადრატებში დაფიქსირებული რკალი, რომლის მიხედვით სამარხის დიამეტრი 4,0 მ უნდა ყოფილიყო. სამარხი ორმო გადახურული ყოფილა ბაზალტის ფილებით. სამარხი კამერა დაზიანებულია, ინვენტარი არეული. სამარხში აღმოჩნდა: 1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 36, ტაბ. XVII_6), მოყავისფრო-მონაცრისფრო. დამზადებულია კარგად განლექილი, ობსიდიანის მინარევიანი თიხისაგან; 2. დანა (ინვ. № 37, ტაბ. XVII_5), რკინის, ნაკლული; 3. მძივი (ინვ. № 38), ლითონის, ნაკლული; 4. მძივები (ინვ. № 39, ტაბ. XVII_7), თეთრი და მწვანე პასტის, სხვადასხვა ფორმის.

სამარხი № 13. გაითხარა VIII ნაკვეთის 1,2,4,5 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII). ქვაყრილიანი სამარხია. ქვაყრილი (დაახლ. დმ. 3,2 მ) დაზიანებულია მეზობელი სამარხების გამართვისას. სამარხი კამერის (1,3x0,5x0,4 მ) კედლები ნაგებია ბაზალტის ქვით, გადახურული ყოფილა ბაზალტისავე ფილებით. სამარხი გაძარცულია. სამარხში აღმოჩნდა: 1. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 40), დამზადებულია ცუდად განლექილი თიხისაგან. ზედაპირი შავი ფერისაა, შიდაპირი მოყვითალო-მოყავისფრო (ტაბ. XVII_8); 2. მძივები (ინვ. № 41, ტაბ. XVII_9) თეთრი და მწვანე პასტის; სარდიონის, სფერული.

სამარხი № 14. გამოვლინდა VII ნაკვეთის 2,3,5,6 და VIII ნაკვეთის 1,4 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII, X_4). ქვაყრილიანი სამარხია. კრომლეხის (დმ. 5,2 მ) ცენტრში გამართულია ბაზალტის ქვებით ნაგები სამარხი კამერა (2,0x0,6x0,5 მ.), რომელიც ბაზალტის ორი დიდი ფილით არის გადახურული. სამარხი გაძარცულია. მასში მხოლოდ ქოთნის ფრაგმენტები (ინვ. № 42, ტაბ. XVIII_{10}) აღმოჩნდა. დამზადებულია ცუდად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად.

სამარხი № 15. გაითხრა II ნაკვეთის მე-12, III ნაკვეთის მე-10-11 და VIII ნაკვეთის 1 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII). ქვაყრილიანი სამარხია. კრომლეხის (დმ. 4,2 მ) ცენტრში გამართულია ბაზალტის ქვით ნაგები სამარხი კამერა (1,5x0.6x0,5 მ), რომელიც ბაზალტის ორი ფილითაა გადახურული. სამარხში მიცვალებულის ძვლების მცირე ანაბეჭდები დაფიქსირდა. სამარხში აღმოჩნდა: 1. ქოთანი (ინვ. № 43, ტაბ. XVIII_8). რუხი მოყავისფრო. დამზადებულია ცუდად განლექილი, ობსიდიანმინარევიანი თიხისაგან. ჭურჭელი ხელით არის უხეშად ნაძერწი; 2. ქოთანი (ინვ. № 44, ტაბ. XVIII_9), რუხი მოყავისფრო, დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი, ობსიდიანმინარევიანი თიხისაგან. ჭურჭელი უხეშად არის ხელით ნაძერწი; 3. დერგი (ინვ. № 45, ტაბ. XVIII_6). დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ზედა და შიდაპირი რუხი, გვერდზე მიძერწილი აქვს განივკვეთში ბრტყელი ყურები; 4. დანა (ინვ. № 46, ტაბ. XVIII_1). რკინის. სიგრძე 19 სმ; ძლიერ დაზიანებული და დაჟანგული; 5. სამაჯური (ინვ. № 47, ტაბ. XVIII_3), ბრინჯაოსი, დმ. 7 სმ; 6. ბეჭედი (ინვ. № 48, ტაბ. XVIII_2), ბრინჯაოსი, დმ. 3,5 სმ; 7. მძივები (ინვ. № 49, ტაბ. XVIII_7): თეთრი პასტის, ცილინდრული; ცისფერი პასტის, სფერული; კანელურებიანი, "დომინოსებური" თეთრი პასტის; სარდიონის, სფერული სხადასხვა ზომის, ცისფერი მინის რქისებურ შვერილებიანი ამულეტი(?); 8. ძვლების და კბილების ამულეტები (ინვ. № 50, ტაბ. XVIII_5).

სამარხი №16. გაითხარა VIII ნაკვეთის 2,3,5,6 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII). ქვაყრილიანი ორმოსამარხია. ძლიერაა დაზიანებული მეზობლად მდებარე სამარხების გამართვის დროს.

სამარხი №17. გამოვლინდა III ნაკვეთის მე-12, IV ნაკვეთის 10, 11, VIII ნაკვეთის მე-4 და IX ნაკვეთის 1,2 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII, X_4). ქვაყრილიანი (დმ. 4,2 მ) ორმოსამარხია (1,3x0,6x0,3 მ). სამარხი კამერის გადახურვის რაიმე კვალი არ შემორჩენილა. არ არის გამორიცხული, რომ ხის ძელებით იყო გადახურული. მიცვალებულის ძვლები ძლიერ ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი. სავარაუდოდ, მიცვალებული იწვა ხელ-ფეხ მოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: 1. ქოთანი (ინვ. № 51, ტაბ. XIX_2), უხეშად ნაძერწი. დამზადებულია ცუდად განლექილი, ობსიდიანმინარევიანი თიხისაგან; 2.

დოქის ფრაგმენტები (ინვ. № 52), რუხი. ძლიერ დაზიანებული, შემორჩენილია ე.წ. "ზოომორფული" ყური; 3. ქილა (ინვ. № 53, ტაბ. XIX_3), რუხი მოყავისფრო, კარგად განლექილი ობსიდიანმინარევიანი თიხისა. ჭურჭელი ძლიერ ნაკლულია; 4. დოქი (ინვ. № 55, ტაბ. XIX_4), ნაცრისფერი, კარგად განლექილი თიხისა, რელიეფური ზოლებით შემკული; 5. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ინვ. № 56, ტაბ. XIX_1), რუხი, რელიეფური ზოლებით შემკული; 6. ვარდულა (ინვ. № 57, ტაბ. XX_8), ბრინჯაოსი (4 ც.). ტანსაცმლის მორთულობა, ოთხქიმიანი, შუაში ნახვრეტით; 7. მილაკი (ინვ. № 58, ტაბ. XX_4), ფურცლოვანი ბრინჯაოსი (2ც.); 8. ისრისპირი (ინვ. № 59, ტაბ. $XX_{6,7}$), ბრინჯაოსი (2 ც.), სიგრძე 7,2 და 4,8 სმ.; 9. ისრისპირი (ინვ. №60, ტაბ. XX_5), ძვლის. სიგრძე 6,2 სმ; 10. შუბისპირი (ინვ. № 61, ტაბ. XX_1), ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული. აქვს მრგვალი მასრა, ფოთლისებური პირი, პირის მთელ სიგრძეზე დაუყვება ბრტყელი ქედი. მასრაზე ორი სამანჭვლე ნახრეტია. სიგრძე 36 სმ.; 11. დანა (ინვ. № 54, ტაბ. XIX_5), რკინის; 12. მძივები (ინვ. № 62, ტაბ. XX_3), თეთრი პასტის, ცილინდრული, მილაკისებური, ჯვრის ფორმის. ერთი ცალი მოზაიკური; სერდოლიკის, სფეროსებრი (12 ც.).

სამარხი №18. გაითხარა III ნაკვეთის 4,5,7-9, 10-12 ნაკვეთებში. ქვაყრილიანი სამარხია (ტაბ. VII, VIII). კრომლეხის (დმ. 4,8 მ) გამართული იყო ბაზალტის ქვით ნაგები სამარხი კამერა (1,6x0,6x0,5 მ), რომელიც გადახურულია ბაზალტის ორი ფილით. სამარხში აღმოჩნდა: 1. სადღვებელი (ინვ. № 63, ტაბ. XXI_2). დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ყავისფერი, ძლიერაა დაზიანებული; 2. სასმისი (ინვ. № 64, ტაბ. XXI_4), ყურიანი, მცირე ზომის, კარგად განლექილი თიხისა, შავი; 3. ქოთანი (ინვ. № 65, ტაბ. XXI_5), დიდი ზომის, ცუდად განლექილი თიხისა, ყავისფერი; 4. მძივები (ინვ. № 66, ტაბ. XXI_1): თეთრი პასტის, ცილინდრული და ე.წ. „დომინოსებრი"; სარდიონის სფერული და ლურჯი მინის, ე.წ. მოზაიკური; 5. დანა (ინვ. № 67, ტაბ. XXI_3), რკინის, ძლიერ დაზიანებული (სიგრძე 4,5 სმ; სიგანე 1,4 სმ.).

სამარხი №19. გამოვლინდა III ნაკვეთის 2,3,5,6 და IV ნაკვეთის 1,4 კვადრატებში (ტაბ. VII, VIII, X_3). ქვაყრილიანი ორმოსამარხია. კრომლეხის (დმ. 4,2 მ.) ცენტრში გამართულია ბაზალტის ქვით ნაგები სამარხი კამერა (2,3x0,5x0,4 მ), რომელიც ბაზალტისავე სამი ფილით იყო გადახურული. სამარხში აღმოჩნდა: 1. ჩაფი (საინვ. № 68, ტაბ. XXII_5); 2. ქოთანი (ინვ. № 68ბ, ტაბ. XXII_1), ხელით ნაძერწი, უხეშკეციანი; 3. დერგი (ინვ. № 68ა, ტაბ. XXII_4), კარგად განლექილი თიხისა, მონაცრისფრო; 4. ქოთანი (ინვ. № 69, ტაბ. XXII_3), კარგად განლექილი თიხისა, მონაცრისფრო; 5. მძივები (ინვ. № 70, ტაბ. XXII_2): თეთრი პასტის ცილინდრული და ე.წ. „დომინოსებური"; ლურჯი პასტის ფიგურული და სარდიონის სფერული.

კნოლეს ნამოსახლის არქეოლოგიური შესწავლა ამით შემოიფარგლა. თუმცა, ნამოსახლარის დასავლეთით, დაახლოებით 500 მ-ის დაცილებით გაითხარა მცირე ზომის ყორღანი (ტაბ. XXIX), რომლის ქვაყრილი ხევის ეროზიის შედეგად იყო დაზიანებული. მიეკუთვნება ქვაყრილიანი ყორღანების ჯგუფს. ქვაყრილის აღების შემდეგ გამოიკვეთა ბაზალტის ქვებით შედგენილი კრომლეხი. ცენტრში დაფიქსირდა სამარხი ორმო, რომელსაც გარშემო მოზრდილი ქვები ჰქონდა შემოწყობილი. სამარხში მიცვალებულის ძვლები პრაქტიკულად არ დაფიქსირდა. შემორჩენილი იყო დაშლილი ძვლების მცირე ანაბეჭდები. სამარხი კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩადგმული იყო ქილისებური ჭურჭელი. უყურო ჭურჭელი ძლიერ იყო დაშლილი და თითქმის მიწად იყო ქცეული. თუმცა, ჭურჭლის ფორმა ადგილზე კარგად დაფიქსირდა. მას ფართო, გარეთ გადმოშლილი პირი, დაბალი ყელი, მკვეთრად გამოხატული მხრები და ბრტყელი ძირი ჰქონდა. ამ ქილის მიხედვით ყორღანი შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნა.

დასკვნა. არქეოლოგიური გათხრებით კნოლეს დასახლების ყველა კომპონენტი იქნა გამოვლენილი. გაირკვა, რომ სამოსახლო გაშენებულია დაბალი ქედის თხემზე. თავდაცვითი ზღუდე აგებული იყო ქედის კიდეზე, ისე, რომ ჩრდილოეთიდან ბუნებრივადაც იყო გამაგრებული. დასახლება სიმაგრის მიმდებარედ, სამხრეთითით ყოფილა გაშენებული. სამაროვანი კი დასახლების გარეთ, მისგან დაახლ. 100 მ-ით, სამხრეთ-დასავლეთით ჰქონიათ მოწყობილი.

ნამოსახლარის სიახლოვეს დღესაც ორი წყაროა შემორჩენილი. ჩრდილოეთით 200 მ-ის დაცილებით ნაკადული ჩამოუდის, რომელიც კნოლეს დასახლებას საბეჭდავის (ელი-ბაბა) ციკლოპური ნამოსახლარისაგან ყოფს. ნაკადული სათავეს იღებს კნოლეს დასახლების აღმოსავლეთით მდებარე მცირე ტბიდან და მდ. ბეშქენაშენის ხევს (ბაშკოვ-სუ) საბეჭდავის ციკლოპურ ნამოსახლართან უერთდება.

სამაროვანს დაახლ. 1,5 ჰა ფართობი უკავია. სამარხები კომპაქტურად, მიჯრითაა გამართული. ყველა სამარხს აქვს ბაზალტის მოზრდილი ქვებით შედგენილი კრომლეხი. ქვაწრის ცენტრში, მიცვალებულის დასაკრძა-

ლავად, ქვის ფილებით ან ძელებით გადახურული ორმოსამარხებია მოწყობილი. უმეტეს შემთხვევაში სამარხი კამერის კედლები ბაზალტის ქვით არის ამოშენებული. ასეთი სამარხები ქვის ფილებითაა გადახურული.

კნოლეს ნამოსახლარი ჩვენს მიერ ძვ.წ. VII-VI სს-ით იქნა დათარიღებული [ნარიმანიშვილი, მახარაძე, შანშაშვილი, მელიქიძე 2004: 125-126]. კნოლეს არქეოლოგიური მასალა დიდ მსგავსებას იჩენს თრიალეთისა და ზოგადად, ქვემო ქართლის მასალებთან. კნოლეს ინვენტარის ზუსტი ანალოგები ბ. კუფტინის მიერ გათხრილი სამაროვნების მასალებთან მოეპოვებათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია წინწყაროს სამაროვანი, რომელსაც ბ. კუფტინი ვანის სამეფოს (ძვ.წ. XI-VII სს) პერიოდს მიაკუთვნებდა [Куфтин 1941: 56-58]. სამაროვანს მეცნიერები სხვადასხვაგვარად ათარიღებენ; მაგ. რ. აბრამიშვილი წინწყაროს № 6 და № 60 სამარხებს ძვ.წ. XII ს-ით [აბრამიშვილი 1961: 327, 364], დანარჩენ სამარხებს კი ძვ.წ. VIII-VII სს. ათარიღებს [აბრამიშვილი 1961: 368, 369]. მ. მენაბდე აღნიშნავს „როგორც ჩანს, წინწყაროში გათხრილი სამარხეული კომპლექსების დიდი ნაწილი, ზოგადად, ძვ.წ. IX-VIII სს. თარიღდება“ [მენაბდე 1968: გვ. 19]. მ. მენაბდე №№ 6, 60 სამარხებს ძვ.წ. XII ს-ის მიწურულით, № 36 სამარხი ძვ.წ.xს-ით, № 21 სამარხი ძვ.წ. X ს-ის ბოლო ან ძვ.წ. IX ს-ის პირველი ნახევრით, №№ 17, 55, 76 სამარხებს ძვ.წ. IX ს-ით, №№ 1, 39, 71 სამარხებს ძვ.წ. IX ან VIII ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [მენაბდე 1968: 20].

კნოლეს სამაროვნზე დაფიქსირებული „დომინოს“ ტიპის მძივები თრიალეთის სხვა სამაროვნებზეც გვხდება. ისინი აღმოჩენილია წინწყაროს № 13 [მენაბდე ტაბ. II-51], № 16 [მენაბდე 1968: ტაბ. II-68], № 22 [მენაბდე 1968: ტაბ. III-110], № 59 [მენაბდე 1968: ტაბ. VI-243], № 62 [მენაბდე 1968: ტაბ. VI-263], № 67 [მენაბდე 1968: ტაბ. VII-299], № 69 [მენაბდე 1968: ტაბ. VII-306], № 70 [მენაბდე 1968: ტაბ. VII-308] და ბეშთაშენის № 42 [დავლიანიძე 1968: ტაბ. XIV-479] და № 60 [დავლიანიძე 1968: ტაბ. XV-556] სამარხებში. ბეშთაშენის ციხესთან გათხრილ სამარხებს ც. დავლიანიძე ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევარი – ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [დავლიანიძე 1968: 106]. ბ. კუფტინი ჩრდილოეთ უბანზე გათხრილ სამარხებს (№№ 10, 71, 72) ძვ.წ. VII-VI სს., სამხრეთი უბნის სამარხებს აქემენიდურ ხანას მიაკუთვნებს [Куфтин 1941: 48-50]. ამ ტიპის მძივები აღმოჩენილია მარალინ-დერესის [Куфтин 1941: ტაბ XXXII] და ელი-ბაბას სამაროვნებზე [კვაჭაძე 2012].

ორმაგი სამაჯურები აღმოჩენილია წინწყაროს №1, №39 და № 70 სამარხში [Куфтин 1941: 54, სურ. 51; მენაბდე 1968: ტაბ. I-1, IV-166, VII-313], ნარეკვავის ძვ.წ. VIII-VII ს-ის № 83 სამარხში [ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: 73-78, ტაბ. XXII-1019, 1020].

კნოლეს სამაროვნის ისრისწვერების მსგავსი არტეფაქტები აღმოჩენილია თაქ-ქილისას, წინწყაროს [Куфтин 1941: 55, სურ. 52, ტაბ. XXXIV) და კუშჩის [Куфтин 1941: 75, სურ. 85, ტაბ. XXXVII) სამაროვნებზე.

ბრინჯაოს ოთხქიმიანი ღილის ზუსტი ანალოგი სამთავროს ძვ.წ. VIII-VII სს., № 11 სამარხშია აღმოჩენილი [კალანდაძე 1982: 17-18, სურ. 77-80]. ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებული ექვსქიმიანი ღილი-ვარდული ნარეკვავის №29 სამარხში დაფიქსირდა [აფაქიძე, ნიკოლაიშვილი . . . 1995: 29, სურ. 167]. ღილი-ვარდულები აღმოჩნდა მადნისჭალის №1 სამარხში [თუშიშვილი 1972: 37, სურ. 16-185,186].

კნოლეს ნამოსახლარსა და სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ტექნოლოგია ორი სახისაა. კერამიკის დიდი ნაწილი უხეში, მინარევებიანი თიხითაა დამზადებული, ხელითაა ნაძერწი და არათანაბრადაა გამომწვარი. თიხაში ძირითადად შერეულია ობსიდიანი და ქვიშა. ასეთ ჭურჭლებს ძირი მომრგვალებული აქვთ, რითაც ისინი ენეოლითური ხანის თიხის ჭურჭელს ჩამოგავს. კერამიკის მეორე ნაწილი კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, თხელკეციანია და თანაბრად, მონაცრისფროდაა გამომწვარი.

კნოლეს ორივე სახის კერამიკა ელი-ბაბას (საბეჭდავი) სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მსგავსია. ორივე სამაროვნის დანარჩენი ინვენტარიც ერთგვაროვანია. ელი-ბაბას სამაროვანი ძვ.წ. VII-VI სს. თარიღდება [ნარიმანიშვილი 2002; ნარიმანიშვილი 2003; მურვანიძე 2005: 147-150, ტაბ. I-XIII].

თრიალეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მასალების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ კნოლეს დასახლება ძვ.წ. VII-VI სს. უნდა დათარიღდეს.

G. Narimanishvili, N. Shanshashvili

KNOLE SETTLEMENT AND CEMETERY

Summary

Knole settlement is situated in Trialeti, 1.5 km far west from village Beshtasheni of Tsalka municipality (tab. I). Knole archaeological complex includes cyclopean castle and settlement and cemetery around it. The settlement is situated south from the cyclopean castle (tab II – III). The castle has form of asymmetric ellipse. Its maximum length is 90 meters and width 60 meters. Walls are built with huge, crude basalt stones, without using building mortar. On the territory of the castle was excavated one house (tab. IV, V). In house # 2 were discovered different artifacts (tab. VI, XXVIII).

Cemetery is situated north-east from the settlement (tab. I, II). Graves were discovered on depth 0.3-0.4 meters under the surface and belong to the group of graves with stone embankment (tab. VII, XXVIII). Each have a cromlech built with big basalt stones.

Pottery discovered on Knole settlement and cemetery is of two technologies. Big part of ceramics have coarse fabric and are handmade. In clay is added sand and obsidian. Another part of ceramics are made from pure clay, has thin fabric and is burned equally, in gray color. Both types of ceramics from Knole (tab. XI-XXIII) are similar to the ceramics discovered on Eli-Baba (Sabechdavi) cemetery. Other artifacts from both cemeteries are also similar. Eli-Baba cemetery is dated from the 6th-7th cc. B.C. Knole settlement also should be dated from the 7th-6th cc. B.C.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ, XXII-B,1961, 291-382.

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., დავლიანიძე რ. 1995: მცხეთა – 1982 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. - მცხეთა ტ. X. თბილისი, 6-57.

დავლიანიძე ც. 1968: სოფ. ბეშთაშენის ციხესთან მდებარე ადრეანტიკური ხანის სამაროვნის მასალები. – თრიალეთის სამაროვნები, I. თბილისი, 98-143.

თუშიშვილი ნ. 1972: მადნისჭალის სამაროვანი.

კალანდაძე ა. 1980: სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. - მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ტ. IV. თბილისი.

კვაჭაძე მ.2012: მძივები ელი-ბაბას სამაროვნიდან. – იბერია-კოლხეთი, № 8, 116-126.

მენაბდე მ. 1968: წინწყაროს სამაროვნის მასალები. – თრიალეთის სამაროვნები, I. თბილისი, 6-97.

მურვანიძე ბ. 2005: ელი-ბაბას სამაროვანი. – ძიებანი, № 15-16, 147-163.

ნარიმანიშვილი გ. 2002: ელი-ბაბას სამაროვანი. ანგარიში. ხელნაწერი, ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში.

ნარიმანიშვილი გ. 2003: ელი-ბაბას სამაროვანი. ანგარიში. ხელნაწერი, ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში.

ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შანშაშვილი ნ., მელიქიძე შ. 2004: წალკის ექსპედიცია 1990-1992 წლებში. – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში. თბილისი, 123-128.

ნიკოლაიშვილი ვ., გავაშელი ე. 2007: ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

Куфтин Б. А. **1941:** Археологоческие раскопки в Триалети. Тбилиси.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – კნოლეს ნამოსახლარის და მიმდებარე ტერიტორიის რუკა.

ტაბ. II – კნოლეს ნამოსახლარი. გენგეგმა.

ტაბ. III – სიმაგრის გეგმა.

ტაბ. IV – № 2 სახლი. გეგმა, ჭრილი და რეკონსტრუქციის ცდა.

ტაბ. V –№2 სახლი. ხედი გათხრების დასრულების შემდეგ.

ტაბ. VI – № 2 სახლში აღმოჩენილი მასალა: 1. ინვ. №92; 2. ინვ. №83; 3. ინვ. №86; 4. ინვ. №84; 5. ინვ. №98; 6. ინვ. №99; 7. ინვ. №76; 8. ინვ. №75; 9. ინვ. №93; 10. ინვ. №95; 11. ინვ. №102; 12. ინვ. №90; 13. ინვ. №94;14. ინვ. №77; 15. ინვ. №79; 16. ინვ. №87; 17. ინვ. №88; 18. ინვ. №78; 19. ინვ. №82; 20. ინვ. №81; 21. ინვ. №91; 22. ინვ. №80; 23. ინვ. №73; 24. ინვ. №74; 25. ინვ. №85; 26. ინვ. №72.

ტაბ. VII – სამაროვანი. გენგეგმა. სამარხები გახსნამდე.

ტაბ. VIII – სამაროვანი. გენგეგმა. სამარხები გახსნის შემდეგ.

ტაბ. IX – ქვით ნაგები და ქვის ფილებით გადახურული სამარხები: 1. სამარხი №9; 2. სამარხი №10. ორმოსამარხები: 3. სამარხი №6; 4. სამარხი №17.

ტაბ.ხ– ქვით ნაგები და ქვის ფილებით გადახურული სამარხები: 1. სამარხი №№1,4; 2. სამარხი №5; 3. სამარხი №19; 4. სამარხი №14. ორმოსამარხები: 1. სამარხი №2,3.

ტაბ. XI – 1-3. სამარხი №1: 1. ინვ. №1; 2. ინვ. №2; 3. ინვ. №3; 4,5. სამარხი №3: 4. ინვ. №9; 5. ინვ. №8; 6,7. სამარხი №4: 6. ინვ. №11; 7. ინვ. № 10; 8. სამარხი №6, ინვ. №17.

ტაბ. XII – სამარხი №2: 1. ინვ. №7; 2. ინვ. №5; 3. ინვ. №6; 4. ინვ. №4.

ტაბ. XIII – მძივები. სამარხი №2: 1,2. ინვ. №7.

ტაბ. XIV – 1-5. სამარხი №1: 1. ინვ. №14; 2. ინვ. №16; 3. ინვ. №15; 4. ინვ. №12; 5. ინვ. №13. 6. სამარხი №8: 6. ინვ. №18.

ტაბ. XV –. 1-3. სამარხი №10: 1. ინვ. №27; 2. ინვ. №25; 3. ინვ. №26; 4-7. სამარხი №9: 4. ინვ. №20; 5. ინვ. №24; ინვ. № 21; 7. ინვ. №22.

ტაბ. XVI – სამარხი №11: 1. ინვ. №35; 2. ინვ. №34; 3. ინვ. №33; 4. ინვ. №29; 5. ინვ. №30; 6. ინვ. №31.

ტაბ. XVII – 1-4. სამარხი №11: 1,2. ინვ. №35; 3. ინვ. №28; 4. ინვ. №32; 5-7. სამარხი №12: 5. ინვ. №37; 6. ინვ. №36; 7. ინვ. №39. 8,9. სამარხი №13: 8. ინვ. №40; 9. ინვ. №41.

ტაბ. XVIII – 1-9. სამარხი №15: 1. ინვ. №46; 2. ინვ. №48; 3. ინვ. №47; 4,5. ინვ. №50 6. ინვ. №45; 7. ინვ. №49; 8. ინვ. №43; 9. ინვ. №44. 10. სამარხი №14: ინვ. №42.

ტაბ. XIX – სამარხი №17: 1. ინვ. №56; 2. ინვ. №51; 3. ინვ. №53; 4. ინვ. №55; 5. ინვ. №54.

ტაბ. XX – სამარხი №17: 1. ინვ. №61; 2,3. ინვ. №62; 4. ინვ. №58; 5. ინვ. №60; 6,7. ინვ. №59; 8. ინვ. № 57.

ტაბ. XXI – სამარხი №18: 1. ინვ. №66; 2. ინვ. №63; 3. ინვ. №67; 4. ინვ. №64; 5. ინვ. №65.

ტაბ. XXII – სამარხი №19: 1. ინვ. №68ბ; 2. ინვ. №70; 3. ინვ. №69; 4. ინვ. №68ა; 5. ინვ. №68.

ტაბ. XXIII – სხვადასხვა სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი: 1. ინვ. №44; 2. ინვ. №43; 3. ინვ. №12; 4. ინვ. №68; 5. ინვ. №29; 6. ინვ. №22; 7. ინვ. №25; 8. ინვ. № 55.

ტაბ. XXIV – სახვადასხვა სამარხში აღმოჩენილი არტეფაქტები: 1. მძივი, ინვ. №49; 2. ბრინჯაოს „ღილები“, ინვ. №57; 3. ბრინჯაოს სამაჯური, ინვ. №5; 4. სამაჯური, ინვ. №1; 5. სამაჯური, ინვ. №6; 6. სამაჯური, ინვ. №2; 7. სამაჯური, ინვ. №32; 8. სამაჯური, ინვ. № 71; 9. ბრინჯაოს ბალთები, ინვ. №4.

ტაბ. XXV – მძივები: 1. ინვ. №41; 2. ინვ. №7.

ტაბ. XXVI – მძივები: 1. ინვ. №7; 2. ინვ. №27; 3. ინვ. №62; 4. ინვ. №9; 5. ინვ. №41.

ტაბ. XXVII – ლითონის არტეფაქტები: 1. ბრინჯაოს შუბისპირი, ინვ. №61; 2. ბრინჯაოს მილაკები, ინვ. №58; 3. ბრინჯაოს ისრისპირები, ინვ. №59; 4. რკინის ისრისპირი, ინვ. №60; 5. რკინის დანა, ინვ. №26; 6. რკინის დანა, ინვ. №112; 7. რკინის დანა, ინვ. №113.

ტაბ. XXVIII – სამარხების საერთო ხედი.

ტაბ. XXIX – ყორღანი „თიქილი დაშ“, სიმაგრის დასავლეთით 300 მ-ის დაცილებით.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Map of the Knole settlement and surrounding territory.

Pl. II – General plan of the Knole settlement.

Pl. III – Plan of the fortress.

Pl. IV – Dwelling No. 2. Plan, section and attempt of reconstruction.

Pl. V – Dwelling No. 2 at the end of the excavations.

Pl. VI – Artefacts found in the dwelling No. 2: 1. Inv. No. 92; Inv. no. 83; 3. Inv. no. 86; 4. Inv. no. 84; 5. Inv. no. 98; 6. Inv. no. 99; 7. Inv. no. 76; 8. Inv. no. 75; 9. Inv. no. 93; 10. Inv. no. 95; 11. Inv. no. 102; 12. Inv. no. 90; 13. Inv. no. 94; 14. Inv. no. 77; 15. Inv. no. 79; 16. Inv. no. 87; 17. Inv. no. 88; 18. Inv. no. 78; 19. ობ. №82; 20. Inv. no. 81; 21. Inv. no. 91; 22. Inv. no. 80; 23. Inv. no. 73; 24. Inv. no. 74; 25. Inv. no. 85; 26. Inv. no. 72.

Pl. VII – General plan of the Knole cemetery. Graves before opening.

Pl. VIII – General plan of the Knole cemetery. Graves after opening.

Pl. IX – Stone tombs covered with a stone slabs: 1. Grave 9, 2. Grave 10. Pit burials: 3. Grave 6; 4. Grave 17.

Pl.x– Stone tombs covered with a stone slabs: 1. Graves 1, and 4; 2. Grave 5; 3. Grave 19; 4. Grave 14. Pit burials: 1. Graves 2, and 3.

Pl. XI – 1-3. Grave 1: Inv. no. 1; 2. Inv. no. 2; 3. Inv. no. 3; 4-5. Grave 3: 4. Inv. no. 9; 5. Inv. no. 8; 6-7. Grave 4: 6. Inv. no. 11; 7. inv. № 10; 8. Grave 6, Inv. no. 17.

Pl. XII –Grave 2: 1. Inv. no. 7; 2. Inv. no. 5; 3. Inv. no. 6; 4. Inv. no. 4.

Pl. XIII – Beads from grave 2, inv. no. 7

Pl. XIV – 1-5. Grave 1: 1. Inv. no. 14; 2. Inv. no. 16; 3. Inv. no. 15; 4. Inv. no. 12; 5. Inv. no. 13. 6. Grave 8: Inv. no. 18.

Pl. XV – 1-3. Grave 10: 1. Inv. no. 27; 2. Inv. no. 25; 3. Inv. no. 26; 4-7. Grave 9: 4. Inv. no. 20; 5. Inv. no. 24; 6. Inv. no. 21; 7. Inv. no. 22.

Pl XVI – Grave 11: 1. Inv. no. 35; 2. Inv. no. 34; 3. Inv. no. 33; 4. Inv. no. 29; 5. Inv. no. 30; 6. Inv. no. 31.

Pl. XVII – 1-4. Grave 11: 1,2. Inv. no. 35; 3. Inv. no. 28; 4. Inv. no. 32; 5-7. Grave12: 5. Inv. no. 37; 6. Inv. no. 36; 7. Inv. no. 39. 8,9. Grave 13: 8. Inv. no. 40; 9. Inv. no. 41.

Pl. XVIII – 1-9. Grave 15: 1. Inv. no. 46; 2. Inv. no. 48; 3. Inv. no. 47; 4,5. Inv. no. 50 6. Inv. no. 45; 7. Inv. no. 49; 8. Inv. no. 43; 9. Inv. no. 44. 10. Grave14: Inv. no. 42.

Pl. XIX – Grave 17: 1. Inv. no. 56; 2. Inv. no. 51; 3. Inv. no. 53; 4. Inv. no. 55; 5. Inv. no. 54.

Pl. XX – Grave 17: 1. Inv. no. 61; 2,3. Inv. no. 62; 4. Inv. no. 58; 5. Inv. no. 60; 6,7. Inv. no. 59; 8. inv. № 57.

Pl. XXI – Grave 18: 1. Inv. no. 66; 2. Inv. no. 63; 3. Inv. no. 67; 4. Inv. no. 64; 5. Inv. no. 65.

Pl. XXII – Grave 19: 1. Inv. no. 68b; 2. Inv. no. 70; 3. Inv. no. 69; 4. Inv. no. 68a; 5. Inv. no. 68.

Pl. XXIII – Clay ware from different burials: 1. Inv. no. 44; 2. Inv. no. 43; 3. Inv. no. 12; 4. Inv. no. 68; 5. Inv. no. 29; 6. Inv. no. 22; 7. Inv. no. 25; 8. inv. № 55.

Pl. XXIV – Artifacts from different burials: 1. Bead, Inv. no. 49; 2. Bronze "buttons", inv. no. 57; 3. Bronze bracelet, inv. no. 5; 4. Bracelet, inv. no. 1; 5. Bracelet, inv. no. 6; 6. Bracelet, inv. no. 2; 7. Bracelet, inv. no. 32; 8. Bracelet, inv. no. 71; 9. Bronze plaques, inv. no. 4.

Pl. XXV –Beads: 1. Inv. no. 41; 2. Inv. no 7.

Pl. XXVI –Beads: 1. Inv. no. 7; 2. Inv. no. 27; 3. Inv. no. 62; 4. Inv. no. 9; 5. Inv. no. 41.

Pl. XXVII –Metal artifacts: 1. Bronze spearhead, inv. no. 61; 2. Bronze tubes, inv. no. 58; 3. Bronze arrowheads, inv. no. 59; 4. Iron arrowhead, inv. no. 60; 5. Iron knife, inv. no. 26; 6. Iron knife, inv. no. 112; 7. Iron knife, inv. no. 113.

Pl. XXVIII –General view of the graves.

Pl. XXIX – "Tikili Dash" burial mound, in 300 m to the westfrom fortress.

ტაბ. I


ნასოფლარი
ნაქალაქარი
ხიდი
ბეჭედურ-ბაღდათელი
ხიდი
ეკლესია
წყალსადენი
ციხე
ქვაბები
ქვაბები

ტაბ. II



ტაბ. III





ჭრილი 2:2



ჭრილი 1:1



1

2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26

ტაბ. VII



ტაბ. VIII




№ 9
№ 10
0 1 2 m
1
0 1 2 m
2
№ 6
№ 17
0 1 2 m
3
0 1 2 m
4


№ 4
№ 3
№ 2
№ 4
0 1 2 m
1
№ 5
0 1 2 m
2
№ 19
0 1 2 m
3
№ 14
4

ტაბ. XI



1



2



3

4



5



6



7



8

ტაბ. XII



1



2



3



4

ტაბ. XIII



1



2



1



2



3



4



5



6

ტაბ.XV



ტაბ. XVI



1



2



3



4



5



6

ტაბ. XVII



1



3



2



4



5



6



7



8



9



1



2

4



3



5



6



7



8



9



10

ტაბ. XIX



1



2



3



4



5


1
2
3
4
5
6
7
8



1



2



3



4



5



1



2



3





4



5

1

2

3

4

5

6

7

8

ტაბ. XXIV

1



2

3

4

5

6

7

8

9

1

2

1

2

3

4

5

1

2



3

4

5

6

7



1

2



1



2

ნინო სულავა, ინგა ესვანჯია

ცხეთის სამაროვნის სამარხთა განლაგების რეკონსტრუქცია

ლეჩხუმში, 1962 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელი ექსპედიციის (ხელმძღვ. გ. გობეჯიშვილი) რაზმმა არქეოლოგ ლ. სახაროვას ხელმძღვანელობით გათხარა ცხეთის სამაროვან[1]. გათხრების დაწყების საფუძველი იყო სოფ. ცხეთის ტერიტორიიდან ცნობილი არქეოლოგიური არტეფაქტები, რომლებიც ცაგერის ისტორიულ მუზეუმში შედიოდა პერიოდულად ადგილობრივი მოსახლეებისაგან.

სოფელი ცხეთა მდებარეობს ცაგერის სამხრეთით, 15 კმ-ის მოშორებით. სოფელს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ეკვრის ერთმანეთზე მიჯრილი ხუთი ბორცვისაგან შედგენილი ქედი, რომელსაც ადგილობრივები ყვავიქედას ეძახიან. სამაროვნის სავარაუდო ფართობი, რომელიც ყვავიქედას სამხრეთი ფერდობია, დასახლებული იყო; კერძოდ, ის ტერიტორია, სადაც სამაროვანი აღმოჩნდა, ეკუთვნოდა ფალავანდიშვილებსა და მინდაძეებს. რადგან კარმიდამოები სამეურნეო საქმიანობით ზემოქმედებას განიცდიდა, სამარხების ნაწილი განადგურებული ან არეული იყო.

გათხრების შედეგად გამოვლინდა 15 ინჰუმაციური ორმოსამარხი, რომელთაგანაც შედარებით უკეთ იყო დაცული 5 სამარხი (№№ 2, 5, 9, 13, 14). სამარხები ჩვეულებრივი ორმოები იყო[2], მიცვალებულები დასვენებული იყვნენ გვერდზე, კიდურებმოხრილი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ორიენტაციით, სამარხები არის როგორც ინდივიდუალური, ასევე წყვილადიც. №№ 1 და 12 სამარხში 3 მიცვალებულია დაკრძალული [სახაროვა 1963; სულავა 1996: 9].

ცხეთის სამაროვანზე სამარხეული ინვენტარის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოიყო ორი ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხები – ძვ.წ. II (შესაძლოა III ს.) – I საუკუნეების (№№ 6, 12, 13) და ახ.წ. I-IV საუკუნეების სამარხები (№№ 1, 2, 4, 5, 9, 10, 14, 15) [სულავა 1996: 39-41].

2015 წელს შესაძლებელი გახდა იმავე სამაროვნის ტერიტორიაზე განახლებულიყო არქეოლოგიური გათხრები[3]. ამჟამად სოფელი დაცლილია და გასათხრელი ფართობი, ტერიტორია, სადაც გამოვლინდა 4 სამარხი, ყოფილი მოსახლეების, მინდაძეების და ფალავანდიშვილების ნასახლარებია. სწორედ ფალავანდიშვილების ეზოში სახლისა და საბძლის მდებარეობის დადგენით, რაც ორიენტირებათ არის გამოყენებული ლ. სახაროვას დღიურებში, შევძელით სამაროვანზე 1962 წელს გათხრილი 15 სამარხის განლაგების აღდგენა[4]. აგრეთვე, შესაძლებელი გახდა მინდაძეების კარმიდამოს ნაწილშიც, რომელიც ესაზღვრება ფალავანდიშვილების ეზოს, ძველი თხრილებისა და სამარხების მდებარეობის დადგენა.

ჩატარებული სამუშაო დაგვეხმარება იმაში, რომ 1962 წლის გათხრები დოკუმენტირებული იქნება და მომავალი გათხრებისას შემოწმდება ის ადგილები, რომელიც არ არის ნათხარი. გამოვლინდება გარკვეული კანონზომიერებები, რომლებიც, როგორც გაირკვა, ახასიათებს ცხეთის სამაროვანს.

ახლადგამოვლენილი 4 სამარხიც იგივე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჯდება (ძვ.წ. III-I საუკუნეები და ახ.წ. I-IV საუკუნეები), როგორც 1962 წელს შესწავლილი სამარხები.

ამგვარად, 1962 წლის გათხრების სურათი ასეთი იყო - გაკეთდა 15 თხრილი. როგორც ირკვევა, თხრილები ძირითადად კეთდებოდა ფალავანდიშვილების სახლისა და საბძლის ირგვლივ[5]. მთელი ეს ტერიტორია ფერდობს წარ-

1 იმდროინდელი მცირე დაფინანსებისა და ექსპედიციის დაზვერვითი ხასიათის გამო სამაროვნის შესწავლა წარმოებდა სადაზვერვო-საცდელი თხრილებით. არ გაკეთებულა სიტუაციური გეგმა და არ დადასტურებულა სტრატიგრაფიული მონაცვლეობა. არასრულყოფილია გრაფიკული და ფოტო დოკუმენტაცია [სულავა 1996, 39].

2 ლ. სახაროვას დღიურებში არსად არ არის აღნიშნული სამარხები შემოსაზღვრული იყო თუ არა, ან მონიშნული იყო თუ არა, განსხვავებით 2015 წელს გათხრილი სამარხებისაგან.

3 არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიცია'' (ხელმძღვ. ნ. სულავა).

4 ფაქტობრივად ჩავატარეთ ის სამუშაო, რაც ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო ვერ ჩატარდა 1962 წელს სამაროვანის გათხრისას.

5 ლ. სახაროვას დღიურიდან - „I თხრილი გავავლეთ ალეკო ფალავანდიშვილის ეზოს გვერდზე. ე.ი. ყვავიქე-

მოადგენს და დაახლოებით 15-20 გრადუსითაა დახრილი. სამარხები აღმოჩნდა I, II, IV, VII, XV თხრილებში.

I თხრილის ზომები იყო - 3×6 მ. 15°-იანი N-S დამხრობა. თხრილში გამოვლენილ-შესწავლილ იქნა 5 სამარხი (№№ 1-5), ყველა ახ.წ. პრველი საუკუნეებისა (ტაბ. I-VI, 1962 წლის გათხრები)[6].

II თხრილის[7] ზომები იყო - 3×5 მ. 20°-იანი N- S დამხრობა. თხრილში გამოვლენილ-შესწავლილ იქნა მხოლოდ 1 სამარხი, ძვ.წ. III – II სს. (ტაბ. VII-VIII, 1962 წლის გათხრები). № 6 სამარხი სამაროვნის ყველაზე ღრმად ჩაჭრილი სამარხია.

III თხრილში (ყვავიქედას დასავლეთ წვერთან) აღმოჩნდა ქვის წყობა[8].

IV თხრილის [9] ზომები იყო - 3×6 მ[10]. დამხრობა W-O. თხრილში გამოვლენილ-შესწავლილ იქნა 5 სამარხი (№№ 7-11), ყველა ახ.წ. პრველი საუკუნეებისა (ტაბ. IX-XI, 1962 წლის გათხრები).

V და VI თხრილებში (სავარაუდოდ ს. მინდაძის ეზოში) სამარხები არ აღმოჩენილა**.**

VII თხრილის [11] (მინდაძის ეზო) ზომები იყო - 3×5 მ[12]. დამხრობა W- O [13]. თხრილში აღმოჩნდა 2 სამარხი (№№ 12, 13). სამარხები ძვ.წ. III-I სს-ს განეკუთვნება. № 12 სამარხში როგორც ჩანს, არეული იყო რამდენიმე სამარხი და 225-130 სმ ზომის გროვას წარმოადგენდა, რომელსაც ჩრდილო და სამხრეთი მხრიდან მიდგმული ქონდა ქვის ფილებისაგან შედგენილი პატარა ყუთები (50-40 სმ), მათი იატაკიც ქვისა იყო. სამარხისაკენ ყუთები გახსნილი იყო; გადახურვა არ ქონდა. სამარხის შუაში, უფრო აღმოსავლეთით ცხენის ძვლები იყო, რომლის ქვეშაც მესამე მიცვალებულის თავის ქალა და ყბები გამოჩნდა. მასალის დიდი ნაწილი ძვ.წ. III-I სს-ს განეკუთვნება, თუმცა გვიანდელი მასალაც არის შერეული (მაგ.: რკინის მრგვალი აბზინდა) (ტაბ. XII-XIV, 1962 წლის გათხრები).

XIII თხრილი გაკეთდა სამუშაოს დაწყების ადგილას (I თხრილთან ? – ნ.ს.).

XIV თხრილში აღმოჩნდა ძვლების ფრაგმენტები და ინვენტარის ნაშთი (ტაბ. XV-XVI, 1962 წლის გათხრები).

XV თხრილში[14] აღმოჩნდა 2 სამარხი (№№ 14, 15). სამარხები ზოგადად ახ.წ. I-IV საუკუნეებს განეკუთვნება (ტაბ. IX-X, 1962 წლის გათხრები). (ტაბ. XIII-XIV, 1962 წლის გათხრები).

ამგვარად, ჩატარებული სამუშაოს შედეგად (დღიურების ანალიზი, სამაროვნის ფართობზე ორიენტირების დადგენა და მათზე დაყრდნობით ძველი თხრილების მდებარეობის განსაზღვრა) მივიღეთ აღდგენილი საველე დოკუმენტაცია – სიტუაციური გეგმა, რომელიც ასახავს 1962 წლის გათხრებს; აღდგენილია სამარხთა განლაგება თხრილებში დონეების მიხედვით; გამოვლინდება გარკვეული კანონზომიერება, რომელიც ახასიათებს ცხეთის სამაროვანს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე ძველი სამარხები (№№ 6, 12, 13 – 1962 წ. გათხრები) სამაროვნის აღმოსავლეთით არის განლაგებული, რაც 2015 წლის გათხრებმაც დაადასტურა.

დას სამხრეთით, მის შეფენებაზე“.

6 ლ. სახაროვას არქივში აღმოჩნდა №№ 1 და 5 სამარხების ფოტოები.

7 ლ. სახაროვას დღიურიდან - „ეს ახალი თხრილი (თხრილი - II) გავჭერით I თხრილის აღმოსავლეთით, დაახლოებით 20-25 მეტრის დაშორებით. II თხრილი უშუალოდ ეკვრის ფალავანდიშვილების ეზოს ჩრდილო მხრიდან“.

8 ეს თხრილი სავარაუდოდ ნასახლარს ეკუთვნის, ამიტომ აქ არ შევეხებით.

9 ლ. სახაროვას დღიურიდან - „ . . . გავჭერით IV თხრილი ალეკო ფალავანდიშვილის ეზოში. I თხრილის აღმოსავლეთით, 2,5-3 მეტრის დაშორებით“.

10 № 10 სამარხის აღმოჩენის შემდეგ IV თხრილი დასავლეთისაკენ გაუფართოვებიათ 1 მეტრით.

11 ლ. სახაროვას დღიურიდან - „დავიწყეთ VII თხრილის გაჭრა სიმონა მინდაძის ეზოში. ეს ჩვენი სამუშაო ნაკვეთის გაგრძელებაა აღმოსავლეთით. ეზოს ჩრდილო ნაწილი უკვე ნათხარი იყო. ეს კარგად გამოჩნდა ორი საცდელი პატარა თხრილიდანაც“.

12 № 10 სამარხის აღმოჩენის შემდეგ IV თხრილი დასავლეთისაკენ გაუფართოვებიათ 1 მეტრით.

13 VIII, IX, X, XI, XII თხრილები საცდელი თხრილებია სოფ. ცხეთის სამხრეთით (ადგ. ლეკარჩა, შეღობილა).

14 ლ. სახაროვას დღიურის მიხედვით XV თხრილი ფალავანდიშვილების ეზოს შესასვლელში, „პალატის გვერდით“, I თხრილის აღმოსავლეთით მდებარეობდა.

სამარხების №№	სამარხის სახეობა	სამარხში მიცვალებულთა რაოდენობა	სამარხში მიცვა-ლებულთა პოზა	სამარხის დამხრობა	სამარხის ზომა	სამარხის სიღრმე	თარიღი
I თხრილი							
№ 1[1]	ორმოსა-მარხი	3 მიცვალებული	1 მიცვალე-ბული მარცხენა გვერდზე, მუხ-ლებში მოხრილი	W-O	110-70 სმ	60 სმ	ახ.წ. III-IV ს-ის დასაწ.
II თხრილი							
№ 6	ორმოსამარხი	? მიცვალებული	ჩონჩხი არეული	?	?	140 სმ	ძვ.წ. III-II სს.
IV თხრილი							
№ 7	ორმოსამარხი	1 მიცვალებული	მარჯვენა გვერდზე, მუხ-ლებში მოხრილი	O	125-80 სმ	50-70 სმ	ახ.წ. I-II სს
№ 8	„უინვენტარო“						
№ 9			მარცხენა გვერდზე, მუხ-ლებში მოხრილი	O	135-85 სმ	120 სმ	ახ.წ. I-III სს
№ 10	ორმოსამარხი	1 მიცვალებული	ზურგზე		175-80 სმ	120 სმ	ხ.წ. IV ს-ის პირვე-ლი ნახ.
№ 11	ორმოსამარხი	მხოლოდ თავის ქალა					ახ.წ. I-III სს
VII თხრილი							
№ 12	ორმოსამარხი	3 მიცვალებული და 1 ცხენი	ძვლების და ნივთების გროვა		225-130 სმ	50 სმ	ძვ.წ. III-I სს.
№ 13	ორმოსამარხი	1 მიცვალებული	გვერდზე, მუხ-ლებში მოხრილი	W-O	160-55 სმ	80 სმ	ძვ.წ. II- I სს.
XV თხრილი							
№ 14	ორმოსამარხი	1 მიცვალებული	მარჯვენა გვერდზე, მოხრილი				ახ.წ. IV ს-ის პირვე-ლი ნახ.
№ 15	„დანგრეული“					20 სმ	ახ.წ. II-III სს

1 სამარხების ინვენტარი შდრ.: სულავა 1996 და ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012. ციმ-ის ინვენტარის ნაწილი განადგურდა მუზეუმში 1996 წელს გაჩენილი ხანძრის დროს.

N. Sulava, I. Esvanjia

TOWARDS RECONSTRUCTION OF DISTRIBUTION OF THE TSKHETA BURIALS

Tskheta cemetery was excavated in 1962 by a team of archaeologists under L. Sakharova within a frame of archaeological expedition (Director G. Gobejishvili) that conducted digs of the Bronze Age settlements on the southern slope of Interior Caucasus. Neither graphical nor photographic records of archaeological study of necropolis had been done back then due to inadequate financial support.

Archaeological excavations of the same cemetery were resumed in 2015 and resulted in discovery of 4 previously unknown burials.

The presented work aimed at reconstruction of distribution of 15 burials initially unearthed by L. Sakharova on the territory of cemetery on the basis of her field journal.

The analysis of field journals, identification of landmarks on the excavation area with a view to ascertaining the location of original ditches enabled us to reconstruct the following rchaeological documentation: situation plan that reflects excavations of 1962, reconstruction of distribution of burials according to levels identified in ditches. A certain regularity has been attested which implies the oldest burials (## 6, 12, 13 – digs of 1962) to be located in the eastern part of the cemetery. It was further corroborated by 2015 digs.

Two groups of burials, one dating from the 2nd (could be even the 3rd cent)-1st cent. BC and another – 1st-4th cent. AD have been distinguished on the grounds of comparative-typological analysis of grave inventory.

Newly discovered burials also fit this chronological frames.

ლიტერატურა

სახაროვა ლ. 1962: საველე დღიური.

სახაროვა ლ. 1963: შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის ექსპედიციის ლეჩხუმის რაზმის 1962 წლის ანგარიში. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი.

სულავა ნ. 1996: მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი). თბილისი.

ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. 2012. თბილისი

სულავა ნ. 2014: ცხეთის სამაროვანი. ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები, I. თბილისი.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – 1962 წლის გათხრები, თხრილი I, სამარხები №№ 1-5.

ტაბ. II – 1962 წლის გათხრები, თხრილი I, დონე I-II.

ტაბ. III – 1962 წლის გათხრები, თხრილი I, დონე III, IV.

ტაბ. IV – 1962 წლის გათხრები, სამარხი № 1 [სულავა 1996: ტაბ. IV; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 36; სულავა 2014: ტაბ. I] .

ტაბ. V – 1962 წლის გათხრები, სამარხი №№ 2, 4 [სულავა 1996: ტაბ. V; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 36; სულავა 2014: ტაბ. II] .

ტაბ. VI – 1962 წლის გათხრები, სამარხი № 5 [სულავა 1996: ტაბ. VI; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 36; სულავა 2014: ტაბ. III].

ტაბ. VII – (1962 წლის გათხრები, თხრილი II, სამარხი № 6).

ტაბ. VIII – 1962 წლის გათხრები, სამარხი № 6, თხრილი II [სულავა 1996: ტაბ. I; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 35; სულავა 2014: ტაბ. IV] .

ტაბ. IX – 1962 წლის გათხრები, თხრილი IV, სამარხები №№ 7-11.

ტაბ. X – 1962 წლის გათხრები, სამარხები №№ 9, 10 [სულავა 1996: ტაბ. VII-VIII; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 37].

ტაბ. XI – 1962 წლის გათხრები, თხრილი VII, სამარხები №№ 12-13.

ტაბ. XII – 1962 წლის გათხრები, სამარხები №№ 12, 13 [სულავა 1996: ტაბ. I, III; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 35; სულავა 2014: ტაბ. IV-V].

ტაბ. XIII – 1962 წლის გათხრები, თხრილი XV, სამარხები №№ 14, 15.

ტაბ. XIV – 1962 წლის გათხრები, თხრილი XV, სამარხი №№ 14 [სულავა 1996; ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012; სულავა 2014].

ტაბ. XV/1, 2 (1962 წლის გათხრები, თხრილი XV, სამარხი № 15) [სულავა 1996: ტაბ. IX. ცაგერის ისტორიული მუზეუმი 2012: 39].

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Excavations of 1962, trench I, graves 1-5.
Pl II. – Excavations of 1962, trench I, levels I-II.
Pl. III – Excavations of 1962, trench I, levels III-IV.
Pl. IV – Excavations of 1962, grave 1.
Pl. V – Excavations of 1962, graves 2,4.
Pl. VI – Excavations of 1962, grave 5.
Pl. VII – Excavations of 1962, trench II, grave 6.
Pl. VIII – Excavations of 1962, grave 6.
Pl. IX – Excavations of 1962, trench IV, graves 9-10.
Pl. X – Excavations of 1962, graves 9-10.
Pl. XI – Excavations of 1962, trench VII, graves 12-13.
Pl. XII – Excavations of 1962, graves 12-13.
Pl. XIII – Excavations of 1962, trench XV, graves 14-15.
Pl. XV – Excavations of 1962, grave 15.

ტაბ. I


I თხრილი
სამარხი N4
- 0,5 მ.
სამარხი N5
- 0,7 მ.
სამარხიN1
- 0,6 მ.
სამარხი N2
- 0,3 მ.
სამარხი N3
- 0,3 მ.
± 0

1


I
I თხრილი
3
1
5
4
2

I
3
1
2
5
4
0
100

2

ტაბ. II


ფალავანდიშვილის ეზო. სამაროვანი.
თხრილი I
დონე I
გეგმა
I
3
1
2
ჭრილი 1:1
± 0
- 0,3 მ.
- 0,6 მ.
0
100

1


I
გეგმა
ფალავანდიშვილის ეზო. სამაროვანი.
თხრილი I
დონე II
3
1
ჭრილი 1:1
± 0
- 0,3 მ.
- 0,6 მ.
0
100

2


I
გეგმა
ფალავანდიშვილის ეზო. სამაროვანი.
თხრილი I
დონე III
4
ჭრილი 1:1
± 0
- 0,5 მ.
I
4
0
100

1


I
გეგმა
ფალავანდიშვილის ეზო. სამაროვანი.
თხრილი I
დონე IV
5
± 0
ჭრილი 1:1
- 0,7 მ.
I
5
0
100

2

1

სამარხი N 1



0 50

2



1



2

1



2

სამარხი N 5



1



2


სამარხი N 6
0
50
1


II თხრილი
II
6
2
0
100


IV თხრილი
10
11
9
8
7
IV
IV
8
7
10
9
11
1
0
100


IV თხრილი
სამარხი N7
-0,7 - 0,5 მ.
სამარხი N8
-0,8 მ.
სამარხი N9
-1,2 მ.
სამარხი N10
-1,2 - 1,4 მ.
სამარხი N11
-1,6 მ.
±0
2

სამარხი N 9



სამარხი N 10




VII თხრილი
VII
12
13
VII
12
13
0
100

1


სამარხი N12
-0,5 მ.
VII თხრილი
±0
სამარხი N13
-0,8 მ.

2

სამარხი N 12



1

სამარხი 13



2





XVთხრილი

0 100





1



2

სამარხი N 15



ქეთევან რამიშვილი

განძი ჟინვალის ნაქალაქარიდან

1980 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციამ (ექსპედიციის ხელ. რ. რამიშვილი) ჟინვალის ნაქალაქარზე არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდა. გათხრები სხვადასხვა უბნებთან ერთად XVII უბანზეც წარმოებდა (გამთხრელები: მ. მარგველაშვილი, ნ. მუხიგულაშვილი), სადაც საკმაოდ მასშტაბური სამუშაოებისას გაითხარა 912 კვ.მ. ფართობი. გამოვლინდა 15 სხვადასხვა ზომის სათავსო, რომელთაგან მთლიანად გაითხარა 9, ხოლო 6 – ნაწილობრივ. სათავსოთა უმეტესობა მიწის იატაკიანი იყო, ფილაქნიანი – იშვიათად. ყველა საცხოვრებელ დარბაზს ჰქონდა კერა, თონე, ქვევრი, ქვითკირით ამოშენებული სასურსათო ხარო, სვეტის საყრდენები და სხვ. საცხოვრებელი სათავსოების უმრავლესობა დედაბოძიანი იყო.

XVII უბანზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მონაპოვარში საყურადღებოა თიხის ნაწარმი, მათ შორის გამოირჩევა მოჭიქული ჭურჭელი, გვხვდება გეომეტრიული, მცენარეული და ზოომორფული მოტივებით შემკული ჯამების მრავალფრად მოჭიქული ნატეხები. მოუჭიქავ ჭურჭელს შორის უხვად იყო მოჩალისფრო კეცის მქონე სასუფრე ჭურჭლის ნატეხები, წითელკეციანი სასუფრე და საოჯახო ჭურჭლის ნიმუშები, სამზარეული კერამიკა და სხვ. ცალკეულ სათავსოებში ჩნდებოდა მეთუნეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საგანი, სოლებისა და სამფეხების ნატეხები. არის სამშენებლო კერემიკის ნიმუშებიც.

მინის ნაწარმში გამოირჩეოდა სასმისის ფრაგმენტები, გრეხილღეროიანი სამაჯურების ნიმუშები, მძივები და სხვ.

ლითონის ნაწარმში აღსანიშნავია რკინის ისრისპირი, სამართებლები, სამშენებლო გამირები, ლურსმნები, ასევე რკინის წიდები, რაც შუასაუკუნეების ჟინვალში რკინის დამუშავების ფართო მასშტაბებზე მიუთითებს [რამიშვილი რ. 1981: 1-24].

XVII უბანზე, ისევე როგორც ჟინვალის ნაქალაქარზე მთლიანად, დადასტურდა ორი სამშენებლო დონე. სხვადასხვა სათავსოში გამოვლინდა 5 მონეტა, რომელთაგან 3 ეკუთვნოდა ქვედა სამშენებლო დონეს, ხოლო 2 – ზედას. ქვედა სამშენებლო დონის მონეტებს შორის გვაქვს: გიორგი III-ის სახელით მოჭრილი (1156 – 1160 წწ.) (ტაბ. II_3), თამარის სახელით XII ს-ის მიწურულს მოჭრილი (ტაბ. II_4) და ლაშა-გიორგის სახელით 1210 წელს გამოშვებული (ტაბ. II_5) თითო-თითო მონეტა. ზედა ქრონოლოგიური დონის მონეტებს შორის ერთი უსახური ნატეხის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე – ჰულაგუიდი (ტაბ. II_6) მოჭრილია აბუ-საიდის სახელით XIV საუკუნის პირველ მეოთხედში [რამიშვილი რ. 1981: 18-19].

XVII უბანზე გათხრილ სათავსოთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა №62 სათავსო, რომელიც მთლიანად ვერ იქნა გამოვლენილი, რადგან მისი აღმოსავლეთი კედელი დაფარული იყო სამანქანო გზით. სათავსოში მოგვიანებით ტიხარი ჩაუშენებიათ, რომლითაც ის გამოყოფილი იყო № 61 სათავსოსაგან, დასავლეთი კედელი არ ჩანდა. სათავსოში ჩაშენებული იყო კლდის ქვითა და დუღაბით ნაგები კასრისებური ფორმის ხარო. ხაროს პირიდან 0,87 მ სიმაღლეზე კედელში დატანებული იყო ქვის საფეხური [რამიშვილი რ. 1981: 10-17].

№ 62 სათავსოში აღმოჩნდა მწვანედ მოჭიქული მომცრო თიხის ქილა (ტაბ. II_1) მოწითალო კეცით, სწორი პირით, ბრტყელი ბაკოთი, საშუალო ზომის ცილინდრული ყელით, მხრებში გამოყვანილი, წელში ოდნავ შეზნექილი, ძირისკენ შევიწროვებული ტანით, ბრტყელი ძირით. თეთრანგობიან შიდა და გარე პირზე გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური, სადაა და უორნამენტო (საველე № – 09-XVII-80-186, დაცულია ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუასაუკუნეთა ფონდში, № 71-985/30, ზომები: სიგრძე – 16, 5 სმ, პირის დმ – 5, 5 სმ. ძირის დმ – 4, 5 სმ, კეცის სისქე – 0,5 სმ.). ქილა ჩაფლული იყო სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკის დონეზე ღრმად, როგორ ჩანს, ომიანობის დროს. ამ ქილაში გადამალული იყო საოჯახო განძი, რომელიც შედგებოდა სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის ბეჭდისაგან [მარგველაშვილი, მუხიგულაშვილი 1981: 22-24, ტაბ. XV_{185}; ტაბ. XVI].

ამგვარი ქილები აღმოჩენილია თბილისის კერამიკულ სახელოსნოსა და სახელოსნოს გადანაყარ გროვაში, ასევე დიდი რაოდენობით

არის მოპოვებული რუსთავის ნაციხარსა და ნაქალაქარზე (ტაბ. II_2), დმანისში. ანალოგიური ქილა აღმოჩენილია სომხეთშიც [მიწიშვილი 1969: 56, ტაბ. $V_{1,2}$]. მსგავსი ე.წ. „წვრილი“ კერამიკული ჭურჭელი დათარიღებულია XI-XIII საუკუნეებით [მიწიშვილი 1969: 59].

1. ბეჭედი ოქროსი (საველე № – 09-XVII-80-186, დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუასაუკუნეთა ფონდში, № 34-981/1, ამჟამად ინახება მუზეუმის ძვირფასი ლითონების საცავში), ზომები: სიმაღლე – 2 სმ; ფარაკის სიგრძე – 1,1 სმ; სიგანე – 0,8 სმ; სისქე – 0,2 სმ; რკალის დიამეტრი – 1,9 სმ; წონა – 9,15 გრ.). ბეჭედს აქვს მართკუთხა სადაზედაპირიანი ფარაკი, რომლის ოთხივე კუთხე შემკულია მაღალი რელიეფური და გლუვი შვერილებით, კბილანის იმიტაციით (ტაბ. I_1). ბეჭედს ქვედა ნაწილში აქვს ნახევარწრიული რკალი, რომელიც მხრებისკენ თანდათან განიერდება, მაღლდება და გადადის ფარაკთან შერწყმულ დახრილ და დაკუთხულ ფიგურულ მხრებში (ტაბ. II_2). ბეჭდის მხრებზე მარჯვნივ და მარცხნივ საკმაოდ ღრმა რელიეფით ამოკვეთილია ბოლოებჩახვეული, ფოთლისებური დეკორი, ფოთლებს შორის, ბეჭდის მხრების ბრტყელ ზედაპირზე გრავირებულია გახსნილი რვიანის ფორმის ბოლოებჩახვეული, შეფოთლილი ყლორტი, რომელიც წელში გამოყვანილ და ბოლოში წაწვეტებულ მართკუთხა ჩარჩოშია მოთავსებული (ტაბ. II_3). ბეჭდის რკალის შიდა ზედაპირი სადაა, ხოლო გარედან მკვეთრად დაწახნაგებულია და სიგრძივი წიბო გასდევს, მხრებს ქვემოთ რკალი გაფორმებულია არაბესკით – წვერით ქვემოთ მიმართულ სამკუთხედ არეზე დატანილი მცენარეული ორნამენტის რელიეფური ხვეულებით, უფრო ქვემოთ – პარალელური ხაზებისაგან შედგენილი, გრაფიკულად შესრულებული სამკუთხედებით, ხოლო რკალის სულ ქვედა ნაწილში – რელიეფურ რომბში ჩაწერილი რვაფურცლა ვარდულით (ტაბ. I_4). ფარაკის გვერდითა წახნაგზე ამოკვეთილია ნასხით შესრულებული სტილიზებულ-დეკორატიული წარწერა ﻭﺍﻟﺃﻣﺎﻥ – WA AL-AMAN – „უსაფრთხოება“, რომელიც ფარაკის გვერდითა წახნაგზე მეორდება (ტაბ. I_2). წარწერა წაიკითხა კაიროს უნივერსიტეტის არქეოლოგიური ფაკულტეტის კურატორმა შებლ ებაიდმა და აღნიშნა, რომ ისლამურ სამყაროში არაბული დამწერლობის ეს ვარიანტი აღმოცენდა სელჩუკურ პერიოდში, ხოლო სიტყვა „უსაფრთხოების“ გამეორება ბეჭდის მფლობელს უსაფრთხოებას, სიმშვიდეს, კეთილდღეობას უზრუნველყოფდა, ამდენად, ბეჭედს ავგაროზის ფუნქცია ეკისრებოდა). ფარაკის გვერდითა წახნაგებზე ამოკვეთილი წარწერები და ბეჭდის მხრებზე მოცემული გრაფიკული ორნამენტი შევსებული ყოფილა შავი მასით, თუმცა ეხლა ის თითქმის მთლიანად გადასულია და მხოლოდ მცირე ნაშთებია შემორჩენილი (ტაბ. $I_{2,3}$).

2. ბეჭედი ოქროსი (საველე № – 09-XVII-80-187, დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუასაუკუნეთა ფონდში, № 34-981/2, ამჟამად ინახება მუზეუმის ძვირფასი ლითონების საცავში). ზომები: სიმაღლე – 2 სმ; ფარაკის სიგრძე – 0,9 სმ; ფარაკის სიგანე – 0,7 სმ; რკალის დიამეტრი – 1,7 სმ; წონა – 7,60 გრ.. ბეჭედი ზემოგანხილულის მსგავსია, თუმცა, უფრო მომცრო ზომისაა და შედარებით მარტივი დეკორით არის გაფორმებული. აქვს მართკუთხა ფარაკი, რომლის ოთხივე კუთხე და ორი გვერდი ექვსი გლუვი რელიეფური შვერილით (კბილანის იმიტაციით) არის შემკული (ტაბ. I_5). ბეჭდის რკალის ქვედა ნაწილი ნახევარწრიულია, მხრებისკენ თანდათან ფართოვდება და გადადის ფარაკთან მირჩილულ დახრილ და დაკუთხულ ფიგურულ მხრებში (ტაბ. I_6). ბეჭდის მხრის ბრტყელ არეზე რელიეფურად ამოკვეთილია მცენარეულ ტოტებს შორის მოქცეული გულისებრი ორნამენტი, რომელიც ორივე მხრიდან კიდევ უფრი ღრმად ნაკვეთი დიდი და მომცრო ფოთლისებური ფოსოებით არის ფლანკირებული (ტაბ. I_7). ბეჭდის რკალის გარე ზედაპირი სადაა, მკრთალად დაწახნაგებულია და მხარს ქვემოთ ოდნავ შესამჩნევი სიგრძივი წიბო გასდევს (ტაბ. I_8). ფარაკის ზედაპირი და გვერდითა წახნაგები შეუმკობელია (ტაბ. $I_{5,6}$).

ზემოაღწერილი ბეჭდები გამოირჩევა მეტად დახვეწილი ფორმით, ცხოველხატული სტილითა და უხვი ორნამენტაციით. პირველ ბეჭედზე ღრმა რელიეფითა და თავისუფალი კვეთით შექმნილია მეტად პლასტიკური და მრავალფეროვანი დეკორი. ფონიდან ამოზიდული რელიეფური ორნამენტის, სიბრტყობრივ-ხაზობრივად შესრულებული შემკულობისა და თავისუფალი ინტერვალების რიტმული მონაცვლეობით მიღებულია მეტად დინამიკური, სასიამოვნო და შთამბეჭდავი სურათი. მიუხედავად უხვი შემკულობისა, ოსტატი ზომიერებას ინარჩუნებს, რის გამოც გადატვირთულობის შეგრძნება არ გვეუფლება. მეორე ბეჭდის შემკულობა უფრო სადაა, მხარზე შესრულებული მცენარეული მოტივი დაბალ რელიეფშია შესრულებული, თუმცა ნახატი მკვეთრია და გამომსახველი. აღნიშნული

ბეჭდის დეკორატიულობა, გაძლიერებულია ფარაკის კუთხეებსა და გვერდებზე მოთავსებული ექვსი რელიეფური ფსევდოკბილანით.

პირველი ბეჭედი მომცრო ზომისაა და სანეკედ თუ გამოიყენებოდა, მეორე ბეჭედი კიდევ უფრო პატარაა და ნეკის შუა სახსრის შესამკობელად გამოდგებოდა. ნეკზე და ნეკის შუა სახსარზე ბეჭდების ტარება გავრცელებული ყოფილა განვითარებული შუასაუკუნეების ხანის საქართველოში, რასაც ბეთანიის ტაძრის ფრესკები ადასტურებს, იქ გამოსახულ ლაშა-გიორგისა და თამარ მეფეს სხვა თითებთან ერთად ნეკისა და ნეკის შუა ფალანგებიც ბეჭდებით აქვთ შემკული [დოლაბერიძე რ. 1967: 170-171, ნახ. 1-2].

ჟინვალური ბეჭდებიდან ერთი ყალიბშია ჩამოსხმული, რადგან არსად რჩილვის კვალი არ ჩანს (ტაბ. I_4), ხოლო მეორე ბეჭდის უკანა მხარეს, ფარაკის კიდეებში რჩილვის კვალი შეინიშნება (ტაბ. I_8). ამდენად, მეორე ბეჭდის მხარ-რკალი და ფარაკი კბილანებთან ერთად ცალ-ცალკეა ჩამოსხმული და შემდგომ არის ერთმანეთთან რჩილვით დაკავშირებული. რაც შეეხება რელიეფურ თუ გრაფიკულ ორნამენტს და წარწერას, ისინი ბეჭდის დამზადების შემდეგ არის გრავირებული და შევსებული შავი მასით.

ჟინვალური ბეჭდების ზუსტი ანალოგები არც ქართულ და არც უცხოურ არქეოლოგიურ მასალებში ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჟინვალის განძის მართკუთხაფარაკიანი ოქროს ბეჭდები როგორც ფორმით, ისე დეკორით, ასევე წარწერის შესრულების მანერითა და ორნამენტული ელემენტების რკალზე გადანაწილების რიტმით მსგავსებას პოულობენ განვითარებული შუასაუკუნეების ხანის ირანულ ბეჭდებთან. ბეჭდის ეს ახალი ტიპი სელჩუკური ბატონობის ხანაში ჩამოყალიბდა ირანში.

ირანული ბეჭდები მცირე ზომის, პირადი მოხმარების სამკაულია და მათი გეოგრაფიული გავრცელების დიაპაზონი იმდენად ფართოა, რომ კონკრეტული საწარმოო ცენტრის დადგენა ძალზე ჭირს. თუმცა, აღმოჩენის ადგილებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი მეტ წილად მსხვილ, დაწინაურებულ ქალაქებში მზადდებოდა და შემდეგ, იმ დროისათვის მეტად განვითარებული სავაჭრო ურთიერთობების და ასევე მომთაბარე იუველირების მეშვეობით, ვრცელდებოდა იმპერიის პერიფერიებზე და მის საზღვრებს გარეთაც. როგორც ცნობილია, ოქრომჭედლები ყველაზე მოხეტიალე ხალხი იყო ხელოსანთა შორის [**Маршак** 1971: 6–9]. ბეჭდების მრავალფეროვნება განპირობებული იყო იმითაც, რომ სხვა სახელმწიფოში შექმნილი მსგავსი ტიპის სამკაული როგორც დიზაინით, ისე დეკორით ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებითაც მზადდებოდა. ბეჭდები ოქროს, ვერცხლის ან ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. ისინი შესაძლოა მთლიანადსხმული, ან სხვადასხვა ჩამოსხმული ნაწილებისაგან იყოს აწყობილი. მათ აქვთ სხადასხვა ფორმის, მრავალფეროვანი ორნამენტითა და ძვირფასი ქვებით (გემებით) შემკული თვალბუდეები, ან უბრალოდ ფარაკები. გააჩნიათ მაღალი, სოლისებური კბილანები, რომლებიც ფარაკებისა თუ თვალბუდეების გარშემო გარკვეული ინტერვალით, ერთიმეორის მოპირდაპირედ არიან განლაგებულები (ტაბ. III_1). კბილანები შესაძლოა იყოს როგორც გემის რეალური დამჭერი (ტაბ. III_2), ისე ფსევდო – ფუნქცია დაკარგული, ფარაკის შემამკობელი ელემენტი (ტაბ. III_3). ირანული ბეჭდებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა დეკორატიული მოტივით დატვირთული შემსხვილებული მხრები და მცენარეული თუ გეომეტრიული ორნამენტით აქცენტირებული წრიული რკალი, რომლის ყველაზე ქვედა წერტილი რომბისებური ან ნუშისებური ფონიდან ამოზიდული ორნამენტით არის შემკული (ტაბ. III_2). ბეჭდების თვალბუდეები, მასში მოთავსებული გემები, ასევე ფარაკები შემკულია ქუფურით, ნასხით ან ჰიბრიდულ-დეკორატიული არაბული წარწერებით, რაც ზოგჯერ ძალიან ართულებს ბეჭდის თარიღისა და დამზადების ადგილის დადგენას [Content 1987: 48-92]. ხშირად ირანული ბეჭდების ორნამენტი და წარწერები მოსევადებულია ან შევსებულია შავი ბითუმით. შავი ბითუმი იმ პერიოდში შემოსული ახალი მასალაა, რომლითაც საოქრომჭედლო ნაკეთობების ფონები ივსებოდა [კოშორიძე 2012: 57].

როგორც ისლამური ოქრომჭედლობის ცნობილი ამერიკელი მკვლევარები ჯენკინსი და კინი აღნიშნავენ, ბეჭდის ეს ახალი ტიპი ისლამურ სამყაროში წარმოიშვა XII საუკუნის მეორე ნახევარში და შემდეგ ძალიან სწრაფად და ფართოდ გავრცელდა უამრავი სხვადასხვა ვარიაციით [Jenkins, Keene 1982: 62, 64, №№ 31, $33_{a,b,c}$]. ჟინვალური ბეჭდები განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენენ ირანული ბეჭდების ორ ვარიანტთან. პირველ ვარიანტს – მართკუთხა თვალბუდიან ბეჭდებს ჟინვალური ბეჭდები ემსგავსებიან ფარაკის მართკუთხა ფორმით, კბილანების განლაგებითა და რაოდენობით, თუმცა ირანულ ბეჭდებს მართკუთხა თვალბუდეში ჩასმული გემა უჭირავს ოთხ ან ექვს მაღალ, რეალურ კბი-

ლანებს (ტაბ. III_2), ხოლო ჟინვალური ბეჭდებს კი ფარაკები და ფსევდოკბილანები აქვთ (ტაბ. I_{1-8}). მხრები ჟინვალურის მსგავსი მცენარეული ორნამენტით არის შემკული, ხოლო რკალი, ჟინვალურ ბეჭდების მსგავსად, ინტერვალებით არის გაფორმებული გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით. გემების ზედაპირი და ბუდის წახნაგები ყოველთვის შემკულია მცენარეული და კალიგრაფიული ორნამენტით, ჟინვალური ბეჭდების ფარაკები კი შეუმკობელია. ასეთი ტიპის ირანული ბეჭდები დათარიღებულია XII ს. მეორე ნახევრით [Content 1987: 65-71]. მეორე ვარიანტის ბეჭდებს უფრო მარტივი დიზაინი აქვთ, ისინი უმეტესად ვერცხლისაგან და ბრინჯაოსაგან არის ჩამოსხმული, გვხვდება ოქროსიც. ჟინვალური ბეჭდების მსგავსად, მათი ფარაკებიც ფსევდოკბილანებით არის შემკული. თუმცა, ფარაკები ძალზე იშვიათად არის მართკუთხა და ხშირად რვაკუთხა, რომბული ან ოვალური ფორმისაა, მათზე ყოველთვის წარწერა ან სხვა გამოსახულებაა ამოკვეთილი (ტაბ. III_3). ბეჭდები XIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება [Content 1987: 77-81]. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ჟინვალური ბეჭდებიც ამ პერიოდით – XII საუკუნის მიწურულითა და XIII საუკუნის პირველი ნახევრით უნდა თარიღდებოდეს.

როგორც ჯენკინსი და კინი აღნიშნავენ, სელჩუკური პერიოდის ირანულ ბეჭდებს პროტოტიპები ეძებნება ბერძნულ და რომაულ საიუველირო ნაწარმში [Jenkins, Keene 1982: 62, 64]. ამ მხრივ მეტად საინტერესოა პოლ კანელოპულოსის კოლექციაში დაცული გვიანრომაული ხანის ოქროს ერთი ბეჭედი (ტაბ. III_4), რომელიც III საუკუნით არის დათარიღებული [Spieser 1972: 117-118, ნახ. 1- 3], მისი მხარი ჟინვალური ბეჭდის მხრის მსგავსად ფიგურულია და გადმოცემულია ბოლოებჩახვეულ ფოთლებს შორის მოქცეული მცენარეული ორნამენტით, ხოლო ოქროსავე მრგვალი ფარაკი სადაა და შეუმკობელი [Spieser 1972: 117-118, ნახ. 1-3]. ბოლოებჩახვეული მცენარეული ორნამენტით შემკული ფიგურული მხრები აქვს აგრეთვე არმაზისხევის № 2 ქვის სამარხში აღმოჩენილ გრანატის თვლიან ოქროს ბეჭედს, რომლის ოვალურ ბუდეში ჩასმულ ინტალიოზე წარჩინებული მამაკაცის ბიუსტი და სამი ბერძნული ასოა ამოკვეთილი (ტაბ. III_5). ბეჭედი დათარიღებულია IV საუკუნით [აფაქიძე და სხვ. 1955: 42, სურ. 19, ტაბ. XLVI_{11}]. ჟინვალური მეორე ბეჭდის მსგავსად, გულისებრი ფორმის რელიეფური ფოსოებით არის შემკული სამთავროს № 24 ქვის სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდის დახრილი მხრები, დეკორატიულობა გაძლიერებულია მხრებისა და ბუდის შეერთების ადგილას დარჩილული სამ-სამი მომცრო ბირთვით (ტაბ. III_6). ბეჭედი IV საუკუნით თარიღდება [**Максимова** 1950: 243, ტაბ. I_6; ტაბ. IV_1]. ჟინვალური ბეჭდების მსგავსი დაკუთხული მხრები და ზოგ შემთხვევაში დაწახნაგებული რკალი აქვთ, როგორც ქეთევან ჯავახიშვილი უწოდებს, იბერიულ მაღალ თვალბუდიან ბეჭდებს, რომლებიც ძირითადად, ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეებიდან და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებიდან მომდინარეობენ: მცხეთა-სამთავრო, არმაზისხევი, ახალგორი, მოდინახე და სხვ. ბეჭდები IV საუკუნით თარიღდება [ჯავახიშვილი 1985: 1, 2; აფაქიძე და სხვ. 1955: 124]. ჟინვალური ბეჭდის მსგავსი ორნამენტული მოტივი მოცემულია განვითარებული შუასაუკუნეების ხანის ოქროს საბეჭდავ-ბეჭედზე. მას აქვს საკმაოდ სქელი რკალი, რომელიც მაღალ მხრებში გადადის. მხრებზე დარჩილულია ნახევარსფეროსებრი ფარაკი, რომლის ამობურცულ ზედაპირზე ნეგატივურად ამოკვეთილია ქართული ასომთავრული დაქარაგმებული წარწერა – „ხთრვინ“ (ტაბ. III_9). მხრებისა და ფარაკის შემაერთებელ ოდნავ ჩაზნექილ არეზე რელიეფურად ამოკვეთილია სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. რკალის ქვედა ნაწილში, როგორც გარე, ისე შიდა პირზე ამოჭრილია ხელის ჩამორთმევა. ს. ბარნაველი ნივთს ევროპულ ნიშნობის ბეჭდებს უკავშირებს და აღნიშნავს, რომ ეს მოტივი ანტიკური ბეჭდებიდან მომდინარეობს [ბარნაველი 1966: 157], მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა აღნიშნული ბეჭდის მხრებზე რელიეფურად ამოკვეთილი მცენარეული ორნამენტი, რომელიც მეტად მსავსია ჟინვალის ბეჭდის რკალზე ამოჭრილი შემკულობისა. ჟინვალური ბეჭდის ორნამენტი გართულებულია – დამატებული აქვს ჩახვეული ღეროები და ფოთლები, რომლის მსგავსი დეკორატიული მოტივით შემკულია გიორგი III-ის ბეჭდის მხრების მთელი ზედაპირი (ტაბ. III_8), ხოლო ბუდე, მხარი და რკალი აქცენტირებულია რელიეფური დეკორით [ჩუბინაშვილი 1957: 22, ტაბ. 57], ბეჭედი XII საუკუნისაა და ამჟამად დაკარგულია. ამგვარი დეკორატიული მოტივი ასევე მეტად დამახასიათებელია განვითარებული შუასაუკუნეების (XII-XIII სს.) ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებისათვის, მაგალითად, ხარაგაულის ჯვრის სანაწილე კარის გარე მხარეზე მოცემულია მაღალი რელიეფით შესრულებული სამკუთხედზე

აგებული მცენარეული ორნამენტი, რომელიც ჟინვალური ბეჭდის რკალის შემკულობის მსგავსად, არაბესკულად გასდევს სანაწილე კარის ცენტრში მოთავსებულ უფრო ძველ ანტიკურ გემას [ბარნაველი 1965: 17-26, ტაბ. VI]. მსგავსი მცენარეული მოტივით შემკულია ასევე თბილისის ანჩისხატის ჩარჩო და მთლიანად ფონი, რომელიც ბექა ოპიზრის შესრულებულია და XII საუკუნით თარიღდება [ჩუბინაშვილი 1957: 26, ტაბ. 155]. ღრმად ამოკვეთილი ფოთლებითა და გრაფიკულად შესრულებული რომბების მწკრივით შემკულია ბედიის ბარძიმის თაღედის სვეტებიც. თასი 999 წლით თარიღდება [Sanikidze, Abramishvili 1979: სურ. 6-6ა]. ჟინვალური ბეჭდების ორნამენტთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა მარტვილის ჯვრის მკლავების წვეროებზე მოთავსებული რელიეფური ორნამენტი, რომელიც ფოთლებს შორის მოქცეული მცენარეული ხვეულების სახითაა წარმოდგენილი და ჟინვალური ბეჭდის მხარსა და რკალზე მოცემული მცენარეული ორნამენტის მსგავსია. ჯვარი XI საუკუნისაა [ჩუბინაშვილი 1957: 25, ტაბ. 141]. იგივეს თქმა შეგვიძლია ჟინვალური ბეჭდის მხრებზე ამოკვეთილ – გახსნილი რვიანის ფორმის მქონე შეფოთლილ რტოზე (მარადიულობისა და უსასრულობის სიმბოლო), რომელიც გამოსახულია მაგალითად არმაზისხევის № 1 სამარხში აღმოჩენილ გვიანრომაული ხანის (II-III სს.) მოთვალულ ბალთებზე (ტაბ. III_7) [ლორთქიფანიძე 1958: 32-33, 55-58, სურ. 8, სურ. 37, ტაბ. I_2; ტაბ. IV_{17}], ზარზმის სამწერობელ ჯვარზე – XI ს., ასევე შემოქმედის ერთ-ერთ ფირფიტაზე (XI ს.), სადაც ეს ელემენტი მაცხოვრის თავს ზემოთ არის მოცემული, აგრეთვე უშგულის ღვთიშობლის ხატზე, სადაც იგივე მოტივი ყრმის შარავანდედზეა წარმოდგენილი [ჩუბინაშვილი 1957: 20, 21 ტაბ. $10_{21,22,45}$]. რვაფურცლა ვარდულების სხვადასხვა ვარიანტია გამოსახული ზნაკვასჯვარისას სტავროთეკაზე (X-XI სს.) [ჩუბინაშვილი 1957: 19, ტაბ. 5]. ჟინვალური ბეჭდის მსგავსი, ტოტებს შორის მოქცეული გულისებრი ორნამენტის ვარდულით არის შემკული თამარ მეფის მონეტა (ტაბ. II_7), რომელიც დაცულია ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში[1].

ზემოაღნიშნული მასალის საფუძველზე ნათელია, რომ ჟინვალური ბეჭდები ირანულებს ემსგავსებიან ბეჭდის ზოგადი ტიპით, თუმცა როგორც ფორმით, ისე დეკორატიული მოტივების რეპერტუარით სრულიად თავისებურ, ადგილობრივ ტრადიციებზე შექმნილ ეგზემპლარებს წარმოადგენენ. როდესაც ფორმაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ბეჭდების დახრილი, დაკუთხული და ფიგურული მხრები, რაც სრულიად არ არის დამახასიათებელი ირანული ბეჭდებისათვის. ასევე აღსანიშნავია, რომ ირანული მთლიანადსხმული ბეჭდები ჩამოსხმულია ორნამენტიანად [Content 1987: 48-49, 77-81], რაზეც დეკორის დაბალი კვეთა, რამდენადმე სქემატური და სუმარული ნახატი მიუთითებს, ჟინვალური ბეჭდის ორნამენტი კი, იუველირული სიზუსტითა და ღრმა კვეთით მკაფიოდ არის შესრულებული, სავარაუდოდ უწვრილესი საჭრეთლით. მიღებული ნახატი მეტად პლასტიკური, დინამიკური და ცხოველხატულია. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი, რითაც ჟინვალური ბეჭდები განსხვავდებიან ირანულებისაგან, კერძოდ, ჟინვალური ბეჭდების ფარაკების ზედაპირი და ერთი ბეჭდის ფარაკიცა და გვერდითა წახნაგებიც შეუმკობელია, რაც არ არის დამახასიათებელი ირანული ბეჭდებისათვის. ზემოაღნიშნული მეტად საგულისხმო, განმასხვავებელი ნიშნების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ჟინვალური ოქროს ორი ბეჭედი ადგილობრივად, საქართველოში არის დამზადებული, სავარაუდოდ, თბილისში.

როგორც ცნობილია, XII-XIII საუკუნეების თბილისი ეთნიკურად ჭრელი ქალაქია და დასახლებულია განსხვავებული რელიგიური მრწამსის მოსახლეობით. ამავე დროს იმდროინდელი თბილისი საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი კერაა. იგი ფლობს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და სატრანსპორტო გზებს, მაგრამ თბილისი არის არა მხოლოდ ვაჭრობის, არამედ ხელოსნული წარმოების ცენტრიც, სადაც განვითარებულია ხელოსნობის ყველა დარგი [მესხია და სხვ. 1958: 45], განსაკუთრებით - ოქრომჭედლობა [კიკნაძე 1960: 112]. ადგილობრივი ოსტატები, ითვალისწინებდნენ რა მომხმარებლის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, აკეთებდნენ იმდროინდელ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ მოდურ ბეჭდებს, ამავე დროს სპეციალურად ტოვებდნენ თავისუფალ არეს, რომელზეც მფლობელს შეეძლო თავისი რელიგიური მრწამსის შესაბამისი სიმბოლიკა, წარწერა ან საკუთარი სახელი გამოესახა. ჟინვალური ბეჭდების მხრებსა და რკალზე ამოკვეთილი ორნამეტი, ასევე ერთ-ერთი ბეჭდის წახნაგებზე ამოჭრილი წარწერა – „უსაფრთხოება“ კი, სავსებით მისა-

1 ნივთის ფოტო მოგვაწოდა ნუმიზმატიკის ფონდის კურატორმა მ. შეროზიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ

ღები იქნებოდა როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი მოსახლეობისათვის.

XII-XIII საუკუნეების ჟინვალიც საკმაოდ დაწინაურებული, ეთნიკურად და რელიგიურად ქართული ქალაქია. ის მდებარეობს მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალზე, ამდენად დიდ სავაჭრო ოპერაციებშიც მონაწილეობს. ჟინვალი სახელოსნო წარმოების ცენტრიც იყო [Рамишвили 2003: 302] და როგორც ჟინვალის ნაქალაქარის გათხრებიდან ჩანს, საოქრომჭედლო საქმეც საკმაოდ კარგად ყოფილა განვითარებული [ჯორბენაძე 1983: 134-166]. თუმცა, აღნიშნული ბეჭდების მსგავსი ნაკეთობები არც გათხრების შედეგად და არც შემთხვევით გამოვლენილი არ არის. ოქროს ბეჭდებიანი განძის აღმოჩენის ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ასეთ ბეჭდებზე ჟინვალელი მოსახლეობის მოთხოვნილებაც აშკარად არსებობდა და რომ ჟინვალის ტიპიური მოქალაქე (საფიქრებელია ქრისტიანი) ასეთ ბეჭდებს იძენდა. იმ პერიოდისათვის მეტად განვითარებული სავაჭრო ურთიერთობების ფონზე თბილისიდან ჟინვალში ამ ბეჭდების მოხვედრა შესაძლებელი იყო თბილისიდან ჩრდილოეთისკენ – ჟინვალზე გამავალი გზით, რომლის მეშვეობით ამგვარი საოქრომჭედლო ნაწარმი არა მარტო ჟინვალში, არამედ დარიალის ხეობის გავლით, შესაძლოა კიევის რუსეთშიც კი აღწევდა. ჩვენს ამ მოსაზრებას კიევში მსგავსი ბეჭდების შემცველი განძების აღმოჩენის ფაქტები ადასტურებს. განძები XII-XIII საუკუნეებით არის დათარიღებული [Корзухина 1954: 105-124, ტაბ. $XXIX_{13,14}$, ტაბ. $XXXVII_{3,4}$, ტაბ. XXXVIII_{3}, ტაბ $XV_{4,5}$].

3. ბეჭედი ოქროსი (საველე № – 09-XVII-80-188, დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, № 1596 და ამჟამად ინახება მუზეუმის ძვირფასი ლითონების საცავში). ზომები: სიმაღლე – 2, 3 სმ; თვალბუდის დიამეტრი – 1,1 სმ; რკალის სისქე – 0,2 სმ; რკალის დიამეტრი – 2,2 სმ; წონა – 4, 87 გრ. ბეჭედს აქვს მრგვალი, გარშემო გოფრირებული თვალბუდე და ჯვრულად განლაგებული ოთხი გლუვი შვერილი – კბილანის იმიტაცია (ტაბ. I_{9}). ბეჭდის რკალის ზედაპირი ამობურცულია, ხოლო ქვედა პირი – ბრტყელი. მომრგვალებული რკალი გადადის ოდნავ შემსხვილებულ მხრებში, რომლებზეც თვალბუდეა დარჩილული. ბეჭდის მხრები მომცრო, რელიეფური შვერილებით და წვეროთი ქვემოთ მიმართული სამკუთხა ნაჭდევი ხაზებით არის შემკული, ხოლო მხრებს ქვემოთ დაწახნაგებული რკალის ზედაპირს სიგრძივი წიბო გასდევს (ტაბ. I_{10}). თვალბუდეში ჩასმულია ოქროს დისკოსებური ბრტყელი ფირფიტა, რომელზეც უკან თავმობრუნებული ლომის სქემატური გამოსახულებაა ამოკვეთილი. ლომის ფიგურა სტატიკურ პოზაშია. ცხოველს ნაჭდევი წერტილებითა და ხაზებით შემკული სხეული, მსხვილი დრუნჩი, მომრგვალებული ყურები და უკანა ფეხებს შორის გამოტარებული, ბოლოშემსხვილებული კუდი აქვს (ტაბ. I_{9}). შებრუნებული თავი სხეულთან შედარებით დისპროპორციულად დიდია, თუმცა, ეს ერთგვარად გაწონასწორებულია თავის დიაგონალურად მოცემული კუდის შემსხვილებით. თვალები წერტილებითაა აღნიშნული, ფეხები – მორკალული ხაზებით, თათები არ გააჩნია, რაც ფიგურის დისპროპორციულობას კიდევ უფრო აძლიერებს. ფირფიტაზე ორი გვერდითი შვერილი შეინიშნება. როგორც ჩანს, ფირფიტა სწორედ ამ შვერილების მეშვეობით არის ჩამაგრებული ბუდეში, რადგან ფსევდო კბილანები მის დამჭერად ვერ გამოდგებოდა. ოდნავი უზუსტობა მოჩანს ფირფიტის ბუდეში ჩასმაში – ბუდესა და ფირფიტის კიდეს შორის მცირე ღიობი შეინიშნება. ჩვენი დაკვირვებით, ბეჭდის რკალი რელიეფური შვერილებით ცალკე უნდა იყოს ჩამოსხმული, ასევე ბუდის რკალიც ცალკეა ჩამოსხმული და მერე მის გარშემო გოფრირებულ-კბილანებიანი სალტეა შემოწნული, ხოლო მიღებული ბუდე რკალზეა დარჩილული. გამოსახულება არცთუ ღრმად არის ნაკვეთი, უფრო ამოკაწრულს გავს. მაღალი ფსევდოკბილანების გამო ანაბეჭდისთვის საკმაოდ სქელი ზედაპირია საჭირო. მიღებული ანაბეჭდი ბუნდოვან გამოსახულებას იძლევა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ბეჭედი საბეჭდავად არ გამოიყენებოდა. ბუდეგახსნილია, ქვემოდან ჩანს ფირფიტის ქვედა მხარე, რომელზეც ლომის გამოსახულება უნდოდათ ამოეკვეთათ, მაგრამ, როგორც ჩანს (ტაბ. I_{11}), არ გამოუვიდათ და შემდეგ ამისათვის მეორე ზედაპირი გამოუყენებიათ (თეგით რომ ყოფილიყო ნაჭედი, მაშინ ლომის ფიგურის გარშემომწერი კონტური ამობურცული იქნებოდა და გამოსახულებას საპირისპირო მიმართულება ექნებოდა). ბეჭედი რელიეფურშვერილებიანი მხრებით, ოთხი ფსევდოკბილანით და მხარზე მოხაზული სამკუთხა ნაჭდევით ეხმაურება ზემოაღწერილ ოქროს ბეჭდებს, თუმცა მრგვალი, გოფრირებული ბუდით, ჯვრულად განლაგებული კბილანებითა და აწყობილი ნაწილებით ირანულ ბეჭდებს ჰგავს (ტაბ. III_{10}), რომლებიც დათარიღებულია XII-XIII სს-ით [Content 1987: 72-75]. ვფიქრობთ, რომ ჟინვალური ბეჭედიც ამავე

პერიოდისაა, თუმცა ირანული ბეჭდები არასდროს ბუდეგახსნილები არ არიან, ხოლო მათი თვალბუდეები ყოველთვის შემკულია თვლებით და არა დისკოსებური ფირფიტებით. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჟინვალური ბეჭედი ფარაკზე ლომის გამოსახულებით საქართველოშია დამზადებული.

ნივთების გოფრირებასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა, რომ სელჩუკური ბატონობის ხანაში, ირანული ლითონის ნაწარმში ერთი მოდური სიახლე შეინიშნება – „ვერცხლის კრიზისის“ პირობებში მზადდება სპილენძის დოქები, რომელთა ტანი გოფრირებულია და შემკულია ვერცხლითა და ოქროთი ინკრუსტირებული, გრავირებული მცენარეული ორნამენტით, ფრინველებისა თუ ცხოველების გამოსახულებებით, ქუფურით ან ნასხით შესრულებული დეკორატიული წარწერებითა და ზოდიაქოს ნიშნებით. ეს უკანასკნელი ძალზე დამახასიათებელია იმდროინდელი ირანული იკონოგრაფიისათვის [**Даркевич** 1976: 132-139]. ამგვარი ორი დოქი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაშიც არის დაცული (ტაბ. IV_1), ერთი დამზადებულია ჰერათში, ხოლო მეორე ხორასნული ნაწარმია. დოქები თარიღდება XII საუკუნით [კოშორიძე 2012: 58, სურ. 1-2]. აქვე აღსანიშნავია, რომ დმანისში აღმოჩენილია სპილენძის ტანდაგოფრილი – კანელურებიანი ჯამი (ტაბ. IV_2), რომელიც XI-XIII საუკუნებითაა დათარიღებული და კიდევ უფრო ადრეული – გვიანანტიკური და ადრე შუასაუკუნეების კანელურებიანი ჯამების გვიანდელ გამეორებას წარმოადგენს. XI-XIII საუკუნეების ამგვარი ჯამები აღმოჩენილია სომხეთსა და აზერბაიჯანშიც [კიკნაძე 1967: 136, ტაბ. I_1]. ვფიქრობთ, რომ გოფრირების ეს საკმაოდ ადრეული ტენდენცია აისახა განვითარებული შუასაუკუნეების ოქრომჭედლობაშიც, კერძოდ, ჟინვალური ბეჭდის თვალბუდის ფორმაზე. რაც შეეხება ფარაკზე გამოსახულ ლომს, ამგვარი გამოსახულებები დატანილია VII-VIII საუკუნეებით დათარიღებულ გვიან და პოსტსასანურ სოგდურ ვერცხლის თასებზე (ტაბ. IV_2) [**Маршак** 1971: ტაბ. $16_{21,23}$]. „სასანური ტრადიცია“ მომდევნო საუკუნეებშიც აგრძელებს არსებობას, მაგრამ განვითარებულ შუასაუკუნეებში გამოსახულებები უფრო სქემატურ-სიბრტყობრივი და სტატიკური ხდება [**Веимарн** 1974: 119, 121].

ცნობილია, რომ XII-XIII საუკუნეების ისლამურ ქვეყნებში ცოცხალი არსებების გამოსახვა არ იკრძალებოდა გამოყენებითი ხელოვნების ისეთ დარგებში, როგორიცაა კერამიკა, საფეიქრო საქმე, წიგნის მინიატურა, მხატვრული მელითონეობა და სხვ. წარმოდგენილი გამოსახულებების სტილი მიღებული იყო კონკრეტულისა და განყენებულის, ნატურალისტურისა და დეკორატიულის სინთეზით. ლითონის ნაწარმში ყვაოდა ასტროლოგიური სიმბოლიკა, ზოდიაქოს ნიშნები [**Даркевич** 1976: 139-142]. აღსანიშნავია, რომ რუმის სულთანმა ქაიხოსრო II (1236-1245), პირველად ისლამური ნუმიზმატიკის ისტორიაში, თავის სახელზე გამოშვებული მონეტის რევერსზე გამოასახვინა თათაწეული ლომი, რვაქიმიანი ვარსკვლავი და მზე (ტაბ. IV_3). გავრცელებული ლეგენდის თანახმად, მან ეს თავისი უსაყვარლესი ქართველი მეუღლის – გურჯი ხათუნის პატივსაცემად გააკეთა, რადგან მისი ზოდიაქოს ნიშანი ლომი ყოფილა, ხოლო მზე – გურჯი ხათუნის მზიური სახის განსახიერება [ხუბუა 1949]. ამიერიდან ლომისა და მზის გამოსახულება დამკვიდრდა როგორც ძალაუფლების, სიძლიერისა და მაღალი სოციალური წარმომავლობის სიმბოლო, გავრცელდა ჯერ აღმოსავლეთ ანატოლიაში და შემდეგ ირანში, სადაც ის ნაციონალურ სიმბოლოდ – გერბად იქცა [ხუბუა 1949: 2-3]. ამ მხრივ საინტერესოა ბრინჯაოს ლომის მინიატურული ქანდაკება ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანიდან (XII-XIII სს.). ჟინვალის ბეჭდის ფარაკზე გამოსახული ლომის ფიგურის მსგავსად, ირანული ლომიც ნაჭდევი წერტილებითა და ხაზებით არის შემკული (ტაბ. IV_6), თავ-დრუნჩის მოდელირებითაც ჰგავს და ფეხებს შორის გამოტარებული კუდითაც, მაგრამ ირანული ლომი, საკმაოდ რეალისტურად არის მოდელირებული თავით წინ, ჟინვალური კი სტილიზებულია და თავი უკან აქვს შემობრუნებული და ის უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ქაშანური კერამიკული ჯამის ფსკერზე, დისკოში მოთავსებულ ტანდაწინწკლული ლომის გამოსახულებასთან. ჯამი XII- XIII საუკუნეებით თარიღდება (ტაბ IV_7). ჟინვალური ლომი კიდევ უფრო მსგავსია სელჩუკური პერიოდის სპილენძის ირანულ ლარნაკზე მოცემული ლომის თავშებრუნებულ და უკანა ფეხებზე ჩაჩოქილ გამოსახულებისა, რომელიც მცენარეული ორნამენტის და მნათობების გარემოშია წარმოდგენილი (ტაბ. IV_8), მაგრამ ჟინვალური ლომი იკონოგრაფიულად ყველაზე მეტად წააგავს 1236 წლით დათარიღებულ რვაქიმიანი ვარსკვლავის ფორმის სტუკოზე გამოსახულ ლომის თავშემობრუნებულ ფიგურას, რომელიც ცენტრალურ ანატოლიაში – კონიაში, კუბადაბადის სასახლის ერთ-

ერთ შემკულობას წარმოადგენს (ტაბ. IV_5). ლომს თათი აწეული აქვს და მცენარეული ორნამენტის გარემოშია გადმოცემული. ვფიქრობთ, რომ ასეთივე თათაწეული ლომის მცენარეულ გარემოში გამოსახვა უნდოდა ოსტატს ჟინვალური ბეჭდის ფირფიტაზეც.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ვიხრებით იმ მოსაზრებისკენ, რომ ჟინვალური ბეჭდის ფირფიტაზე ამოჭრილი ლომის გამოსახულება ზოდიაქოს ნიშანია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ქართული საერო მინიატურა – ასტრონომო-ასტროლოგიური ტრაქტატი №A- 65 (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში), რომელიც გაფორმებულია ზოდიაქოს ნიშნების გრაფიკული გამოსახულებებით – ჟინვალური ლომის მსგავსად, უკან თავშებრუნებული, სტილიზებული ფიგურებით (ტაბ V_2). ტექსტში ზოდიაქოს ნიშნების ტერმინოლოგია და დასახელებები მოცემულია ქართულ და არაბულ ენებზე, მინიატურა 1188 წლით თარიღდება [**Амиранашвили** 1963: 23, ტაბ. 28]. ჩვენს მოსაზრებას ისიც ამყრებს, რომ ჟინვალური ლომის ფიგურა დისკოსებურ ფირფიტაზეა ამოკვეთილი და გოფრირებულ ბუდესთან ერთად ახდენს მზის სხივებიანი დისკოს შთაბეჭდილებას, რასაც ემატება მეტალი ოქრო, რომელიც ასევე მზის და ლომის ზოდიაქოს სიმბოლოდ არის მიჩნეული, ანუ ეს ტრიადა – ლომი, სხივებიანი მზის დისკო და ოქრო მიგვაჩნია სრულიად სათანადოდ ლომის ზოდიაქოს აღმნიშვნელად. ჟინვალური ლომის ფიგურა ვერ არის ისეთივე პლასტიკური და დინამიკური, როგორიც №- 65 ხელნაწერისა და კუბადაბადის სასახლის სტუკოს გამოსახულებებისა, თუმცა მეტად სახასიათოა და გამომსახველი. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოსტატს მეტად მცირე სასურათე არეზე უხდებოდა მუშაობა. გამოსახულების სქემატურობა და თათების არარსებობა გვაფიქრებინებს, რომ იგი 1236 წელზე გვიანი ხანისაა, თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ რუსთავსა და თბილისში აღმოჩენილ მოჭიქულ ჯამებზე გამოსახულ ლომებს თათები სასურათე არის მიღმა აქვთ დარჩენილი, ფიგურები სტილიზებულია და შემკულია მცენარეული ორნამენტის ხვეულებით (ტაბ. V_1), დათარიღებულია XII საუკუნის ბოლო და XIII საუკუნის პირველი ნახევრით [ლომთათიძე 1966: 4-5; მიწიშვილი 1969: ტაბ. XXX]. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვაზუსტებთ ოქროს გოფრირებულბუდიან ბეჭდის თარიღს და მას XIII ს-ის შუა ხანებით ვათარიღებთ.

4. საბეჭდავი-ბეჭედი, ვერცხლის (საველე № – 09-XVII-80-189, დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, № 1597 და ამჟამად ინახება მუზეუმის ძვირფასი ლითონების საცავში). ზომები: სიმაღლე – 2,3 სმ; ფარაკის სიგრძე – 1,5 სმ; სიგანე – 1,3 სმ; სისქე – 0,4 სმ; რკალის დიამეტრი – 2,2 სმ; წონა – 13,20 გრ. ბეჭედს აქვს მასიური ოთხკუთხა ფარაკი, რომელიც ოვალურ რკალზეა დარჩილული (ტაბ. I_{12}). რკალი თანდათანობით ფართოვდება და ფიგურულ მხრებში გადადის. მხრებზე ღრმად ნაჭდევი წრეებია ამოკვეთილი (ტაბ. I_{13}). ასეთივე, უფრო მომცრო წრეები ამოკვეთილია ფარაკის ოთხივე გვერდით წახნაგზე (ტაბ. I_{14}), ფარაკის ზედაპირი კი შემკულია მოსევადებული ორნამენტით – ცენტრში დაჭდეულია რომბისებური ჩარჩო, რომლის თითოეულ გვერდზე გარედან სპირალური ორნამენტია ამოკვეთილი, ხოლო რომბის შიგნით ნეგატივურად ამოჭრილია არაბული წარწერა ربنا – RABANA – „ჩვენი ღმერთი“ (ტაბ. I_{12}). ბეჭდის რკალის ზედაპირზე, სულ ქვემოთ – ფარაკის მოპირდაპირედ, მკრთალად ჩანს მომცრო ნუშისებური ფორმის ამობურცული ოვალი, რომელზეც ასევე სპირალური ორნამენტია გამოყვანილი (ტაბ. I_{15}).

მსგავსი მართკუთხა ფარაკიანი ბეჭდები ცნობილია სელჩუკური პერიოდის ირანულ სფრაგისტიკაში. მაგ., ვერცხლის მოოქროვილი ბეჭედი ირანიდან (ტაბ. V_3). ბეჭდის მოოქროვილ ფარაკზე ამოკვეთილია რომბის მსგავსი ფიგურული ჩარჩო, რომლის შიდა არეზე არაბული წარწერაა გამოსახული (თარიღდება XII-XIII საუკუნეებით). ფარაკის ზედაპირის შემამკობელი სპირალური ორნამენტიც ჟინვალურის მსგავსია, თუმცა ირანული ბეჭდის მხარი, რკალი და სქელი ფარაკის წახნაგები დატვირთულია რელიეფური მცენარეული ორნამენტით, ხოლო ჟინვალური ბეჭდის შემსხვილებული ფიგურული და დაკბილული მხარი მხოლოდ ნაჭდევი მრგვალი ღრმულებით არის შემკული. ჟინვალური ბეჭედი უფრო სადა ორნამენტაციით გამოირჩევა. ირანულიცა და ჟინვალური ბეჭდებიც მოსევადებულია. ჟინვალური ბეჭდისგან განსხვავებით, ირანული ბეჭედი ჩამოსხმულია.

მსგავსი სპირალური ორნამენტით შემკული და მოსევადებული ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭედი ინახება ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (საინვ. № 1147). ბეჭედი მთლიანადსხმულია, ოვალურ ფარაკზე ჩაკვეთილია ჯვრის ფორმის არე, რომელზეც ნეგატიურად ქართული ასომთავრული წარწერაა ამოჭრილი, წარწერა დაქარაგმებულია და იკითხება როგორც

„ივანე“ (ტაბ. V_4). ფარაკზე ორი გამობურცული დეკორატიული კბილანაა გამოყვანილი. ს. ბარნაველი ბეჭედს XII-XIII სს. ათარიღებს და აღნიშნავს, რომ მოცემული ბეჭედი ფორმითა და შემკულობით მსგავსებას პოულობს როგორც ქართულ, ისე ირანულ და ბიზანტიურ ბეჭდებთან [ბარნაველი 1966: 161, ტაბ. III].

ჟინვალური ბეჭედი დაკბილულ მხარზე დატანილი ნაჭდევი ღრმულებით მსგავსებას პოულობს პოლ კანელოპულოსის კოლექციაში დაცულ გვიანრომაული ხანის (ტაბ. III_4) ოქროს ბეჭედის მხრისა და რკალის შემკულობასთან [Spieser 1972: 117-118, ნახ. 1-3], რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს მოტივი რომაული ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს. მხარზე დატანილი ნაჭდევი ღრმულებით ჟინვალური ბეჭედი ჰგავს აგრეთვე იმირის გორის № 10 ჩაშვებულ სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ბეჭდის მხრის შემკულობას (ტაბ. $V_{5-1,2}$), ხოლო გაფართოვებული დაკბილული მხრით, იმირის გორის № 17 სამარხში აღმოჩენილ ლურჯად მოჭიქულ ფაიანსის თვლიან ვერცხლის ბეჭდის მხარს (ტაბ. V_{5-3}). აღნიშნული ბეჭდები დათარიღებულია XIII- XIV საუკუნეებით [დოლაბერიძე 1975: 195, სურ. 70_3; სურ. 73_4].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და აღმოსავლური, დასავლური თუ ადგილობრივი მასალების შეჯერებით, ვფიქრობთ, რომ ჟინვალური ვერცხლის ბეჭედი XIII საუკუნის მეორე ნახევრით უნდა თარიღდებოდეს და დამზადებული უნდა იყოს საქართველოში, სავარაუდოდ, თბილისში. წარწერა „ჩვენი ღმერთი“ მისაღები იქნებოდა როგორც ქრისტიანების, ისე მაჰმადიანებისთვისაც, მითუმეტეს, რომ იმ პერიოდისათვის საქართველოში ჩამოყალიბდა მონეტების განსაკუთრებული ტიპი – ე.წ. ქრისტიანულ-მუსლიმური [**Пахомов** 1970: 160]. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, რომ 1971 წელს ჟინვალის ხერთვისთან აღმოჩენილი მონეტების განძის შემადგენლობაში დაცულია ვერცხლის ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები, მათ ზურგზე გამოსახულია გრაფიკულად შესრულებული კვადრატი, რომლის შიდა არეზე ამოჭრილია ქრისტიანული ქართული ლოცვა არაბული ასოებით და ბოლოში ჯვარი უზის. პირზე კი ილხან აბღას სახელია ამოჭრილი (1265-1282 წწ). მონეტები თბილისში იჭრებოდა [ჯალაღანია ირ. 1983: 170].

ამრიგად, ჟინვალის განძის ოქროსა და ვერცხლის ბეჭდებს ვათარიღებთ XII-XIII საუკუნეებით, მათი შექმნის ადგილად საქართველო (თბილისი) მიგვაჩნია, ხოლო განძის დაფვლის თარიღად – XIV საუკუნის პირველი ნახევარი და ვფიქრობთ, რომ ამ თარიღს არც მწვანედ მოჭიქული თიხის ქილის გავრცელების თარიღი ეწინააღმდეგება და არც ჟინვალის ნაქალაქარის XVII უბანზე აღმოჩენილი ქართული მონეტები, ხოლო აბუ-საიდის სახელზე მოჭრილი მონეტა ჩვენი თარიღის დამადასტურებლად მიგვაჩნია.

XIV საუკუნის დამდეგისათვის საქართველო მონღოლთა ბატონობის შედეგად ეკონომიკურად დაქვეითებული, პოლიტიკურად დაშლილი და ფიზიკურად დაზიანებული იყო, მაგრამ ისეთმა გამჭრიახმა და ნიჭიერმა პოლიტიკოსმა, როგორიც გიორგი V ბრწყინვალე გახლდათ (1314-1346 წწ.), აღადგინა საქართველოს მთლიანობა და ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წესრიგი დაამყარა, თუმცა მოსაგვარებელი რჩებოდა მთის ცხოვრება, სადაც „ულუსობა“ იყო გამეფებული. მთაში უჩვეულოდ გავრცელებულა მეკობრეობა, პირუტყვის პარვა, ნივთების გატაცება. გარდა იმისა, რომ მთიელთა დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან ძალზე გამწვავებული იყო, ასევე უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ქსნისა და არაგვის თემთა შორის – გახშირებულა ურთიერთმიხდომა და დაწიოკება. თემი თემს, სოფელი სოფელს ეომებოდა, ერთმანეთს ციხეებს უნგრევდნენ, სარჩოს უნადგურებდნენ. ამ მოვლენების ფონზე გასაკვირი არ არის, რომ ჟინვალელ მოქალაქეს ძვირფასი ნივთები გადაემალა. საინტერესოა, რომ როცა გიორგი ბრწყინვალემ ქსნისა და არაგვის ხეობებს კანონები დაუდო („ძეგლის დადება“), თავად ეახლა იქაურ მოსახლეობას და თბილისიდან გამგზავრებული მეფე მთის გზას არაგვით, სწორედ ჟინვანის სამეფოს სასახლიდან შესდგომია [ლომინაძე 1979: 623-632].

ჟინვალში აღმოჩენილი განძის შემადგენელი ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები დამზადებულია საქართველოში სელჩუკური პერიოდის ირანული ბეჭდების გავლენითა და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით, რომელთანაც ზომიერადაა შეზავებული დასავლური ხელოვნების მოტივები, ხოლო უფრო მძლავრად აღმოსავლური ხელოვნების გავლენები შეინიშნება, რაც სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია იმ ეპოქის საერო-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებისათვის. საინტერესოა, რომ ქართული სიტყვა ბეჭედი ეტიმოლოგიურად უკავშირდება სპარსულ სიტყვას ფიჩიდე | ფეჩედე, ნიშნავს ხვეულს, რკალს, სამკაულს, სამაჯურს [ხუბუა 1943: 1058], რაც ქართულში თითზე შესაცმელი სამკაულის მნიშვნელობას

იძენს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ საქმე გვაქვს საშუალო და ძველ ჩრდილო ირანულ დიალექტურ ფორმასთან, სადაც ამ სიტყვას საბეჭდავის მნიშვნელობაც ჰქონდა [ანდრონიკაშვილი 1966: 228-229]. აღსანიშნავია, რომ ბეჭედი პირველად მოხსენიებულია უძველეს ქართულ წერილობით წყაროში „მარტვილობაჲ შუშანიკისი“ – „და დაჰბეჭდა ურჯულომან ვარსქენ ბეჭდითა თვისით“ [მარტვილობაჲ შუშანიკისი 1946: 39]. განვითარებულ შუასაუკუნეებში ევროპული და რუსული გამოყენებითი ხელოვნების ნივთებიც აშკარად ორიენტალისტურ გავლენებს განიცდიან [**Даркевич** 1976: 166], ხოლო თავის მხრივ ირანულ ბეჭდებზე გვიანრომაული და ბიზანტიური მოტივების აღორძინება შეინიშნება. დასავლური და აღმოსავლური ადრეული თუ თანადროული ტენდენციების სინთეზი დამახასიათებელი იყო განვითარებული შუასაუკუნეთა ხანის მთელი სამყაროსათვის, ხოლო ისეთი გეოგრაფიული მდებარეობის ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ეს პროცესი უცხო არ ყოფილა მისი განვითარების არც ერთ ეტაპზე და მით უმეტეს განვითარებულ შუასაუკუნეებში, როცა მძლავრ, დაწინაურებულ ქალაქებს შორის კულტურული, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები თავის ზენიტს აღწევდა.

საქართველოში ე.წ. „რუსთაველის ეპოქის“ ბეჭდები, რომლებიც ძვირფასი ლითონისაგან არის დამზადებული, საკმაოდ მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი და დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ეს მოვლენა შეიძლება შემდეგი მიზეზებით აიხსნას: 1. ქრისტიანული დოგმატიკა სამარხებში ნივთების ჩატანებას კრძალავს; 2. ომების შედეგად ნადავლისა და ხარკის სახით ბევრი ძვირფასეულობა გაჰქონდათ ქვეყნიდან; 3. ომების დროს მასობრივად ხორციელდებოდა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების გადადნობა, და ბოლოს 4. შუა და წინა აზიაში ცნობილი „ვერცხლის კრიზისი“, რომელიც მკვეთრად გამოვლინდა XII-XIII სს. საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებში ვერცხლის მონეტის მოსპობით [**Капанадзе** 1955: 58-59]. ვფიქრობთ, ჟინვალის განძის ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები რამდენადმე გაამდიდრებს იმდროინდელი სამკაულის არცთუ მრავალრიცხოვან კოლექციას, ასევე გააღრმავებს ჩვენს ცოდნას ქართული კლასიკური ხანის ნაკეთობების, კერძოდ კი, ბეჭდების შესახებ, აგრეთვე გააფართოვებს ჩვენს წარმოდგენას იმ კულტურულ თუ სავაჭრო ურთიერთობებზე, რაც განვითარებული შუასაუკუნეების ხანაში საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის არსებობდა.

K. Ramishvili

HOARD FROM ZHINVALI CITY-SITE

Summary

The present paper is about the treasure-trove from the Zhinvali settlement of High Middle Ages. It was discovered by the Eastern Georgian Highland Expedition in 1980 (head of the expedition Dr. R. Ramishvili). The treasure was found in № 62 storeroom of the XVII area (excavators: M. Margvelashvili, N. Mukhigulashvili). Treasure was placed in a small green glazed clay pot. The pot was rather deeply buried in the North-East corner of the room, possibly during war times. Family treasure hidden in this pot consists of three golden and one silver rings. The rings date back to XII-XIII centuries. They have remarkably refined shapes and abundant ornaments. Detailed study of the rings revealed that they were made in Georgia according to local traditions influenced by the Seljuk period Iranian rings. Western art motives are moderately mixed with the local traditions, while eastern art influence is stronger. This kind of mixture of influences in the secular and applied art ware seems to be natural for the mentioned time period. Rings from the so-called "Rustaveli Era" in Georgia (High Middle Ages) made from precious metal represent great rarity. Golden and silver rings of the Zhinvali treasure-trove will enrich the jewellery collection of these times. This finding will deepen our knowledge about the Georgian classic ware – rings, in particular. It will widen our understanding about the cultural and trade relations during medieval times among Georgia and neighboring countries.

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი მ. 1966: ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I. თბილისი.

აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: მცხეთა, I. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით. თბილისი.

ბარნაველი ს. 1965: საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები. თბილისი.

ბარნაველი ს. 1966: განვითარებული შუასაუკუნეების ქართული საბეჭდავების საკითხისათვის. – მაცნე, № 5, 154-162.

დოლაბერიძე რ. 1967: XI – XIII სს. ბეჭდები. – სსმმ, XXVII-B, 166-194.

დოლაბერიძე რ. 1975: ფეოდალური ხანის ჩაშვებული სამარხები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965 – 1971 წწ.), 186-202.

კიკნაძე რ. 1960: XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან (აღმ. წყაროების მიხედვით). – ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვეთი I, თბილისი.

კიკნაძე გ. 1967: XI-XIII სს. სპილენძის ქართული ჭურჭელი. – სსმმ, XXVII-B, 135-151.

კოშორიძე ი. 2012: ისლამური ხელოვნება. თბილისი.

ლომთათიძე გ. 1966: რუსთაველის საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. – ძმ, № 8, 3-13.

ლომინაძე ბ. 1979: საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. მონღოლთა გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 623-669.

ლორთქიფანიძე მ. 1958: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II. თბილისი.

მარგველაშვილი მ., მუხიგულაშვილი ნ. 1981: ჟინვალის ექპედიცია, 09-XVII-80 წლის ანგარიში, ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქივში.

მარტვილობაი შუშანიკისი 1946: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი.

მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე კ. 1958: თბილისის ისტორია. თბილისი.

მიწიშვილი მ. 1969: მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII სს. თბილისი.

რამიშვილი რ. 1981: ჟინვალის ექპედიციის მიერ 1980 წელს ჩატარებული სამუშაოების უმთავრესი შედეგები – 1980 წლის ანგარიში, ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქივში.

ჩუბინაშვილი გ. 1957: ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა. თბილისი.

ხუბუა მ. 1943: სპარსული ბაგისმიერები ქართულში. – სმამ, IV, № 10, თბილისი.

ხუბუა მ. 1949: საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, I. თბილისი

ჯავახიშვილი ქ. 1985 : ბეჭდები და გლიპტიკური ძეგლები მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან, ხელნაწერი.

ჯალაღანია ირ. 1983: XIII საუკუნის მეორე ნახევრის მონღოლური ფულის განძი ჟინვალის ხერთვისიდან. – ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, 167-181.

ჯორბენაძე ბ. 1983: ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს. – ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, 134-166.

Амиранашвили Ш. Я. 1963: Вклад Грузии в сокровишницу художественной культуры. **Тбилиси.**

Веймарн Б. В. 1974: Искусство Арабских стран и Ирана VII-XVII веков. **Москва.**

Даркевич В. П. 1976: Художественный металл Востока. **Москва.**

Капанадзе Д. Г.1955: Грузинская нумизматика. **Москва.**

Корзухина Г. Ф. 1954: **Русские клады** IX-XIII **вв. Москва – Ленинград.**

Максимова В. 1950: Геммы из некрополя Мцхеты-**Самтавро** (Раскопки 1938-39 гг.) – სმამ, XVI-B.

Маршак Б.И. 1971: Согдийское серебро. **Москва**.

Пахомов Е. А. 1970: Монеты Грузии. **Тбилиси.**

Раис Т. Т. 2004: Сельджуки – **Кочевники-завоеватели Малой Азии**. Москва.

Рамишвили Р. М. 2003: **Археология – Крым**, **Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху средневековья**, IV – XIII **века**. **Москва.**

Content D. J. 1987: Islamic Rings and Gems. London.

Jenkins M., Keene M. 1982: Islamic Jewelry in the Metropolitan Museum of Art. New-York.

Sanikidze T., Abramishvili G. 1979: Orfevrerie géorgienne du VII au XIX siécle. Geneve.

Spieser J. M. 1972: Bagues Romaines et Medievales. Extrait du Bulletin de Correspondance Hellenique, tome 96.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ბეჭდები ჟინვალის განძიდან: 1- 4. მართკუთხაფარაკიანი ოქროს ბეჭედი (ინვ. № 34-981/1); 5-8. მართკუთხაფარაკიანი ოქროს ბეჭედი (ინვ. № 34-981/2); 9-11. ოქროს ბეჭედი ლომის გამოსახულებით (გლ. ფ. ინვ. № 1596); 12-15. ვერცხლის ბეჭედი, ფარაკზე არაბული წარწერით (გლ. ფ. ინვ. № 1597).

ტაბ. II – 1. მწვანედ მოჭიქული თიხის ქილა ჟინვალიდან; 2. მწვანედ მოჭიქული თიხის ქილა რუსთავიდან; 3. გიორგი III-ის სახელით მოჭრილი მონეტა (1156-1160); 4. თამარის სახელით მოჭრილი მონეტა; 5. ლაშა-გიორგის სახელით მოჭრილი მონეტა (1210); 6. აბუ-საიდის სახელით მოჭრილი მონეტა. 7. თამარის სახელით მოჭრილი მონეტა.

ტაბ. III – 1. ოქროსა და ვერცხლის ირანული ბეჭდები (XII ს.); 2. ირანული ოქროს ბეჭედი მართკუთხა სარდიონის თვალითა და ექვსი კბილანით (განვითარებული შუასაუკუნეები); 3. ირანული ვერცხლის ბეჭედი რვაკუთხა ფარაკითა და ექვსი დეკორატიული კბილანით (განვითარებული შუასაუკუნეები); 4. ოქროს ბეჭედი კანელოპულოსის კოლექციიდან (III ს.); 5. ოქროს ბეჭედი ძოწის თვლით არმაზისხევის № 2 ქვის სამარხიდან (IV ს.); 6. ოქროს ბეჭედი სამთავროს № 24 ქვის სამარხიდან (IV ს.); 7. ოქროს მოთვალული ბალთა არმაზისხევის № 1 სამარხიდან, გვიანრომაული ხანის (II-III სს.); 8. გიორგი III-ის ბეჭედი (XII ს.); 9. განვითარებული შუასაუკუნეების ხანის ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი, ფარაკზე ასომთავრული წარწერით; 10. ირანულ ბეჭდები მრგვალი ან ოვალური გოფრირებული ბუდითა და ჯვრულად განლაგებული კბილანებით (XII-XIII სს.)

ტაბ. IV – 1. ორი დოქი ჰერათიდან და ხორასანიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია (XII ს.); 2. სპილენძის ტანდაგოფრილი კანელურებიანი ჯამი დმანისიდან (XI-XIII სს.); 3. რუმის სულთან ქაიხოსრო II- ის (1236–1245) მონეტა, რევერსზე გამოსახულია თათაწეული ლომი, რვაქიმიანი ვარსკვლავი და მზე; 4. სოგდური ვერცხლის თასი ლომის გამოსახულებით (VII-VIII სს.); 5. ლომის თავშებრუნებული ფიგურა რვაქიმიანი ვარსკვლავის ფორმის სტუკოზე, კონია, კუბადაბადის სასახლე (1236 წ.); 6. ბრინჯაოს ლომის მინიატურული ქანდაკება ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანიდან (XII-XIII სს.); 7. დისკოში მოთავსებული ტანდაწინწკლული ლომის გამოსახულება ქაშანური ჯამის ფსკერზე (XII-XIII სს.); 8. ირანული სპილენძის ლარნაკი თავშებრუნებული და უკანა ფეხებზე ჩაჩოქილი ლომის გამოსახულებით, მცენარეული ორნამენტისა და მნათობების გარემოში, სელჩუკური ხანა (XI-XIII სს.).

ტაბ. V – 1. ლომის გამოსახულებები რუსთავსა და თბილისში აღმოჩენილ მოჭიქულ ჯამებზე, XII საუკუნის ბოლო და XIII საუკუნის პირველი ნახევარი; 2. ქართული საერო მინიატურა ასტრონომო-ასტროლოგიური ტრაქტატი № A-65 (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში), 1188 წ; 3. ვერცხლის მოოქროვილი ბეჭედი ირანიდან (XII–XIII სს.); 4. მოსევადებული ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭედი ასომთავრული წარწერით (გლ. ფ. ინვ. № 1147), XII-XIII სს; 5. ვერცხლის ბეჭდები იმირის გორის № 10 (1, 2) და № 17 (3) ჩაშვებული სამარხებიდან (XIII-XIV სს.).

DESCRIPTION OF TABLES

Tab. I – 1- 4. Golden ring with rectangular surface, Jinvali treajure (obj. N 34-981/1); 5-8. Golden ring with rectangular surface, Jinvali treajure (obj. N. 34-981/2); 9-11. Golden ring with the image of lion, Jinvali treajure (obj. N 1596); 12-15 – Silver ring with Arbic inscription, Jinvali treajure (obj. N 1597).

Tab. II – 1. Green glazed ceramic jar from Jinvali; 2. Green glazed ceramic jar from Rustavi; 3. Coin of Geogre III (1156-1160); 4. Coin of queen Tamar; 5. Coin of LashaGeorge (1210); 6. Coin of Abu-Said; 7. Coin of the queen Tamar.

Tab. III – 1. Silver and golden rings from Iran (XII c.); 2. Iranian golden ring with rectangular Cornellian stone and six prongs; 3. Iranian silver ring with octagonal surface and six decorative prongs (high middle ages); 4. Golden ring form Kanelopulos collection (III c.); 5. Golden ring with Granat stone from Armaziskhevi, grave N2 (IV c); 6. Golden ring from Samtavro, grave N24 (IV c); 7. Gold buckle from Armziskhevi, grave N 1 (II-III c); 8. Ring of George III (XII c); 9. Golden ring with Georgian Asomtavruli inscription; 10. Iranian rings with sircule or oval corrugated bezel and cross deployed prongs (XII-XIII c).

Tab. IV – 1. Two jugs from Herat and Khorasan, collection of Georgian National Museum (XII c); 2. Copper corrugated- cannelure bowl from Dmanisi (XI-XIII c); 3. The coin of Rum's sultan Kaikhosrow II (1236-1245), the reverse depicts a lion, Welded Octahedral star and sun; 4. Sogdian silver bowl depicts a lion (VII-VIII c); 5. The figure of a head-inversed lion on the Welded Octahedral star-shaped stuko, Konya, Kubadabad Palace (1236 c); 6. Bronze lion miniature figure from North-East Iran (XII-XIII c); 7. The Kashan plate with spots lion image at the bottom of the plate (XII-XIII c); 8. Iranian copper vase with head-inversed and legs-kneeling lion figure, Seljuk Period (XI-XIII c).

Tab. V – 1. The lion images on the glazed bowls from Rustavi and Tbilisi, The end of XIIc. and first part of XIII c; 2. Georgian Astrological miniature (1188), stored at the Institute of Manuscripts; 3. Plated silver ring from Iran (XII-XIII c); 4. The silver seal-ring with the Georgian Asomtavruli inscription (obj. # 1147), XII-XIII c; 5. The silver rings from Imiri Gora, graves # 10 (1, 2) and # 17 (3), XIII-XIV c.

ტაბ. I

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

13

14

15

1



2

3

4

5

6

7

ტაბ. III

1

2

3



4

5

6

7

8

9

10



1



2

3



4

5

6

7

8

1

2

3

5



6

ქეთევან ჯავახიშვილი

დავით ბატონიშვილის საბეჭდავი

1967 წელს აკადემიკოსმა გიორგი ნიკოლოზის ძე ჩუბინაშვილმა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს შემოსწირა საბეჭდავი, რომელიც მას მიღებული ჰქონდა თავისი პაპის, პროფესორ დავით ნიკოლოზის ძე ჩუბინაშვილისაგან (საბეჭდავი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში საინვ. №1142). გადმოცემით, საბეჭდავი ეკუთვნოდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის[1] შვილს, ბატონიშვილ დავითს (1767-1819 წწ.). დავით ჩუბინაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ ბატონიშვილთან (1782-1846 წწ.) – დავით ბატონიშვილის უმცროს ძმასთან. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ მისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა, სწორედ დავით ჩუბინაშვილისთვის მიუნდვიათ [შარაძე 1982: 9]. შესაძლოა, ამ ურთიერთობის შედეგად აღმოჩნდა დავით ბატონიშვილის საბეჭდავი დავით ჩუბინაშვილის ოჯახში.

სურ. 1

საბეჭდავი ლითონისაა, ძალზე მოხდენილი; პირი ოვალური აქვს, სახელური „კონუსურია“, ექვსფურცელა ყვავილის – შროშანის ფორმისა; „კონუსი“ მთავრდება ლითონის პატარა ბურთულით, რომელზედაც მირჩილულია წრიული ყულფი თასმის გასაყრელად (სურ. 1-2); საბეჭდავის პირზე გამოსახულია კუთხეებში ბაფთებით შეკრული გაშლილი მანტია, რომელიც მაღალი გვირგვინით არის შემკობილი. მანტიაზე ნეგატიურად, ლამაზი ასომთავრული ასოებით შესრულებულია წარწერა – დვთ, ქვემოთ არაბული ანბანით – ავსა (დაუდ) (სურ. 3-4). ამ საბეჭდავის მსგავსი, შროშანის ყვავილის ფორმის საბეჭდავები, როგორც ჩანს გავრცელებული იყო XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში. ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში ინახება ხუთი ცალი ამ ფორმის საბეჭდავი (გლიპტიკის კაბინეტი საინვ. №№ 1161, 1316, 1585, 1586 და №1585 რომლის პირზე აღნიშნულია თარიღი 1875 წ.).

სურ. 2

დავით ბატონიშვილის შესახებ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, ჩვენ მის განხილვას არ შევუდგებით. ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევეხებით დავით ბატონიშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას და სათანადოდ მივუთითებთ გამოყენებულ ლიტერატურას.

სურ. 3

1 ლიტერატურაში მას ზოგჯერ იხსენიებენ როგორც გიორგი XIII; საბეჭდავის გადმოცემის აქტშიც საბეჭდავი გიორგი XIII შვილის საბეჭდავად არის მოხსენიებული. (იხ. 1967 წ. 12.I აქტი)

დავით ბატონიშვილი (1767-1819 წწ.) იყო უფროსი შვილი გიორგი XII-ის და მისი პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილისა. დავითი იყო უაღრესად განათლებული პიროვნება. მან ჯერ კიდევ სამშობლოში მიიღო იმ დროისათვის საუკეთესო განათლება. მისი მასწავლებლები იყვნენ დავით რექტორი ალექსიშვილი და ანტონ I კათალიკოსი. 1787 წელს 20 წლისა სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა რუსეთში, სადაც 2 წელი დაჰყო [გონიკაშვილი 1986: 191, 227]. რუსულ კულტურასა და აზროვნებას ნაზიარები, ის დიდი ერუდიციის მქონე მრავალმხრივ განსწავლულ მეცნიერად ჩამოყალიბდა. იცოდა ქართული, რუსული, ლათინური, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სპარსული ენები. მუშაობდა მეცნიერების მრავალ დარგში: ფიზიკაში, გეოგრაფიაში, ზოოლოგიაში, ანატომიაში, მინერალოგიაში, ბოტანიკაში, გრამატიკაში, პოლიტიკაში, ფილოსოფიაში, ეთიკაში, ღვთისმეტყველებაში, სამართლის ისტორიაში და სხვა.

სურ. 4

დავით ბატონიშვილი არის ავტორი მრავალი სამეცნიერო შრომისა. მისი შრომები და კერძოდ, "შემოკლებული ფისიკა" მკითხველს აკვირვებს აზრთა გამბედაობითა და დამოუკიდებლობით. ამ ნაშრომის მიხედვით ყოველი მოვლენა განხილულ უნდა იქნეს მოძრაობაში, ყოველი სხეული იშლება და ამ დაშლას თითქმის არა აქვს დასასრული. ყოველ ნივთს აქვს საკუთარი ატომი, რომელიც სხვა ნივთის ატომისაგან განსხვავდება მის შიგნით არსებული ნივთიერების რაოდენობით, „რომ ატომი დაიშალა და მის შიგნით რთული სტრუქტურა აღმოჩნდა – ეს თანამედროვე ფიზიკის ძირითად მიღწევას წარმოადგენს" [პარკაძე 1954: 182]. მნიშვნელოვანია 1812 წელს დაწერილი ნაშრომი "О лучшем устройстве Грузии", სადაც განხილულია საქართველოს სამართალი და კანონმდებლობა [გონიკაშვილი 1986:28]. საყურადღებოა, რომ ყალბი საბეჭდავების დამზადებისათვის დავით ბატონიშვილის პროექტი ძალიან მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა [ბარნაველი 1965: 79]. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი "ახალი ისტორია", რომელიც XVIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIX ს. დასაწყისის საქართველოს ისტორიის ერთერთ მნიშვნელოვან ნარატიულ წყაროს წარმოადგენს [ბაგრატიონი 1972: 9].

დავით ბატონიშვილი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. აქვს მრავალი თარგმანები. ფრანგულიდან თარგმნა ფრ. ვოლტერის, ხოლო რუსულიდან შ. მონტესკიეს ნაშრომები [გონიკაშვილი 1986: 228]. კარგად იცნობდა ფრანგ ენციკლოპედისტების ნაშრომებს. იყო ვოლტერიანელი [გონიკაშვილი 1986: 226]. ოთახში ხატების ნაცვლად ვოლტერის პორტრეტი ეკიდა [ხიდაშელი 1973: 797]. იყო შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე, კარგად იცნობდა საქართველოს წარსულს და კარგად ერკვეოდა თავისი დროის პოლიტიკურ ვითარებაში [გონიკაშვილი 1986: 227]. იყო უშიშარი მეომარი. ერეკლე II ყველაფერში ენდობოდა მას და მისი იმედი ჰქონა. 1795 წელს 10-11 სექტემბერს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში და უშიშარი სარდლის სახელი დაიმსახურა [გონიკაშვილი 1986: 191]. კრწანისის ბრძოლაში ერეკლე II ცოცხალი გადარჩა მხოლოდ იოანე და დავით ბატონიშვილების წყალობით. იოანემ თავისი გმირი პაპა ალყიდან გამოიყვანა [გონიკაშვილი 1986: 193].

1795 წლის ბოლოს დავით ბატონიშვილი რუსეთში სამხედრო სამსახურშია, პრეობრაჟენსკის პოლკში, სადაც გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო. სანკტ-პეტერბურგში ჩასვლისთანავე მას სენატორობა ებოძა [გონიკაშვილი 1986: 193-194,225].

დავით ბატონიშვილის თანამედროვენი იხსენიებენ როგორც ყოველმხრივ ღირსეულ პიროვნებას, რომლის მდიდარ სულიერ სამყაროს სავსებით შეესაბამებოდა მისი მომხიბვლელი გარეგნობაც. თეიმურაზ ბატონიშვილი იხსენებს, რომ დავითი „იყო მხნე, გონიერი, სწავლული, გულოვანი მარჯვე

სამხედროსა და სამოქალაქოსაცა საქმეთა შინა, ფრიად მშვენიერ სახითა სახილველობისათა და აგებულებითა გვამისათა და იყო მარადის შრომისმოყვარე“, „ვისაცა მიხვდის შეწუხებულთ, გაჭირვებულთა და შეიწროებულთა ნუგეშინისცემდა მათ“, „ყოველი სახე ამპარტავანებისა და ცუდ მადიდებლობისაგან შორებული იყო მისგან”, „საუბარი მისი იყო მხიარულისა და საამოვნოსა სიცილითა ხმითა ესევითარისა, რომელიცა მზრახველთა მისდამი განამხიარულებდა...“, „ფრიად მკვეთრ და მარჯვე იყო სიტყვათა შინა, მაგრამ ოდესმე პირუთვნელ და მამხილებელ მათდა მომართ, უკეთუ იხილავდა რომელთამე უწესოთა რაითმე სახითა მქცეველად“ [ბაგრატიონი 1972: 75-76]. ამასთანავე თეიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ „რაც ჩემ ძმას, მეფის ძეს დავითს სიკეთეები სჭირდა და საქმეები ჰქონდა იმის ღირს სახსოვართა საქმეთაგანი მეათედიცა ნაწილი არ აღმიწერია“ [ბაგრატიონი 1972: 8].

სურ. 5

შემორჩენილია დავით ბატონიშვილის პორტრეტი (სურ. 5), სადაც ის წარმოდგენილია გენერლის მუნდირში, ორდენებით დამშვენებული (ბაგრატიონები 2008: 529, სურ. 144). როგორც ნიკოლოზ იმერეტინსკი გადმოგვცემს, მას დავით ბაგრატიონის ძე გრუზინსკის ბინაში უნახავს დავით ბატონიშვილის სხვა პორტრეტიც, სადაც „საქართველოს მმართველი გამოსახულია ქართულ ტანსაცმელში, მხარზე ალექსანდრეს ლენტაგადადებული, მაღალი, მხარბეჭიანი, სრული, პატარა ულვაშით, ლამაზი სახით. იგი მთელი ტანითაა ზეზემდგომი წარმოდგენილი, კალმით ხელში“ [გონიკაშვილი 1986: 191]. სამწუხაროდ, ეს პორტრეტი დღეისათვის არ სჩანს.

ცნობილია ერეკლე II-ის სიკვდილის (1798 წ.) შემდგომ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, დაპირისპირება ერთის მხრივ, რუსეთის ორიენტაციის მომხრე და მოწინააღმდეგეებს შორის და მეორე მხრივ, ტახტის პრეტენდენტ მრავალრიცხოვან ბატონიშვილებს შორის. დავით ბატონიშვილი გიორგი XII-მ სიცოცხლეშივე თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, რაც ხელმწიფე-იმპერატორმა პავლე პირველმაც დაადასტურა [გონიკაშვილი 1986: 200], ამან საშინელი არეულობა გამოიწვია ქვეყანაში. საქართველოს საღად მოაზროვნე მესვეურები და მოსახლეობის უმრავლესობა სამეფოს შენარჩუნების მომხრე იყო, მაგრამ დავით ბატონიშვილის მოწინააღმდეგეები — ქართლის თავად-აზნაურები – იმდენად წინააღმდეგნი იყვნენ დავით ბატონიშვილის გამეფებისა, რომ მეფობის გაუქმებას და რუსეთის მმართველობის დამყარებას მოითხოვდნენ [გონიკაშვილი 1986: 219].

1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტის თანახმად ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. დავით ბატონიშვილი საქართველოს გამგებლად დაინიშნა [გონიკაშვილი 1986: 220]. როგორც თიმურაზ ბატონიშვილი აღნიშნავს, „დავითმა იწყო მართვად ქართლისა ფრიად გონიერად“ [ბაგრატიონი 1983: 13]. აღსანიშნავია, რომ იმ მცირე დროის განმავლობაში, როდესაც დავით ბატონიშვილი ქართლ-კახეთის გამგებლად ითვლებოდა (1801 წ. 12 სექტემბერი – 1803 წლის მარტამდე), მან შესძლო მოეჭრა ფული. ამ იშვიათი მონეტის ერთადერთი ცალი ინახება გერმანიის მუზეუმში (სურ. 6) [ქუთელია, ღვაბერაძე 2003: 412, სურ. 38]. შემდეგში, როდესაც ბაგრატიონთა დინასტიის ყველა წარმომადგენელი რუსეთში გადაასახლეს, მიუხედავად იმისა, რომ დავითი ავადმყოფობას იმიზეზებდა და საქართველოში დატოვებას მოითხოვდა, მისი თხოვნა არ შეიწყნარეს და 1803 წლის 17 მარტს ის უკვე პეტერბურგშია. როგორც ყველა სხვას, მას საქართველოში დაბრუნების უფლება არა ჰქონდა [გონიკაშვილი 1986: 223-225].

სურ. 6

აღსანიშნავია, რომ 1817 წელს დავით ბატონიშვილმა დაწერა თხოვნა მისი საიმპერატორო დიდებულების სახელზე, სადაც ცდილობდა დაემტკიცებინა იმპერატორისათვის, რომ თუ საქართველოს სამეფო აღდგებოდა და სამეფო ტახტზე რომელიმე ბაგრატიონს აიყვანდნენ, რუსეთისათვის ძალიან მომგებიანი იქნებოდა. საქართველო ყოველწლიურად გადაუხდიდა რუსეთის ხაზინას 1 მილიონ მანეთს ასიგნაციებით, შეინახავდა რუსეთის ქვეითი ჯარის 6 ათას მეომარს და გადასცემდა რუსეთს ყველა ციხე-სიმაგრეს. დავით ბატონიშვილი მზად იყო შეესრულებინა ეს ყოველივე, ოღონდ ტახტზე რომელიმე ბატონიშვილი ასულიყო, მაგრამ ამ თხოვნას ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან ეს ყელაფერი უკვე ისედაც რუსეთის ხელში იყო [გონიკაშვილი 1986: 229-230]. მიუხედავად ყველაფრისა დავით ბატონიშვილი ბოლომდე რუსეთთან კარგი ურთიერთობის მომხრე იყო და მუსლიმანურ ირანთან და ოსმალეთთან დაკავშირების სასტიკი წინააღმდეგი იყო [გონიკაშვილი 1986: 230-231]. სიცოცხლის ბოლოს დავით ბატონიშვილი საქართველოს საქმეებში აღარ ერეოდა. „იყო მორიდებული და მომდურავიცა ქართველთა“. მიმოწერა ჰქონდა საქართველოში თავის ახლობლებთან [გონიკაშვილი 1986: 231].

დავით ბატონიშვილმა საქართველოდან გამოიწვია თავისი მოძღვარი, ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი პეტრე ფილიპეს ძე არჯევანიძე [ცინცაძე 1994]. პეტრე არჯევანიძე პეტერბურგში ჩავიდა 1817 წლის მარტში. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს პეტრეს მიერ თავისი შვილის იოანესადმი მიწერილ წერილებში აღწერილი მისი მოგზაურობა ასტრახანიდან მოსკოვში. არჯევანიძეების ოჯახში[2] შემორჩენილია პეტრე არჯევანიძის შვილიშვილის ნიკოლოზ იოანეს ძე არჯავანიძის ჩანაწერები (რუსულ ენაზე), სადაც გადმოცემულია ამ წერილების შინაარსი (როგორც ჩანს, ნიკოლოზს ხელთ ჰქონდა თავისი პაპის პეტრეს წერილები).

2 ინახება ქ. ჯავახიშვილის არქივში.

პეტრე არჯევანიძე წერს: «Выехал на повозке из Астрахани 17 февраля. Несмотря на безостановочную езду днем и ночью прибыл в Москву совершенно здоровым. Остановился у проживающего тогда в Москве Давида Егоровича Сараджева как соотечественник. Последний, по словам деда, так был рад его приезду, что сам снял его с повозки и все время пребывания у него пользовался особым гостеприимством. В этом же письме пишет о своем посещении Католикоса Антония (2-го), архиерея Гайоза (из фамилии Нацваловых), Мровели митрополита Иоанна Руисского и Архиерея Пафнутия. Все они видя только что прибывшего соотечественника из Грузии были безгранично рады. У каталикоса дед пробыл с вечера до рассвета и все это время католикос расспрашивал о родине. Митрополит Мровели, Архиерей Гайоз и Пафнутий предлагали деду остаться еще на одну неделю. обещая отправить его в Петербург к царевичу Давиду за свой счет. Радость приезда деда была настолько велика, что католикос предложил деду деньги на дорогу, а митрополит Мровели и Гайоз, несмотря на то, что они были поужинавшие, устроили ему специальный ужин. В Москве дед мой встретился с кн. Иваном Михайловичем Андрониковым, приехавшем из Воронежа, куда родители его были сосланы, будучи в родстве с грузинской царской фамилией по матери. Он ехал тоже в Петербург и предложил деду моему отправить его в Петербург на свой счет. Дед едва мог освободиться от всех расспросов о родине. При посещении царицы Марии, по-рождению Цициановой, проживающей в это вемя в ссылке в Москве, дед мой царицей и детьми ея и челядью был встречен и они так были рады видеть своего соотечественника, что вышли на крыльцо с сыновьями и двором и так встретили его. Пробыв с ней 4 часа едва смог удовлетворить ее своими рассказами о родине. Царица Мария готова была еще дольше задержать деда у себя.

По приезде в Петербург в марте 1817 г. царевич Давид устроил у Петербургского митрополита разрешение на совершение богослужения при грузинских домашних (придворных) церквях, на что 20-го марта 1817 года дано было просимое разрешение, где в течении 5 лет (дед) остался в Петербурге и совершал богослжение. По возвращении в Тифлис из Петербурга дед мой скончался имея 80 лет от роду и похоронен в Кашветской св. Георгия церкве имея мраморную подмогильную доску» (საფლავის ქვაზე აღნიშნულია, რომ პეტრე ფილიპეს ძე იყო დავით ბატონიშვილის მოძღვარი, სურ. 7).



სურ. 7

პლატონ იოსელიანის ცნობით, დავით ბატონიშვილი გარდაიცვალა პეტრე დეკანოზის პეტერბურგში ყოფნის დროს, 1819 წლის 13 მაისს [ცინცაძე 1994: 180], დასაფლავებულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის მონასტერში, წმინდა ოქროპირის ეკლესიაში. როგორც ბაგრატ ბატონიშვილი აღნიშნავს, დავითი „იყო რუსთა ღიანარალ-ლეიტენანტი და სენატორი, ამას აქვნდა ნიშანნი კავალერია ალექსანდრე ნევსკისა და ანასი, ესე გარდაიცვალა სანკთ პეტერბურღს შინა ვასილის ოსტროვში [გონიკაშვილი 1986: 231]. ამას დავითს არა დაშთა შვილი არცა ვაჟი არცა ქალი [გონიკაშვილი 1986: 231].

საერთოდ საბეჭდავები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა. ყველა საბუთი დამტკიცებულ უნდა ყოფილიყო ბეჭდით. საბეჭდავები იხმარებოდა იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საგნის შეუხებლობის შემოწმება: საბეჭდავები ჰქონდათ მოქალაქეებს, სხვადასხვა მოხელეებს (მდივანბეგს, სახლთუხუცესს და სხვ.), სამღვდელო პირებს (კათალიკოსს), და ცხადია ბატონიშილებსა და მეფეებს [ბარნაველი 1965:73-74], ისევე, როგორც ეს იყო ჯერ ბიზანტიაში და შემდეგ სეფიანთა ირანში [ბარნაველი ს., 1965:80-81]. წარჩინებულ პირებს და მეფეებს ჰქონდათ რამდენიმე საბეჭდავი სხვადასხვა დანიშნულებისა. პატარა საბეჭდავი, რომელზეც მფლობელის მხოლოდ სახელი იყო აღბეჭდილი, განკუთვნილი იყო არაოფიციალური, ახლობლებისა და მეგობრებისადმი მიწერილი წერილების დასაბეჭდად; ოფიციალური საბუთების და საქმიანი ქაღალდების დასაბეჭდად კი იხმარებოდა საბეჭდავები, რომლებზედაც სახელის გარდა მითითებული იყო ტიტული [ბარნაველი 1965: 80]. იყო საბეჭდავები, რომლებზედაც წარწერები ლექსად იყო წარმოდგენილი. XVIII საუკუნის საქართველოში არსებობდნენ პირები, რომლებიც სპეციალურად საბეჭდავებზე აღსაბეჭდ ლექსებს ქმნიდნენ [ბარნაველი 1965: 86]. დავით ბატონიშვილს, როგორც ჩანს, რამდენიმე საბეჭდავი ჰქონდა. თვით საბეჭდავი დღეისათვის მხოლოდ ერთია შემორჩენილი, ის, რომელიც ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს, მაგრამ საბუთებზე დავით ბატონიშვილის კიდევ 4 საბეჭდავის ანაბეჭდები გვხვდება [ბაქრაძე 1978: 38, №39-42, ტაბ.$II_{9,11,13}$]. ერთი საბეჭდავის პირის გამოსახულება [ბაქრაძე 1978: 38, №42, ტაბ.II_{11}] ძალიან ახლოს არის ჩვენს მიერ განხილულ საბეჭდავის გამოსახულებასთან. ამ მცირე ზომის სწორკუთხა საბეჭდავის პირზე გამოსახულია გვირგვინი მის ქვემოთ ქართული ასომთავრული ასოები *დვთ* და სულ ქვემოთ სპარსული ლეგენდა *დაუდ* [ბაქრაძე 1978: 38, №42, ტაბ.II_{11} (1798-1802 წ. საბუთებზე)] (სურ. 8) ასომთავრული და არაბული ასოების მოხაზულობა იმდენად იდენტურია, რომ ისინი სავარაუდოდ ერთი და იგივე სახელოსნოში, შესაძლოა ერთი ოსტატის მიერ არის დამზადებული.

სურ. 8

საერთოდ ქართულწარწერიანი საბეჭდავები, ამასთანავე ცნობილი ისტორიული პიროვნებისა, ძალიან მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი. ამდენად, დავით ბატონიშვილის საბეჭდავი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძვირფას შენაძენს წარმოადგენს.

Ketevan Djavakhishvili

THE SIGNET OF DAVID BATONISHVILI

Summary

The article deals with the signet of David Batonishvili (1767-1819) the elder son of the last king of Kart-Kakheti Giorgi the XII (1746-1800) and his first wife Ketevan Andronikashvili (Glyptic cabinet, inventory №1142).

Oval shape, delicate signet is made of metal, the handle is 'conic'- and looks like a six leaf lily. The cone ends with the small metal ball on which the loop for the thong is soldered. Full-blown mantle depicted on the signet is decorated with the high crown. On the mantle negatively, with Georgian capital fine letters is written DVT ( ). Under it is an Arabic inscription ( ) (figs. 1-4). Probably in Georgia the signets like this were spread in 18-19 centuries. In the Glyptic cabinet of Georgian National Museum there are some signets of the same shape (inventory № № 1161, 1316, 1585 and 1586 (on the last year 1875 is marked)).

It seems that David Batonishvili had several signets. But only one exists which is the subject matter of this article. On David Batonishvili's documents there are four different imprints of the signets. One of them is so similar with the one we had discussed (fig. 8) that we consider that the signet was made in the same workshop, even by the same craftsman.

The signets of well known historical persons with Georgian inscriptions are very rear. Thus the signet of David Batonishvili is an important artifact of the Glyptic collection of Georgian National Museum.

ლიტერატურა

ბაგრატიონები 2008: სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, თბილისი

ბაგრატიონი თეიმურაზ 1972: დავით ბაგრატიონის ისტორია. ტექსტი გამოსაქვეყნებლად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. ენუქიძემ, თბ.

ბაგრატიონი თეიმურაზ 1983 : ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაქვეყნებლად მოამზადა და გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა.

ბარნაველი ს. 1965: საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალა. თბ.

ბაქრაძე ა. 1978: მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. კატალოგი, ნაწ .I, თბ.

გონიკაშვილი მ. 1986: ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბ.

პარკაძე ვ., 1954: დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა", თბ.

ქუთელია თ., ღვაბერიძე ც. 2003: ბაგრატიონთა სამონეტო ემისია, ბაგრატიონები, სამეცნიერო კულტურული მემკვიდრეობა. გვ. 405-424. თბ.

შარაძე გ. 1982: დავით ჩუბინაშვილი – რუსთველოლოგი. თბ.

ცინცაძე კ. 1994: ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია თბილისში. გამოსაქვეყნებლად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ, თბ.

ხიდაშელი შ. 1973: ფილოსოფიური და დიპლომატიური აზრთა განვითარება. საქართველოს კულტურული ვითარება XVIII ს. მეორე ნახევარში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბ., გვ. 792-797.

სურათების აღწერილობა

სურ. 1-2 – დავით ბატონიშვილის საბეჭდავი.

სურ. 3 – დავით ბატონიშვილის საბეჭდავის პირი.

სურ. 4 – დავით ბატონიშვილის საბეჭდავის პირის ანაბეჭდი.

სურ. 5 – დავით ბატონიშვილის პორტრეტი.

სურ. 6 – დავით ბატონიშვილის მიერ მოჭრილი მონეტა.

სურ. 7 – დავით ბატონიშვილის მოძღვარის პეტრე ფილიპეს ძე არჯევანიძის საფლავის ქვა.

სურ. 8 – დავით ბატონიშვილის საბეჭდავის ანაბეჭდი 1798-1802 წწ. საბუთებზე (ხელნაწერთა ინსტიტუტი №№ 4751, 4357).

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1-2 – Signet of Davit Batonishvili.

Fig. 3 – Face of David Batonishvili's Signet

Fig. 4 – Face of David Batonishvili's Signet, imprint

Fig. 5 – Portrait of David Batonishvili

Fig. 6 – Mintage/ Coinage of David Batonishvili

Fig. 7 – Gravestone of David Batonishvili's confessor Petre Arjevanidze.

Fig. 8 – Imprints of David Batonishvili's signets on the 1798-1802 year documents.

შემოკლებათა განმარტება

ABBREVIATIONS

აკ - არქეოლოგიური კრებული

გსმ – გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

დმმნ – დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი.

დსმ – დუშეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

ენიმკის მოამბე – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.

თამბ – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, თბილისი

თსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კაეშ – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.

კაკ - კავკასიის არქეოლოგიური კრებული, თბილისი.

მაცნე – ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.

მსკა – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

მსკი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი.

მსმ – მცხეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

საკძ – საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ. მოკლე ანგარიშები. თბილისი.

სემ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სემმ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბილისი.

სემხმ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.

სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი.

სსმაე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი.

სსხმნ – საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, თბილისი

სხ – საბჭოთა ხელოვნება, თბილისი.

ფსაძ – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი.

ქაკ – ქრისტიანული არქეოლოგიის კონფერენცია.

ქც – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

ძიებანი – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

ძმ – ძეგლის მეგობარი.

АЭФК – Археология, этнология, фольклористика Кавказа.

ИГАИМК – Известия Государственной академии истории материальной культуры.

ИКОИМАО – Известия кавказского отделения Императорского Московского археологического общества.

КСИА - Краткие сообщения института археологии. Москва.

МАК – Материалы по археологии Кавказа, Москва.

МИА – Материалы и исследования по Археологии СССР. Институт археологии АН СССР. Москва.

ПАИ - Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.

СА – Советская археология. Институт археологии АН СССР. Москва.

САНГ – Сообщения академии наук Грузии, Тбилиси.

СЭ – Советская этнография. Институт этнографии АН СССР. Москва.

ТАИЯЛИ – Труды Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми

AJA – American Journal of Archaeology.

AE – Arhaologie in Eurasian, Berlin.

AS – Anatolian studies. Journal of the British Institute of Archaeology at Ankara.

ESA – Eurasia Septentrionalis Antiqua, Helsinki.

MAVA – Materialien zur Allgemeinen und Vergleichenden Arhaeologie, Muenchen.

ავტორთა საყურადღებოდ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალში „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“ დაიბეჭდება მუზეუმის თანამშრომელთა სამეცნიერო ხასიათის სტატიები და ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიშები, რომლებშიც ასახული იქნება ჩატარებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. ამდენად, გაგრძელებული იქნება რუსულენოვან ПАИ-ის ტომებში და 2004 წელს დაბეჭდილ „საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში“ დამკვიდრებული ტრადიცია. მოკლე ანგარიშის შედგენისას გასათვალისწინებელია ინსტრუქცია, რომელიც ინახება არქეოლოგიის ცენტრში.

ჟურნალში გათვალისწინებულია შემდეგი რუბრიკები: სტატიები, არქეოლოგიის თეორია, არქეოლოგიის ისტორია, კრიტიკა, ქრონიკა და სხვ.

რედაქცია იღებს სტატიებს 16 გვერდამდე. გვერდების ამ მოცულობაში შედის: სტატია 10-12 გვერდამდე, ლიტერატურის სია, საილუსტრაციო მასალა, გრაფიკული ტაბულების და ფოტოების აღწერილობა. რედაქციას უნდა ჩაბარდეს სტატიების ელექტრონული ვერსიები და მათი ამონაბეჭდები.

გვერდის ზომა – A4; შრიფტი – LitNusx, შრიფტის ზომა – 12, ერთი ინტერვალით.

დამოწმებული ლიტერატურის მითითების წესი:

მითითება ხდება ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში [კვირკველია 1985: 119, სურ. 5, ტაბ; I_{6-7}].

ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანის რიგით, ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და შემდეგ ევროპული შრიფტით; თუ აუცილებელია, სხვა შრიფტებზე წარმოდგენილი ლიტერატურის დასახელება (მაგ. ბერძნული, არაბული და ა.შ. შრიფტით), ის სიას ერთვის ბოლოში.

ავტორის გვარი, ინიციალები, გამოცემის წელი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი:

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

პერიოდული გამოცემის ან კრებულის მითითებისას მათი სახელწოდება უნდა გამოიყოს დეფისით. აუცილებელია გვერდების სრული მითითება:

Lordkipanidze, O. 2001: The Akhalgori Hoard (An attemppt at dating and historical interpretation). – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, 33, 143-190.

კრებულების მითითების შემთხვევაში აუცილებელია კრებულის რედაქტორის მითითება:

ლორთქიფანიძე ო., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგია, დათარიღება, კატალოგი) (ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი V). თბილისი.

ან: **ჯალაბაძე მ. 2003:** ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. – ბ. მაისურაძე, ნ. ახვლედიანი (რედ.), კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), 45-47. თბილისი.

ПАИ-ის მითითებისას დასაცავია შემდეგი წესი:

Рамишвили Р. и др. 1980: Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1977, 169-187.

თუ ერთსა და იმავე ავტორს ერთ წელიწადში ორი ან მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ისინი უნდა დალაგდეს სათაურების ანბანური რიგის მიხედვით და დაინომროს ლათინური ასოებით:

Шелов Д. Б. 1956a: Керамические клейма из раскопок Фанагории. – МИА, 57, 128-154

Шелов Д. Б. 1956b: Монетное дело Боспора VII-II вв. до н.э. Москва.

ცალკე გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი გამოყენებულ შემოკლებათა განმარტების სია.

მოთხოვნები ილუსტრაციული მასალის მიმართ:

ფოტოების ელექტრონული ვერსია, მაღალი ხარისხის, არანაკლებ 300 რეზოლუციის, მკვეთრი გამოსახულებით.

გრაფიკული ტაბულები კომპიუტერულად შესრულებული, tiff ფორმატში, არანაკლებ 600 რეზოლუციის.

ილუსტრაციულ მასალას თან უნდა ახლდეს სურათებისა და ტაბულების აღწერა.

თუ დაცული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები, რედაქცია სტატიას არ განიხილავს.

რედაქციას აქვს უფლება გადასცეს სტატია სარეცენზიოდ.

სტატია უნდა ჩაბარდეს რედაქციის მდივანს მ. ჩარკვიანს.